

მამუკა გოგიტიძე  
გიორგი ბეჭეჭავჭიანი



სეპსელრა  
ფიჭი  
ქრთბულნი

შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი  
მამუკა გოგიტიძე, გიორგი ბეჟიტაშვილი

# სამხედრო ფიცის ერთგულნი

(ბიოგრაფიული ცნობარი)



თბილისი  
2015

UDK (შაკ) 94(479.22),,1918”

გ-603

მთავარი რედაქტორი

**მამუკა სამხარაძე**

პოლკოვნიკი

სამხედრო ატაშე თურქეთის რესპუბლიკაში,

რედაქტორი

**ელგუჯა მამუკელაშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,

სამხედრო კონსულტანტები

**თენგიზ შუბლაძე**

რეზერვის გენერალ-მაიორი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,

**ნიკოლოზ გოგიტიძე**

რეზერვის იუსტიციის გენერალ-მაიორი,

**დავით სოხაძე**

რეზერვის გენერალ-მაიორი

სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი,

**გელა ქუშაშვილი**

პოლკოვნიკი,

**მამუკა ბერელიძე**

პოლკოვნიკი,

**მამუკა გოგოლაძე,**

რეზერვის ვიცე-პოლკოვნიკი,

ექსპერტი ფალერისტიკის და

უნიფორმოლოგიის საკითხებში,

რეცენზენტები

**რამაზ სურმანიძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,

**თენგიზ თავდგირიძე**

ქ.ბათუმის მერიის კულტურის ცენტრის

დირექტორის მოადგილე

ყველა უფლება დაცულია. წინამდებარე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იყოს გამოყენებული საავტორო უფლებების მქონე პირთა წერილობითი ნებართვის გარეშე

გამომცემლობა “სვეტი +”

ISBN 978-9941-0-7386-1

© მ.გოგიტიძე, გ.ბეჟიტაშვილი, 2015

ცნობილი ქართველი სამხედრო ისტორიკოსების, ისტორიის აკადემიური დოქტორის, პოლკოვნიკ მამუკა გოგიტიძის და ისტორიის აკადემიური დოქტორის, პროფესორ გიორგი ბეჟიტაშვილის წიგნში – “სამხედრო ფიცის ერთგულნი,, განხილულია 1918-1921 წლების ქართული არმიის გენერლების ბიოგრაფიები (25 პერსონალია), ამავე პერიოდში ქართულ ჯარში მომსახურე რუსეთის არმიის, დროებითი მთავრობის და კავკასიის ფრონტის ქართველი გენერლების ბიოგრაფიები ( 32 პერსონალია), ქართული ჯარის ყოფილი საბჭოთა არმიის ქართველი გენერლების (11 პერსონალია), 1992 წელს ქართული ჯარის პირველი ქართველი გენერლების ბიოგრაფიები (13 პერსონალია) და მსოფლიოს ქვეყნების არმიების ქართველი ეროვნების გენერლების ბიოგრაფიები (23 პერსონალია).

სულ – 104 პერსონალია.

გამოცემა განკუთვნილია დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემიის და გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა ლიცეუმის მსმენელებისათვის, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, მკითხველთა ფართო წრისათვის, ისტორიკოსებისათვის, რომლებიც ნახავენ მასში თავისთვის ბევრ საინტერესო ინფორმაციას. ცნობარი ილუსტრირებულია და ახლავს დანართები.

ავტორები გამოთქვამენ გულითად  
მადლიერებას ბიზნესმენ ბატონ  
რაფიკ აგაჯანიანის  
მიმართ, რომლის ფინანსური  
მხარდაჭერითაც გამოიცა წინამდებარე წიგნი

# ნაშრომი ეძღვნება საქართველოს შეიარაღებულ ძალებს

*ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული*

(წარწერა გიორგი სააკაძის ფარზე)

## ავტორებისაგან

რუსეთის სახელმწიფოს დაშლისა და მისი შემადგენლობიდან ამიერკავკასიის ფაქტობრივი გამოყოფის შემდეგ (1917 წლის ნოემბერი), მთელი აქტუალობით დაისვა ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნის საკითხი. ამიერკავკასია, როგორც რუსეთის შემადგენელი ნაწილი, პირველ მსოფლიო ომში ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ იბრძოდა, და გამოვიდა, რომ რევოლუციის შედეგად რუსეთის არმიის დაშლის გამო, საზავო ხელშეკრულების დადებამდე, ოსმალეთის ფრონტი ამიერკავკასიის ეროვნულ ნაწილებს უნდა გაემარებინათ.

აზერბაიჯანელმა მუსავატისტებმა უარი განაცხადეს ერთმორწმუნე და მონათესავე ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაზე და, ამიტომ ფრონტი ფაქტობრივად ეკავათ სასწრაფოდ ჩამოყალიბებულ ქართულ (12 000 კაცი) და სომხურ (17 000 კაცი) კორპუსებს. ეს მცირერიცხოვანი ძალები, ცხადია, ვერ შეძლებდნენ ოსმალეთის არმიის დიდი ხნით შეჩერებას. ოსმალები შეტევაზე გადმოვიდნენ და 1918 წლის თებერვალში, აიღეს ქ.ერზინჯანი, მარტში – ქ.ტრაპიზონი და ქ.არზრუმი, აპრილში – ქ.ბათუმი და ქ.ყარსი. ინტერვენტების შეჩერება ქართველებმა მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე მოახერხეს (1918 წლის აპრილში), ხოლო სომხებმა – ერევნის მისადგომებთან (1918 წლის მაისში).

1918 წ. 22 აპრილს ამიერკავკასიამ ოფიციალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა. შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაცია, რომელიც იმავე წლის 26-28 მაისს დაიშალა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სუვერენულ რესპუბლიკებად. ამ პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ მფარველობის თხოვნით მიმართა გერმანიას. ქვეყანაში გერმანული ჯარები შემოვიდნენ (20-25 ათასი კაცი), რომლებიც აქ პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებამდე იმყოფებოდნენ. გერმანელი სამხედრო სპეციალისტების დახმარებით დაიწყო რეგულარული ქართული ჯარის ჩამოყალიბება, რომლის ბირთვი ოსმალეთის ფრონტიდან დაბრუნებულმა ნაწილებმა შეადგინეს. რეგულარული ჯარის პარალელურად იქმნებოდა საქართველოში ყველაზე გავლენიანი – სოციალ-დემოკრატიული – პარტიის შეიარაღებული ფორმირების – სახალხო გვარდიის ჩამოყალიბება, რომელიც მალე აგრეთვე სახელმწიფო სამხედრო ორგანიზაციად გადაიქცა.

იგი შედგებოდა მუდმივი ქვედანაყოფებისა და სარეზერვო ბატალიონებისაგან, თავისი არტილერიით, ჯავშანმატარებლებით, საინჟინრო ნაწილებით და სხვ.

სახალხო გვარდია იყო ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლის მებრძოლებს, როგორც წესი, არ ევალეობდათ ყაზარმებში ცხოვრება. გვარდიელები უმეტეს დროს თავის სახლებში და სამოქალაქო სამსახურში ატარებდნენ, სამხედრო მწყობრში დგებოდნენ მხოლოდ წვრთნისა და ომის დროს. გვარდიაში სამსახური უსასყიდლო იყო, მაგრამ გვარდიელის მიერ სამსახურის შესრულების დროს, მის ოჯახს მთავრობისაგან გარკვეული დახმარება

ემლეოდა. ჯამაგირს იღებდნენ მხოლოდ გვარდიის ოფიცრები და ინსტრუქტორები, ვინაიდან, რიგითი გვარდიელებისაგან განსხვავებით, ეს მათი ძირითადი სამსახური იყო.

1918 წლის ზაფხულში საქართველოს პარლამენტმა მიიღო პირველი საკანონმდებლო აქტები, რომელსაც უნდა დაფუძნებოდა ქვეყანაში სამხედრო მშენებლობა. ეს იყო კანონი სახალხო გვარდიის რეორგანიზაციის თაობაზე, დებულებები საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობის და საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შესახებ, სპეციალური კანონი საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ. განისაზღვრა, რომ საქართველოს რესპუბლიკის რეგულარულ ჯარში შევიდოდა 2 ქვეითი დივიზია, 1 ცხენოსანი ბრიგადა, 1 საარმიო არტილერიის ბრიგადა, 1 მესანგრეთა ბატალიონი, 1 საავტომობილო ასეული, ჯავშანმატარებელთა ჯგუფი, 1 საავიაციო გუნდი და სანაპირო (სასაზღვრო) ჯარი.

პირველი რესპუბლიკის დროს ქართული ჯარის ჩამოყალიბების საქმეში მთავარი პრობლემა არასაკმარისი დაფინანსება იყო. ხელისუფლება, მართალია, ცდილობდა რაც შეიძლება მეტი თანხები გამოეყო შეიარაღებული ძალების საჭიროებისათვის, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონიკური დეფიციტურობის პირობებში ეს არ ხერხდებოდა. ამიტომ იყო, რომ სამხედრო მშენებლობის სრული პროგრამა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბოლომდე ვერ განხორციელდა. გარკვეული პრობლემები მოიტანა აგრეთვე არმიისაგან განცალკევებული სახალხო გვარდიის არსებობამ.

თავისთავად, ამ ტიპის ტერიტორიული სამხედრო ფორმირებები სავსებით გამართლებულია. ისინი შინაგანი ჯარის ფუნქციებს ასრულებენ და ამავე დროს წარმოადგენდნენ რეგულარული შეიარაღებული ძალების რეზერვს (მაგალითად, ნაციონალური გვარდია ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვ.).

მაგრამ საქართველოში სახალხო გვარდიის პარტიული ნიშნით შექმნა მიზანშეწონილი არ იყო, ვინაიდან ამან შეიარაღებულ ძალებში – არმიასა და გვარდიას შორის – გარკვეული დაძაბულობა გამოიწვია. ითვლებოდა, რომ მთავრობა გვარდიისადმი მეტ ზრუნვას იჩენდა. საერთოდ, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მმართველი პარტია – სოციალ-დემოკრატები, ექვის თვალთ უყურებდნენ ძველ ოფიცრებს, განსაკუთრებით თავდაზნაურობის წარმომადგენლებს, რომელთა დიდი ნაწილი არ იზიარებდა მარქსისტულ იდეოლოგიას. ამიტომ იყო, რომ ბევრი გამოცდილი სამხედრო სპეციალისტი არ იქნა გამოყენებული ქართული ჯარის მშენებლობის პროცესში. უეჭველია, რომ სამხედრო მშენებლობის საქმეში გარკვეული ხელის შემშლელი ფაქტორი იყო, აგრეთვე, ქართული სამხედრო ორგანიზაციის განვითარებაში 117-წლიანი პაუზის შედეგები, რამაც გაქრობის პირას მიიყვანა ეროვნული სამხედრო კულტურა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ჰყავდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი და კარგი ოფიცერთა კორპუსი, რომელსაც რუსეთის არმიაში და პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე ჰქონდა წრთობა მიღებული. ასეთი კადრების მომზადების შედეგი იყო ის, რომ საქართველოს რესპუბლიკაში შეიარაღებული ძალების ოფიცერთა ღირსეული ცვლა იზრდებოდა.

რუსეთის არმიის (შემდგომ კი დროებითი მთავრობის და კავკასიის ფრონტის) ქართველი ოფიცრები და გენერლები არ იყვნენ ერთიანი პოლიტიკური მრწამსისა და ორიენტაციისა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკური

გადატრიალებისთანავე დაბრუნდა სამშობლოში და აქტიურად ჩაერთო ეროვნული არმიის მშენებლობაში.

სამშობლოს მოწყვეტილი ოფიცრობა და გენერალიტეტი თითქოს გარუსებული ჩანდა, მაგრამ როგორც სამართლიანად შენიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველმა სამხედრო მინისტრმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ (1881-1937) – „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ თითქოს საბოლოოდ გადაგვარებულ და ქართული ენის უცოდინარ სარდლებსაც კი მშობლიური ენა გამოაბა და რუსული შინელის ქვეშ სააკაძეების გული აუძგერა... ეს იყო განძი ძველი კულტურული დიდებისა, ამ მემკვიდრეობითი ეროვნული პოტენციის გაშლა და აღმოფრქვევა„.

ეს კარგად გამოჩნდა 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომში, რომელშიც გმირული ბრძოლით სახელი მოიხვეჭეს ტფილისის სამხედრო სკოლის იუნკრებმა და ოფიცრებმა.

რას წარმოადგენდნენ საქართველოს შეიარაღებული ძალები 1921 წლისათვის?

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შეადგენდა: – რეგულარული არმია და სანაპირო ჯარი; – საზღვაო ფლოტი, სახალხო გვარდია.

არმია და ფლოტი სამხედრო სამინისტროს ემორჩილებოდა, სახალხო გვარდია – გვარდიის მთავარ შტაბს.

შეიარაღებული ძალების ამ ორი ჯგუფის ერთიანი სარდლობის ქვეშ გაერთიანება ხდებოდა მხოლოდ ომის დროს, როდესაც ინიშნებოდა მთავარსარდალი.

საბჭოთა რუსეთის სტრატეგიული დაზვერვის მონაცემებით, საქართველოს არმია მშვიდობიან დროს შედგებოდა 3 ქვეითი ბრიგადის (თითოში 4 ქვეითი ბატალიონი, 1 მსუბუქი არტილერიის დივიზიონისა და მეტყვიამფრქვევთა ბატალიონისგან); ერთი ცალკეული ცხენოსანი ბრიგადისგან (2 ცხენოსანი პოლკი და 1 მსუბუქი არტილერიის დივიზიონი) და ცალკეული ქართულ-მუსლიმანური დივიზიონისაგან. საარმიო არტილერია ითვლიდა 5 მსუბუქ და 1 მძიმე არტილერიის დივიზიონს. მათგან 4 მსუბუქი არტილერიის დივიზიონი, როგორც აღინიშნა, ცხენოსანი და ქვეითი ბრიგადების შემადგენლობაში იყო, ხოლო 1 მსუბუქი და მძიმე დივიზიონები კი უშუალოდ ემორჩილებოდნენ სამხედრო სამინისტროს.

რეგულარულ არმიას ჰყავდა აგრეთვე საინჟინრო-ტექნიკური ჯარები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდა: მესანგრეთა ბატალიონი; რადიოტელეგრაფის ასეული; ავტოჯავშნოსანი რაზმი; სატანკო დივიზიონი; საავტომობილო ასეული;

6 ჯავშანმატარებელი და საავიაციო გუნდი. გარდა ამისა, სამხედრო სამინისტროს ემორჩილებოდა აგრეთვე სანაპირო ჯარი, შემდგარი 7 პოლკისაგან (თითოში 354 ან 461 კაცი, მათგან 24 ოფიცერი) და 2 საყარაულო ბატალიონი.

ომის შემთხვევაში რეზერვისტების გაწვევით ხდებოდა ბრიგადების დივიზიებათ, ხოლო ბატალიონების პოლკებათ გაშლა. პოლკის საშტატო შემადგენლობა იყო 2.225 ჯარისკაცი და ოფიცერი.

საქართველოს საზღვაო ფლოტში შედიოდა კონტრნაღმოსანი „პატარა კახი“, 4 ხის კორპუსიანი გამანადგურებელი, 4 ნაღმოსანი კატარღა და 10 სხვადასხვა დანიშნულების ხომალდი. გარდა ამისა, სანაპირო ჯარს 22 ორთქლის კატარღა ჰყავდა.

სახალხო გვარდიის ნაწილები, როგორც ზემოთ ავლინებთ, შედგებოდა მუდმივი და სარეზერვო ქვედანაყოფებისაგან. კერძოდ, ქვეითი ჯარი შედგებოდა 1 სრული საშტატო შემადგენლობის ბატალიონისა და 23 კადრირებული ბატალიონისაგან, რომლებიც ომის დროს რეზერვისტებით ივსებოდნენ. კავალერია წარმოდგენილი იყო 1 ცხენოსანი პოლკით. გვარდიას გააჩნდა აგრეთვე საარტილერიო ბრიგადა და ტექნიკური ნაწილები.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ჰქონდათ რამოდენიმე სამხედრო-სასწავლო დაწესებულება:

1) ტფილისის სამხედრო სკოლა ქვეითი ჯარის, კავალერიის, არტილერიისა და საინჟინრო ჯარების ოფიცრების მოსამზადებლად; იქვე იყო უნტერ-ოფიცერთა (ანუ ნაცვალთა) სკოლა;

2) ავტოსკოლა; 3) მძღოლების სკოლა; 4) სახალხო გვარდიის სამხედრო სასწავლებელი. გარდა ამისა, ტფილისის პოლიტექნიკუმთან დაგეგმილი იყო 1921 წლიდან სამხედრო-საინჟინრო განყოფილების გახსნა საფორტიფიკაციო-სამშენებლო, საავიაციო და კავშირგაბმულობის განყოფილებებით.

საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ითვლებოდა, რომ ჯარის მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც ქვეყანას მობილიზაციის შედეგად შეეძლო დაეყენებინა თოვტქვეშ 1921 წლის დასაწყისისათვის უდრიდა 65-80 ათას კაცს.

რუსეთში ბოლშევიკებმა 1920 წლისათვის გაანადგურეს კონტრრევოლუციის მთავარი ძალები და იმპერიის ყოფილი სამფლობელოების ხელახლა შემოკრებას შეუდგნენ. მათ იმავე წელს ძალით გაასაბჭოვეს აზერბაიჯანი და სომხეთი.

ამრიგად, 1921 წლის დამდეგისათვის საქართველო, თავისი სახმელეთო საზღვრების პერიმეტრის 78 პროცენტით, უკვე საბჭოთა რესპუბლიკების რკალში იყო მოქცეული, მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთიდან ემეზობლებოდა ჩვენს ქვეყანას ქემალისტური თურქეთი. საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის დადებული იყო 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, რომლითაც რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა. სამაგიეროდ საქართველოს მთავრობამ ბოლშევიკებს ქვეყნის ტერიტორიაზე ლეგალური მუშაობის ნებართვა მისცა. მაგრამ მალე გაირკვა, რომ 7 მაისის ხელშეკრულება რუსეთს სჭირდებოდა ქართველთა სიფხიზლის მოსადუნებლად. მოსკოვი ემზადებოდა სამხედრო ინტერვენციისათვის ამიერკავკასიის უკანასკნელი რესპუბლიკის გასაბჭოების მიზნით.

1921 წლის 12 თებერვალს, ბოლშევიკებმა მოაწყვეს გლეხთა „აჯანყების“, იმიტაცია, 16 თებერვალს კი „აჯანყებულთა“ დახმარების საბაზით საქართველოში რუსეთის ჯარები შემოიჭრნენ.

მთავარ დარტყმას ტფილისის მიმართულებით ახორციელებდა მე-XI წითელი არმია (40,2 ათასი ხიშტი და ხმალი, 196 ქვემეხი, 1065 ტყვიამფრქვევი, 7 ჯავშანმატარებელი, 8 ტანკი და ჯავშნოსანი მანქანა, 50 თვითმფრინავი). დამხმარე დარტყმები განახორციელეს წითლების მე-IX არმიის 31-ე მსროლელმა დივიზიამ (სოხუმის მიმართულებით) და ჩრდილო კავკასიიდან თერგის ჯგუფის ჯარებმა (კობისა და ქუთაისის მიმართულებით).



საქართველოს შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა მოწინააღმდეგის დაზვერვის ცნობით 50 000 ჯარისკაცი და ოფიცერი იყო (აქედან 15 000 კაცი სახალხო გვარდიაში, რომელიც ბრძოლისუნარიანობით ჩამოუვარდებოდა რეგულარულ არმიას).

თებერვლის თოვლიან დღეებში ტფილისის სამხრეთ მისადგომებთან ცხარე ბრძოლები გაიმართა. წითლებმა შეტევა მიიტანეს ტაბახმელა-კოჯრის მონაკვეთზე, მაგრამ ქართული ნაწილების კონტრიერიშმა ისინი უკუაგდო (18-20 თებერვალი).

23 თებერვალს რუსებმა დამატებითი ძალებით განაახლეს შეტევა, მაგრამ ამჯერად უკვე შემოვლითი გზებით – დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან – დაემუქრენ საქართველოს დედაქალაქს. 24 თებერვლის საღამოს ტფილისი უკვე სამი მხრიდან იყო ალყაშემორტყმული და ჩანდა, რომ რკალი მალე მთლიანად შეიკრებოდა.

24 თებერვალს ღამით მთავრობამ და ჯარმა ქალაქი დატოვა, 25 თებერვალს დღისით კი ტფილისში წითელი არმია შემოვიდა.

ქართული ჯარები სხვა მიმართულებებზეც უკან იხევდნენ. ხელისუფლებამ ვერ მოახერხა საერთო-სახალხო წინააღმდეგობის ორგანიზება. მდგომარეობა გართულდა თურქეთის საზღვარზეც. 21 თებერვალს ქემალისტურმა მთავრობამ საქართველოს ულტიმატური ფორმით მოსთხოვა ქალაქების – ართვინისა და არდაჰანის (არტაანი) დაცლა. ეს მოთხოვნა შესრულებული იქნა, მაგრამ თურქები არ შეჩერებულან და მალე ბათუმსა და ახალციხეს მოადგნენ.

18 მარტს საქართველოს მთავრობა ბათუმიდან საზღვარგარეთ ემიგრაციაში წავიდა, ხოლო ქალაქში დარჩენილმა ქართულმა ნაწილებმა თურქებს ბრძოლა გაუმართეს და ქალაქი შეინარჩუნეს. ეს იყო პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უკანასკნელი წარმატება. თურქების უკანდახვევის შემდეგ ბათუმში წითლები შევიდნენ.

19 მარტისათვის საქართველოს ყველა ძირითად ქალაქში უკვე წითელი დროშა ფრიალებდა. მანამდე კი 16 მარტს მოსკოვში რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ქ.ქართვინი, არდაჰანი (არტაანი) და ზოგი სხვა ტერიტორია თურქეთს გადაეცა.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია 1918-1921 წლების ქართული არმიის გენერლების ( 25 პერსონალია) , იმავე პერიოდში ქართულ ჯარში მომსახურე რუსეთის არმიის, დროებითი მთავრობის და კავკასიის ფრონტის ქართველი გენერლების ( 32 პერსონალია), 1992 წელს ქართული ჯარში მოსამსახურე საბჭოთა არმიის ქართველი გენერლების (11 პერსონალია), 1992 წლის პირველი ქართველი გენერლების (13 პერსონალია) ბიოგრაფიები და მსოფლიოს ქვეყნების არმიებში მოსამსახურე ქართველი ეროვნების გენერლების ბიოგრაფიები (23 პერსონალია). სულ – 104 პერსონალია.

მამუკა გოგიტიძე  
ისტორიის აკადემიური დოქტორი,  
საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი

გიორგი ბეჟიტაშვილი  
ისტორიის აკადემიური დოქტორი,  
საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი

## მთავარი რედაქტორის სიტყვა

საქართველოს და ქართველ ხალხს მდიდარი ისტორიული წარსული აქვთ. დადასტურებულია და საყოველთაოდ აღიარებულია მისი ლეგენდარული საბრძოლო ტრადიციები.

მისი 3000-წლოვანი ისტორია აღსავსეა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ უმაგალითო მამაცობითა და გმირობით, მისი საამაყო და სათაყვანო შვილების გამჭრიახობამ, გონებამახვილობამ, დაუმორჩილებლობამ და გაუტეხელობამ სძლია აურაცხელი გადამთიელი მტრების შემოტევებს.

მხოლოდ ისინი, ვინც ძლიერნი იყვნენ ბრძოლაში, სულით გაუტეხელნი, გამრჯენი და ბეჯითნი, გადაურჩნენ დროის მსახვრალ ხელს, მოსპობას, განადგურებას და არსებობისათვის ბრძოლაში შეითვისეს საომარი, გონებრივი და ფიზიკური შრომის მიზანმიმართული წარმართვის მოწინავე ხელოვნება.

საქართველოს ისტორიის მანძილზე სამშობლოს დაცვა ყოველთვის უპირველესი საზრუნავი იყო, ამიტომაც ძველთაგანვე, როცა საშიშროება გაჩნდებოდა, საქართველოში ხან შეიარაღებული რაზმები იქმნებოდა, ხან ლაშქარი იკრიბებოდა.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია 1918-1921 წლების ქართული არმიის გენერლების ( **25** პერსონალია) , ამავე პერიოდში ქართულ ჯარში მომსახურე რუსეთის არმიის, დროებითი მთავრობის და კავკასიის ფრონტის ქართველი გენერლების ( **32** პერსონალია), ქართულ ჯარში მოსამსახურე ყოფილი საბჭოთა არმიის ქართველი გენერლების ( **11** პერსონალია), 1992 წელს ქართული ჯარის პირველი ქართველი გენერლების ( **13** პერსონალია), და მსოფლიოს ქვეყნების არმიებში მოსამსახურე ქართველი ეროვნების გენერლების ბიოგრაფიები ( **23** პერსონალია). სულ – **104** პერსონალია.

წიგნში არაა მთლიანად განხილული ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების არმიებში (ოსმალეთი, სპარსეთი და სხვ.) მომსახურე წარმოშობით ქართველ გენერალთა და ადმირალთა ბიოგრაფიები ( ამ მიმართულებით ავტორები განაგრძობენ კვლევა-ძიებას), რუსეთის მეფის არმიაში და თეთრ არმიებში მოსამსახურე ქართველი გენერლის ბიოგრაფიები. საქმე იმაშია, რომ ქ.სამარაში (რუსეთის ფედერაცია) რუსულ ენაზე გამოდის პოლკოვნიკ მამუკა გოგიტიძის და რუსეთში მცხოვრები თადარიგის მილიციის გენერალ-მაიორ თამაზ გაბრიჭიძის 2-ტომიანი კაპიტალური ნაშრომი. 1-ი ტომი შეიცავს 1698-1917 და 1918-1920 წ.წ., ( **400** პერსონალიას), მე-2 ტომი 1940-1992 წ.წ., ( **142**-პერსონალიას), ქართველი ეროვნების გენერლების და ადმირლების ბიოგრაფიებს.

წინამდებარე ნაშრომში არაა განხილული მე-II რესპუბლიკის გენერალიტეტი-1992 წლიდან დღემდე – ( **193** პერსონალია). ამ მიმართულებით ავტორები განაგრძობენ მუშაობას.

პატივცემულო მკითხველო!

პატივცემულო მკითხველო!

2015 წლის 20 დეკემბერს სრულდება საქართველოს ეროვნული გვარდიის დაარსების 25 წლისთავი. XX საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს ერთიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში ეროვნული გვარდია წარმოადგენდა ქართული შეიარაღებული ძალების ძირითად ბირთვს, საიდანაც შემდგომში ჩამოყალიბდნენ შეიარაღებული ძალები.

უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიის აკადემიური დოქტორების, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრების, მამუკა გოგიტიძის და გიორგი ბეჟიტაშვილის მეტად საჭირო შრომა ნამდვილად წარმოადგენს ქართული არმიის პირადი შემადგენლობისათვის ბრწყინვალე საჩუქარს ამ იუბილესადმი და განკუთვნილია პირველ რიგში დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემიის და გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა ლიცეუმის მსმენელებისათვის, მკითხველთა ფართო წრისათვის, პროფესიონალი ისტორიკოსებისათვის და იმ პირებისათვის, რომლებსაც აინტერესებს საქართველოს და ქართველი ერის სამხედრო ისტორია.

ქართველი ხალხის საბრძოლო დიდების ფურცლები უნდა გამოვამზეუროთ, რაც, უდაოა, თავის წილ წვლილს შეიტანს ჩვენი ქართული არმიის პირადი შემადგენლობის სწავლების და მათი ცოდნის უფრო მაღალ დონეზე დაყენების საქმეში, გარკვეულ სამსახურს გაუწევს ყველა დაინტერესებულ პირთ, მათ შორის სამხედრო ისტორიის მკვლევარებს, სახელმძღვანელო წინაპრების გმირული ბრძოლების გათვითცნობიერებაში და შესწავლაში.

მადლობა ღმერთს! საქართველოს და ქართველ ხალხს გმირები და მხედართმთავრები სხვაგან სამეზბნი არა აქვს.

მთავარია ჩვენ ვიყოთ მათი ღირსეული მემკვიდრეები და დამფასებლები!

მამუკა სამხარაძე  
პოლკოვნიკი,  
საქართველოს სამხედრო ატაშე  
თურქეთის რესპუბლიკაში

ნაწილი I  
«(1918-1921)  
პირველი რესპუბლიკის  
არმიის ქართველი გენერლები»



**ასლან იბრაჰიმის-ძე აბაშიძე (ასლან-ბეგი), თავადი  
(1877-1924)**

**გენერალ-მაიორი (19.06.1918)**

ბათუმის სადროშოს გამგებელ სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა შთამომავალი.  
სიჭაბუკიდანვე ჩაება ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში.  
მონაწილეობდა (1905-1907) წლების რევოლუციურ გამოსვლებში რუსეთის იმპერიის  
წინააღმდეგ.

1907-1917 რეაქციის წლებში იძულებული გახდა სტამბოლში წასულიყო, სადაც მიიღო  
სამხედრო განათლება უმაღლეს სამხედრო სკოლაში.

რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა.  
მხარს უჭერდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და პრო-ქართულ ორიენტაციას  
აჭარაში.

მონაწილეობდა ქართული ეროვნული არმიის ჩამოყალიბებაში.

1918 წელს ხელმძღვანელობდა მაჰმადიან ქართველთა რაზმებს. გამოავლინა  
მხედართუფროსის სტრატეგიული ნიჭი.

1919 წლის 17 სექტემბერს დაინიშნა სამხედრო სამინისტროს დავალებათა შტაბ-  
ოფიცრად და მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება, შემდეგ კი საქართველოს მთავრობის  
თავმჯდომარის წარდგინებით, გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.

იგი იყო საქართველოს ეროვნული არმიის ერთადერთი გენერალი აჭარიდან.

საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ (1921) თურქეთში გადასახლდა.

იყო სტამბოლის ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

1921 წლის ნოემბერ-დეკემბერში იმყოფებოდა აჭარაში. 1924 წელს აქტიურად  
მონაწილეობდა აგვისტოს აჯანყების ორგანიზაციაში.

დაიღუპა თურქეთში (სავარაუდოდ მოწამლეს «ყკ»-ს აგენტებმა). არის ავტორი  
მხედრული სიმღერისა „ასლანური“,

ბათუმში არის ასლან აბაშიძის სახელობის ქუჩა.

გიორგი სარდიონის-ძე ამირეჯიბი, თავადი  
(1880- 25.01.1919)  
გენერალ-მაიორი (27.07.1918)

დაიბადა გორის მაზრის, სოფელ სალოლაშენში.

იგი იმდროინდელი ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანების – მაკინე ყიფშიძის (1858-1929) და სარდიონ ამირეჯიბის (გარდ.1915 წ.) შვილი იყო.

სანქტ-პეტერბურგში მიიღო სამხედრო განათლება.

1917 წლამდე მსახურობდა მე-20 საარტილერიო ბრიგადაში.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1918-1919 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში.

ტუაფსეს ადებისათვის პოლკოვნიკ გიორგი ამირეჯიბს განსაკუთრებული დამსახურებისათვის, სამხედრო მინისტრის გრიგოლ გიორგაძის №3489 ბრძანებით მიენიჭა -«გენერალ-მაიორის» ხარისხი.

გარდაიცვალა ავადმყოფობის შემდეგ ქ.ქუთაისში.

დასაფლავებულია სოფელ სალოლაშენში, ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში.



გენერალ გ.ს.ამირეჯიბის საფლავის ქვა სოფელ სალოლაშენში, ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში (თანამედროვე ფოტო)



**კონსტანტინე (კოტე) ნიკოლოზის-ძე აფხაზი, თავადი  
(27.11.1867 -20.05.1923)  
გენერალ-მაიორი (1919)**

დაიბადა სამხედრო და საზოგადო მოღვაწის, თავად ნიკოლოზ აფხაზისა (1828-1907) და ნინო ჭავჭავაძის (1834-1883) ოჯახში. ეს საგვარეულო აფხაზეთის მთავრების, – შარვაშიძეთა კახეთში დამკვიდრებულ შტოს წარმოადგენდა. კოტე აფხაზი იყო ილია ჭავჭავაძის (1837-1907) დის შვილი.

პირველდაწყებითი განათლება მიიღო ოჯახში.

1886 წელს დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი, იმავე წელს შევიდა პავლოვსკის I-ლ სამხედრო სასწავლებელში სანკტ-პეტერბურგში, რომელიც დაამთავრა 1888 წელს. შემდგომში დაამთავრა ოფიცერთა საარტილერიო სკოლა (1890).

მსახურობდა 39-ე საარტილერიო ბრიგადაში, 1891 წლიდან მსახურობდა კავკასიის დიდ მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძის სახელის საარტილერიო ბრიგადაში.

1892-1913 წლებში არჩეულ იქნა ოფიცერთა ღირსების სასამართლოს წევრად.

1911 წელს იმყოფებოდა სპარსეთში, თავრიზის საბრძოლო რაზმის შემადგენლობაში.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1914-1915 წლებში მეთაურობდა კავკასიის საველე-საარტილერიო ბრიგადას დასავლეთის ფრონტზე.

1915 წლის 8 ნოემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1906-1913 წლებში იგი არჩეული იყო ტფილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკის სამეურვეო კომიტეტის წევრად, იმავე ხანებში მისი უშუალო ხელმძღვანელობით კახეთში გაყვანილ იქნა რკინიგზა.

1913-1914 და 1916-1917 წლებში აფხაზი ასრულებდა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოვალეობას.

1917 წლის ივნისში კონსტანტინე აფხაზი იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ფუძემდებელი (1921-1923 წლებში იგი ასრულებდა ამ პარტიის თავმჯდომარის მოვალეობას). იმავე წლის თებერვალ-სექტემბერში აქტიური მონაწილე იყო ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა, რაც წარმატებით დაგვირგვინდა 1917 წლის სექტემბერში.

იმავე 1917 წლის 22 ნოემბერს საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ (რომელიც განიხილავდა საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხს) იგი აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად.

1918 წლის 21 თებერვალს გადადგა რუსეთის არმიის სამხედრო სამსახურიდან პოლკოვნიკად.

რუსეთის არმიის სამსახურში დაჯილდოებული იყო

«წმ.ვლადიმერის»-ორდენის მე-IV ( *მახვილებით და ბაფთით-1913*) და მე-III ხარისხით (*მახვილებით-1916*) ხარ.,

«წმ.ანას» ორდენის მე-III (1906) ხარ.,

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-II (1910) ხარ.

1918 წლის 26 მაისამდე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის ფუნქციებს ასრულებდა საქართველოს ეროვნული საბჭო, რომლის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოღვაწე იყო კოტე აფხაზი.

სწორედ ეროვნულმა საბჭომ, 1918 წლის 26 მაისს თავის ისტორიულ სხდომაზე მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, სამართლებრივი ხასიათის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი.

სხვა ცნობილ მოღვაწეთა ხელმოწერებთან ერთად ამ აქტს ამშვენებს კოტე აფხაზის ხელმოწერაც.

1919 წელს იყო არჩეული ეროვნული პარლამენტის – საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრად.

1919-1920 წლებში მუშაობდა ერთ-ერთი კომერციული ბანკის დირექტორად და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში.

1919 წელს კოტე აფხაზმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს შეიარაღებული ძალების შესახებ კანონის შემუშავებაში, რომელიც დამტკიცებულ იქნა დამფუძნებელი კრების მიერ აღნიშნული წლის ივლისში. აღსანიშნავია, რომ გამოჩენილ სამხედრო მოღვაწეებთან გიორგი კვინიტაძესთან, გიორგი მაზნიაშვილთან და სხვებთან ერთად მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული ეროვნული არმიის შექმნაში. ზემოხსენებული კანონის მიღების დროს საქართველოს რეგულარულ არმიაში უკვე ირიცხებოდა 50 ათასამდე მებრძოლი.

დღიდან ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია-ანექსიისა კოტე აფხაზი იყო ერთ-ერთი ლიდერი ქართველი ერის განმათავისუფლებელი მოძრაობისა.

1921 წლის დამდეგსვე იგი არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარედ.



საქართველოსთვის ავბედითი გამოდგა 1921 წლის თებერვალი, როდესაც ბოლშევიკური რუსეთის მე-XI წითელმა არმიამ აიღო ტფილისი, რასაც მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გაუქმება.

კოტე აფხაზმა კატეგორიული უარი განაცხადა ტფილისის დატოვებაზე.

**«ტფილისი -საქართველოა, და ვინც ტფილისს სტოვებს, ის სტოვებს საქართველოს»-** იყო მისი პასუხი.

1922 წელს მისი და პოლკოვნიკ ქაქუცა ჩოლოყაშვილის თაოსნობით მოხდა აჯანყება ხევსურეთში, რომელმაც, მიუხედავად დამარცხებისა, საგრძნობი ზიანი მიაყენა რუსულ საოკუპაციო ჯარს. იმავე წელს კოტე აფხაზი იყო საქართველოს ინტერპარტიული პარიტეტული კომიტეტის (იგივე საქართველოს «დამოუკიდებლობის კომიტეტი») შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. მისივე თაოსნობით შეიქმნა ამ კომიტეტის «სამხედრო ცენტრი». ცენტრი საერთო სამხედრო კოორდინაციას უწევდა მზადებას საყოველთაო-სახალხო ეროვნული ამბოხებისათვის. სამწუხაროდ, გამცემლობის შედეგად, საგანგებო კომისიამ (ე.წ. «ЧК»-ამ) შეძლო სამხედრო ცენტრის მიგნება.

1923 წლის თებერვალში ჩეკისტებმა დააპატიმრეს გენერალი კოტე აფხაზი და «სამხედრო ცენტრის» სხვა 14 წევრი. იმავე წლის 20 მაისს ისინი დახვრიტეს ტფილისში, დღევანდელი «ვაკის პარკი»-ს ტერიტორიაზე.

მისი ბოლო სიტყვები იყო-

**«მე კვდები სიხარულით, რადგან ღირსი გავხდი სამშობლოს სამსხვერპლოზე ზვარაკად მიტანისა, ჩვენი სიკვდილი გამარჯვებას მოუტანს საქართველოს!»**

თბილისში არის გენერალ კოტე აფხაზის სახელობის ქუჩა (ყოფ.გენერალ-პოლკოვნიკ კ.ლესელიძის ქუჩა).



**სტეფანე გიორგის-ძე ახმეტელი**  
**(1877 – 02.05.1922)**  
**გენერალ-მაიორი (1918)**

დაიბადა ტფილისის გუბერნიის, სიღნაღის მაზრის სოფელ ანაგაში, აზნაურის ოჯახში. დაამთავრა სუმის კადეტთა კორპუსი და სამხედრო სასწავლებელი. იყო რუსეთ-იაპონიის (1904-1905) და (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომებში. ტყვეებისადმი ჰუმანური დამოკიდებულებისათვის იაპონიის ფლოტის ადმირალმა და მარსალმა ჰეიჰატრო ტოგომ (1848-1934), უბოძა მას ჯილდოდ იაპონური ხმალი.

1916 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. მსახურობდა მე-6 საზღვაო პოლკში და თურქესტანის მე-9 მსროლელ პოლკში. საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოვდა «წმ.გიორგის» ორდენის მე-IV ხარისხით (1917 წლის 5 მაისი)- «წარჩინებისათვის თურქესტანის მე-9 მსროლელ პოლკში»

«წმ.ვლადიმერის»-ორდენის მე-IV ხარ., (მახვილებით და ბაფთით),  
«თამარ მეფის» ნიშნით (1918).

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. სარდლობდა კორპუსს, ტფილისის გარნიზონის სახალხო გვარდიის ნაწილებს, 1921 წ. საბჭოთა რუსეთის თავდასხმის დროს – სარდლობდა სასაზღვრო ჯარებს.

1921 წელს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დააპატიმრეს და მოათავსეს რიაზანის ციხეში, სადაც გარდაიცვალა ტიფით.





**ლავრენტი იოსების-ძე ბალუაშვილი**  
**( 06.02.1868 – 1919 წ.შემდ.)**  
**გენერალ-მაიორი(1919)**

განათლება მიიღო ტფილისის სასულიერო სემინარიაში და ტფილისის ქვეითთა იუნკერთა სასწავლებელში.

სამხედრო სამსახურში შევიდა 1890 წელს. მსახურობდა ერევნის მე-13 ლაიბ-გრენადერთა პოლკში.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1915 წლის 3 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1917 წლის 16 აპრილს დაინიშნა სუვოროვის სახელის გრენადერთა 22-ე პოლკის მეთაურად.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოვდა

**გიორგის ოქროს იარაღით (1915 წლის 18 სექტემბერი) და**

**«წმ.ანას» ორდენის მე-III (1908) ხარ.,**

**«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (1900) ხარ.**

1918-1919 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში, იყო მე-5 ქვეითი პოლკის მეთაური.

1919 წლის 17 ოქტომბერს დათხოვნილ იქნა თადარიგში.





**ზაქარია დიმიტრის-ძე ბაქრაძე**  
**(22.10.1868-03.12.1938)**  
**გენერალ-მაიორი (20.12.1918)**  
**ბრიგადის გენერალი (1923)**  
**დივიზიის გენერალი (1926)**

დაიბადა ტფილისის გუბერნიის სოფელ ხაშმში, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის და საზოგადო მოღვაწის – აზნაურ დიმიტრი ბაქრაძის (1826-1890) ოჯახში.

დაამთავრა ტფილისის რეალური სასწავლებელი, ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელი მოსკოვში და გენერალური შტაბის აკადემია.

თავისი სამხედრო კარიერა ზაქარიამ 1890 წლის 7 ივლისს ტფილისის კადეტთა კორპუსში სწავლით დაიწყო.

მისი დასრულების შემდეგ 1894 წლის 8 აგვისტოს, სამხედრო სამსახური პოდპორუჩიკის წოდებით აღმოსავლეთ ციმბირის ქვეითთა პოლკში დაიწყო.

1898 წლის 6 ივნისს გადაიყვანეს აღმოსავლეთ-ციმბირის მე-12 ქვეით პოლკში, რომელიც დისლოცირებული იყო ლიუიშუნში, სადაც პირველ ასეულს მეთაურობდა.

1900 წლის 29 მაისიდან, 12 ნოემბრამდე მონაწილეობდა იაპონურ ძალებთან ბრძოლაში და ლიაოიანთან ფეხში დაიჭრა.

მონაწილეობდა რუსეთის არმიის ლაშქრობაში ჩინეთში (1900-1901).

1901 წლის 1 მაისიდან მსახურობდა აღმოსავლეთ-ციმბირის მე-9 ქვეით პოლკში, რომელიც ასევე ლიუიშუნში იყო დისლოცირებული. იქ, ის მეთაურობდა ცხენოსნების რაზმს, ხოლო 1904 წლის 28 იანვრიდან – უკვე ვლადივოსტოკის მე-3 ქვეითთა პოლკს.

რუსეთ-იაპონიის (1904-1905) ომის დროს იყო უშუალო მონაწილე პორტ-არტურის სიმაგრის დაცვისა, აგრეთვე მონაწილეობდა ტიურეჩენის, თხაოიანის, ლიანდიანსანის,

ლაოიანის და მუკდენის ბრძოლებში და იანზელინის უღელტეხილთან წარმოებულ ბრძოლაში. მეთაურობდა სამხედრო «მონადირეთა» რაზმს.

1905 წლის დეკემბრიდან, მეთაურობდა აღმოსავლეთ-ციმბირის მე-3 ქვეით დივიზიის, პირველ მეტყვიამფრქვევთა ასეულს. ამ კუთხით, ბაქრაძემ ორენბურგის ფეხოსანთა საკაპიტნო სკოლაში გაიარა კურსები და 1907 წლის 6 თებერვალს აღმოსავლეთ-ციმბირის მე-9 ქვეით პოლკში დაბრუნდა, მეტყვიამფრქვევთა ქვედანაყოფის მეთაურად.

1908 წლის 13 ივლისიდან მეთაურობდა ბატალიონს.

1912 წლის 21 მაისიდან – 1913 წლის 4 იანვრამდე იყო საპოლკო სასამართლოს მეთაური.

1914 წელს გადაიყვანეს 54-ე მინსკის ქვეით პოლკში.

აქტიურად მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

ვაჟაკური ქცევის გამო, ქ.ლვოვის ალების დროს, მთავარსარდლის მიერ 1914 წლის 31 დეკემბერს დაჯილდოვდა პოლკოვნიკის სამხედრო წოდებით და **ოქროს იარაღით**.

1915 წლიდან მეთაურობდა მინსკის ბულგარეთის მეფის სახელის 54-ე ქვეით პოლკს.

დაწინაურდა ბრუსილოვის გარღვევის დროს, ბრძოლაში ზაკლიჩინთან დუნაიცეზე 1915 წლის 3 ნოემბერს, სადაც-

*«მან ელვისებური შეტევით სძლია მასზე უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს და აიძულა იგი გაქცეულიყო ბრძოლის ველიდან. ტყვეთ აიყვანა ავსტრიელი ბრიგადის მეთაური, 10 ოფიცერი, 600 ჯარისკაცი და ხელთ იგდო 4 ტყვიამფრქვევი»*- რისთვისაც დაჯილდოვდა

**«წმ.გიორგის» ორდენის მე-IV (1915 წლის 24 აპრილი) ხარისხით**. იმავე წელს მან დაიმსახურა ამავე ორდენის **მე-III (1915 წლის 3 ნოემბერი) ხარისხიც**.

მიღებული ჰქონდა რუსეთის იმპერიის ორდენები-

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (*მახვილებით და ბაფთით-1900*) და მე-II (*მახვილებით*) ხარ.,

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV (*მახვილებით და ბაფთით-1900*) ხარ.,

«წმ.ანას» ორდენის მე-III (*მახვილებითა და ბაფთით-1901*) და მე-II (*მახვილებით-1905*) ხარ.

1918 წლის 12 აპრილს დაბრუნდა საქართველოში. 1918 წლის მაისში გავიდა პენსიაში.

მას შემდეგ, რაც 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ჩამოყალიბდა, შეუერთდა ეროვნულ არმიას და გახდა მაღალი რანგის თანამდებობის პირი საქართველოს სამხედრო სამინისტროში.

1918 წლის 20 დეკემბერს სამხედრო მინისტრის №235 ბრძანებით დაინიშნა ოფიცერთა ცალკეულ მოხალისეთა პოლკის მეთაურად.

მონაწილეობდა 1921 წლის თებერვალსა და მარტში ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, იგი ემიგრაციაში წავიდა.

ბაქრაძე პოლონეთში 1922 წლის ნოემბერში გადავიდა და 1923 წლის 13 თებერვლამდე, ქ.რემბერტოვოს ექსპერიმენტულ სასწავლო ცენტრში პოლკის სამეთაურო კურსები გაიარა.

15 თებერვლიდან 1 აგვისტომდე ქ.ტორუნის იარაღის ცენტრალურ სკოლაში ქვეითთა და არტილერიის სამეთაურო კურსებს გადიოდა. აუცილებელი პრაქტიკის დასრულების შემდეგ, სავარაუდოდ 1926 წლის სექტემბერიდან 1931 წლის 30 ივნისამდე, მსახურობდა მე-

15 ქვეით დივიზიაში, სადაც იყო ქვეითთა მეთაური. პენსიაზე გასვლის შემდეგ, ცხოვრება გააგრძელა ქ. ბიდგომში.

ტრაგიკულად დაიღუპა ავტოავარიაში – ქ.ბიდგომის თეატრის მოედანზე, მას საფოსტო ფურგონი დაეჯახა. ქართველი გენერალი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც 1938 წლის 3 დეკემბერს გარდაიცვალა.

6 დეკემბერს ზაქარია ბაქრაძე, ქ.ბიდგომში, 3 მაისის ქუჩაზე მართმადიდებლურ სამხედრო სასაფლაოზე დაკრძალეს. ომის შემდეგ ეს სასაფლაო განადგურდა, ცხედრები კცინსკის ქუჩაზე და სხვა სასაფლაოზე გადაასვენეს.





იოსებ (სოსო) კონსტანტინეს-ძე გედევანიშვილი, თავადი  
(02.01.1872-21.12.1939)  
გენერალ-მაიორი (21.08.1918)

დაიბადა ტფილისის გუბერნიის, გორის მაზრის სოფელ ახაშენში.

დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი და პავლოვსკის 1-ი სამხედრო სასწავლებელი.

1892-1906 წლებში მსახურობდა რუსეთის ჯარში.

1906 წლამდე კაპიტანი იოსებ გედევანიშვილი მსახურობდა დუშეთში, ნოვობაიაზეთის ქვეითი პოლკის ასეულის მეთაურად.

1906 წლის 12 აპრილს მიიღო მონაწილეობა დუშეთის ხაზინის ეკსპროპრიაციაში, ხაზინიდან გატაცებული იქნა 315 000 მანეთი, რისთვისაც მას ჩამოართვეს სამხედრო წოდება და მიუსაჯეს პატიმრობის 2 წელი. ციხეში სასჯელს იხდიდა 1906-1908 წლებში.

რუსეთში მომხდარი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, შევიდა საქართველოს ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში, არჩეულ იქნა ამავე საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრად.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსი, მე-4 ქართული კორპუსის შტაბის უფროსი, ბათუმის პარტიზანული რაზმის მეთაური, სამხედრო მინისტრის თანაშემწე სამეურნეო მუშაობის დარგში და, სამხედრო სამინისტროს საერთო განყოფილების უფროსი.

სამხედრო მინისტრის №34 ბრძანებით საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო «წმ. გიორგის «ორდენის მე-II ხარისხით (დაფნის მტევნით-1918 წლის 21 აგვისტო).

1921 წლის თებერვალში- რუსეთთან ომის დროს სარდლობდა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტს. მისდამი დაქვემდებარებულმა ჯარებმა ვერ შეძლეს წითელი არმიის შეტევის შეჩერება, რამაც არსებითად განაპირობა ქართული ჯარების უკან დახევა და დამოუკიდებლობის დაკარგვა.

1922-1926 წლებში მსახურობდა ქართულ წითელ არმიაში.

1923 წელს დააპატიმრეს ანტისაბჭოთა გამოსვლებისათვის. შედიოდა «გაერთიანებულ სამხედრო ცენტრში».

1923-1926 წლებში იყო სამხედრო-საგამომცემლო კოლეგიის თავმჯდომარე.

1926 წლიდან თადარიგში იყო.

1926-1928 წლებში-მუშაობდა ტფილისის ოპერის სახელმწიფო თეატრის დირექტორად.

1928-1929 წლებში- იყო ამიერკავკასიის რადიოგადაცემათა რწმუნებული.

1929-1939 წლებში- მუშაობდა საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორის მოადგილედ.

1905-1923 წლებში იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი, ხოლო 1924 წლიდან კომუნისტური პარტიის წევრი.

სახელი გაითქვა როგორც დრამატურგმა და პუბლიცისტმა.

ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1908 წელს, ციხეში ყოფნის დროს. ავტორია რიგი პიესებისა, რომლებიც შევიდა მე-XX საუკუნის დასაწყისის ქართული თეატრების რეპერტუარში. ცნობილი გახდა როგორც მე-XX საუკუნის ქართული სოციალური დრამატურგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

ციხეში მან დაწერა პიესა «მსხვერპლი» (რომელიც აკრძალული იყო მეფის მთავრობის მიერ), და არ ჩამოდიოდა სცენიდან პირველი დადგმიდან 1911 წელს ვიდრე 1931 წლამდე. ავტორია პოპულარული დრამების «მოღალატე» (1912) , «სინათლე» (1914), «ოჯახი» და რიგი მოთხრობებისა.

ავტორია შრომებისა «სამხედრო ხელოვნება საქართველოში» (1915), «მოთხრობათა კრებული» (1927) და «სამხედრო ხელოვნება «ვეფხისტყაოსანში» ნაწ. 1, (1939).

დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძრის ტერიტორიაზე.







**კონსტანტინე ლევანის-ძე გელოვანი, თავადი**  
**(08.12.1873 -1932)**  
**გენერალ-მაიორი (16.02.1919)**

დაიბადა ქუთაისის გუბერნიის სოფელ სპათაგორში.

ჯარში მსახურობდა 1892 წლიდან.

1897 წელს დაამთავრა ტფილისის იუნკერთა სამხედრო სასწავლებელი.

1897-1904 წლებში მსახურობდა ერევნის მე-13 ლაიბ-გრენადერთა პოლკში.

მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) წლების ომში.

1904-1907 წლებში მსახურობდა ყუბანის მე-7 პლასტუნთა ბატალიონში.

პირველი მსოფლიო ომის დროს (1914-1918) სოფელ ჩერვონოვოსთან ბრძოლაში მიიღო კონტუზია ბრიზანტული ჭურვით, მაგრამ დარჩა მეყოფრში.

1913 წლიდან შედიოდა იმპერატორ ნიკოლოზ II-ის უახლოეს გარემოცვაში.

I-ი მსოფლიო ომის დროს იბრძოდა ჩრდილოეთ-დასავლეთის ფრონტზე.

1916 წლის 1 იანვარს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1916-1918 წლებში იყო მანგლისის 23-ე გრენადერთა პოლკის მეთაური.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. დიდი წვლილი შეიტანა ქართული რეგულარული არმიის შექმნის საქმეში, იყო სამხედრო საბჭოს წევრი. მეთაურობდა 1-ი ქართული დივიზიის მე-4 პოლკს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან.

დაკრძალვის ადგილი უცნობია (ავტორთა შენიშვნა).

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო

**«წმ.გიორგის» ორდენის მე-IV ხარისხით (1915 წლის 6 ივლისი) და მე-III ხარისხით (დაფნის მტევნით-1918).**

მიღებული ჰქონდა რუსეთის იმპერიის ჯილდოები

«წმ.ანას» ორდენის მე-IV («მამაცობისათვის»-1905), მე-III (მახვილებით და ბაფთით-1915) და მე-II (მახვილებით) ხარ.,

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (მახვილებით და ბაფთით-1905)ხარ.,

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV (მახვილებით და ბათით)ხარ.,

ინგლისის ორდენით « განსაკუთრებული დამსახურებისათვის» ( The Distinguished Service Order (D.C.O-1915).





**სიმონ სპირიდონის-ძე ესაძე**  
**(04.04.1868-15.11.1927)**  
**გენერალ-მაიორი (05.09.1918)**

დაიბადა ოფიცრის ოჯახში.

დაამთავრა სიმბირსკის კადეტთა კორპუსი 1886 წელს და კონსტანტინეს მე-2 სამხედრო სასწავლებელი 1888 წელს (1-ი თანრიგით).

სამხედრო სამსახური დაიწყო 37-ე ეკატერინბურგის ქვეით პოლკში.

1894-1901 წლებში მსახურობდა 264-ე ლორეს ქვეით პოლკში.

1901-1909 წლებში მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო-ისტორიული განყოფილების რედაქტორის მოვალეობის შემსრულებლად.

1909-1911 წლებში იყო ამავე განყოფილების რედაქტორი.

1909 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1911 წელს იყო მივლინებული ე.კ.სტავროპოლსა და თემირ-ხან-შურაში საგუბერნიო საარქივო მასალების დასალაგებლად და მოსაწესრიგებლად.

1911-1918 წლებში მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო-ისტორიული განყოფილების უფროსად, ამავდროულად მუშაობდა რუსეთ-ოსმალეთის (1877-1878) წლების ომის აღწერის კომისიის თავმჯდომარედ.

1913 წელს რუსეთში რომანოვების დინასტიის მეფობის 300- წლისთავის აღსანიშნავად დაიგეგმა სხვადასხვა სახის სადღესასწაულო ღონისძიება, ასევე გადაწყვიტეს გადაეღოთ სრულმეტრაჟიანი ფილმი "კავკასიის დაპყრობა", რომლის სცენარის დაწერა და კონსულტანტობა შეუკვეთეს კავკასიის სამხედრო-ისტორიული მუზეუმის თანამშრომელ სიმონ ესაძეს. ფილმის გადასაღებად ჯგუფი რუსეთიდან ჩამოვიდა, სიმონ ესაძე დაინიშნა ამ ჯგუფის ხელმძღვანელად და ამასთანავე მან მიიღო ნებართვა, რომ პროექტისათვის გამოეყენებინა სამხედრო-ისტორიული მუზეუმის საექსპონატო მასალები. ასევე მან მიიღო მსხვილი დახმარება მოსამზადებელი პერიოდისათვის, რომ შემოეარა ყველა ის ადგილი, სადაც შემდგომ გადაიღებდა ფილმს.

«კავკასიის დაპყრობა» იყო მხატვრულ -დოკუმენტური ფილმი, რომელშიც ასახული იყო ერეკლე II-ს მეფობის პერიოდი მე-XIX საუკუნის 60-იან წლებამდე.

ის ფილმში აღწერდა რუსეთის არმიის ძლევამოსილ ომებს ოსმალების, სპარსელების და, ასევე შამილის მიერ აჯანყებული მთიელი კავკასიელების წინააღმდეგ. ფილმმა როგორც სამეფო ოჯახის სიმპათია, ასევე საერთო დიდი წარმატება მოიპოვა და მას წლების მანძილზე აჩვენებდნენ საზღვარგარეთ, მაგრამ სამწუხაროდ როგორც იმ დროს გადაღებულმა ბევრმა ფილმმა, ასევე ამ ფილმმაც ვერ მოაღწია დღევანდელ ეპოქამდე.

ფილმის ასეთი წარმატების გამო 1914 წელს, როდესაც პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, სიმონ ესაძემ კინემატოგრაფიული საზოგადოება „მინერვადან,, მიიღო შემოთავაზება, რომ გადაეღო ომის ამსახველი ქრონიკალური ეპიზოდები ავსტრიისა და გერმანიის ტერიტორიებზე.

1916 წელს სიმონ ესაძის ჯგუფმა გადაიღო დოკუმენტური ფილმები, – „არზერუმის დაცემა» და «ტრაპიზუნდის აღება». მას ასევე დიდი სურვილი ჰქონდა გადაეღო ფილმი შამილის თანამებრძოლ ჰაჯი მურატზე. ბევრი იმუშავა, მოაგროვა უამრავი მასალა, წერდა სცენარს, მაგრამ კინემატოგრაფიული ხორცშესხმა ამ ფილმისა ვერ მოხდა.

სიმონ ესაძე თავადაც მონაწილეობდა ერთ ფილმში, რომელიც ვასილ ამაშუკელს ეკუთვნოდა. ფილმს ერქვა *«ღუბინის პოლკის აღლოში კაპიტან სიმონ ესაძის მეთაურობით».*

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში, გენერალური შტაბის სამხედრო-ისტორიული არქივის უფროსად.

1921-1923 წლებში მუშაობდა საქართველოს მთავარი საარქივო სამმართველოს სამხედრო სექციის უფროსად.

1923-1927 წლებში მუშაობდა სამხედრო-ისტორიული არქივის უფროსად. დაკრძალულია ტფილისში, დიდუბის ეკლესიის ტერიტორიაზე.



სიმონ ესაძე (ზის ხმლით ხელში) კოლეგებთან ერთად.



**ერისთავი გიორგი (გიგუშა) ნიკოლოზის-ძე, თავადი  
(03.10.1875 -10.05.1947)  
გენერალ-მაიორი (1918)**

გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ ერისთავის შვილი და გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე ერისთავის ძმა.

დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი და პაჟთა კორპუსი. 1895 წლიდან მსახურობდა ლაიბ-გვარდიის ულანთა მისი უდიდებულესობის სახელის პოლკში (ვარშავის სამხედრო ოლქში).

1903 წელს დაინიშნა ფლიგელ-ადიუტანტად, შემდეგ ლაიბ-გვარდიის ულანთა მისი უდიდებულესობის სახელის პოლკის ადიუტანტად.

იყო რუსეთ-იაპონიის (1904-1905) ომის მონაწილე. ერთ-ერთი ბრძოლის დროს დაიჭრა.

1914 წლის 6 აპრილს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1916-1917 წლებში მეთაურობდა ლაიბ-გვარდიის ულანთა მისი უდიდებულესობის სახელის პოლკს. შედიოდა იმპერატორ ნიკოლოზ II-ის უახლოეს გარემოცვაში.

1917 წლის ოქტომბერში მეთაურობდა გვარდიულ ცალკეულ კავალერიის ბრიგადას, რომელიც გადმოსროლილ იქნა ჩრდილო-დასავლეთის ფრონტიდან მოსკოვში.

მოსკოვის ბრძოლების შემდეგ, რომელსაც თან სდევდა ხელისუფლების გადასვლა ბოლშევიკების ხელში, განკარგულება მისი ბრიგადის გადასროლაზე იქნა გაუქმებული და ბრიგადა განლაგდა გჟატსკის მიდამოებში (პეტროგრადთან). პირველივე შესაძლებლობისთანავე პოლკოვნიკი ერისთავი გაემგზავრა საქართველოში.

1917 წლის ბოლოს გადადგა სამხედრო სამსახურიდან და ცხოვრობდა ტფილისში.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. მეთაურობდა ცხენოსან კორპუსს.

1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთთან ომის დროს ქართულ ნაწილებთან ერთად იხევდა ბათუმისაკენ, საიდანაც გემით წავიდა ემიგრაციაში, საფრანგეთში.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (1906), მე-II (1913) და მე-II (*მახვილებით*-1915)ხარ.,

«წმ.ანას» ორდენის მე-III (1910), მე-II (*მახვილებით*-1914) და მე-III (1916)ხარ.,

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV (*მახვილებით და ბაფთით*-1914) და მე-III (*მახვილებით*-1916) ხარ.

მიღებული ჰქონდა საფრანგეთის «საპატიო ლეგიონის» ორდენის კომანდორის ჯვარი და იტალიის «წმ.მავრიკის და წმ.ლაზარეს» ორდენის კომანდორის ჯვარი,

სპარსეთის «ლომისა და მზის» ორდენის მე-III (1901) ხარ.

ჩერნოგორიის «თავად დანიელის» ორდენის მე-III (1903) ხარ.

დაკრძალულია პარიზთან, სენტ-ჟენევიევ-დე-ბუას სასაფლაოზე, ძმასთან ერთად.



პოლკოვნიკი გ.ერისთავი და რუსეთის ტახტის მემკვიდრე უფლისწული ალექსი რომანოვი (1904-1918) (1916 წ.ფოტო)



გენერალ გ.ნ. ერისთავის საფლავი სენტ-ჟენევიევ-დე-ბუას სასაფლაოზე.

ირაკლი იოსების-ძე ვეზირიშვილი, თავადი  
(01.08.1866-1921 შემდ.)  
გენერალ-მაიორი (1919)

დაიბადა ტფილისის გუბერნიის სოფელ ოსიაურში, ოფიცრის ოჯახში.

საერთო განათლება მიიღო ტფილისის კადეტთა კორპუსში.

სამხედრო სამსახურში შევიდა 1885 წელს. დაამთავრა კონსტანტინეს მე-2 სამხედრო სასწავლებელი და ალექსანდრეს სამხედრო-იურიდიული აკადემია (1-ი თანრიგით).

მსახურობდა 156-ე ელისავეტპოლის ქვეით პოლკში.

1905-1907 წლებში იყო სამხედრო-სასამართლო თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი.

1907 წელს დაინიშნა სამხედრო პროკურორის თანაშემწედ.

1907-1911 წლებში მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო გამომძიებლად.

1911 წლის 10 აპრილს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1911 წელს დაინიშნა კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს სამხედრო პროკურორის თანაშემწედ.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში, იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სამხედრო პროკურორი.

დაჯილდოებული იყო

«წმ.ანას» ორდენის მე-III (1906) და მე-II (1915) ხარ.,

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-II (1909) ხარ.,

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV (1915) ხარ.



**ალექსანდრე ყარამანის-ძე ზაქარიაძე**

**(04.02.1884 – 12.05.1957)**

**გენერალ-მაიორი (26.07.1919)**

**ბრიგადის გენერალი (1923)**

**დივიზიის გენერალი (01.05.1927)**

დაიბადა ქუთაისის გუბერნიის სოფელ ქვედა სიმონეთში, აზნაურის ოჯახში.

განათლება მიიღო ქუთაისის საქალაქო 6-კლასიან სასწავლებელში და ტფილისის იუნკერთა ქვეით სასწავლებელში (1904).

ჯარში მსახურობდა 1901 წლიდან 79-ე ყურინის ქვეით პოლკში, 147-ე სამარის ქვეით პოლკში და მე-15 ტფილისის გრენადერთა პოლკში.

იყო (1904-1905) რუსეთ-იაპონიის ომის მონაწილე.

1912 წელს დაამთავრა ნიკოლოზის სამხედრო აკადემია (I-ი თანრიგით).

მონაწილეობდა (1914-1918) პირველ მსოფლიო ომში, მეთაურობდა ასეულს.

1915 წლის მარტიდან მსახურობდა კავკასიის მე-3 კაზაკთა დივიზიის შტაბის უფროსის ადიუტანტად.

1915 წლის დეკემბრიდან მსახურობდა XXVII-ე საარმიო კორპუსის შტაბის დავალებათა შტაბ-ოფიცრად.

1915 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1917 წლის 18 თებერვლიდან დროებითი მთავრობის სამხედრო მინისტრის ბრძანებით დაინიშნა ლიტვიდ მე-2 მსროლელი ბრიგადის შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად.

1917 წლის ბოლოს გადადგა სამხედრო სამსახურიდან, ჩამოვიდა ტფილისში და ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში.

იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს სამხედრო სექციის უფროსი და შტაბის უფროსი.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო ქართული კორპუსის შტაბის უფროსი, საველე არმიის შტაბის უფროსი, ფრონტის სარდალი, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე. კითხულობდა ლექციათა კურსს ტფილისის სამხედრო სკოლაში.



1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში, ჯერ თურქეთში, სადაც ცხოვრობდა სტამბოლში, ხოლო 1922 წლიდან კი – პოლონეთში, სადაც ერთ დროს მუშაობდა მოლარედ მაღაზიაში.

1923 წლის იანვარ-მარტში იქნა ჩარიცხული მსმენელად საველე მეთაურთა კურსზე, ქ.რემბერტოვოს კადრების მომზადების სასწავლო ცენტრში. სწავლის დამთავრების და 1-ლ ქვეით დივიზიაში აუცილებელი პრაქტიკის გავლის შემდეგ, სწავლა განაგრძო პოლონეთის შეიარაღებული ძალების უმაღლეს სამხედრო სკოლაში (1923-1924). მოგვიანებით, ლამის 1939 წლამდე იმყოფებოდა უმაღლესი სამხედრო სკოლის უფროსის განკარგულებაში. კითხულობდა ლექციათა კურსს პოლონეთის უმაღლეს სამხედრო სკოლაში.

ემიგრაციაში ინარჩუნებდა ქართული არმიის შეიარაღებული ძალების სარდლის თანამდებობას.

1941 წელს გერმანელებთან ომის დაწყების შემდეგ, ჩავარდა ტყვედ, მაგრამ ორ კვირაში გაანთავისუფლეს. იყო მიცემული სასამართლოში, მაგრამ ვერაფერი დაუმტკიცეს. მას აეკრძალა ქ.ვარშავის დატოვება და იმყოფებოდა კომენდატურის და გესტაპოს მუდმივი დაკვირვების ქვეშ.

1944 წელს, როცა ფრონტი უახლოვდებოდა ქ.ვარშავას, ვარშავის აჯანყების დამარცხების შემდეგ, მიიღო ნებართვა გერმანიაში წასვლაზე. რამოდენიმე ხანს ცხოვრობდა ქ.ზალცბურგის შემოგარენში.

ომის შემდეგ ცხოვრობდა საფრანგეთში, სადაც იყო ქართველთა დიდი კოლონია. მუშაობდა მოგონებებზე. გარდაიცვალა და დაკრძალულია ლევილ-სიურ-ორჟის ქართველთა სასაფლაოზე.

ავტორია შრომისა *„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1917-1921 წლებში„*, საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო-

**გიორგის ოქროს იარაღით (1915 წლის 9 მარტი) და «გიორგის ჯვრის» მე-IV ხარ. (დაფნის მტევნით -1917),**

**«წმ.ანას» ორდენის მე-IV (მამაცობისათვის-1906), მე-III ხარისხით (1912) და მე-III (მახვილებით და ბაფთით -1915)ხარ.,**

**«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (1911) და მე-II(მახვილებით-1915) ხარ.,**

**«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV (მახვილებით და ბაფთით-1915) ხარ.**





გიორგი ვახტანგის-ძე თავაძე  
გენერალ-მაიორი (1919)

განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში.

ჯარში მსახურობდა 1901 წლიდან. დაამთავრა ნიკოლოზის საინჟინრო სასწავლებელი 1912 წელს (I-ი თანრიგით).

მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) და (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომებში.

1913 წლიდან მსახურობდა კავკასიის მე-2 მსროლელ პოლკში კაპიტნის წოდებით.

1917-1918 წლებში მეთაურობდა კავკასიის მე-3 მსროლელ პოლკს, პოლკოვნიკის წოდებით.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო თელავის ქვეითი პოლკის მეთაური.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ქართულ ნაწილებთან ერთად დატოვა ტფილისი. შემდგომი მისი ბედი უცნობია. (ავტორთა შენიშვნა)

დაჯილდოებული იყო

გიორგის ოქროს იარაღით (1918 წლის 15 მარტი)-*«წარჩინებისათვის მე-2 კავკასიის მსროლელ პოლკში»* და *«წმ.ანას»* ორდენის მე-IV (მამაცობისათვის-1915) ხარ.



გიორგი კონსტანტინეს-ძე თაყაიშვილი  
(26.05.1881 – 1921)  
ინჟინერ-გენერალი (1918)

დაიბადა ოზურგეთის მაზრაში, აზნაურის ოჯახში.

განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში.

ჯარში მსახურობდა 1901 წლიდან. დაამთავრა ნიკოლოზის საინჟინრო სასწავლებელი (I-ი თანრიგით).

მსახურობდა მე-19 მესანგრეთა ბატალიონში. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) და (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომებში.

1909-1910 წლებში მსახურობდა აღმოსავლეთ-ციმბირის მე-2 სანაპერწკლო ტელეგრაფის ასეულში (ქ.ირკუტსკში).

1910-1912 წლებში მსახურობდა კავკასიის სანაპერწკლო ტელეგრაფის 1-ლ ასეულში.

1912-1913 წლებში მსახურობდა მესანგრეთა მე-2 ბატალიონში.

1915-1917 წლებში მსახურობდა კავკასიის მე-II საარმიო კორპუსის ინჟინრად.

1917 წლის 19 აპრილს დროებითი მთავრობის სამხედრო მინისტრის ბრძანებით დაინიშნა კავკასიის მე-2 საინჟინრო პოლკის მეთაურად, ერთდროულად კავკასიის მე-II საარმიო კორპუსის ინჟინრის თანამდებობის შენარჩუნებულ.

1917 წლის 6 აგვისტოს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო საინჟინრო ჯარების უფროსი. ამადროულად ეხმარებოდა აზერბაიჯანის მთავრობას, ბაქოს ციხესიმაგრის გამაგრებების პროექტირებაში და ასეთივე გამაგრებების პროექტირებაში რუსეთ-აზერბაიჯანის სასაზღვრო მდინარე სამურზე.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ეწეოდა კონტრევოლუციურ საქმიანობას, რის შედეგადაც ის მალევე დააპატიმრეს, ქონება ჩამოართვეს და დახვრიტეს.

დაჯილდოებული იყო

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (1907), მე-II (*მახვილებით*-1916) ხარ.,

«წმ.ანას» ორდენის მე-IV-ე (*მამაცობისათვის*) და მე-III (*მახვილებით და ბავთით*-1916) ხარ.,

გიორგი მიხეილის-ძე ქავთარაძე  
(12.03.1861 -1921 წ. შემდ.)  
გენერალ-მაიორი (1919)

დაამთავრა ვლადიკავკაზის სამხედრო პროგიმნაზიასთან არსებული გამმიჯვნელთა კლასები და სამხედრო-ტოპოგრაფიული სასწავლებელი.

ჯარში მსახურობდა 1880 წლიდან.

1883 წლიდან მსახურობდა სამხედრო ტოპოგრაფთა კორპუსში.

1903 წლიდან მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების, გეოდეზიურ სამუშაოთა მწარმოებლად, ქვეგანყოფილების უფროსად.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1917 წლის 2 აპრილს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება-, *ბრწყინვალე-ბეჯიდი სამსახურისათვის და შრომებისათვის, გაწეული სამხედრო დროის მდგომარეობის დროს,*

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში, სამხედრო სამინისტროს განსაკუთრებული განყოფილების უფროსად და სამხედრო სამინისტროს კანცელარიის უფროსად.

დაჯილდოებული იყო

«წმ.ანას» ორდენის მე-II (1898) ხარ.,

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-II (1895) ხარ.,

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV(1904) ხარ.



ალექსანდრე გრიგოლის-ძე კონიაშვილი  
(26.11.1873- 30.04.1951)  
გენერალ-მაიორი (1919)  
ბრიგადის გენერალი (1926)

დაიბადა ტფილისში, ოფიცრის ოჯახში.

დაამთავრა ტფილისის იუნკერთა სამხედრო სასწავლებელი.

მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) და (1914-1918) პირველ მსოფლიო ომებში. მსახურობდა 155-ე ყუბის ქვეით პოლკში, მეთაურობდა პენზის ქვეით ლაშქარს.

1914-1916 წლებში მსახურობდა 196-ე ქვეით ლაშქარში.

1916 წელს მსახურობდა კაპიტნად 155-ე ყუბის ქვეით პოლკში.

არზრუმის ციხესიმაგრის შტურმით აღებისას, დაჯილდოვდა

**«წმ.გიორგის» ორდენის მე-IV ხარისხით (1916 წლის 6 მარტი)**-*«წარჩინებისათვის 196-ე ქვეით ლაშქარში»*

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. მეთაურობდა სახალხო გვარდიის ნაწილებს. 1921 წლიდან იყო ემიგრაციაში. 1923 წლიდან მსახურობდა პოლონეთის ჯარში. 1939 წლიდან ცხოვრობდა არგენტინაში. გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ.ბუენოს-აირესში.





**ლევან (ლენკო) ლუარსაბის-ძე მაღალაშვილი, თავადი  
(10.08.1879 – 22.08.1926)  
გენერალ-ლეიტენანტი (1919)**

დაიბადა ტფილისში, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ოჯახში. განათლება მიიღო პაჟთა კორპუსში. მსახურობდა თერგის კაზაკთა ჯარის ვლადიკავკაზ-სუნჟას 1-ლ პოლკში.

1917 წლის ივლისში მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება და დაინიშნა თათართა ცხენოსანი პოლკის მეთაურად.

იყო რუსეთ-იაპონიის (1904-1905) და (1914-1918) წლების პირველი მსოფლიო ომის მონაწილე.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში.

მეთურობდა თათართა დივიზიას (ხალხში ცნობილია როგორც «ველური დივიზია»), რომელიც შამქორში აწარმოებდა სისხლისმღვრელ ბრძოლებს ბოლშევიკების წინააღმდეგ.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ლევან მაღალაშვილი იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო და წასულიყო ემიგრაციაში.

გარდაიცვალა ქ.მიუნხენის სანატორიუმში ქლექისგან. დაკრძალულია იქვე ადგილობრივ სასაფლაოზე,

დაჯილდოებული იყო

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV (*მახვილებით და ბაფთით*-1915) ხარ.



არკადი ნიკოლოზის-ძე მიქაშავიძე  
(1876-1971)  
გენერალ-მაიორი (1920)

დაიბადა ქუთაისის გუბერნიაში.

მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) და პირველ მსოფლიო (1914-1918) ომებში.

მსახურობდა დაღესტნის მე-2 ცხენოსან პოლკში.

1917 წელს მიენიჭა პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში.

1920-1921 წლებში იყო ტფილისის სამხედრო კომენდანტი.

1921 წელს საქართველს გასაბჭოების შემდეგ გადადგა სამხედრო სამსახურიდან.  
ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქ.ქუთაისში. დაკრძალულია იქვე.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოვდა  
გიორგის ოქროს იარაღით (1917 წლის 19 მარტი).



**დავით ბეჟანის-ძე რატიშვილი, თავადი**  
**(1881-1937)**  
**გენერალ-მაიორი (1918)**

მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) და პირველ მსოფლიო (1914-1918) ომებში.

1915 წლის 31 მაისს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში.

1920 წლიდან იყო ცხენოსანი ბრიგადის მეთაური, შემდეგ ახალციხის სამხედრო კომენდანტი.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გადადგა სამხედრო სამსახურიდან. საქართველო არ დაუტოვებია. ცხოვრობდა ტფილისში (თბილისში).

1937 წელს შეეწირა რეპრესიებს.

დაჯილდოებული იყო

სპარსეთის «მზისა და ლომის» ორდენის მე-III ხარ.

**იოსებ ნიკოლოზის-ძე როინიშვილი**  
**(07.12.1874 – 1921 შემდ.)**  
**გენერალ-მაიორი (21.08.1918)**

დაიბადა პოლკოვნიკ ნიკოლოზ როინიშვილს ოჯახში. მამამისი წარსულში გენერალ-მაიორი იყო, რომელსაც უღირსი საქციელის გამო ჩამოერთვა გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება.

განათლება მიიღო ტფილისის კადეტთა კორპუსში. სამხედრო სამსახურში შევიდა 1893 წელს. დაამთავრა ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელი და ალექსანდრეს სამხედრო-იურიდიული აკადემია 1905 წელს (1-ი თანრიგით).

მსახურობდა მე-20 საარტილერიო ბრიგადაში. იყო სამხედრო-სამოსამართლო თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი. დროებით ასრულებდა მთავარი სამხედრო სასამართლოს სამმართველოს მაგიდის უფროსის მოვალეობას.

1909 წლამდე მსახურობდა სანქტ-პეტერბურგის სამხედრო ოლქის სამხედრო გამომძიებლად.

1909 წლიდან მსახურობდა კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს სამხედრო პროკურორის თანაშემწედ.

1912 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში.

1918 წლის 21 აგვისტოს დაინიშნა ქართული ჯარის სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარედ.

დაჯილდოებული იყო

«წმ.ანას» ორდენის მე-III (1906) და მე-II (1915) ხარ.,

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-II (1911) ხარ.,





**გიორგი ნიკოლოზის-ძე სუმბათაშვილი , თავადი  
(06.06.1868-1921 შემდ.)  
გენერალ-მაიორი (1918)**

დაიბადა ტფილისში. განათლება მიიღო გიმნაზიაში. დაამთავრა ტფილისის იუნკერთა ქვეითი სასწავლებელი და ოფიცერთა მსროლელი სკოლა.

სამხედრო სამსახურში შევიდა 1889 წელს.

მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) ომში. არა ერთხელ იქნა დაჭრილი. მსახურობდა 153-ე ბაქოს ქვეით პოლკში.

1911 წლისათვის მსახურობდა 85-ე ვიბორგის ქვეით პოლკში.

(1914-1918) წლების პირველი მსოფლიო ომის დროს მსახურობდა 145-ე ნოვოჩერკასკის ქვეით პოლკში. მეთაურობდა ბატალიონს.

1912 წლის 1 სექტემბერს მიენიჭა პოლოვნიკის სამხედრო წოდება.

1915-1917 წ.წ.-მეთაურობდა ცარიცინის 146-ე ქვეით პოლკს.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო მე-3 დივიზიის შტაბის უფროსი, ფრონტის სარდალი. 1921 წლის თებერვალში დაინიშნა მე-2 დივიზიის მეთაურად.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოვდა

**გიორგის ოქროს იარაღით (1915 წლის 3 იანვარი) –«წარჩინებისათვის 145-ე ნოვოჩერკასკის ქვეით პოლკში» და «წმ.გიორგის» ორდენის მე-IV ხარისხით (1915 წლის 2 ივნისი).**

«წმ.ვლადიმერის» მე-IV ხარ.ორდენით (მახვილებით და ბაფთით-1905),

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე- II (1909) და მე- II (ბაფთით-1915)ხარ.,

«წმ.ანას» ორდენის მე- IV (მამაცობისათვის-1905) , მე-III (მახვილებით და ბაფთით-1916) და მე- II (მახვილებით-1915)ხარ., და «საპატიო ლეგიონის» ორდენით (საფრანგეთი).

ივანე დავითის-ძე ჯაფარიძე, თავადი  
(01.01.1867-1934)  
გენერალ-მაიორი (1920)

დაიბადა ქუთაისის გუბერნიაში.

საერთო განათლება მიიღო სამხედრო პროგიმნაზიაში.

ჯარში მსახურობდა 1886 წლიდან. დამთავრა კონსტანტინეს მე-2 სამხედრო სასწავლებელი.

სამხედრო სამსახური დაიწყო 150-ე ტამანის ქვეით პოლკში.

1903-1905 წლებში მსახურობდა ოზურგეთის მხარის უფროსად.

1905-1910 წლებში ირიცხებოდა კაპიტანად კავკასიის სამხედრო ოლქის სამმართველოში.

1910 წლიდან თადარიგში იყო.

1911 წელს დაინიშნა თერგის მხარის გროზნოს ოლქის სამხედრო უფროსად.

1911-1914 წლებში მსახურობდა თერგის მხარის ხასავ-იურტის ოლქის უფროსად.

1914-1917 წლებში მსახურობდა თერგის მხარის გროზნოს ოლქის უფროსად.

1915 წლის 6 მაისს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო უცხოელთა მისიებთან ურთიერთობების განყოფილების უფროსი და სამხედრო სამინისტროს დავალებათა შტაბ-ოფიცერი.

1921 წლიდან ემიგრაციაში იყო, საფრანგეთში. ირიცხებოდა «ქართველ მხედართა კავშირში»

გარდაიცვალა ლევილ-სიურ-ორჟში, (Leuville sur Orge), პარიზთან.

დაკრძალულია ლევილში 1934 წლის 5 ივლისს.

დაჯილდოებული იყო

«წმ.ანას» ორდენის მე-II (1907) და «წმ.სტანისლავის» ორდენების მე-II (1903) ხარ..

არტემი მურზაყანის-ძე ჯიჯია  
(01.01.1874 – 31.12.1938)  
გენერალ-მაიორი (1919)

დაიბადა ქუთაისის გუბერნიაში.

დაამთავრა ტფილისის სასულიერო სემინარია, ტფილისის ქვეითი იუნკერთა სასწავლებელი 1897 წელს და ნიკოლოზის გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია 1907 წელს 1-ი თანრიგით.

ჯარში მსახურობდა 1893 წლიდან.

1897 წლამდე მსახურობდა 155-ე ყუბის ქვეით პოლკში, 1897 წლიდან მსახურობდა თურქესტანის მე-16 სახაზო მსროლელ ბატალიონში.

1907-1909 წლებში მსახურობდა ხოჯენტის მე-2 სარეზერვო ბატალიონში.

1909-1911 წლებში მსახურობდა მე-6 ქვეითი დივიზიის შტაბის უფროს ადიუტანტად.

1911-1914 წლებში მსახურობდა მე-XV საარმიო კოპრუსის შტაბის უფროს ადიუტანტად.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში. რუსეთის არმიის ლაშქრობისას აღმოსავლეთ პრუსიაში 1914 წელს, კომუჩინის ტყეში ტყვედ ჩაუვარდა მოწინააღმდეგეს.

1918 წელს დაბრუნდა ტყვეობიდან.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართული მე-4 პოლკის შტაბის უფროსად.

ქართულ არმიაში მას პირდაპირ პოლკოვნიკის სამხედრო წოდება მიენიჭა.

1919-1921 წლებში იყო ჯერ დავალებათა გენერალი სამხედრო მინისტრთან, შემდეგ სახალხო გვარდიის სამმართველოს განყოფილების უფროსი.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გაგადა სამხედრო სამსახურიდან.

ქვეყანა არ დაუტოვებია. ცხოვრობდა სამეგრელოში, თავის მამულში. შეეწირა რეპრესიებს.

მისი გვარი ფიგურირებს 1938 წლის 14 თებერვლით დათარიღებულ 1-ი კატეგორიის დასახვრეტ პირთა სიაში. სიას ხელს აწერენ სტალინი, მოლოტოვი და ჟდანოვი.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე- III (1910) ხარ.,

«წმ.ანას» ორდენის მე- III (1913) ხარ.

**სოლომონ გაბრიელის-ძე ყარალაშვილი, თავადი**  
**(02.04.1870-31.08.1924)**  
**გენერალ-მაიორი (1919)**

დაამთვრა ჩუგუევის ქვეითი იუნკერთა სასწავლებელი.

მონაწილეობდა (1900-1901) წლების ლაშქრობაში ჩინეთში.

მსახურობდა კავკასიის I-ი საარმიო კორპუსის მეთაურის ადიუტანტად, შემდეგ იგივე თანამდებობაზე ციმბირის მე-III საარმიო კორპუსში.

1910-1911 წლებში მსახურობდა კავკასიის მეფის ნაცვალთან სამხედრო-სახალხო სამმართველოში.

1911 წლიდან მსახურობდა თერგის მხარის ვედენოს ოლქის სამხედრო უფროსად,

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო ცხინვალის ლაშქრის უფროსი.

იყო ფოთის პორტის და სადგურის გენერალ-გუბერნატორი და ფოთში განლაგებული ჯარების და ჯავშამმატარებლის უფროსი.

1924 წლის აჯანყების დროს ეკავა დასავლეთ საქართველოს ჯარების სარდლის თანამდებობა. დახვრიტეს 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ.

დაჯილდოებული იყო

«წმ.ანას» მე-III (1905) და «წმ.სტანისლავის» ორდენების მე-II (1908) ხარ.



**ზაქარია თევდორეს-ძე ყიფშიძე**  
**(22.03.1873-26.05.1938)**  
**გენერალ-მაიორი (1918)**

მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) ომში.

1905-1917 წლებში მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის საინტენდანტო სამმართველოს მაგიდის უფროსად.

1917 წლამდე მსახურობდა კავკასიის 1-ი მსროლელი ბრიგადის ინტენდანტად.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში სამხედრო სამინისტროს ადმინისტრაციული განყოფილების უფროსად.

1921 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან. ცხოვრობდა ტფილისში. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე. საფლავი დაცულია.

(ბიოგრაფიული ცნობები გენერალ-მაიორ ზაქარია ყიფშიძეზე ავტორებს მიაწოდა გენერლის შვილიშვილმა, ქცნბილმა ქართველმა ისტორიკოსმა, არქეოლოგმა და საზოგადო მოღვაწემ ბატონმა იულონ გაგოშიძემ, რისთვისაც ავტორები უხდიან მას გულითად მადლობას).

## ნაწილი II

«საქართველოს არმიაში 1918-1921 წლებში მომსახურე რუსეთის არმიის, დროებითი მთავრობის და კავკასიის ფრონტის ქართველი გენერლები»



**ალექსანდრე სიმონის-ძე ანდრონიკაშვილი**  
**(07.10.1871- 20.05.1923)**  
**გენერალ-მაიორი (21.11.1917)**

დაიბადა ტფილისის გუბერნიის, თელავის მაზრის სოფელ სიღნაღში.

1891 წელს დაამთავრა კონსტანტინეს მე-2 სამხედრო სასწავლებელი სანქტ-პეტერბურგში და გენერალური შტაბის აკადემია 1905 წელს (1-ი თანრიგით).

ჯარში მსახურობდა 1889 წლიდან, ყარსის საციხოვნო არტილერიაში, მოგვიანებით ალექსანდროპოლის საციხოვნო არტილერიაში და, კავკასიის სააღყო საარტილერიო პოლკში.

1906-1907 წლებში მსახურობდა ლაიბ-გვარდიის მე-13 ერევნის პოლკში.

1907-1908 წლებში მსახურობდა უსურის ცხენოსანი ბრიგადის სამმართველოს უფროს ადიუტანტად.

1908-1909 წლებში მსახურობდა დავალებათა ობერ-ოფიცრად ომსკის სამხედრო ოლქის შტაბში.

1909-1912 წლებში მსახურობდა უფროს ადიუტანტად 36-ე ქვეითი დივიზიის შტაბში.

1912-1914 წლებში მივლინებული იყო ალექსეევსკის სამხედრო სასწავლებელში, ტაქტიკის კურსის მასწავლებლად.

1913 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

ომის დროს მსახურობდა მე-XI არმიის შტაბში.

1914-1916 წლებში დროებით ასრულებდა 75-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსის მოვალეობას.

1916-1917 წლებში- იყო 298-ე მსტისლავის ქვეითი პოლკის მეთაური, 177-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი.

1917 წლის 10 ივნისს დროებითმა მთავრობამ დანიშნა იგი მე-XX საარმიო კორპუსის შტაბის უფროსად.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო გენერალური შტაბის უფროსი, სამხედრო სკოლის უფროსი და სამხედრო საბჭოს წევრი.

1921 წელს რუსეთთან ომის დროს მეთაურობდა ტფილისის ფრონტის კოჯორ-ტაბახმელის მონაკვეთს, და 19-24 თებერვლის ბრძოლებში მიაყენა წითლების მე-XI არმიის ნაწილებს დიდი ზარალი. უკან დახვევისას მეთაურობდა არიერგარდის ნაწილებს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ 1921-1923 წლებში მსახურობდა საქართველოს წითელ არმიაში. იყო ქართული სამეთაურო კურსების უფროსი, საქართველოს წითელი არმიის სარდალი და ქართული წითელი არმიის სამხედრო სკოლის შტატიანი მასწავლებელი. 1923 წელს გადაიყვანეს რეზერვში.

1921 წლის ოკუპაციის შემდეგ ანდრონიკაშვილი გახდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. იყო «დამოუკიდებლობის კომიტეტის» («დამკომი»-ს) სამხედრო ცენტრის წევრი.

1923 წლის თებერვალში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრმა კ. მისაბიშვილმა გასცა სამხედრო ცენტრი.

1923 წლის 19 მაისს ალექსანდრე ანდრონიკაშვილი დააპატიმრეს. მასთან ერთად დააპატიმრეს სამხედრო ცენტრის წევრები:

*გენერალი კოტე აფხაზი (სამხედრო ცენტრის ხელმძღვანელი), გენერალი ვარდენ წულუკიძე, პოლკოვნიკი როსტომ მუსხელიშვილი, პოლკოვნიკი ელიზბარ გულისაშვილი, პოლკოვნილი ალექსანდრე მაჭავარიანი, პოლკოვნიკი გიორგი ხიმშიაშვილი, პოლკოვნიკი დიმიტრი ჩრდილოელი, როტმისტრი ლევან კლიმიაშვილი, როტმისტრი სიმონ ბაგრატიონ-მუხრანელი, კაპიტანი ფარნაოზ ყარალაშვილი, იასონ კერესელიძე (გენერალ ლეო კერესელიძის უმცროსი ძმა), სიმონ ჭიაბრიშვილი, ივანე ქუთათელაძე და ნიკოლოზ ზანდუკელი.*

1923 წლის 20 მაისს ისინი დახვრიტეს ტფილისში, დღევანდელი «ვაკის პარკის» ტერიტორიაზე.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

**გიორგის ოქროს იარაღით (1916 წლის 16 აგვისტო)**–*«წარჩინებისათვის 75-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსის მოვალეობის შესრულებისას»,*

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (1898) და მე-II (1914) ხარ.,

«წმ.ანას» ორდენის მე-III (1907) ხარ.,

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-III (*მახვილებით* -1916) ხარ.





**დავით ადამის-ძე ართმელაძე**  
**(01.02.1865- 1938)**  
**გენერალ-მაიორი (10.10.1917)**

დაიბადა ქუთაისის გუბერნიის, ოზურგეთის მაზრაში, გლეხის ოჯახში.

დაამთავრა ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელი (1-ი თანრიგით).

ჯარში მსახურობდა 1885 წლიდან.

დაამთავრა ტფილისის ქვეითთა იუნკერთა სასწავლებელი (1-ი თანრიგით).

1885 წლიდან მსახურობდა 156-ე ელიზავეტპოლის პოლკში. მეთაურობდა ასეულს.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

ომის დროს მსახურობდა თურქესტანის 23-ე მსროლელ პოლკში, მეთაურობდა ბატალიონს.

1915 წლის 19 ივლისს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1917 წელს დროებითი მთავრობის მიერ დაინიშნა თურქესტანის მე-16 მსროლელი პოლკის მეთაურად.

1917-1918 წლებში იყო 127-ე ქვეითი დივიზიის მეთაური.

1917 წლის ბოლოს გადადგა სამხედრო სამსახურიდან ავადმყოფობის გამო.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. მეთაურობდა ქართული კორპუსის

1 -ლ და მე-2 ქვეით დივიზიებს, იყო სამხედრო საბჭოს წევრი.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მოღვაწეობდა ქართული წითელი არმიის სამხედრო სკოლაში, ამზადებდა «წითელ» მეთაურებს.

დაკრძალულია ოზურგეთის მაზრის (ახლ. ლანჩხუთის რ-ნი), სოფელ ქვიანის ეკლესიის ტერიტორიაზე. საფლავი დაცულია. (ავტორთა შენიშვნა).

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

«წმ.გიორგის» ორდენის მე-IV ხარისხით (1917 წლის 6 იანვარი)-«წარჩინებისათვის 156-ე ელიზავეტპოლის პოლკში»

გიორგის ოქროს იარაღით (1916 წლის 31 მაისი)-«წარჩინებისათვის ტურქესტანის 23-ე მსროლელ პოლკში»

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-II (1906) და მე-II (1914) ხარ.,

«წმ.ანას» ორდენის მე-III (1909) ხარ.,





**იასონ ალექსანდრეს-ძე ახვლედიანი**  
**(07.04.1852 -19.01.1940)**  
**გენერალ-მაიორი (1910)**

დაიბადა ქუთაისის გუბერნიის დაბა ვანში, აზნაურის ოჯახში.

დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და ტფილისის იუნკერთა სასწავლებელი. ჯარში მსახურობდა პრაპორშჩიკად საარმიო ქვეითებში, 1876 წლიდან.

მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის (1877-1878) და რუსეთ-იაპონიის (1904-1905) წლების ომებში, არაერთხელ იქნა დაჭრილი.

1900 წლიდან მეთაურობდა გროზნოს 253-ე სარეზერვო ბატალიონს.

რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებისთანავე გადაყვანილ იქნა ბატალიონის მეთაურად, ციმბირის მე-12 ქვეით პოლკში. მონაწილეობდა მანჯურიასი წარმოებულ ბრძოლებში. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის ვადაზე ადრე მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება და დაინიშნა ნეჟინის 137-ე ქვეითი პოლკის მეთაურად.

1906-1911 წლებში მეთაურობდა ყუბის 155-ე ქვეით პოლკს, პარალელურად მსახურობდა აბასთუმნის სამხედრო ჰოსპიტლის უფროსად, აბასთუმნის სამხედრო კომენდანტად.

1911 წლის იანვარში, ბრძოლებში მიღებული კონტუზიისა და ჭრილობების გამო ჩაირიცხა თადარიგში, ხოლო 1912 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან მუნდირით და პენსიონით.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო არმიის ვეტერანთა სახლის უფროსი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ცხოვრობდა და გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია კუკის სასაფლაოზე. დაკრძალვის ადგილი უცნობია (ავტორთა შენიშვნა).

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული  
იყო

«წმ.გიორგის» ორდენის მე-IV ხარისხით (1905 წლის 13 თებერვალი),

«წმ.ანას» ორდენის მე-IV (მამაცობისათვის-1877), მე-III (მახვილებით-1888), მე-II  
(მახვილებით-1904) და I-ი (1895) ხარ.,

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (მახვილებითა და ბავთით -1877) და მე-II (1896) ხარ.,

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV (ბავთით – 25-წლიანი სამხედრო სამსახურისათვის-  
1901) და მე-III (მახვილებით-1905) ხარ.





**გიორგი პავლეს-ბე არჯევანიძე**  
**(24.01.1863 -16.01.1940)**  
**გენერალ-მაიორი (01.01.1916)**

დაიბადა თელავის მაზრის სოფელ სიღნაღში, აზნაურის ოჯახში.

დაამთავრა პოლტავის კადეტთა კორპუსი 1881 წელს და, ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელი 1883 წელს.

მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) და (1914-1918) პირველ მსოფლიო ომებში.

ჯარში მსახურობდა 1883 წლიდან.

მეთაურობდა ასეულს და ბატალიონს.

1890-1895 წლებში მსახურობდა ტფილისის სამხედრო სასწავლებელში, უმცროს ოფიცრად.

1909 -1915 წლებში მსახურობდა პოდპოლკოვნიკად დიდი მთავრის დიმიტრი კონსტანტინეს სახელის მე-16 მინგრელსკის გრენადერთა პოლკში.

1910 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1915-1916 წლებში მეთაურობდა 153-ე ბაქოს ქვეით პოლკს. თავი გამოიჩინა კავკასიის ფრონტზე. მონაწილეობდა ერზერუმის ციხესიმაგრის გარემოცვა-აღებაში, ხელმძღვანელობდა კუპ-დაღის გადასასვლელისათვის ბრძოლას.

1917 წლამდე მეთაურობდა 39-ე ქვეითი დივიზიის ბრიგადას.

1917 წლის 30 სექტემბერს დაინიშნა 123-ე ქვეითი დივიზიის უფროსად.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში, მეთაურობდა ცხენოსან დივიზიას.

1921-1928 წლებში მსახურობდა ქართულ წითელ ჯარში.

1921 წელს იყო ქართული წითელი არმიის სარდლის შემსრულებელი, 1922 წლის მაისიდან – ქართული გაერთიანებული სამხედრო სკოლის უფროსი, ხოლო 1927 წლის სექტემბრიდან ამიერკავკასიის ქვეითთა სკოლის პედაგოგი. 1928 წლის იანვრიდან კი იყო პერსონალური პენსიონერი.

ავტორია შრომისა «სახელმწიფანელო სამხედრო საქმეში» (ტფ.,1931)

სამწუხაროდ მისი დაკრძალვის ადგილი უცნობია (ავტორთა შენიშვნა).

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

**«წმ.გიორგის» ორდენის მე-IV ხარისხით (1916 წლის 9 ივლისი)-«წარჩინებისათვის 153-ე ბაქოს ქვეით პოლკში»**

**«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-III (მახვილებით) ხარ.,**

**«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-II (1906) ხარ.,**

**«წმ.ანას» ორდენის მე-II (1909) ხარ.**





**ანდრია მიხეილის-ძე ბენაშვილი**  
**(23.03.1868- 28.06.1941)**  
**გენერალ-მაიორი (02.04.1917)**

დაიბადა სამხედრო მოსამსახურის ოჯახში.

დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი, მე-3 ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელი 1887 წელს და ნიკოლოზის გენერალური შტაბის გეოდეზიური განყოფილება 1899 წელს (1-ი თანრიგით).

ჯარში მსახურობდა 1885 წლიდან, მე-16 მინგრელსკის გრენადერთა პოლკში.

1901-1904 წლებში გადაყვანილ იქნა გენერალურ შტაბში და მსახურობდა დასავლეთის სასაზღვრო სივრცის ტრიანგულიაციის უფროსის თანაშემწის თანამდებობის შემსრულებლად.

1902-1903 წლებში მსახურობდა ლაიბ-გვარდიის იზმაილის პოლკში.

1904-1914 წლებში მსახურობდა დასავლეთის სასაზღვრო სივრცის ტრიანგულიაციის უფროსის თანაშემწედ.

1908 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1915-1916 წლებში ირიცხებოდა კიევის სამხედრო ოლქის შტაბის რეზერვში.

1916-1917 წლებში მეთაურობდა კამიშინის 404-ე ქვეით პოლკს.

1917-1918 წლებში იყო XXXII-ე საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი, 105-ე ქვეითი დივიზიის უფროსი.

1905-1916 წლებში კითხულობდა ლექციათა კურსს პეტერბურგის (პეტროგრადის) ტექნოლოგიურ ინსტიტუტში და სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში.

1918 წელს იქნა მოწვეული პროფესორად ახლად გახსნილ ტფილისის უნივერსიტეტში.

ანდრია ბენაშვილის ჩამოსვლა ქართული უნივერსიტეტის გახსნის დამამთავრებელ ეტაპს ემთხვევა. ივანე ჯავახიშვილი კარგად იცნობდა ა. ბენაშვილის მოღვაწეობას. მისი

ჩამოსვლა ტფილისში ბედნიერი შემთხვევითობა არ ყოფილა. ქართულ უნივერსიტეტში მუშაობა ანდრია ბენაშვილისთვის ჭაბუკობისდროინდელი ოცნების ასრულება იყო. ამიტომაც იგი ღირსეულად ჩადგა ივ. ჯავახიშვილის თანამოსანგრეთა რიგებში და სავსებით დამსახურებულად ითვლება ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებლად.

პეტრე მელიქიშვილი და ანდრია ბენაშვილი პირველი პროფესორები იყვნენ ბუნებისმეტყველების დარგში. მათ შემდგომში ანდრია რაზმაძეც შეუერთდათ.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში.

1918 წლის 26 ივლისს დაინიშნა ქართული ჯარის ზურგის და მომარაგების უფროსად, ერთხანს ასრულებდა ქართული სამხედრო სკოლის უფროსის თანამდებობას, იყო არმიის შტაბის სამხედრო-ტოპოგრაფიული განყოფილების უფროსი, სამხედრო მინისტრის თანაშემწე, კითხულობდა ლექციათა კურსს სამხედრო ტოპოგრაფიასა და გეოდეზიაში ქართულ სამხედრო სკოლაში.

1919 წელს პროფესორ ბენაშვილს დაევალა სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანობა. ბენაშვილი თავმჯდომარეობდა პროფესორთა საბჭოს იმ სხდომას, სადაც ივ.ჯავახიშვილი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს.

1919-1923 წლებში მუშაობდა ტფილისის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორად.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გავიდა თადარიგში.

1921 წლის 30 სექტემბერს ბენაშვილი ხსნის ასტრონომიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს პირველი სხდომას. ამით არ ამოიწურება მისი როლი ასტრონომიული ცოდნის ამ კერის მიმართ. პროფესორი ბენაშვილი გეოდეზიის სწავლების დამწყებია საქართველოში. ბენაშვილი ყველა იმ წინასწარ მოსამზადებელი საორგანიზაციო ღონისძიების აქტიური მონაწილეა, რომელმაც შესაძლებელი გახადა 1922 წლის იანვრიდან ტფილისის უნივერსიტეტში პოლიტექნიკური ფაკულტეტის გახსნა.

1923-1941 წლებში კითხულობდა ლექციებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ითვლება ამ ინსტიტუტის ერთ-ერთ დამაარსებლად.

ეწეოდა ინტენსიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას, განაგებდა გეოდეზიის და ასტრონომიის კათედრას და კითხულობდა ლექციებს ასტრონომიაში ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ტფილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1928-1941 წლებში იყო გეოდეზიის და მარკშრეიდერული საქმის კათედრის გამგე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1930 წლიდან ტფილისის ტოპოგრაფიულ ტექნიკუმშიც.

1927 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება, ხოლო 1941 წელს «საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის» წოდება.

ანდრია ბენაშვილი იყო ავტორი 30 სამეცნიერო შრომისა უმაღლესი გეოდეზიის, სფერული ტრიგონომეტრიის, სფერული ასტრონომიის და ტოპოგრაფიის დარგებში.

მის სახელს ატარებს თბილისის გეოდეზიის და კარტოგრაფიის კოლეჯი (ყოფილი თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი).

უმაღლესი ტექნიკური განათლების სარბიელზე იგი გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა და უდიდესი წვლილი შეიტანა ქართველ ინჟინერთა კადრების აღზრდაში.



ა. ბენაშვილის მეცადინეობით ყოფილი სამხედრო სკოლის მვირაღდირებული ქონება უნივერსიტეტს გადაეცა. ასევე მისი წყალობით ყოფილი კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ბიბლიოთეკიდან წიგნების მშენიშვნელოვანი ფონდი გადაეცა ტფილისის უნივერსიტეტს.

იგი იყო აგრეთვე ერთ-ერთი ინიციატორი საქართველოში გეოგრაფიის ინსტიტუტის შექმნისა.

პროფ. ა. ბენაშვილი გარდაიცვალა ქ.სოხუმში, (აფხაზეთის ასსრ). დაკრძალულია თბილისში, ვაკის სასაფლაოზე.

ანდრია ბენაშვილი იყო ცნობილი მეცნიერი და სამხედრო მოღვაწე. ლამის 20 წელზე მეტი ეწეოდა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას (1902-1916) წლებში პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში და (1905-1916) წლებში სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში, სადაც კითხულობდა ლექციებს და განაგებდა გეოდეზიის კათედრას.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (1907) და მე-II (1913) ხარ.,

«წმ.ანას» ორდენის მე-III (1907) და მე-II (1913) ხარ.,

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV (1915) ხარ.

თბილისში არის მისი სახელობის ქუჩა. სახლს, სადაც ის ცხოვრობდა ამშვენებს მემორიალური დაფა.



**ვასილ დავითის-ძე გაბაშვილი**  
**(30.03.1853- 17.03.1933)**  
**გენერალ-ლეიტენანტი (30.03.1913)**

დაიბადა ტფილისში, აზნაურის ოჯახში.

დაამთავრა ტფილისის კლასიკური გიმნაზია და ტფილისის იუნკერთა სამხედრო სასწავლებელი 1875 წელს.

1870 წლიდან მსახურობდა მე-20 ქვეითი დივიზიის თენგიზის 77-ე ქვეით პოლკში.

მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის (1877-1878) ომში, რუსეთის ლაშქრობაში შუა აზიაში (1879-1885) წლებში და რუსეთის არმიის (1909-1912) წლების ლაშქრობაში სპარსეთში.

1901 წლის 12 თებერვალს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1901-1904 წლებში მეთაურობდა კავკასიის 1-ი მსროლელ ბატალიონს.

1904-1908 წლებში მეთაურობდა ყურინის 79-ე ქვეით პოლკს.

1908 წლის 28 ნოემბერს მიენიჭა «გენერალ-მაიორის» სამხედრო წოდება.

1908-1913 წლებში მეთაურობდა კავკასიის გრენადერთა დივიზიის 1-ლ ბრიგადას.

1909 წელს მეთაურობდა სპარსეთში განლაგებულ რუსულ რაზმს (ქ.ყაზვინში).

1913 წლის მარტში გადადგა სამხედრო სამსახურიდან მუნდირით და პენსიონით.

1914-1915 წლებში პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე კვლავ დააბრუნეს ჯარში, და დანიშნეს კავკასიის მე-3 მსროლელი ბრიგადის მეთაურად.

1915-1916 წლებში მეთაურობდა კავკასიის გრენადერთა დივიზიას.

1916-1917 წლებში მსახურობდა ტფილისის კომენდანტად.

1917 წლის ბოლოს დროებითი მთავრობის მიერ დაინიშნა ახლად შექმნილი ქართული საარმიო კორპუსის მეთაურად, ( რომელსაც სარდლობდა შემდგომში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობისას).

1917 წლის 1 ივლისს დათხოვნილ იქნა თადარიგში ავადმყოფობის გამო.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში, შეადგინა ქართული არმიის რეორგანიზაციის პროექტი. იყო «წმ.გიორგის» ორდენის კავალერთა სათათბირის თავმჯდომარე.

1921 წლის თებერვალში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, არ მოისურვა ემსახურა ახალი ხელისუფლებისათვის და გადადგა სამხედრო სამსახურიდან. ცხოვრობდა ტფილისში. დაკრძალულია იქვე, ვერის სასაფლაოზე.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

«წმ.გიორგის» ორდენის მე-IV ხარისხით -(1915 წლის 17 მაისი),

გიორგის ოქროს იარაღით (1917 წლის 8 ოქტომბერი),

«წმ.ანას» ორდენის მე-III (მახვილებით და ბაფთით-1878), მე-II (1898) და I-ი (მახვილებით-1916) ხარ.,

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV (1880) და მე-III (1906) ხარ.,

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (მახვილებით და ბაფთით- 1877), მე-II (1883) და I-ი (მახვილებით -1911) ხარ.,





**ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე ერისთავი, თავადი**

**(05.06.1873- 10.02.1955)**

**გენერალ-მაიორი (22.02.1915)**

**გენერალ-ლეიტენანტი (23.08.1917)**

დაიბადა ტფილისში, გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ ერისთავის ოჯახში.

დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი 1892 წელს, მიხეილის საარტილერიო სასწავლებელი 1895 წელს, მიხეილის საარტილერიო აკადემია 1903 წელს და, ოფიცერთა საარტილერიო სკოლა.

მსახურობდა მე-20 ცხენოსან-საარტილერიო ბატარეაში, ლაიბ-გვარდიის ცხენოსან არტილერიაში.

მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) და (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომებში.

ომის დროს მსახურობდა ყუბანის კაზაკთა 1-ლი ბატარეის შემადგენლობაში, ომის შემდეგ მსახურობდა ლაიბ-გვარდიის ცხენოსან არტილერიაში, ეკავა ბატარეის კანცელარიის საქმის მწარმოებლის და ბატარეის მეურნეობის უფროსის თანამდებობები.

1908 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1908-1914 წლებში მსახურობდა პოლკოვნიკად იმპერატორ ნიკოლოზ II-ის სახელის გვარდიულ ცხენოსან საარტილერიო ბრიგადაში.

1914-1915 წლებში მეთაურობდა კავალერგარდთა პოლკს, იმავე წელს ჩაირიცხა იმპერატორ ნიკოლოზ II -ის(1868-1918) ამაღლაში.

1915-1916 წლებში მეთაურობდა 1-ლი გვარდიული კავალერიის დივიზიის 1-ლ ბრიგადას.

რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გააკეთა სწრაფი კარიერა.

1917 წლის 14 მაისს დროებითი მთავრობის მიერ იქნა დანიშნული კავკასიის მე-III საარმიო კორპუსის სარდლად.

1917 წლის სექტემბერში თავისი კორპუსით შევიდა ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის მე-VII არმიის შემადგენლობაში.

რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში.

საქართველოს მთავრობის მიერ იყო დანიშნული სამხედრო მისიის ხელმძღვანელად (ატასედ) თურქეთში, სადაც 1921 წლის თებერვალში გაიგო საქართველოს გასაბჭოების ამბავი, და აღარ დაბრუნდა სამშობლოში. შემდეგ გადავიდა საცხოვრებლად საფრანგეთში.

აქტიურად მონაწილეობდა სამხედრო ორგანიზაციების მოღვაწეობაში, იყო რა «რუსი სამხედრო ინვალიდების» კავშირის საფრანგეთის განყოფილების უფროსი და თავმჯდომარე, ჩაატარა კოლოსალური სამუშაო, რათა მოეგროვებინა სახსრები ლტოლვილებისათვის და მოხუცებულებისათვის, თავშესაფრების შენახვისათვის, უმუშევრებზე ზრუნვით და თავისი წევრების ზრუნვაზე საფრანგეთის ბევრ დაწესებულებებში.

იყო «კავალერგარდთა ოჯახის» თავმჯდომარე და რიგი სხვა ორგანიზაციების მზრუნველი.

გარდაიცვალა პარიზში. დაკრძალულია სენტ-ჟენევიევ-დე-ბუას სასაფლაოზე, ძმასთან, ქართული არმიის გენერალ-მაიორ გიგუშა ერისთავთან ერთად.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოვდა

**«წმ.გიორგის» ორდენის მე-IV ხარისხით (1914 წლის 10 ნოემბერი) და**

**გიორგის ოქროს იარაღით (1915 წლის 5 მაისი),**

«წმ.ანას» ორდენის მე-IV (*მამაცობისათვის-1907*), მე-III (*მახვილებით და ბაფთით-1907*), მე-II (*მახვილებით-1907*), I-ი (*მახვილებით-1915*), ხარ.,

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV (1908), მე-IV (*მახვილებით და ბაფთით-1914*) და მე-III (*მახვილებით-1915*) ხარ.,

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (1903), მე-III (*მახვილებით და ბაფთით-1907*), მე-II (*მახვილებით-1907*) და I-ი (*მახვილებით-1915*) ხარ.,

ესპანეთის «წმ.იზაბელა კათოლიკელის» კომანდორთა ჯვრით (1911), საფრანგეთის «საპატიო ლეგიონის» ორდენით (1913).





გენერალი ა.ერისთავი შტაბის ოფიცრებთან ერთად



გენერალ ა.ნ. ერისთავის საფლავის საერთო ხედი



**ტარასი დავითის-ძე ვაშაკიძე**  
**(08.06.1876 – 26.02.1937)**  
**გენერალ-მაიორი (08.05.1918)**

დაიბადა ქუთაისის გუბერნიის სოფელ დიდ გუბში, გლეხის ოჯახში.

1891 წელს დაამთავრა ქუთაისის საქალაქო სასწავლებელი და 1895 წელს ტფილისის იუნკერთა სამხედრო სასწავლებელი.

სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1909 წლიდან დაიწყო სამსახური დარუბანდის 154-ე ქვეით პოლკში.

მიიღო აქტიური მონაწილეობა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში, კერძოდ ცნობილ სარიყამიშის ოპერაციაში.

1914 წლის 19 დეკემბერს შტაბს-კაპიტანმა ვაშაკიძემ ერთ-ერთი ბრძოლის დროს კავკასიის ფრონტზე ხელთ იგდო ოსმალთა 1 პოლკოვნიკი, 2 პოდპოლკოვნიკი, 7 უმცროსი ოფიცერი და 182 ასკერი.

1914 წლის 22 დეკემბერს კაპიტანი ტარასი ვაშაკიძე დაწინაურდა სარიყამიშის ბრძოლაში (ახლ. თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორია),

22 დეკემბერს მოვლენები ამგვარად განვითარდა. ოსმალთა მე-IX კორპუსის სარდლობის დატყვევებისას ტარასი ვაშაკიძე, მიუხედავად იმისა, რომ პოლკის მეთაურმა სასტიკად აუკრძალა დამოუკიდებელი მანევრირება, საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა.

სადამოს 11-12 საათის შუალედში კაპიტანი ვაშაკიძე საკუთარი ინიციატივით დაზვერვაზე იმყოფებოდა. დილის 5 საათამდე დაზვერა და გამოიკვლია ტერიტორია მოწინააღმდეგის კოცონებისა და ხმაურის მიხედვით.

22 დეკემბერს დანიშნული იყო რუსების ერთიანი შეტევა, რომელიც გეგმის მიხედვით დაიწყო კიდევ დღის პირველ საათზე.

კაპიტანმა ვაშაკიძემ, რომელიც შეტევის ოპერატიულ გეგმას უნდა დამორჩილებოდა, ვითარებაში სწრაფი ორიენტირების უნარი გამოამჟღავნა.

იერიშის დროს ვაშაკიძემ თავისი ასეული წინა დამით ჩატარებული დაზვერვის მიმართულებით წაიყვანა. მან და მისმა მეზობლებმა ტყიან ზოლში ხელთ იგდეს ოსმალთა 4 ზარბაზანი და არტილერიისტები.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ უკანასკნელთ მე-IX კორპუსის მთავარი შტაბის მისადგომების დაცვა ევალებოდათ. ამის შემდეგ ვაშაკიძემ განკარგულება მიიღო, ადგილზე დარჩენილიყო და აღარ განეგრძო მოძრაობა მოწინააღმდეგის პოზიციებისკენ.

მან დააპირა რამდენჯერმე შეტევაზე გადასვლა, მაგრამ იგი ბატალიონის მეთაურმა შეაჩერა.

საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში დარწმუნებულმა, მან საერთო წყობა დატოვა და ფორსირებული იერიშით გაიჭრა წინ, სადაც მტრის ძირითადი ძალები ეგულებოდა.

მისი ასეთი მანევრი სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა მოწინააღმდეგისათვის.

ამ ოპერაციის შედეგად კაპიტან ტარას ვაშაკიძის ასეულმა დაატყვევა ოსმალეთის არმიის მე-IX კორპუსის სარდალი ისხაქ-ფაშა თავისი შტაბით, მე-17, 28-ე და 29-ე დივიზიების მეთაურები თავიანთი შტაბებით, 107 ოფიცერი და 2000 ასკერი. ხელთ იგდო 8 ზარბაზანი, 24 ტყვიამფრქვევი, დიდი რაოდენობით ცხენები, ტყვია-წამალი და სხვა სახის ნადავლი.

პირველი მსოფლიო ომის მკვლევარი, გენერალ-მაიორი ნიკოლოზ კორსუნი (1876-1958) აღნიშნულის შესახებ წერდა-

*«Вследствии действий капитана Вашакидзе в учебники по военной стратегии вошел пункт, в котором написано, что расположение штабов недопустимо в гористой местности без должного соблюдения условий безопасности»*

როცა კაპიტან ვაშაკიძის და მისი ასეულის გმირობაზე მოახსენეს რუსების სარდალს, გენერალ ნიკოლოზ იუდენიჩს (1862-1933), მან თქვა-

– Не может быть! Это же просто чудо...

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, რაომონ პუანკარეს ბრძანებით ტარას ვაშაკიძე დაჯილდოვდა საფრანგეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი -« medaille militaire» (1915 წლის 31 ივლისი).

ამ მედლის კავალერი მხოლოდ რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II-ე იყო, და სტატუტით აჯილდოვდნენ მხოლოდ არმიათა სარდლებს. ეს ჯოლდო მას გადასცა პირადად იმპერატორმა ნიკოლოზ II-ემ 1915 წლის 26 ნოემბერს.

გარდა ამისა, პირველი მსოფლიო ომის დროს სხვა ოპერაციებისას გამოჩენილი გმირობისათვის იმპერატორმა ნიკოლოზ II იგი დაჯილდოვდა

**«წმ.გიორგის» ორდენის -მე-IV ხარისხით (1916 წლის 7 იანვარი) და** მიანიჭა ვადაზე ადრე პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდება. გარდა ამისა დაჯილდოებული იყო

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-II (*მახვილებით*-1915)ხარ.,

«წმ.ანას» ორდენის მე-II (*მახვილებით და ბაფთით*-1915) ხარ.

1917 წლის მარტში რუსეთში მომხდარი რევოლუციის შემდეგ ტარასი ვაშაკიძე დაინიშნა დარუბანდის 154-ე პოლკის მეთაურად და მარტის თვეში დროებითი მთავრობის სამხედრო მინისტრის ბრძანებით მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1917 წლის მანძილზე მსახურობდა კავკასიის ფრონტზე.

1918 წლის თებერვალში დაიწყო რუსეთის ჯარის დაშლა ყველგან, მათ შორის კავკასიის ფრონტზეც.



1918 წლის 1 აპრილს ოსმალებმა აიღეს ბათუმი. მრავალ სამხედრო პირთან ერთად მათ დაატყვევეს პოლკოვნიკი ვაშაკიძეც, მაგრამ ის მალევე, 24 აპრილს გაანთავისუფლეს.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო 1-ი ქართული დივიზიის მეთაურის თანაშემწე, მეთაურობდა შენაერთებს აფხაზეთსა და სოჭის რეგიონში, სარდლობდა გაგრის ფრონტს, ერთხანს იყო ტუაფსეს გენერალ-გუბერნატორი.

1921 წლის თებერვალში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე გადადგა სამხედრო სამსახურიდან, თუმცა სამშობლო არ დაუტოვებია.

1922-1937 წლებში მუშაობდა საბჭოთა საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატში, ბუღალტრად.

1923 წ. დაკავებული იყო ე.წ. «სამხედრო ცენტრის» საქმესთან დაკავშირებით, თუმცა მალევე გაათავისუფლეს.

1937 წლიდან იმყოფებოდა პენსიაში წლოვანების გამო.

გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია ვაკის სასაფლაოზე. საფლავი დაცულია (ავტორთა შენიშვნა).





**დიმიტრი სოლომონის-ძე თოფურია**  
**(11.02.1861 – 1934)**  
**გენერალ-მაიორი(12.05.1915)**

დაამთავრა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელი.

1877 წლიდან მსახურობდა ჯარში. მონაწილეობდა (1877-1878) წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში.

1879 წელს დაამთავრა ტფილისის იუნკერთა სასწავლებელი.

1909 წელს მსახურობდა პოდპოლკოვნიკად და მეთაურობდა ასეულს, შემდეგ კი ბატალიონს ზაქათალას 164-ე ქვეით პოლკში.

მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) წლების ომში.

1910 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1914 წლამდე მსახურობდა 164-ე ზაქათალას ქვეითი პოლკის მეთაურის თანაშემწედ.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში. იმყოფებოდა გერმანელთა ტყვეობაში.

1914-1917 წლებში მეთაურობდა 308-ე ჩეხოვსარის ქვეით პოლკს.

1918 წელს დაბრუნდა საქართველოში. მსახურობდა ქართულ ჯარში.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დარჩა საქართველოში.

1924 წლის აჯანყების დროს ხელმძღვანელობდა სამეგრელოს ნაციონალურ-დემოკრატიულ ორგანიზაციას.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

**ოქროს იარაღით (1916 წლის 21 თებერვალი),**

**«წმ.გიორგის» ორდენის მე-IV ხარისხით (1916 წლის 24 ნოემბერი),**

**«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (1894) და მე-II (მახვილებით-1905) ხარ.,**

**«წმ.ანას» ორდენის მე-III (1903) და მე-II (1909) ხარ.**

ალექსანდრე იოსების-ძე კობიაშვილი  
(18.04.1857 -21.10.1918)  
გენერალ-მაიორი (06.12.1910)

დაიბადა ტფილისის გუბერნიის აზნაურის ოჯახში.

დაამთავრა მიხეილის ვორონეჟის კადეტთა კორპუსი 1875 წელს და, მიხეილის საარტილერიო აკადემია 1883 წელს.

მსახურობდა კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში.

1902 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1906 წლამდე მსახურობდა მთავარ საარტილერიო სამმართველოში.

1906-1909 წლებში მსახურობდა პოლკოვნიკად და ლუგანსკის საპატრონო ქარხნის სახელოსნოების უფროსად.

1909-1913 წლებში მსახურობდა იჟევსკის საიარალო ქარხნის სახელოსნოების უფროსად.

1913 წელს გავიდა თადარიგში მუნდირით და პენსიონით.

1918 წლიდან მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო სამხედრო სამინისტროს საარტილერიო სექციის უფროსი.

სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (1889) ხარ.,

გარდაიცვალა ტფილისში, დაკრძალულია წმ.ბარბარეს ეკლესიის ტერიტორიაზე. სამწუხაროდ მისი საფლავი ითვლება დაკარგულად (ავტორთა შენიშვნა).



**გიორგი ივანეს-ძე კვინიტაძე (ჩიქოვანი)**  
**(21.08.1874 -07.08.1970)**  
**გენერალ-მაიორი (27.09.1917)**

გიორგი კვინიტაძე დაიბადა დაღესტანში, პოლკოვნიკ ივანე კვინიტაძისა და პელაგია სულაძის ოჯახში. მამამისი 13 წლამდე ჩიქოვანის გვარს ატარებდა, რომელიც შემდეგ, ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, კვინიტაძედ გადაუკეთებია.

მისი მამა იყო 1853-1856 წლების ყირიმის ომის მონაწილე. მამაცობისათვის დაჯილდოებული იყო «წმ.გიორგის» მე-IV ხარ.ორდენით (1873 წლის 3 ნოემბერს), გარდაიცვალა 1897 წელს.

ივანე კვინიტაძემ დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი, 1894 წელს სანქტ-პეტერბურგის კონსტანტინეს სამხედრო სასწავლებელი და 1910 წელს გენერალური შტაბის აკადემია (1-ი თანრიგით).

მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) წლების ომში.

1894 წლიდან მსახურობდა ჯარში 152-ე ვლადიკავკაზის ქვეით პოლკში, 1909 წლიდან - აღმოსავლეთ-ციმბირის მე-9 მსროლელ პოლკში კაპიტნად, კავკასიის 1-ლ მესანგრეთა ბატალიონში ( პოლონეთის სამეფოში), და მინგრელსკის მე-16 გრენადერთა პოლკში.

1912 წლიდან მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში, დავალებათა ობერ-ოფიცრად.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში, ერზერუმის ციხესიმაგრის შტურმში.

1916 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1915 -1917 წლებში მსახურობდა კავკასიის მე-4 მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსად.

დროებითი მთავრობის დროს 1917 წლის 10 სექტემბერს დაინიშნა კავკასიის მე-15 მსროლელი პოლკის მეთაურად.

1918 წლის 11 იანვარს დაინიშნა კავკასიის ფრონტის გენერალ-კვარტირმაისტერად, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამხედრო მინისტრად და არმიის მთავარსარდლად.

გენერალ ივანე კვინიტაძის სახელი შევიდა რუსეთის საიმპერატორო არმიის ისტორიაში როგორც მაგალითი ბრწყინვალე სამხედრო მოღვაწისა, ხოლო საქართველოს ისტორიაში – როგორც ჭეშმარიტი პატრიოტისა, რომელმაც შესძლო შეენარჩუნებინა და შეენახა თავისი სამშობლოს ისტორიული ტრადიციები და სული.

1918 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, გიორგი კვინიტაძემ უარი თქვა რუსულ ჯარში სამსახურზე, სამშობლოში დაბრუნდა და ქართული არმიის შექმნაში აქტიური მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა.

1918 წელს, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრ გრიგოლ გიორგაძის ბრძანებით, გიორგი კვინიტაძე ჯარების მთავარსარდლად და სამხედრო მინისტრის თანაშემწედ დაინიშნა. იგი მეთაურობდა ქართულ ჯარს თურქეთის (1919 წ.) და წითელი არმიის (1921 წ.) წინააღმდეგ გამართულ ბრძოლებში. ამავე პერიოდში საქართველოს სამხედრო მინისტრმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ, კვინიტაძეს სამხედრო სკოლის ჩამოყალიბება სთხოვა.

1919 წელს ტფილისში იუნკერთა სამხედრო სკოლა გაიხსნა, რომლის პირველი ხელმძღვანელიც გიორგი კვინიტაძე იყო.

გენერალი გიორგი კვინიტაძე ძალღონეს არ იმუშრებდა იმისათვის, რომ ქართული ჯარი გამხდარიყო თანამედროვე არმიების ტოლი, თუმცა სამწუხაროდ მის ძალისხმევას გაგებით არ ხვდებოდა იმდროინდელი ხელისუფლება. სოციალ-დემოკრატები თვლიდნენ, რომ ოფიცრებს მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლა შეეძლოთ და ეჭვის თვალით უყურებდნენ ჯარის გაძლიერებას. ამ უნდობლობისა და უთანხმოების გამო გიორგი კვინიტაძე რამდენჯერმე გადადგა თანამდებობიდან, მაგრამ გაჭირვების ჟამს მას მაშინვე უხმობდნენ და გენერალს არასდროს უთქვამს უარი სამშობლოს სამსახურზე.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში – ქართული კორპუსის 1-ი დივიზიის მეთაურად, სამხედრო მინისტრის თანაშემწედ, აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და შავი ზღვისპირეთის სანაპიროს ჯარების სარდლად, სამხედრო სკოლის უფროსად და საქართველოს ჯარების მთავარსარდლად.

1919 წელს მან ჩაატარა ბრწყინვალე სამხედრო ოპერაცია ისტორიულ სამცხეს მიდამოებში და დაიკავა საქართველოს ისტორიული პროვინცია – ქარდაჰანი (1921 წლიდან თურქეთის რესპ. საზღვრებშია).

1920 წლის აპრილ-მაისში მიაყენა სასტიკი მარცხი საბჭოთა რუსეთის ჯარებს, რომლებიც აზერბაიჯანის მხრიდან ცდილობდნენ საქართველოში შეჭრას. კვინიტაძეს სურდა გაეგრძელებინა შეტევა ბაქოს მიმართულებით, მაგრამ იყო შეჩერებული საქართველოს და საბჭოთა რუსეთს შორის 7 მაისის მშვიდობიანი ხელშეკრულების დადების გამო.

1921 წლის თებერვლის თვეში, უაღრესად მძიმე ვითარებაში, ჟორდანას მთავრობას კიდევ ერთხელ გაახსენდა გიორგი კვინიტაძე. 15 თებერვალს გენერალი კვლავ მთავარსარდლად დაამტკიცეს და ტფილისის დაცვა დაავალეს. კვინიტაძემ სრული მობილიზაცია გამოაცხადა და რამდენიმე დღე ქალაქს წარმატებით იცავდა, მაგრამ 24

თებერვალს რუსებმა ტფილისის მიმართულებით დამატებითი ძალები გადმოისროლეს და ქალაქის დამცველთა ფლანგებიდან შემოვლა დაიწყეს. დედაქალაქს და მასთან ერთად საქართველოს მთავრობას ალყაში მოქცევის საფრთხე დაემუქრა. ასეთ ვითარებაში გიორგი კვინიტაძემ უკან დახევისა და ქალაქის დაცვის გადაწყვეტილება მიიღო.

მოგვიანებით, XI არმიის სარდალი ანატოლი გეკერი კვინიტაძის მიერ შესრულებულ უკანდახევის მანევრს შემდეგ შეფასებას მისცემს:

*«უკანდახევისთვის, რომ ორდენს იძლეოდნენ, იგი უთუოდ კვინიტაძეს ეკუთვნის. ამ უკანდახევით მან სასწაული მოახდინა».*

24 თებერვლის ღამეს ტფილისი ქართული ნაწილებისგან დაიცალა. დედაქალაქი დატოვა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამაც. გამთენიისას ტფილისში უკვე მე-XI წითელი არმიის მოწინავე ნაწილები გამოჩნდნენ.

1921 წლის 16 მარტს მოსკოვსა და ანკარას შორის დადებული ხელშეკრულების მოწერის შემდეგ ცხოვრობდა ემიგრაციაში, ჯერ სტამბოლში, სადაც ხელმძღვანელობდა ტფილისის სამხედრო სკოლის იუნკრების გადანაწილებას საბერძნეთის, პოლონეთის და საფრანგეთის სამხედრო სასწავლებლებში.

1922 წლიდან ცხოვრობდა პარიზში, მუშაობდა გრამფირფიტების ქარხანა «Pathe»-ში.

1923 წლიდან დაკავებული იყო მაწვნის წარმოებით. ევროპის ისტორიაში შევიდა როგორც იოგურთის გამომგონებელი.

ემიგრაციაში ყოფნისას გიორგი კვინიტაძე იყო 1950-იან წლებში დაარსებული რამდენიმე ანტისაბჭოთა ორგანიზაციის ნამდვილი და საპატიო წევრი, კერძოდ: «პარიზის ბლოკის», «ქართველთა დემოკრატიული კავშირის», «ქართველ მხედართა დარაზმულობის» და სხვა.

მთელი დარჩენილი ცხოვრება გიორგი კვინიტაძემ საფრანგეთში გაატარა.

1932 წლიდან ხელმძღვანელობდა «ყოფილ მეომართა ასოციაციას», ერთდროულად იმყოფებოდა ტფილისის სამხედრო სკოლის პრეზიდენტად.

1935 წლიდან თანამშრომლობდა გაზეთ «კავკასიის» გამომცემლობასთან.

1945-1960 წლებში კვლავ იყო დაკავებული მაწვნის წარმოებით.

გარდაიცვალა შატუში. დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

ავტორია გამოქვეყნებული წიგნისა «ჩემი მოგონებანი-1917-1922» (პარიზი, 1985).

ქართულ ჯარში დაწესებულია მედალი «გენერალი კვინიტაძე» (2006).

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო **გიორგის ოქროს იარაღით (1917 წლის 31 ივლისი) და «წმ.გიორგის» ორდენის მე-IV ხარისხით (1917 წლის 27 სექტემბერი),**

«წმ.ანას» ორდენის მე-IV (*მამაცობისათვის-1904*) და მე-III (1912) ხარ.,

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (*მახვილებით და ბავთით-1905*) ხარ.

1985 წელს პარიზში, გამომცემლობა YMGA-PRESS-ში დაიბეჭდა გიორგი კვინიტაძის მემუარები რუსულ ენაზე «Мои воспоминания в годы независимости 1917-1921».

გიორგი კვინიტაძის პირადი არქივი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. არქივი შემოსწირა მისმა ქალიშვილმა, ნინო დ'აზო-კვინიტაძემ 2007 წლის 22 ოქტომბერს.



**ვასილ დიმიტრის-ძე ლიონიძე, თავადი  
(17.08.1864 -1929)  
გენერალ-მაიორი (1917)**

დაიბადა გირის მაზრის სოფელ სასირეთში.

განათლება მიიღო ვლადიკავკაზის საქალაქო სასწავლებელში.

1881 წელს დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი და 1885 წელს ტფილისის ქვეითთა იუნკერთა სასწავლებელი.

1885-1914 წლებში მსახურობდა 125-ე ვლადიკავკაზის ქვეით პოლკში, რაჭის მაზრის უფროსად და ბათუმის მაზრის სამხედრო უფროსად, 1909 წლიდან მსახურობდა მე-14 ქართველ გრენადერთა პოლკში პოდპოლკოვნიკად.

1911 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1914-1916 წლებში მეთაურობდა 118-ე ქვეით სათადარიგო ბატალიონს.

1916-1917 წლებში ირიცხებოდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის რეზერვში.

1917-1918 წლებში მეთაურობდა კავკასიის ფრონტის 222-ე ქვეით პოლკს.

1918 წლის ივლისიდან თადარიგში იყო და იდგა აღრიცხვაზე კავკასიის ფრონტის შტაბში.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში, არმიის სამხედრო-სააღრიცხვო განყოფილების უფროსად.

1917 წლის რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, თავადებმა ლიონიძეებმა გადაიკეთეს თავიანთი გვარი – ლეონიძეებად, რათა გადარჩენოდნენ რეპრესიებს საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან.

დაკრძალულია ტფილისში, კუკიის სასაფლაოზე. სამწუხაროდ, საფლავი ითვლება დაკარგულად (ავტორთა შენიშვნა).

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული  
იყო

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV (1903) ხარ.,

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-II (1909) ხარ.,

«წმ.ანას» ორდენის მე-III (1901) ხარ.

(გენერალ ვ.დ. ლიონიძის (ლეონიძის) შესახებ ინფორმცია ავტორებს მოაწოდა გენერლის  
ერთ-ერთმა შთამომავალთაგანმა – **მიხეილ ლეონიძემ**, პოლიციის პოლკოვნიკმა, შინაგან  
საქმეთა სამინისტროს პოლიციის დამსახურებულმა მუშაკმა, რისთვისაც ავტორები უხდიან  
მას გულითად მადლობას).





**გიორგი ივანეს-ძე მაზნიაშვილი**  
**(1872 – 11.12.1937)**  
**გენერალ-მაიორი (18.01.1918)**

დაიბადა გორის მაზრის, სოფელ სასირეთში.

სამხედრო განათლება მიიღო რუსეთში.

1909 წელს მსახურობდა აღმოსავლეთ-ციმბირის გენერალ-ადიუტანტ გრაფ მურავიოვ-ამურსკის სახელის მე-2 მსროლელ პოლკში კაპიტნად.

მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) და (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომებში. ვარშავასთან იქნა დაჭრილი.

1917 წლის აგვისტოდან მსახურობდა ციმბირის 1-ი მსროლელი პოლკის მეთაურად.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ის დაბრუნდა საქართველოში, ჩამოაყალიბა მე-2 დივიზია, რითაც აქტიურად იცავდა ტფილისს ქაოსისა და ბოლშევიკური მასებისაგან. გიორგი მაზნიაშვილი იყო დაუმარცხებელი გენერალი, რომელსაც არც ერთი ბრძოლა არ წაუგია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში.

1918 წლის ბრესტის ზავის თანახმად, თურქებმა დაიკავეს ბათუმი და შეუტიეს გურიას. საფრთხე დაემუქრა ოზურგეთს. გიორგი მაზნიაშვილმა მილიციის, პარტიზანული რაზმების და მოხალისეთა მობილიზების შედეგად გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა თურქებს მდინარე ჩოლოქთან.

1918 წელს დაინიშნა აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად, სადაც ივნისის თვეში წარმატებული დარტყმა მიაყენა რუსეთიდან დამრულ ურდოებს. დაიკავა ქალაქები გაგრა, სოჭი, ტუაფსე, რომლებზეც პრეტენზიას აცხადებდნენ როგორც თეთრი, ისე წითელი რუსეთი.

1918 წლის ოქტომბერში მაზნიაშვილი დაინიშნა ტფილისის ოლქის გენერალ-გუბერნატორად.

1919 წელს იყო ახალციხისა და ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორი, ხოლო 1920 წელს დაინიშნა ტფილისის გარნიზონის უფროსად.

1921 წლის თებერვალ-მარტის ბრძოლების დროს ომში რუსეთთან სარდლობდა ტფილისის (სოდანლულის სექტორი) ფრონტს.

1921 წლის 19 თებერვალს მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება წითლებზე და დაატყვევა მისი 1600 ჯარისკაცი.

1921 წელს თურქებმა ხელახლა დაიკავეს ბათუმი. გიორგი მაზნიაშვილმა სასწრაფოდ მობილიზებული ქართული ჯარის ნარჩენებით გაათავისუფლა ქალაქი და მთლიანად აჭარა, და ეს რეგიონი საბჭოთა ხელისუფლებას გადასცა.

1921 წლის აპრილიდან მსახურობდა ქართულ წითელ ჯარში დივიზიის მეთაურად, შემდეგ ქვეითი ჯარების ინსპექტორად.

1921 წლის სექტემბერში დააპატიმრეს.

1923 წელს «სამხედრო ცენტრის» წევრებთან ერთად მიუსაჯეს დახვრეტა, მაგრამ დამსახურებისათვის საბჭოთა ხელისუფლების წინაშე (აჭარის განთავისუფლება) მას სიკვდილი შეუცვალეს ქვეყნიდან 5 წლით გამეფებით. ემიგრაციაში ცხოვრობდა საფრანგეთში.

1928 წელს დაბრუნდა საქართველოში. მას, როგორც «მოღალატეს» და «სამშობლოს მტერს» ახალმა ხელისუფლებამ არ მისცა სამუშაო და პენსია.

გიორგი მაზნიაშვილი დასახლდა თავის მამაპაეულ სოფელ სასირეთში და ხელი მიჰყო გლეხურ მეურნეობას. 1937 წლის რეპრესიების დროს დააპატიმრეს მისი ვაჟი და დახვრიტეს. ძალიან მალე თავად გიორგი მაზნიაშვილიც დააპატიმრეს და დახვრიტეს. მისი საფლავი დღემდე უცნობია.

2013 წელს 26 სექტემბერს მას საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

სოფელ სასირეთში მოქმედებს გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმი.

მის კალამს ეკუთვნის წიგნი «მოგონებანი (1917-1921)»

2006 წელს ქართულ არმიაში დაწესდა მედალი «გენერალი მაზნიაშვილი».

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო

**«წმ.გიორგის» ორდენის მე-IV ხარ.(1917 წლის 5 აგვისტო) –«წარჩინებისათვის ციმბირის მე-2 მსროლელ პოლკში»**





აბელ გაბრიელის-ძე მაყაშვილი, თავადი  
(06.06.1860-1920)  
გენერალ-მაიორი (18.01.1916)

დაიბადა ოფიცრის ოჯახში.

დაამთავრა ელისავეტგრადის სამხედრო პროგიმნაზია 1877 წელს, ყაზანის ქვეით იუნკერთა სასწავლებელი 1880 წელს და ოფიცერთა მსროლელი სკოლა.

ჯარში მსახურობდა 1877 წლიდან.

1880 წლიდან მსახურობდა 164-ე ზაქათალას ქვეით პოლკში. მეთაურობდა ასეულს და ბატალიონს.

1909 -1914 წლებში მსახურობდა პოდპოლკოვნიკად 185-ე ბაშკადიკლარის სარეზერვო ბატალიონის მეთაურის თანაშემწედ, შემდეგ მეთაურად.

1910 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1914 წლის 25 ივნისს დაინიშნა გორის 202-ე ქვეითი პოლკის მეთაურის დროებით მოვალეობის შემსრულებლად.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1914-1917 წლებში მეთაურობდა მე-16 გრენადერთა მინგრელსკის პოლკს.

1917 წლის 26 აპრილიდან მეთაურობდა კავკასიის გრენადერთა დივიზიის 1-ლ ბრიგადას.

ილუსტრირებულ მხატვრულ-ლიტერატურულ ჟურნალ «Искры»-ში, რომელიც ყოველკვირეულად გამოდიოდა მოსკოვში გაზეთ «Русское слово»-ს დანამატის სახით, 1916 წლის 13 ნოემბრის №44-ი ნომერი ამცნობდა თავის მკითხველს შემდეგს-

*«Князь Макаев командир одной из доблестных наших дивизий. Князь постоянно живет в окопах среди своих солдат, разделяя с ними все тягости окопной жизни. В его руках всегда папка, с которой он никогда не расстаётся, и при помощи которой он совершает свои обходы окопов. Он известен своей беззаветной храбростью и популярностью среди солдат, которые не называют его иначе, как «наш окопный генерал».*



**ჟურნალ «Искры»-ს ყდა 1916 წლის 13 ნოემბრის № 44 გენერალ-მაიორ ა.გ.მაცაშვილის გამოსახულებით**

1917 წლის რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გავიდა თადარიგში და ცხოვრობდა ტფილისში.

1918 – 1919 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო ახალციხის გენერალ-გუბერნატორი და ტფილისის სამხედრო კომენდანტი.

1919-1920 წლებში მსახურობდა აზერბაიჯანის ჯარში, მე-2 ქვეითი დივიზიის უფროსის თანაშემწედ.

აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის, არტილერიის გენერლის სამედ-ბეი მეხმანდაროვის (1855-1931) ბრძანებით, გენერალ-მაიორი მაცაშვილი მიღებულ იქნა სამხედრო სამსახურში და დაინიშნა ჯერ 1-ი ქვეითი დივიზიის უფროსის თანაშემწედ (ხანკენდის გარნიზონის უფროსის მოვალეობის უფლებების შესრულებით), ხოლო მოგვიანებით მე-2 ქვეითი დივიზიის უფროსის თანაშემწედ.

1920 წლის მარტში დაინიშნა განჯის გამაგრებული რაიონის უფროსად და განჯის სამხედრო სკოლის უფროსად.

დაიღუპა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს. (ერთი ვერსიით მას ხელ-ფეხი შეუკრეს და გადააგდეს კასპიის ზღვაში) წითლების მიერ ბაქოს ალების შემდეგ.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

**გიორგის ოქროს იარაღით (1917 წლის 4 მარტი)- « წარჩინებისათვის გორის 202-ე ქვეითი პოლკის მეთაურის დროებით მოვალეობის შესრულებისათვის»**

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV(1910) და მე-III (მახვილებით) ხარ.,

«წმ.ანას» ორდენის მე-II (1906) ხარ.,

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-II (1899) და I-ი (მახვილებით-1917) ხარ.,



**დავით მიხეილის-ძე მაჭავარიანი**  
**(30.08.1864 –15.07.1924)**  
**გენერალ-მაიორი (23.09.1917)**

დაიბადა ტფილისში, აზნაურ მიხეილ ლუარსაბის-ძე მაჭავარიანის ოჯახში.

დაამთავრა თემირ-ხან-შურას რეალური სასწავლებლის მექანიკა-ტექნიკური განყოფილება 1884 წელს და ტფილისის სამხედრო სასწავლებელი 1888 წელს.

ჯარში მსახურობდა 1888 წლიდან. 1909 წელს დაამთავრა ოფიცერთა მსროლელი სკოლა. იმავე წლიდან მსახურობდა კაპიტნად ერევნის მე-13 ლაიბ-გრენადერთა პოლკში.

(1914-1918) წლების პირველი მსოფლიო ომის დროს იბრძოდა აღმოსავლეთ პრუსიაში.

1914 წლის 1 ნოემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. რამოდენიმე ჯერ მძიმედ დაიჭრა.

1916 წლის 26 აპრილს დაინიშნა 490-ე რეჟვის ქვეითი პოლკის მეთაურად.

1917 წლის 8 ივნისს დაინიშნა სახელმწიფო ლაშქრის 37-ე ბრიგადის მეთაურად.

1917 წლის 23 სექტემბერს კავკასიის ფრონტის მთავარსარდლის №181 ბრძანების საფუძველზე მიეზიჭა «გენერალ-მაიორის» სამხედრო წოდება.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში, სამხედრო სამინისტროში, სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში. იყო ოფიცერთა საკრებულოს სასამართლოს თავმჯდომარე.

1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, გადადგა სამხედრო სამსახურიდან. ცხოვრობდა ტფილისში. გარდაიცვალა და დაკრძალულია იქვე.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

**«წმ.გიორგის» ორდენის მე-IV ხარისხით (1917 წლის 25 ოქტომბერი),**

**«წმ.ანას» ორდენის მე- III (1907) და მე-II ხარ.(მახვილებით),**

**«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III და მე-II ხარ. (1916),**

**«წმ.ვლადიმერის» მე-IV (მახვილებით და ბავთით-1915) და მე-III ხარ.**

(ბიოგრაფიული ცნობები გენერალ-მაიორ დავით მაჭავარიანზე ავტორებს მიაწოდა გენერლის შვილიშვილმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, გ.ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების კვლევის და მეგლთა დაცვის სამეცნიერო ცენტრის დირექტორმა, ქალბატონმა მარიამ დიდებულიძემ, რისთვისაც ავტორები უხდიან მას გულითად მადლობას).



**ზაქარია ასლანის-ძე მდივანი**  
**(05.09.1867-18.04.1933)**  
**გენერალ-მაიორი (18.01.1915)**

დაიბადა ტფილისში, აზნაურის ოჯახში.

დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი 1884 წელს, კონსტანტინეს სამხედრო სასწავლებელი 1886 წელს და გენერალური შტაბის აკადემია 1898 წელს (1-ი თანრიგით).

მსახურობდა ვარშავის საციხოვნო არტილერიაში და კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში.

აკადემიის დამთავრების შემდეგ ირიცხებოდა კავკასიის სამხედრო ოლქში.

1899 წელს გადაყვანილ იქნა გენერალურ შტაბში.

1899-1902 წლებში მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი ადიუტანტის თანაშემწედ.

1902-1908 წლებში მსახურობდა ბათუმში, მიხეილის სიმაგრის შტაბის უფროსად.

1906 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1908- წელს დაინიშნა 39-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსად.

1908-1910 წლებში მსახურობდა პოლკოვნიკად და მე-13 ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსად.

1910-1912 წლებში მსახურობდა სევასტოპოლის სიმაგრის შტაბის უფროსად.

1912-1915 წლებში მსახურობდა ლაიბ-გვარდიის მე-13 ერივანსკის პოლკის მეთაურად.

1913 წელს დაინიშნა იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტად.

1915 წელს ჩაირიცხა იმპერატორ ნიკოლოზ II-ს ამალაში. შედიოდა იმპერატორის უახლოეს გარემოცვაში.

1915 წელს ირიცხებოდა კავკასიის არმიის მთავარსარდლის განკარგულებაში.

1915-1917 წლებში მსახურობდა კავკასიის მე-IV საარმიო კორპუსის შტაბის უფროსად.

1917-1918 წლებში მსახურობდა 39-ე ქვეითი დივიზიის უფროსად, კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარ უფროსად, ბათუმის ციხის შტაბის უფროსად, ბათუმის სამხედრო კომენდანტად და ბათუმის ოლქში განლაგებულ ყველა ჯარების უფროსად.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას მის ორგანიზაციაში. ერთხანს იყო ქართული არმიის მთავარსარდალი.

1921 წლიდან ცხოვრობდა ემიგრაციაში, ჯერ თურქეთში, შემდეგ საფრანგეთში.

გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უცხოეთის განყოფილების (ИНО ОГПУ) ცნობით 1924 წლის 8 სექტემბერს იმყოფებოდა სტამბოლში და აპირებდა საქართველოში დაბრუნებას.

ცხოვრობდა პარიზში, იყო «ლაიბ-ერევნელების» თავმჯდომარე, თავის თავს უწოდებდა თავადს, მაგრამ რუსეთის იმპერიაში და არც საქართველოს სამეფოში ეს გვარი არასოდეს არ იყო დამტკიცებული თავადის ხარისხში.

გარდაიცვალა პარიზში. დაკრძალულია სენტ-ჟენევიევ-დე-ბუას სასაფლაოზე.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

«წმ.ანას» ორდენის მე-III (1904) და I-ი (1916) ხარ.,

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV (1908) , მე-III (1911) და მე-II (1916) ხარ.,

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (1902), მე-II (1906) და I-ი (*მახვილებით*-1915) ხარ.



**ლუი – ნაპოლეონ აშლის-ძე მიურატი, პრინცი**

**(25.08.1872 – 14.06.1943)**

**გენერალ-მაიორი (1917)**

დაიბადა ბრინოაში (საფრანგეთი).

დამთავრა სომიურის კავალერისტთა სკოლა, რომლის დამთავრების შემდეგ 1891 წლიდან მსახურობდა ფრანგული არმიის 25-ე დრაგუნთა პოლკში.

რუსულ ჯარში მსახურობდა 1904 წლიდან ლაიბ-გვარდიის ცხენოსან პოლკში.

მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) წლების ომში. ერთ-ერთი ბრძოლის დროს დაიჭრა.

1909-1911 წლებში მსახურობდა კავალერიის ოფიცერთა სკოლაში, საკურსო ოფიცრის თანაშემწედ.

1910 წლის 3 ივნისს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1914-1915 წლებში მსახურობდა ინგუშთა ცხენოსანი პოლკის მეთაურის თანაშემწედ.

1915 წელს დაინიშნა კავალერიის ოფიცერთა სკოლის პოლკის მეთაურად.

კარპატებში ბრძოლების დროს, ძლიერ მოეყინა ორივე ფეხი და ვეღარ შესძლო მიეღო მონაწილეობა ბრძოლებში.

1915-1916 წლებში იმყოფებოდა კავკასიის არმიის მთავარსარდლის განკარგულებაში.

1916-1917 წლებში მსახურობდა მე-12 დრაგუნთა პოლკის მეთაურად.

რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, 1921 წლის თებერვლამდე ცხოვრობდა საქართველოში (ზუგდიდში, დედის მამულში).



მსახურობდა ქართულ ჯარში. 1919 წლის 23 სექტემბერს დაინიშნა უცხო სახელმწიფოების მისიებთან კავშირის დამჭერ ოფიცერთა ჯგუფში, საკავშირო ნაწილის უფროსის თანაშემწედ.

1921 წლის თებერვალში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, დაბრუნდა საფრანგეთში. ცხოვრობდა ნიცაში.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV (მახვილებით და ბაფთით-1905) და მე-III (მახვილებით-1914) ხარ.,

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (მახვილებით და ბაფთით-1905) და მე-II (მახვილებით-1905) ხარ.,

«წმ.ანას» ორდენის მე-IV (მამაცობისათვის-1904), მე-III (მახვილებით და ბაფთით-1905) და მე-II (მახვილებით-1905) ხარ.



გენერალ-მაიორ მიურატის მშობლები-  
ამილ მიურატი და სალომე დადიანი

იაკობ ლევანის-ძე მუსხელიშვილი, თავადი  
(09.09.1865 -21.01.1936)  
გენერალ-მაიორი (09.03.1918)

საერთო განათლება მიიღო ტფილისის კადეტთა კორპუსში. დაამთავრა მიხეილის საარტილერიო სასწავლებელი და ოფიცერთა საარტილერიო სკოლა.

ჯარში მსახურობდა 1884 წლიდან, ყარს-ალექსანდროპოლის საციხოვნო არტილერიაში. მეთაურობდა საციხოვნო არტილერიის ასეულს.

1911 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1915-1916 წლებში-მეთაურობდა მძიმე საარტილერიო ბრიგადის 1-ლ დივიზიონს.

1916-1918 წლებში-იმყოფებოდა დვინსკის სამხედრო ოლქის შტაბის რეზერვში.

1918 წლიდან იყო ბათუმის ციხის არტილერიის უფროსი და მიხეილის საციხოვნო საარტილერიის მეთაური.

1918 -1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან და დარჩა სამშობლოში. არაერთხელ იქნა დაპატიმრებული.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

«წმ.ანას» ორდენის მე-III (1906) ხარ.,

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე- II (1909) ხარ.,

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV( *მახვილებით და ბაფთით*-1915) ხარ.

დაკრძალული იყო ტფილისში, ვერის ძველი სასაფლაოს ტერიტორიაზე (ამჟამად ვერის ბაღის ტერიტორია).



ილია ზურაბის-ძე ოდიშელიძე  
(25.03.1865-1925)  
ინფანტერიის გენერალი (04.06.1918)

დაიბადა ოფიცრის ოჯახში.

დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი, ალექსანდრეს მე-3 სამხედრო სასწავლებელი 1887 წელს და ნიკოლოზის გენერალური შტაბის აკადემია 1- თანრიგით 1894 წელს.

1895-1897 წლებში მსახურობდა კავკასიის მე-2 კაზაკთა დივიზიის შტაბის უფროს ადიუტანტად.

1897-1900 წლებში მსახურობდა უსტ-დვინის ციხის სამწყობრო განყოფილების უფროსად.

1900-1902 წლებში მსახურობდა უსტ-დვინის ციხესიმაგრის შტაბის უფროსად.

1902-1904 წლებში მსახურობდა აღმოსავლეთ-ციმბირის მე-6 მსროლელი დივიზიის მმართველობის შტაბ-ოფიცრად.

მონაწილეობდა (1904-1905) წლების რუსეთ-იაპონიის ომში.

1904 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1904 წელს ასრულებდა აღმოსავლეთ-ციმბირის მე-3 მსროლელი დივიზიის შტაბის უფროსის თანამდებობას.

1906-1908 წლებში მსახურობდა ციმბირის მე-3 მსროლელი პოლკის მეთაურად.

1908-1909 წლებში მსახურობდა პოლოვნიკად მარიამ თევდორეს ასულის სახელის აღმოსავლეთ-ციმბირის მე-11 მსროლელი პოლკის მეთაურად.

1909-1911 წლებში მსახურობდა თურქესტანის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის დავალებათა გენერლად.

1910 წლის 16 ივლისს მიენიჭა-«გენერალ-მაიორის» სამხედრო წოდება.

1911-1914 წლებში მსახურობდა სამარყანდის ოლქის სამხედრო გუბერნატორად.

1914 წლის 9 იანვარს დაინიშნა თურქესტანის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსად.

1914 წლის 11 ოქტომბერს «გენერალ-ლეიტენანტის» სამხედრო წოდება მიენიჭა.

13 ოქტომბერს ის ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის (სარდალი გენერალი რუზსკი) მე-10 არმიის (სარდალი გენერალი სივერსი) შტაბის უფროსად ინიშნება.

23 დეკემბერს 1-ლი არმიის (სარდალი გენერალი ლიტვინოვი) შტაბის უფროსად გადაჰყავთ. ამ პოსტზე გენერალ-ლეიტენანტი ოდიშელიძე მსახურობდა 1917 წლის 16 იანვრიდან 12 სექტემბრამდე, ერთდროულად ის მე-XV საარმიო კორპუსის მეთაურია.

ამის პარალელურად, 12-დან 24 აპრილამდე, ის 1-ლ არმიასაც ხელმძღვანელობდა.

1917 წლის 12 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე ოდიშელიძე დასავლეთის ფრონტზე (სარდალი გენერალი ბალუევი) მოქმედი მე-3 არმიის სარდალია.

1917 წლის 2 ოქტომბერს გენერალ-ლეიტენანტი ილია ოდიშელიძე კავკასიის არმიის სარდალად ინიშნება და საქართველოში ბრუნდება.

ძალიან რთულ პერიოდში მოუწია ილია ოდიშელიძეს კავკასიის არმიის სარდალობა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ნელ-ნელა რუსეთის არმიის დეზორგანიზაცია, დემორალიზაცია და დაშლა დაიწყო. 25 ოქტომბერს პეტროგრადში მოწყობილი გადატრიალებისა და ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ ეს პროცესები უკვე შეუქცევადი გახდა. ოდიშელიძე ცდილობდა კავკასიის არმიის დაშლა შეეჩერებინა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. კავკასიის ფრონტი იშლებოდა და ამას ვერაფერი შეაჩერებდა. ილია ოდიშელიძის მცდელობა, რომ ოსმალეთის არმიისათვის წინააღმდეგობა გაეწია და მისი წინსვლა შეეჩერებინა – უშედეგო აღმოჩნდა. შექმნილ ვითარებაში კავკასიის ჯერ კიდევ, თუნდაც ფორმალურად, არსებული არმიის მთავარსარდალმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო და, ეროვნული შენაერთების შექმნას შეუწყო ხელი.

1918 წლის ზამთარში კავკასიის არმიამ ფაქობრივად არსებობა შეწყვიტა. ამ დროისათვის ილია ოდიშელიძე ამიერკავკასიის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწეა.

«ოზაკომის» პერიოდში ეკავა ამიერკავკასიების რესპუბლიკების სამხედრო მინისტრის თანაშემწის პოსტი, მაგრამ მალევე სომხეთის წარმომადგენლების მოთხოვნით, ოდიშელიძე გაანთავისუფლეს თავისი ნაციონალისტური გამოთქმებებისათვის.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გენერალ ოდიშელიძის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება. ამიერიდან ის საქართველოს სამსახურში დგება და სამი წლის მანძილზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის სამხედრო ცხოვრებაში. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში მისი პირველი პოსტი სამხედრო მინისტრის მოადგილეობა იყო. სამხედრო მინისტრ გიორგაძის 1918 წლის 24 ივნისის №17 ბრძანებით ილია ოდიშელიძე სამხედრო მინისტრის ამხანაგად ანუ მოადგილედ დაინიშნა. თუმცა ამ პოსტზე მას დიდხანს არ უმუშავია. იმავე წლის 16 აგვისტოს პირადი განცხადების საფუძველზე გენერალი ოდიშელიძე განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, მინისტრის განკარგულებაში დატოვებით. ცოტა ხანში ის უკვე სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეა.

იმავე წლის 25 სექტემბერს გენერალი ილია ოდიშელიძე იმ კომისიის თავმჯდომარედ ინიშნება, რომელსაც ყველა საჭირო წესდების გადასინჯვა, თარგმნა, გამოცემა, სამხედრო

ფორმის ახალი პროექტის განხილვა და ჯარების სამსახურთან და მოწყობასთან დაკავშირებული სხვა საქმეების განხილვა ევალეობდა.

ხელს უწყობდა ეროვნული (ქართული, სომხური, მუსლიმანური და რუსული) კორპუსების ჩამოყალიბებას. ცდილობდა ხელი შეეშალა 1918 წლის თებერვალში რუსული ჯარის დაშლას და თურქეთის ჯარებისადმი წინააღმდეგობის ორგანიზაციის დაძლევას. მაგრამ თავისი სრული გაღრწნილობის შედეგად, 1918 წლის 28 თებერვალს რუსეთის არმია იქნა ლიკვიდირებული.

თავისი მოსაზრებებით ახლოს იდგა ქართველ ნაციონალ-დემოკრატებთან, რომლებიც ემხრობოდნენ გერმანულ ორიენტაციას.

ილია ოდიშელიძე იყო პარიზის კონფერენციაზე გაგზავნილი, როგორც საქართველოს დელეგაციის სამხედრო ექსპერტი. მან 1919 წლის 1 მაისს ივანე ჯავახიშვილთან ერთად წარადგინა დოკუმენტი, რომელშიც ისტორიული, ეთნოგრაფიული და სამხედრო-სტრატეგიული არგუმენტების გათვალისწინებით დადგენილი იყო საქართველოს ისტორიული საზღვრები.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა იუწყებოდა :

*„1919 წლის 13 სექტემბერს, დღის 12 საათზე და 55 წუთზე ვერის დაღმართზე, საქართველოს სამხედრო უწყების ავტომობილის ნომერი 20, რომლითაც რუსთაველის ქუჩისაკენ მიდიოდნენ შიგ მსხდომნი მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელი ამიერკავკასიაში კავალერიის გენერალი ბარათოვი, საქართველოს ჯარის გენერალ-ლეიტენანტი ოდიშელიძე და პოლკოვნიკი სელიმ გეორგის ძე ალხავი, ბოროტ-განმზრახველებმა ესროლეს ერთი მეორეზე ორი ყუმბარა. ორივე ჩასკდა ავტომობილის ქვეშ, ავტომობილის წინა ნაწილი ნაფოტებად აქცია და მოკლა პოლკოვნიკი ალხავი, შოფერი ვასილ ჟუჟიაშვილი, მისი თანაშემწე შალვა სამათაძე, დაჭრილია ფეხებში გენერალი ბარათოვი და სახეზე გენერალი ოდიშელიძე“.*

1920 წლის 4 თებერვალს ილია ოდიშელიძემ წარადგინა მოხსენება საქართველოს საზღვრების დაცვის შესახებ. მასში გაანალიზებული იყო არსებული ვითარება, საქართველოს შეიარაღებული ძალების მდგომარეობა და ქვეყნის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებები. გენერლის აზრით მობილიზაციის შემთხვევაში საქართველოს შეიძლება ყოლოდა ქვეითთა 36 ბატალიონი, 3 ესკადრონი და ქონოდა 96 ქვემეხი და 216 ტყვიამფრქვევი. 1920 წლის ზაფხულში ილია ოდიშელიძე სამხედრო მინისტრის მოადგილეს სამწყობრო მომზადების დარგში და, ამავე დროს სამხედრო საბჭოს წევრიც.

1920 წლის 23 სექტემბერს, სამხედრო მინისტრი გრიგოლ ლორთქიფანიძე შვებულეებაში გავიდა და მინისტრის მოვალეობის შესრულება მის მოადგლეს, გენერალ ილია ოდიშელიძეს დაევალა. ოდიშელიძე მინისტრის მოვალეობას 10 ნოემბრამდე ასრულებდა.

1920 წლის 13 დეკემბერს ილია ოდიშელიძე საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დაინიშნა. გენერლებმა ოდიშელიძემ და ზაქარიაძემ წერილობითი მოხსენება გადასცეს თავდაცვის საბჭოს 1921 წლის 15 იანვარს, რესპუბლიკის თავდაცვითუნარიანობის გაუმჯობესების შესახებ.

1921 წლის 11-12 თებერვლის ღამეს ლორეს ნეიტრალურ ზონაში განთავსებულ ქართულ ჯარს თავს დაესხნენ საბჭოთა სომხეთში განლაგებული საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალები.

ომის პირველი ეტაპი ქართული შეიარაღებული ძალების მიერ წაგებულ იქნა. შედეგად, 16 თებერვალს დღის პირველი საათისთვის მთავარსარდალი გენერალი ილია ოდიშელიძე გადაყენებულ იქნა და მისი ადგილი გენერალმა გიორგი კვინიტაძემ დაიკავა. ოდიშელიძე მთავრობის თავმჯდომარის სამხედრო მრჩევლად დაინიშნა. ილია ოდიშელიძემ თავისი ცოდნა და გამოცდილება კიდევ ერთხელ დაადასტურა 24 თებერვალს, მთავრსარდალ კვინიტაძესთან გამართულ თათბირზე. აქ გენერალმა ოდიშელიძემ შექმნილი ვითარების ანალიზი გააკეთა და სამომავლო მოქმედების მიმართულებებიც დასახა. ის იყო ერთადერთი, ვინც ტფილისის დატოვების შესახებ მთავარსარდალის გადაწყვეტილებას შეეწინააღმდეგა.

1921 წლის 17 მარტს ილია ოდიშელიძემაც დატოვა სამშობლო. ის სტამბოლში დარჩა და სხვათა მსგავსად საფრანგეთში არ წასულა. სტამბოლში ყოფნის დროს მან ვრცელი მოხსენება წაიკითხა 1921 წლის ომის შესახებ. გენერალი ილია ოდიშელიძე სტამბოლშივე გარდაიცვალა. ზუსტი თარიღი უცნობია, სავარაუდოდ 1925 წელს.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

«წმ.გიორგის» ორდენის მე-IV ხარისხით (1907 წლის 19 სექტემბერი) და ოქროს იარაღით (1905 წლის 29 მარტი),

«წმ.ანას» ორდენის მე-III (მახვილებით და ბაფთით-1905) , მე-II (მახვილებით-1906) და I-ი(1914) ხარ.,

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (1902) და I-ი (1912) ხარ.,

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV (მახვილებით და ბაფთით-1905) და მე-III (მახვილებით-1905) ხარ.



**ბაგრატ გიორგის-ძე ჟღენტი**  
**(გარდ.1920 წ.)**  
**გენერალ-მაიორი (1917)**

1909 წელს მსახურობდა კაპიტნად, მოსკოვის სამხედრო ოლქის, სოლიგალიჩის მაზრის სამხედრო უფროსად.

1918 წლამდე მსახურობდა კავკასიის არმიის ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების უფროსად.

1918 წლიდან მსახურობდა ქართულ ჯარში ანალოგიურ თანამდებობაზე.

გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ტფილისში.

დაკრძალვის ადგილი უცნობია (ავტორთა შენიშვნა).

ალექსანდრე მიხეილის-ძე ფურცელაძე  
გენერალ-მაიორი (27.03.1917)

გენერალ გ.მ.ფურცელაძის ძმა. მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) და პირველ მსოფლიო (1914-1918) ომებში. მსახურობდა შტაბს-კაპიტნად ველიკოლუცკის მე-12 ქვეით პოლკში.

1915 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. მეთაურობდა მე-2 ქვეით დივიზიას.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოვდა

«წმ.გიორგის» ორდენის მე-IV ხარისხით (1915 წლის 17 ოქტომბერი) და გიორგის ოქროს იარაღით (1917 წლის 27 მარტი)







**გიორგი მიხეილის-ძე ფურცელაძე**  
**(01.01.1866-31.08.1924)**  
**გენერალ-მაიორი (15.02.1915)**

დაიბადა ოფიცრის ოჯახში.

დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი 1886 წელს, ალექსანდრეს მე-3 სამხედრო სასწავლებელი 1888 წელს და ნიკოლოზის გენერალური შტაბის აკადემია (მე-2 თანრიგით) 1901 წელს. 1886 წლიდან მსახურობდა პოდპოლკოვნიკად კავკასიის მე-3 სარეზერვო საკადრო ლაშქარში (შემდგომში ნოვობაიაზეთის 263-ე ქვეითი პოლკი).

მონაწილეობდა (1904-1905) წლების რუსეთ-იაპონიის ომში.

1911 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1911 წლიდან მეთაურობდა ლორეს 208-ე ქვეით პოლკს.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში. ომის დაწყებისთანავე გადაყვანილ იქნა ნოვობაიაზეთის 207-ე ქვეით პოლკში და დაეკისრა პოლკის დროებითი მეთაურობა. 1915 წლიდან მეთაურობდა შირვანის 84-ე ქვეით პოლკს.

რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, დაბრუნდა საქართველოში.

1918 წლიდან მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიაში.

1921 წელს საბჭოთა რუსეთთან ომის დროს, იყო ბათუმის სამხედრო კომენდანტი და თურქეთთან საზღვრის გამაგრების შტაბის უფროსი. დარჩა საბჭოთა საქართველოში.

1924 წლის აჯანყების მომზადების პერიოდში მეთაურობდა «სამხედრო ცენტრის» ბათუმის ნაწილს. დააპატიმრეს და დახვრიტეს «ЧК»-ს აგენტებმა. მასთან ერთად სიკვდილით დასაჯეს აგვისტოს მოვლენების 23 მონაწილე.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო გიორგის ოქროს იარაღით (1915 წლის 5 მაისი) და «წმ.გიორგის» ორდენის მე-IV ხარ.(1915 წლის 29 მაისი)- «წარჩინებისათვის ნოვოზაიაზეთის 207-ე ქვეითი პოლკში» «წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-III (მახვილებით-1915) ხარ., «წმ.ანას» ორდენის მე-IV(მამაცობისათვის-1905), მე-III (1909) ხარ., «წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (1905)ხარ.





კირილე პეტრეს-ძე ქუთათელაძე  
(22.02.1861-1929)  
გენერალ-ლეიტენანტი (06.12.1916)  
დივიზიის გენერალი (1926)

დაიბადა ქუთაისის გუბერნიის დაბა ხონში.

დაამთავრა მიხეილის ვორონეჟის სამხედრო გიმნაზია 1878 წელს, მიხეილის საარტილერიო სასწავლებელი 1881 წელს და მიხეილის საარტილერიო აკადემია (1-ი თანრიგით) 1886 წელს.

ჯარში მსახურობდა 1878 წლიდან, კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადაში, შემდეგ მსახურობდა ტფილისის ქვეით იუნკერთა სასწავლებელში, სასწავლო ნაწილის საქმის მწარმოებლად.

1897-1903 წლებში მსახურობდა მე-20 საარტილერიო ბრიგადის მე-5 ბატარეის მეთაურად.

1903-1904 წლებში ასრულებდა ჩუგუევის სასწავლო საარტილერიო პოლიგონის უფროსის თანამდებობას.

1904-1909 წლებში მსახურობდა პოლკოვნიკად ვილნოს სამხედრო ოლქის სასწავლო საარტილერიო პოლიგონის უფროსად.

1904 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1909-1910 წლებში მსახურობდა მე-6 სარეზერვო საარტილერიო დივიზიონის მეთაურად და დავალებათა შტაბ-ოფიცრად არტილერიის გენერალ-ინსპექტორთან.

1910-1916 წლებში მსახურობდა დავალებათა გენერალ არტილერიის გენერალ-ინსპექტორთან.

1910 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა – «გენერალ-მაიორის» სამხედრო წოდება.

1916-1917 წლებში მსახურობდა დავალებათა გენერალ უმაღლესი მთავარსარდლის დაქვემდებარებაში მყოფ არტილერიის სავლე ინსპექტორთან.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში, გენერალური შტაბის საარტილერიო სექციის უფროსად და ბათუმის ციხის კომენდანტად.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლიდან ემიგრაციაში იყო პოლონეთში.  
მსახურობდა პოლონეთის ჯარში კონტრაქტით.

1930 წელს ცხოვრობდა ქ.ბიდგომში. დაიღუპა ავტოავარიაში.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული  
იყო

«წმ.ანას» ორდენის მე-II (1904) და I-ი (1915) ხარ.,

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-II (1900) და I-ი (1914) ხარ.,

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-III (1910) და მე-II (1916) ხარ.



**მიხეილ ალექსანდრეს-მე ლლონტი**  
**(25.03.1858-08.1924)**  
**გენერალ-მაიორი (27.09.1917)**

დაიბადა ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრაში, აზნაურის ოჯახში.  
 ჯარში მსახურობდა 1879 წლიდან.

დაამთავრა ელისავეტგრადის კავალერიის იუნკერთა სასწავლებელი.

მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის (1904-1905) წლების ომში, დაიჭრა და მიიღო ძლიერი კონტუზია.

1910 წლის 31 მაისს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1909-1914 წლებში მსახურობდა ნიჟეგოროდის მე-17 დრაგუნთა პოლკში.

1910-1914 წ.წ.-მეთაურობდა კავკასიის მე-7 სათადარიგო კავალერიის პოლკს.

1914-1917 წ.წ.-იყო კავალერიის სათადარიგო ბრიგადის უფროსის თანაშემწე.

1917 წლის 27 სექტემბერს დაინიშნა კავალერიის სათადარიგო ბრიგადის უფროსად.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. მეთაურობდა პოლკს.

დაიღუპა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დროს. იყო «დამოუკიდებელი კომიტეტის» სამხედრო კომისიის წევრი. არ გასცა არავინ, მიუხედავად წამებისა. დაიღუპა «ყკ»-ში.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო **ოქროს იარაღით (1907)**,

«წმ.ანას» ორდენის მე-III ხარ.(1902),

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV ხარ.(*მახვილებით- და ბაფთით-1906*),

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-II ხარ. (*მახვილებით-1905*).



**ივანე ნიკოლოზის-მე ყაზბეგი**  
**(11.06.1860- 02.12.1943)**  
**გენერალ-მაიორი (13.09.1916)**  
**ბრიგადის გენერალი (1926)**

დაამთავრა სანქტ-პეტერბურგის 1-ი სამხედრო გიმნაზია, კონსტანტინეს მე-2 სამხედრო სასწავლებელი და ოფიცერთა საარტილერიო სკოლა.

ჯარში მსახურობდა 1878 წლიდან მე-20 საარტილერიო ბრიგადაში.

მისი მომდევნო სამხედრო სამსახური დაკავშირებული იყო კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადასთან, სადაც ის 1904-1912 წლებში მეთაურობდა მე-6 ბატარეს, 1912-1916 წლებში-1-ლ ბატარეას, ხოლო 1916 წლის 12 მაისიდან -მთლიანად ბრიგადას,

1912 წლის 2 ოქტომბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში, სამხედრო სამინისტროს ადმინისტრაციული განყოფილების უფროსად.

1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ წავიდა ემიგრაციაში, ჯერ თურქეთში (ქ.სტამბოლი), შემდეგ პოლონეთში.

1922 წლიდან ქართველ ოფიცერთა ჯგუფთან ერთად შევიდა პოლონეთის ჯარში, სადაც მსახურობდა კონტრაქტით.

1923 წლის იანვარ-აპრილში, მსმენელის რანგში მან გაიარა გადამზადება საპოლკო მეთაურთა მე-4 კურსზე, ქ.რემბერტოვოს კადრების მომზადების სასწავლო ცენტრში და, 1923 წლის აპრილ-ოქტომბერში საარტილერიო კურსზე, ქვეითი პოლკების და არტილერიის მეთაურების საარტილერიო მსროლელ სკოლაში ქ.ტორუნში.

აუცილებელი პრაქტიკის დამთავრების შემდეგ მიღებულ იქნა ქ.ტორუნის საარტილერიო სასწავლებელში მასწავლებლად, სადაც როგორც ირკვევა, დაჰყო 1926 წლამდე.

1928 წელს ივანე ყაზბეგი ირიცხებოდა ქ.რემბერტოვოს სასწავლო ცენტრის შტატში, სადაც მოგვიანებით მსახურობდა ლექტორად ქვეითთა მომზადების ხაზით.

1931 წლის 31 აგვისტოს დათხოვნილ იქნა თადარიგში, კონტრაქტის დასრულების გამო. გარდაიცვალა ქ.ვარშავაში. დაკრძალულია «Powazkowskim»-ის სასაფლაოზე.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

«წმ.ანას» ორდენის მე-III (1901), მე-III (*მახვილებით და ბავთით* -1916) და მე-II (1902) ხარ., «წმ.ვლადიმერის», ორდენის მე-IV (*მახვილებით*-1914) და მე-III (*მახვილებით*-1915) ხარ.,



ივანე დავითის-ძე ციციშვილი, თავადი  
(11.11.1865 – 1921 შემდ.)  
გენერალ-მაიორი (30.07.1917)

დაამთავრა გიმნაზია და ტფილისის ქვეითთა იუნკერთა სასწავლებელი.

ჯარში მსახურობდა 1889 წლიდან.

1892 წლიდან მსახურობდა სამურის 83-ე ქვეით პოლკში.

1914 წლის 20 ივნისს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1917 წლიდან მეთაურობდა ციმბირის 45-ე მსროლელ პოლკს.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოვდა

გიორგის ოქროს იარაღით (1917 წლის 21 ნოემბერი) და «წმ.გიორგის» ორდენის მე-IV

ხარისხით (1916 წლის 26 აგვისტო).

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (1906) ხარ.,

«წმ.ანას» ორდენის მე-III (1909) ხარ.







**გრიგოლ დავითის-ძე წულუკიძე, თავადი  
(23.04.1860-20.05.1923)**

**გენერალ-მაიორი (25.09.1915)**

გენერალ-მაიორ ვ.გ.წულუკიძის ბიძაშვილი.

დაამთავრა ელისავეტრგრადის სამხედრო პროგიმნაზია 1876 წელს, ტფილისის იუნკერთა სასწავლებელი 1880 წელს და ოფიცერთა მსროლელი სკოლა.

ჯარში მსახურობდა 1876 წლიდან, ყუბის 155-ე ქვეით პოლკში.

1912-1913 წლებში მსახურობდა მე-4 კავკასიის მსროლელ პოლკში.

1911წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1915-1916 წლებში მეთაურობდა კავკასიის მე-11 მსროლელ პოლკს.

1916-1917 წლებში ასრულებდა მე-5 მსროლელი დივიზიის მეთაურის თანამდებობას, შემდეგ მე-5 მსროლელი დივიზიის ბრიგადის მეთაური იყო.

1917-1918 წლებში მეთაურობდა 177-ე ქვეით და 67-ე ქვეით დივიზიებს.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1923 წლის თებერვალში დააპატიმრეს და, როგორც იატაკქვეშა ორგანიზაცია «სამხედრო ცენტრის» მონაწილე, თავის ბიძაშვილთან, გენერალ-მაიორ ვ.გ.წულუკიძესთან ერთად დახვრიტეს ტფილისში, ახლანდელი გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე (ავტორთა შენიშვნა).

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

«წმ.გიორგის» ორდენის მე-IV ხარ.(1916 წლის 7 იანვარი),

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (1906) და მე-II (1910) ხარ.,

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV (მახვილებით და ბაფთით-1917) და მე-III (მახვილებით -1916) ხარ.



**ვარდენ გრიგოლის-ძე წულუკიძე, თავადი**  
**(08.11.1865-20.05.1923)**  
**გენერალ-მაიორი (21.04.1915)**

გენერალ-მაიორ გ.დ.წულუკიძის ბიძაშვილი.

დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი და ალექსეევის სამხედრო სასწავლებელი.

1884 წლიდან მსახურობდა კასპიისიქითა მე-8 მსროლელ ბატალიონში. მეთაურობდა ასეულს და ბატალიონს.

1910 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

ომის დროს მსახურობდა ლორეს 208-ე ქვეითი პოლკის მეთაურის თანაშემწედ.

1914-1915 წლებში მეთაურობდა შამახის 205-ე ქვეით პოლკს.

1915-1917 წლებში ფრონტზე მიღებული ჭრილობის გამო, იმყოფებოდა ჯერ მინსკის სამხედრო ოლქის შტაბის რეზერვში, შემდეგ კი კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის რეზერვში.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში, სამხედრო სამინისტროს განყოფილების უფროსად, ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორად და ამ მაზრაში განლაგებული ჯარების სარდლად.

1921 წლის თებერვალ-მარტში-იყო ბათუმის სიმაგრის უფროსი.

1921 წლის ბოლოს შეიქმნა საქართველოს «დამოუკიდებლობის კომიტეტის» სამხედრო ცენტრი, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ვარდენ წულუკიძე, კოტე აფხაზთან ერთად. პირველ ეტაპზე «სამხედრო ცენტრის» დანიშნულება იყო საქართველოს ყველა კუთხეში მსგავსი პატარ-პატარა ცენტრების შექმნა, რომლებსაც ერთიანი სამხედრო ცენტრი გააკონტროლებდა.

«სამხედრო ცენტრმა» მალე მთელი საქართველო მოიცვა. «ცენტრის» ყველაზე დიდი ფილიალი მდებარეობდა ბათუმში, რომელსაც გენერალი გიორგი მაზნიაშვილი ხელმძღვანელობდა. ამ «ცენტრს» საერთო სახალხო აჯანყების ორგანიზება უნდა გაეწია. თუმცა ერთიანობა ხშირ შემთხვევაში მიუღწეველი იყო და «ცენტრშიც» კი აზრთა

სხვადასხვაობა სუფევდა. «ცენტრს» სურდა კავშირის დამყარება მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთთან, თუმცა ეს შეუძლებელი გახდა.

პოლიტიკური ცენტრი, რომელშიც უკვე პარიტეტული კომიტეტიც მოიაზრებოდა და ხშირად გამათავისუფლებელ კომიტეტსაც უწოდებდნენ, საბოლოოდ 1922 წლის სექტემბრის სხდომაზე გაფორმდა, რომელიც პოლკოვნიკ ნარეკელიძის ბინაში მიმდინარეობდა. სხდომას ესწრებოდნენ *ვარდენ წულუკიძე, კოტე აფხაზი, როსტომ მუსხელიშვილი, იოსებ გედევანიშვილი, ნარეკელიძე და ალექსანდრე ანდრონიკაშვილი*.

1922 წელს ხევსურეთში ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და კოტე აფხაზის მეთაურობით მოეწყო აჯანყება. მართალია, რუსეთის ჯარმა აჯანყება ჩაახშო, მაგრამ თავადაც სერიოზული ზარალი განიცადა. ეს იყო ერთიანი ეროვნული ამბოხებისა და ქართველი ერის გამოფხიზლების დასაწყისი. ყველა კარგად ხვდებოდა, უკან დახევა დამღუპველი იყო და ამიტომ ახალი შემართებითა და ერთიანი ძალებით აპირებდნენ ამბოხს. გადაწყდა, პირველ რიგში, ტფილისი დაეკავებინათ და განედევნათ რუსის ჯარი. საჭიროების შემთხვევაში კახეთიდან დაიხმარდნენ ძალებს. თუმცა მანამდე, რამდენიმე თვის განმავლობაში, ქვეყანაში სიწყნარე იყო. «ჩკ»-ა დიდხანს ეძებდა აჯანყების ხელმძღვანელებს და გამცემის დახმარებით მიაგნო კიდეც.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა კომიტეტის წევრმა კოტე მისაბიშვილმა «სამხედრო ცენტრის» მთელი შემადგენლობა გასცა.

1923 წლის თებერვალში ვარდენ წულუკიძე 14 წევრთან ერთად დააპატიმრეს. საშინლად აწამეს ტუსაღები, მაგრამ ვერც ერთს ვერაფერი ვერ ათქმევინეს. «ჩკ»-ას სპეციალურმა კომისიამ მათ სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა.

გენერალი ვარდენ წულუკიძე კოტე აფხაზთან და 14 პატიმართან ერთად ტფილისში, ვაკის პარკის ტერიტორიაზე დახვრიტეს (ავტორთა შენიშვნა).

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო გიორგის იარაღით (1917 წლის 15 იანვარი),

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-II (1911) და მე-II (*მახვილებით*-1916) ხარ.,

«წმ.ანას» ორდენის მე-III (1907) და მე-II (*მახვილებით* -1916) ხარ.,

«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV (*მახვილებით და ბაფთით*-1915)ხარ.





**როსტომ გრიგოლის-ძე წერეთელი, თავადი**  
**(15.01.1848 -1924)**  
**გენერალ-მაიორი (06.12.1914)**

სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში.

მსახურობდა მე-16 მინგრელსკის გრენადერთა პოლკში.

1905 წელს დროებით მეთაურობდა 44-ე ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკს.

1905 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1905-1908 წლებში მეთაურობდა მე-10 ნოვო-ინგერმანლანდიის ქვეით პოლკს.

1908 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან პოლკოვნიკის წოდებით, მუნდირით და პენსიონით. ცხოვრობდა ქ.ქუთაისში.

1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დროს, დაბრუნდა ჯარში და დაინიშნა დიდი მთავრინას ოლღა ნიკოლოზის ასულის სანიტარული მატარებლის უფროსად. შედიოდა ნიკოლოზ II-ის უახლოეს გარემოცვაში.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში.

რუსეთთან ომის დროს 1921 წლის თებერვალში სარდლობდა ვლადიკავკაზ-დარიალის მიმართულების ჯარებს.

დაიღუპა ქართული არისტოკრატის წინააღმდეგ წარმოებულ მასობრივი რეპრესიების დროს.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

«წმ.ანას» ორდენის მე-IV (*მამაცობისათვის*-1898) ხარ.,

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III და მე-II (1903) ხარ.,

სპარსეთის «ლომისა და მზის» ორდენის მე-II (1900) ხარ.



ალექსანდრე ზაქარიას-ძე ჭავჭავაძე, თავადი  
(04.07.1870 – 06.1930)  
გენერალ-მაიორი (30.07.1917)

კავალერიის გენერლის, ზაქარია ჭავჭავაძის (1825-1905) შვილი. დაიბადა ტფილისში.  
დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი და პაჟთა კორპუსი.

1890 წლიდან მსახურობდა ნიჟეგოროდის 44-ე დრაგუნთა პოლკში.

1905-1914 წლებში მსახურობდა კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მთავარსარდლის ადიუტანტად.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1915 წლის 28 იანვარს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1914-1917 წლებში მეთაურობდა ჩერქეზთა ცხენოსან პოლკს.

1917 წლის 9 აგვისტოს დაინიშნა კავკასიის ცხენოსანი («ველური») დივიზიის მე-3 ბრიგადის მეთაურად.

1917 წლის დეკემბერში დაინიშნა იმავე დივიზიის 1-ი ბრიგადის მეთაურად.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ გავიდა თადარიგში. ცხოვრობდა ტფილისში.

1930 წლის 13 თებერვალს დაპატიმრებულ იქნა «შპიონაჟისა» და «შეიარაღებული აჯანყების მომზადების» მუხლებით. განაჩენი გამოუტანეს 1930 წლის 15 ივნისს. დახვრიტეს ტფილისში.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოვდა «წმ.სტანისლავის» ორდენის მე-II (1912) ხარ.,

«წმ.ანას» ორდენის მე-III (მახვილებით და ბავთით-1910) და მე-II (1914) ხარ., «წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV (მახვილებით და ბავთით-1915) ხარ.



**სპირიდონ მიხეილის-ძე ჭავჭავაძე, თავადი  
(03.03.1878 – 1952)  
გენერალ-მაიორი (17.04.1917)**

დაიბადა პოლკოვნიკ მიხეილ ჭავჭავაძის ოჯახში.

მონაწილეობდა (1904-1905) წლების რუსეთ-იაპონიის და (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომებში.

1905-1909 წლებში მსახურობდა ნიჟეგოროდის 44-ე დრაგუნთა პოლკში.

1909 წლიდან მსახურობდა ვლადიმერის მე-13 ულანთა პოლკში.

1915 წლის 26 ნოემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1917 წლის აპრილში დაინიშნა ვლადიმერის მე-13 ულანთა პოლკის მეთაურად.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო გენერალური შტაბის განყოფილების სარემონტო სექციის უფროსი.

აქტიურად მონაწილეობდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მომზადებაში.

1921-1947 წლებში ცხოვრობდა ემიგრაციაში, საფრანგეთში.

1947 წელს დაბრუნდა საქართველოში.

1947-1951 წლებში ცხოვრობდა თბილისში.

1951 წელს დააპატიმრეს და გადაასახლეს ციმბირში. მიუსაჯეს 25-წლიანი სასჯელი. გარდაიცვალა ციხეში.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო

**გიორგის იარაღით (1916 წლის 16 აგვისტო) და «წმ.გიორგის» ორდენის მე-IV ხარისხით (1916 წლის 29 აგვისტო),**

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (1906) ხარ.,

«წმ.ანას» ორდენის მე-III , მე-III (*მახვილებით და ბავთით*-1914) და მე-II (*მახვილებით*-1914) ხარ.,



**ქრისტეფორე პავლეს-ძე ჩხეტიანი  
(1873-1933)  
გენერალ-მაიორი (25.10.1917)**

დაიბადა დაბა ცაგერში.

მონაწილეობდა (1904-1905) წლების რუსეთ-იაპონიის და (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომებში.

მსახურობდა ვლადიკავკაზის 152-ე ქვეით პოლკში და კავკასიის მე-3 სასაზღვრო ქვეით პოლკში.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოვდა

**გიორგის ოქროს იარაღით (1915 წლის 12 ივლისი) და «წმ.გიორგის» მე-IV ხარ.ორდენით(1917 წლის 5 აგვისტო).**

1915 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1918 წლიდან მსახურობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში. მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქართული სამხედრო სკოლის დაარსებასა და მუშაობაში.

1921 წელს, საბჭოთა რუსეთთან ომის დროს დაინიშნა არმიის ზურგის უფროსად და გორის მაზრის გენერალ-გუბერნატორად.

1921 მარტიდან ემიგრაციაში იყო. მოგვიანებით სამშობლოში დაბრუნდა. გარდაიცვალა და დაკრძალულია ბათუმში. დაკრძალვის ადგილი უცნობია (ავტორთა შენიშვნა).

### ნაწილი III

«ქართულ ჯარში 1991 წლიდან მომსახურე ყოფილი  
საბჭოთა არმიის ქართველი გენერლები»





**ანატოლი მიხეილის-ძე კამკამიძე**  
**(07.06.1936-23.06.1999)**

**გენერალ-მაიორი (19.10.1975)**  
**გენერალ-ლეიტენანტი (04.11.1984)**  
**გენერალ-პოლკოვნიკი (15.12.1992)**

დაიბადა ქ.ჟმერინკაში (უკრაინის სსრ) სამხედრო მოსამსახურის ოჯახში.

1954 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, და ჩააბარა გამოცდები ოდესის ვოროშილოვის სახ. სამხედრო სასწავლებელში. 1957 წლიდან მსახურობდა გერმანიაში, საბჭოთა ჯარების ჯგუფში ოცეულის მეთაურად, ასეულის მეთაურად. 1967 წლამდე მსახურობდა კიევის სამხედრო ოლქში.

1967-1970 წლებში სწავლობდა მოსკოვში, ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიაში.

1970 წელს დაინიშნა მოტომსროლელი პოლკის მეთაურის მოადგილედ, ხოლო 1972 წელს მოტომსროლელი პოლკის მეთაურად. 1974 წელს მას ვადაზე ადრე მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. 1973 წელს კამკამიძე დაინიშნა დივიზიის მეთაურის მოადგილედ, ხოლო 1974-1981 წლებში მსახურობდა 41-ე მოტომსროლელი დივიზიის მეთაურად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში.

1981 წლიდან მსახურობდა კარპატისპირეთის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის საბრძოლო მომზადების სამმართველოს უფროსად. 1984 წელს დაინიშნა ამავე ოლქის სარდლის მოადგილედ საბრძოლო მომზადებაში. 1992 წლის სექტემბერში ჩამოვიდა საქართველოში და დაინიშნა თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ.

1992 წლის 30 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლად.

დაჯილდოებული იყო «წითელი ვარსკვლავის», «საპატიო ნიშნის», «სსრკ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის» ორდენის მე-III ხარისხით.

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ.ლვოვში.



**ლერი ივანეს-ძე აბაშიძე**  
**(25.12.1935-1994)**  
**გენერალ-მაიორი (20.02.1976)**  
**გენერალ-ლეიტენანტი (15.02.1993)**

დაიბადა ქ.ხაშურში.

1954 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა.

1954-1956 წლებში მსახურობდა ნამდვილ სავალდებულო სამსახურში, ლენინგრადის სამხედრო ოლქში, საჰაერო-სადესანტო ჯარებში.

1956 წელს ჩააბარა გამოცდები ქ.მოსკოვის უმაღლეს საერთო-საჯარისო სამეთაურო სასწავლებელში.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მსახურობდა კიევის სამხედრო ოლქში ოცეულის მეთაურად, ასეულის მეთაურად.

დაამთავრა ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემია, ქ.მოსკოვში.

1968-1975 წლებში მსახურობდა ბაიკალის სამხედრო ოლქში, ჯერ ბატალიონის მეთაურად, შემდეგ პოლკის მეთაურის მოადგილედ, პოლკის მეთაურად, ხოლო შემდეგ კი დივიზიის მეთაურის მოადგილედ.

1973 წელს პოლკოვნიკი აბაშიძე დაინიშნა მოტომსროლელი დივიზიის მეთაურად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში.

1979-1981 წლებში მსახურობდა ერთ-ერთი სამხედრო ოლქის კორპუსის მეთაურის მოადგილედ.

1981-1989 წლებში მსახურობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო კომისრად და ქ.სოხუმის გარნიზონის უფროსად.

ამავე პერიოდში მან დაამთავრა ქ.სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი.

1989 წელს დაინიშნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილედ, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებების დარგში.

1992 წლიდან მსახურობდა ქართულ ჯარში. იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მთავარი სამხედრო მრჩეველი. ამ მაღალ პოსტზე ის თავდადებით ემსახურა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის საქმეს.

გარდაიცვალა თბილისში, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ.

დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.

დაჯილდოებული იყო «წითელი ვარსკვლავის» «სსრკ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის» ორდენის მე-III ხარ. და «ვახტანგ გორგასლის» ორდენის მე-III ხარ.(1993).



**პანტელეიმონ ივანეს-ძე გიორგაძე**  
**(17.08.1925-03.03.2009)**  
**გენერალ-მაიორი (07.06.1971)**

დაიბადა ოზურგეთის მაზრის სოფელ გორმალაში გლეხის ოჯახში.  
სწავლობდა სოფლის სკოლაში, შემდეგ ქ.სამტრედიის რკინიგზის სკოლაში.  
სკოლის დამთავრების შემდეგ, 1941 წელს ჩააბარა გამოცდები საქართველოს  
ინდუსტრიული ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე.  
1943 წელს გაიწვიეს ჯარში. მსახურობდა სასაზღვო ჯარებში.  
ომის დამთავრების შემდეგ, 1948 წელს დაამთავრა ალმა-ატას სასაზღვრო  
სასწავლებელი.  
მსახურობდა ყაზახეთის სასაზღვრო ოლქში, 1956 წლიდან მსახურობდა ამიერკავკასიის  
სასაზღვრო ოლქში.  
1969 წელს დაამთავრა ვოროშილოვის სახ. გენერალური შტაბის აკადემიაში.  
1976-1985 წლებში მსახურობდა შუა აზიის სასაზღვრო ოლქის შტაბის უფროსად. ამავე  
პერიოდში გაგაზავნილ იქნა სამხედრო მრჩეველად კუბაზე.  
1986 წლამდე მსახურობდა ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ჯარების სარდლის  
პირველ მოადგილედ. იმავე წელს გავიდა თადარიგში, წლოვანების გამო.  
1986-1991 წლებში მუშაობდა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის  
თანაშემწედ და სამხედრო საბჭოს მდივნად.  
1991-1993 წლებში მსახურობდა თავდაცვის სამინისტროს სასაზღვრო სამმართველოს  
უფროსად.  
1993 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან წლოვანების გამო.  
დაჯილდოებული იყო  
«სამამულო ომის» ორდენის I-ი ხარ.(1985), «წითელი ვარსკვლავის» და « სსრკ  
შეიარაღებულ ძალებში სამსახურისთვის» ორდენის მე-III ხარ.  
გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია იქვე.



**ვალერიან ბაგრატის-მე გომელაური**  
**(დ.1933)**  
**გენერალ-მაიორი (18.02.1982)**

დაიბადა ქ.თელავში, გლეხის ოჯახში.

1943 წელს ჩაირიცხა ნოვოჩერკასკის სუვოროველთა სამხედრო სასწავლებელში.

1952 წელს დაამთავრა სასწავლებელი ვერცხლის მედალზე.

1952-1954 წლებში სწავლობდა მოსკოვის საერთო-საჯარისო უმაღლეს სამხედრო სამეთაურო სასწავლებელში.

1954 წლიდან მსახურობდა სხვა და სხვა სამხედრო ოლქებში.

1964 წელს ჩააბარა გამოცდები ლენინგრადის ზურგის და ტრანსპორტის აკადემიაში.

აკადემიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში.

1979-1985 წლებში მსახურობდა შორეულ აღმოსავლეთში, გაერთიანების სარდლის მოადგილედ ზურგის დარგში.

1985-1988 წლებში მსახურობდა ეთიოპიაში, სამხედრო მრჩევლად.

1988-1991 წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილედ ზურგის დარგში.

1991 წელს გავიდა თადარიგში წლოვანების გამო.

1992 წელს დაინიშნა ქართული არმიის ზურგის სამსახურის უფროსის მოადგილედ.

მან უაღრესად რთული საქმის – შეიარაღებული ძალების ზურგის სამსახურის დარგში მნიშვნელოვანი საქმის მაღალ დონეზე ორგანიზების თვალსაზრისით, დიდი სამსახური გაუწია საქართველოს არმიას, მისი განვითარების საწყის ეტაპზე.

დაჯილდოებულია «ვახტანგ გორგასლის» ორდენის მე-III ხარ.(01.09.2001)



ნოდარ აკაკის-ძე გუჯაბიძე  
(დ.20.01.1929)  
გენერალ-მაიორი (13.02.1976)

დაიბადა ქ.ქუთაისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში.

1947 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა.

1947-1950 წლებში სწავლობდა თბილისის ქვეით სასწავლებელში.

1950 წელს წარჩინებით დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი და იქვე იქნა დატოვებული კურსანტთა ოცეულის მეთაურად, შემდეგ დაინიშნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ასეულის მეთაურად.

1956 წლიდან მსახურობდა ჯერ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში, ხოლო შემდეგ კარპატისპირეთის სამხედრო ოლქში, ბატალიონის შტაბის უფროსის მოადგილედ, ბატალიონის შტაბის უფროსად, ბატალიონის მეთაურად, პოლკის შტაბის უფროსად, პოლკის მეთაურად, დივიზიის მეთაურის მოადგილედ.

1965 წელს დაუსწრებლად დაამთავრა ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემია და გააგრძელა სამსახური საბჭოთა ჯარების ჯგუფში გერმანიაში.

1971 წელს გახდა ვოროშილოვის სახ. გენერალური შტაბის აკადემიის მსმენელი.

1971 წელს პოლკოვნიკი გუჯაბიძე დაინიშნა დივიზიის მეთაურად ოდესის სამხედრო ოლქში.

1977-1982 წლებში მსახურობდა ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქში.

1982-1983 წლებში მსახურობდა სამხედრო მრჩეველად ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

1983 წელს გავიდა თადარიგში.

1983-1988 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქ.რიგაში.

1988 წლიდან ცხოვრობს ქ.თბილისში.

1991-1992 წლებში მსახურობდა საქართველოს ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს შტაბის უფროსად.

1992-1994 წლებში მსახურობდა საქართველოს შსს შინაგანი ჯარების შტაბის უფროსად-  
შინაგანი ჯარების სარდლის მოადგილედ.

1994 წელს გავიდა პენსიაში წლოვანების გამო.

დაჯილდოებულია

«წითელი ვარსკვლავის» და «სსრკ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის» ორდენის  
მე-III ხარ.



**მუხტარ სიმონის-მე ელბაქიძე**  
**(დ.20.09.1931)**  
**გენერალ-მაიორი (24.10.1982)**  
**გენერალ-ლეიტენანტი (18.02.1988)**

დაიბადა ქარელის რაიონის, სოფელ ელბაქიანთკარში.

1947 წელს დაამთავრა სოფელ გვერძნეთის საშუალო სკოლის 8 კლასი და დაიწყო სწავლა თბილისის მეტალურგიულ ტექნიკუმში. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობდა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში.

1949 წელს ჩაირიცხა კიევის საერთო-საჯარისო სასწავლებელში.

სამხედრო სამსახური დაიწყო ფინეთში, სამხედრო-საზღვაო ბაზა პორკალა-უდდეზე, მეტყვიამფრქვევთა ოცმეთაურად, სადაც მსახურობდა 1955 წლამდე.

1955 წლის შემდეგ მსახურობდა ბალტიისპირეთში, მეთაურობდა ოცეულს, ასეულს. დაამთავრა საღამოს სკოლა, შემდეგ ჩააბარა ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიაში.

აკადემიის დამთავრების შემდეგ მეთაურობდა მოტომსროლელ ბატალიონს, შემდეგ დაინიშნა პოლკის მეთაურის მოადგილედ. 1967 წელს დაინიშნა მოტომსროლელი პოლკის მეთაურად. მოგვიანებით დაინიშნა სამარა-ულიანოვსკის დივიზიის შტაბის უფროსად.

1991 წლამდე მსახურობდა კარპატისპირეთის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსის მოადგილედ. 1991 წელს დაინიშნა საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსად.

1992 წლის ბოლოს დაინიშნა ქართული არმიის მთავარი შტაბის უფროსის პირველ მოადგილედ. დაჯილდოებულია

«წითელი ვარსკვლავის» და «სსრკ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის» ორდენის მე-III ხარისხით.





**რობერტ გერონტის-ძე თავაძე**  
**(25.04.1930-16.04.2004)**  
**გენერალ-მაიორი (19.02.1976)**  
**გენერალ-ლეიტენანტი (16.02.1979)**

დაიბადა ქ.ტფილისში. დაამთავრა № 63-ე რუსული საშუალო სკოლა.

სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის სამხედრო-საჰაერო ძალების სპეცსკოლაში, რომელიც დაამთავრა 1948 წელს.

1948 წელს ჩააბარა გამოცდები ორჯონიკიძის სამხედრო საავტომობილო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა წარჩინებით 1951 წელს.

1951 წლიდან მსახურობდა შორეულ აღმოსავლეთში, ჩინეთში, საავტომობილო ნაწილებში.

1955 წელს ჩინეთიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის შემდეგ მსახურობდა ზღვისპირეთის მხარეში.

1960 წელს ჩაირიცხა ლენინგრადის ზურგისა და ტრანსპორტის სამხედრო აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1963 წელს მსახურობდა უკრაინასა და მოლდოვეთში, შენაერთის მეთაურის მოადგილედ ზურგის დარგში. შემდეგ იგზავნება გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიაში, რომელსაც ამთავრებს 1970 წელს და ინიშნება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში.

1976-1985 წლებში მსახურობდა შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილედ ზურგის დარგში.

1985-1991 წლებში მსახურობდა შორეული აღმოსავლეთის მიმართულების მთავარსარდლის მოადგილედ ზურგის დარგში.

1991 წელს გავიდა თადარიგში წლოვანების გამო. მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში.

1992-1999 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში, ჯერ სამხედრო კონსულტანტად, ხოლო შემდეგ შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის მოადგილედ – ზურგის უფროსად.

მან დიდი წვლილი შეიტანა არმიის მშენებლობაში. წლების მანძილზე იყო თავდაცვის მინისტრის მოადგილე ზურგის დარგში და უზრუნველყოფდა ჯარების მომარაგებას.

1999 -2003 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი

გარდაიცვალა და დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

დაჯილდოებული იყო

«წითელი ვარსკვლავის», «სსრკ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის» ორდენის მე-III ხარისხით და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 2 ორდენით.

არის «ვახტანგ გორგასლის» ორდენის I,II,III ხარ. სრული კავალერი (24.06.2000)



**ვარდიკო მიხეილის-ძე ნადიბაიძე**  
**(დ.31.03.1939)**  
**გენერალ-მაიორი (06.05.1989)**  
**გენერალ-ლეიტენანტი (29.11.1993)<sup>1</sup>**

დაიბადა ქ.ორჯონიკიძეში (ახლ.ქ.ვლადიკავკაზი) მოსამსახურის ოჯახში.

დაამთავრა ორჯონიკიძის № 50 საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმის ელექტროკავშირების ფაკულტეტზე. მე-2 კურსიდან გამოვიდა და მუშაობდა იქვე მე-2 სამხედრო-საავტომობილო სასწავლებლის სასწავლო სახელმძღვანელოებების საწყობში.

1958 წელს ჩაირიცხა ამავე სასწავლებელში კურსანტად.

1960 წელს სასწავლებლის რეორგანიზაციის შემდეგ გადაიყვანეს რიაზანის სამხედრო-საავტომობილო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1961 წელს.

განაწილებულ იქნა კიევის სამხედრო ოლქში (ქ.ჩუგუევში), სადაც მსახურობდა მე-6 წითელდროშოვანი გვარდიული არმიის მძიმე სატანკო დივიზიის 219-ე ცალკეული ავტოსატრანსპორტო ასეულის მე-3 საავტომობილო ოცეულის მეთაურად.

1962 წელს დაინიშნა ასეულის მეთაურის მოადგილედ, ხოლო 1965 წელს ასეულის მეთაურად გერმანიაში განლაგებულ საბჭოთა ჯარების ჯგუფში.

1967 წელს ჩააბარა გამოცდები ლენინგრადის ზურგისა და ტრანსპორტის აკადემიის საავტომობილო ფაკულტეტზე.

1972 წელს აკადემიის დამთავრებისთანავე დაინიშნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში მე-4 საერთო-საჯარისო არმიის 75-ე მოტომსროლელი დივიზიის 34-ე მოტომსროლელი პოლკის საავტომობილო სამსახურის უფროსად.

---

<sup>1</sup> ვ.მ.ნადიბაიძეს მინიჭებული ჰქონდა რუსეთის არმიის «გენერალ-ლეიტენანტის» სამხედრო წოდება. ქართულ არმიაში მას სამხედრო წოდება მინიჭებული არ ჰქონდა, ის მხოლოდ თავდაცვის მინისტრი იყო. ავტორთა შენიშვნა

1974 წელს მაიორი ნადიბაიძე დაინიშნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საავტომობილო სამსახურის უფროს ოფიცრად მომარაგების დარგში.

1975–1976 წლებში–ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო ავტონსპექციის უფროსია.

1976–1978 წლებში–ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ავტონსპექციის უფროსი ინსპექტორია.

1978–1986 წლებში–ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საავტომობილო სამსახურის უფროსის მოადგილეა.

1986 წელს დაინიშნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საავტომობილო სამსახურის უფროსად.

1992 წელს დაინიშნა ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლის მოადგილედ შეიარაღების დარგში.

1994 წლის 17 აპრილს დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად.

1998 წლის 28 აპრილს პირადი პატაკის საფუძველზე გადადგა სამხედრო სამსახურიდან. ცხოვრობს თბილისში.

დაჯილდოებულია

«წითელი ვარსკვლავის» «საპატიო ნიშნის» და «სსრკ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის» ორდენის მე-III ხარისხით.



ალექსანდრე ფილიპეს-ძე რამიშვილი  
(09.10.1921-02.01.1996)

სამედ.სამს. გენერალ-მაიორი (18.02.1982)

დაიბადა ქ.ქუთაისში, ექიმის ოჯახში.

დაამთავრა ფოთის 1-ი საშუალო სკოლა წარჩინებით და ჩააბარა გამოცდები თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში.

1944 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გაიწვიეს საბჭოთა არმიაში.

მონაწილეობდა (1941-1945) წლების სსრკ დიდ სამამულო ომში. მსახურობდა 1-ი უკრაინის ფრონტის მე-3 გვარდიული არმიის 127-ე მსროლელი დივიზიის 555-ე მსროლელი პოლკის უფროს ექიმად. ანთავისუფლებდა ჩეხოსლოვაკიას.

ომის შემდეგ, 1945 წლის ბოლომდე იმყოფებოდა ჩეხოსლოვაკიაში, შემდეგ უნგრეთსა და გერმანიაში.

1949 წლიდან მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში, ჯერ აზერბაიჯანში, შემდეგ საქართველოში.

დაამთავრა ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემია. აკადემიის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ციმბირის სამხედრო ოლქში, ჯერ ბრიგადის ექიმად, ხოლო შემდეგ დივიზიის ექიმად.

1955 წლიდან მსახურობდა სამხედრო სანატორიუმ «ლეზიაჟის» უფროსად.

1959 წლიდან მსახურობდა დასასვენებელ სახლ «ელცოვნას» უფროსად.

1962 წლიდან მსახურობდა სამხედრო სანატორიუმ «ბოროვოეს» უფროსად.

1962 წელს გადაიყვანეს ყირიმში, სადაც მსახურობდა 1973 წლამდე ალუშტის სამხედრო სანატორიუმის უფროსად.

1973 წელს პოლკოვნიკი რამიშვილი დაინიშნა მის მიერვე აშენებულ თანამედროვე სამხედრო სანატორიუმ «ყირიმის» უფროსად.

1985 წელს დაინიშნა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამხედრო კათედრის უფროსად, შემდეგ კი წყალტუბოს სამხედრო სანატორიუმის უფროსად.

1992 წელს დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამხედრო-სამედიცინო სამმართველოს უფროსად და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ დარგის რთული სისტემის შექმნაში.

გენერალ რამიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით საქართველოში შეიქმნა 4 ჰოსპიტალი - ქ.ქ. ბათუმში, ქუთაისში, ახალციხესა და თბილისში. ყველა მათგანში სამედიცინო კადრების შერჩევა და განაწილება მისი ხელმძღვანელობით მოხერხდა.

დაიღუპა ავტოავარიაში, ქ.თბილისში.

დაჯილდოებული იყო

«წითელი ვარსკვლავის» ორი, «საპატიო ნიშნის», «შრომის წითელი დროშის», «სსრკ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის» ორდენის მე-III ხარ., «სამამულო ომის» ორდენის I-ი ხარ.(1985) და «ვახტანგ გორგასლის» ორდენის მე-III ხარ.(25.12.1995)



**ჯონი მიხეილის-ძე ფირცხალაიშვილი**

**(დ.22.05.1947)**

**გენერალ-მაიორი (29.10.1988)**

**გენერალ-ლეიტენანტი (17.06.1999)**

დაიბადა ქ.ლანჩხუთში.

დაამთავრა ლანჩხუთის 1-ი საშუალო სკოლა ოქროს მედალზე და 1965 წელს გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი.

1970 წელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, როგორც თადარიგის ლეიტენანტი გაიწვიეს საბჭოთა არმიაში.

1970-1972 წლებში მსახურობდა ოდესის სამხედრო ოლქში ოცმეთაურად.

1972-1973 წლებში მეთაურობდა მოტომსროლელ ასეულს.

1973-1974 წლებში იყო ბატალიონის შტაბის უფროსი.

1974 წელს დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი და დაინიშნა მოტომსროლელი ბატალიონის შტაბის უფროსად.

1974-1978 წლებში მსახურობდა მოტომსროლელი ბატალიონის მეთაურად.

ფრუნჯეს სახ. სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ დაინიშნა ურალის სამხედრო ოლქში, სასწავლო მოტომსროლელი პოლკის შტაბის უფროსად.

მსახურობდა სამხედრო მრჩევლად ეთიოპიაში.

1978 -1981 წლებში მსახურობდა კარპატისპირეთის სამხედრო ოლქში სასწავლო მოტომსროლელი პოლკის შტაბის უფროსად.

1981-1982 წლებში-მოტომსროლელი პოლკის მეთაურის მოადგილეა.

1982-1983 წლებში-მოტომსროლელი პოლკის მეთაურია.

1983-1985 წლებში – მოტომსროლელი დივიზიის შტაბის უფროსია.

1985-1988 წლებში – მოტომსროლელი დივიზიის მეთაურია.

1988-1990 წლებში მსახურობდა უკრაინაში, ვინიცის ოლქის სამხედრო კომისრად.

1990-1991 წლებში მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისრად.

1991 წლის 15 აგვისტო-1992 წლის 6 იანვარი- იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი თავდაცვის მინისტრი.

1992-1993 წლებში მუშაობდა ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის სამხედრო კონსულტანტებისა და ინსპექტორების ჯგუფის უფროსის მოადგილედ – მთავარ სამხედრო კონსულტანტად.

1993-1996 წლებში იმყოფებოდა თადარიგში.

1996-2003 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში, სახმელეთო ჯარების სარდლად, თავდაცვის მინისტრის მოადგილედ, პირველ მოადგილედ.

1998-2003 წლებში მსახურობდა გენერალური შტაბის უფროსად.

2003 წელს გავიდა თადარიგში. ამჟამად ცხოვრობს ქ.ფეოდოსიაში (უკრაინა).

დაჯილდოებულია «წითელი ვარსკვლავის» (1982) ორდენით.

არის «ვახტანგ გორგასლის» ორდენის სრული კავალერი (I,II,III)-(02.11.2003)





**ლევან ლევანის-ძე შარაშენიძე**  
**(24.03.1931-2012)**

**გენერალ-მაიორი (01.11.1980)**  
**გენერალ-ლეიტენანტი (16.02.1989)**

დაიბადა ქ.ტფილისში, რკინიგზელის ოჯახში.

ბავშვობის წლები გაატარა შუა აზიაში, სადაც მსახურობდა მამამისი.

სკოლა დაამთავრა სამარყანდში.

1950 წელს ჩააბარა გამოცდები ალმაა-ატას საჰაერო-სადესანტო სამხედრო სასწავლებელში.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა კიევის სამხედრო ოლქში საჰაერო-სადესანტო დივიზიის, საპარაშუტო-სადესანტო პოლკის ოცმეთაურად.

1955 წელს აგრძელებს სამსახურს სადესანტო ჯარებში. ამთავრებს პოლიტმე-მადგენლობის ცენტრალურ კურსებს და ინიშნება სამხედრო-საჰაერო დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწედ, შემდეგ საპარაშუტო-სადესანტო ბატალიონის მეთაურის მოადგილედ პოლიტდარგში.

1963 წელს მას ირჩევენ პოლკის პროპაგანდისტად და აგრძელებს სწავლას ვილნიუსის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელ ფაკულტეტზე.

1965 წელს შარაშენიძე გადმოჰყავთ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში საპარაშუტო-სადესანტო პოლკის მეთაურის მოადგილედ პოლიტდარგში, შემდეგ კი საჰაერო-სადესანტო დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსად.

1971 წელს დაამთავრა სამხედრო-პოლიტიკური აკადემია.

1979-1989 წლებში მსახურობდა საქართველოს სსრ სამხედრო კომისრად.

არჩეულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

1992 იანვარ -მაისში იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

1992 წლის მაისში დაინიშნა სახელმწიფოს მეთაურის მთავარ სამხედრო მრჩეველად.

1993-1994 წლებში იყო თავდაცვის მინისტრის მოადგილე რუსეთთან ურთიერთობებისა და საერთო საკითხებში.

1994 წელს გავიდა თადარიგში წლოვანების გამო.

დაჯილდოებული იყო

«წითელი ვარსკვლავის» და «სსრკ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის» ორდენის მე-III ხარისხით.

გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია იქვე.

ნაწილი IV  
«საქართველოს არმიის პირველი გენერლები  
1992 წელს»



**რომან ლევანის-ძე გვენცაძე**  
**(დ.06.04.1945)**  
**მილიციის გენერალ-მაიორი (04.03.1992)**  
**მე-II რესპუბლიკის პირველი გენერალი**

დაიბადა ქ.თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

დაამთავრა თბილისის მე-10 რკინიგზის სკოლა.

1971 წელს დაამთავრა სპი-ს სამშენებლო ფაკულტეტი. სწავლის პარალელურად მუშაობდა: ელექტროშემდუღებლად, ზეინკლად, ტრაქტორისტად, სხვადასხვა მშენებლობაზე.

1968-1971 წლებში ყაზახეთის სსრ-ში მუშაობდა ყამირი მიწების ათვისებაზე. ინსტიტუტის შემდეგ მუშაობდა სამშენებლო მექანიკისა და სეისმოდგრადობის ინსტიტუტში.

1974-1994 წლებში მუშაობდა შსს-ს სისტემაში.

1986 წელს დაამთავრა თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი.

1992 წლის იანვრიდან 1993 წლის ნოემბრამდე მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად.

1993-1994 წლებში მუშაობდა შსს პოლიციის აკადემიის რექტორად.

1994-1999 წლებში კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაშია.

1999-2003 წლებში-იყო საქართველოს პარლამენტის წევრი.

არის ავტორი დეტექტიური რომანისა «საბედისწერო გასროლა» რომლის მიხედვითაც იქნა გადაღებული მხატვრული ფილმი «შავი კვადრატი»

1989 წლიდან არის «დავით აღმაშენებლის» საზოგადოების დამაარსებელი და ვიცე-პრეზიდენტი.

დაჯილდოებულია «ვახტანგ გორგასლის» მე-III ხარისხის ორდენით.



**გიორგი (გია) აბიზოს-ძე გულუა**  
**(20.11.1955-20.04.1994)**  
**პოლიციის გენერალ-მაიორი (24.04.1992)**

დაიბადა ქ. ზუგდიდში.

1992 წლამდე მუშაობდა სსრკ შსს-ს სისტემაში.

1992-1994 წ.წ.-მუშაობდა ზუგდიდის კომენდანტად, სატრანსპორტო პოლიციის უფროსად და შინაგან საქმეთა მინისტრად.

აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში.

დაიღუპა თბილისში, საკუთარ სახლთან ტერორისტული აქტის შედეგად.



**ანზორ ამბროსის-ძე მაისურაძე**  
**(დ.09.05.1937)**  
**გენერალ-მაიორი (07.05.1992)**

დაიბადა ქ.თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

1955 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა № 6 საშუალო სკოლა, 1960 წელს დაამთავრა თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტი და 1966 წელს მოსკოვის დაზვერვის და კონტრდაზვერვის უმაღლესი სკოლა.

1961 წლიდან მსახურობდა სსრკ უშიშროების ორგანოებში.

1971-1979 წლებში იმყოფებოდა სამსახურებრივ მივლინებაში საზღვარგარეთ.

1979 წლიდან მსახურობდა საქართველოს სსრ უშიშროების კომიტეტში სხვა და სხვა პასუხისმგებელ თანამდებობებზე.

1984-1990 წლებში მსახურობდა საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის დაზვერვის განყოფილების უფროსად.

1985 წლის თებერვალში მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1990-1991 წლებში მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

1992 წლის დასაწყისში დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრად.

1992 წლის მაისში დაინიშნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ.

მინიჭებული აქვს «სსრკ და საქართველოს უშიშროების ორგანოთა დამსახურებული მუშაკის» საპატიო წოდება.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.



შოთა ოთარის-ძე კვირია  
(05.01.1952-01.2011)  
გენერალ-მაიორი (13.05.1993)  
გენერალ-ლეიტენანტი (12.09.1993)

დაიბადა ქ. სენაკში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი.

1977 წელს დაიწყო მუშაობა შინაგან საქმეთა ორგანოებში.

1977-1984 წლებში სოხუმის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში იყო სოციალისტური საკუთრების დატაცების ბრძოლის ინსპექტორი, შემდეგ კი უფროსი ინსპექტორი.

1984-1990 წლებში ამავე განხრით დაწინაურდა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცების განყოფილების ოპერწმულეებულად მუშაობდა.

1993 წელს ის უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილეა, შემდეგ კი მეთაურობს ქვეყნის ძალოვან სამინისტროებს.

აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში.

როდესაც 1995 წლის 2 სექტემბერს გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან იგორ გიორგაძე, მის ადგილზე ედუარდ შევარდნაძემ დანიშნა შოთა კვირია.

1997 წელს მისი კარიერა საქართველოში შეწყდა და ის გადასახლდა რუსეთში, სადაც მოსკოვში ცხოვრობდა. გარდაიცვალა იქვე.

დაკრძალულია თბილისში.



**თამაზ სევერიანეს-მე დუმბაძე**  
**(დ.01.01.1936)**  
**ბრიგადის გენერალი (12.08.1992)**  
**გენერალ-მაიორი (1993)**  
**გენერალ-ლეიტენანტი (19.12.1999)**

დაიბადა ქ.ტფილისში, მოსამსახურის ოჯახში.

1954 წელს დაამთავრა თბილისის №71-ე საშუალო სკოლა და 1979 წელს საბჭოთა ვაჭრობის დაუსწრებელი ინსტიტუტი ქ.მოსკოვში.

1954-1989 წლებში მუშაობდა თბილისის № 1 სამკერვალო ქარხანაში, სადაც განვლო გზა მუშისგან მომარაგების განყოფილების უფროსამდე.

1989 წელს აქტიურად ჩაერთო ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. იყო ეროვნული გვარდიის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი.

1991-1992 წლებში იყო ეროვნული გვარდიის სარდლის მოადგილე.

1992 წლის 24 მაისს დაინიშნა თავდაცვის მინისტრის მოადგილედ ზურგის დარგში.

აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში.

1993 წლის 22 მაისს დაინიშნა თავდაცვის მინისტრის მოადგილედ.

არის «ვახტანგ გორგასლის» ორდენის სრული კავალერი (20.12.1998)

1998 წელს გადადგა სამხედრო სამსახურიდან წლოვანების გამო.





**ზურაბ შალვას-მე ნაირაშვილი**  
**(04.02.1941-1993)**

**ბრიგადის გენერალი (12.08.1992)**  
**გენერალ-მაიორი (1993)**

დაიბადა თბილისში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში.

1960 წელს დაამთავრა თბილისის 45-ე საშუალო სკოლა, 1967 წელს დაამთავრა ნოვოჩერკასკის საშუალო სამხედრო-პოლიტიკური სასწავლებელი და 1975 წელს ოფიცერთა უმაღლესი კურსები «ВЫСШЕЕ»-ი მოსკოვში.

1967-1970 წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში-ასეულის მეთაურის მოადგილედ.

1970-1975 წლებში მსახურობდა საბჭოთა ჯარების ჯგუფში გერმანიაში, ბატალიონის მეთაურის მოადგილედ.

1976-1978 წლებში მსახურობდა შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქში, პოლკის მეთაურის მოადგილედ.

1978-1986 წლებში მსახურობდა შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის სასწავლო ცენტრის უფროსად.

1986-1989 წლებში მსახურობდა საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის სისტემაში-ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის სამხედრო კომისრის მოადგილედ- 1-ი განყოფილების უფროსად.

1989 წელს აქტიურად ჩაერთო ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. იყო ეროვნული გვარდიის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი.

1989-1990 წლებში იყო ეროვნული გვარდიის სამხედრო კონსულტანტი.

1990-1991 წლებში იყო ეროვნული გვარდიის საბრძოლო მომზადების სამმართველოს უფროსი.

1991-1992 წლებში იყო ეროვნული გვარდიის შტაბის უფროსი.

1992 წლის აპრილში დაინიშნა ეროვნული გვარდიის (სწრაფი რეაგირების კორპუსის) ძალების სარდლის მოადგილედ.

1993 წლის მაისში დაინიშნა სამხედრო-საჰაერო და ჰაერსაწინაღო თავდაცვის ძალების პირველ სარდლად.

აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში. არაერთხელ იქნა მძიმედ დაჭრილი.

ერთ-ერთი სამხედრო ოპერაციის მსვლელობისას, დაიღუპა გმირის სიკვდილით ბრძოლის ველზე.

მიღებული ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოები.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ამჟამად აგრძელებს სამხედრო სამსახურს მისი შვილი – დავით ნაირაშვილი (დ.1963), ბრიგადის გენერალი (12.09.2008), სამხედრო ატაშე ინგლისის გაერთიანებულ სამეფოში, «წმ.გიორგის გამარჯვების» ორდენის კავალერი (20.04.2009).



**ავთანდილ ლევანის-ძე ცქიტიშვილი**

**(26.07.1950-06.12.2013)**

**ბრიგადის გენერალი (12.08.1992)**

**გენერალ-მაიორი (1993)**

დაიბადა ქ. სარვანში (1957 წლიდან ქ. მარნეული, საქართველოს სსრ ავტ. შენიშენა).

1967 წელს დაამთავრა ქ. თბილისის № 29-ე საშუალო სკოლა,

1969-1972 წლებში. – სწავლობდა თბილისის უმაღლეს სამეთაურო სამხედრო საარტილერიო სასწავლებელში;

1978-1981 წლებში – სწავლობდა ლენინგრადის საარტილერიო აკადემიაში;

1972-1973 წლებში მსახურობდა – სსრკ შეიარაღებული ძალების მე-13 გვარდიული სატანკო დივიზიის მე-6 მოტომსროლელი პოლკის, არტილერიის მართვისა და დაზვერვის ოცეულის მეთაურად, (უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში);

1973-1975 წლებში მსახურობდა – სსრკ შეიარაღებული ძალების მე-13 გვარდიული სატანკო დივიზიის მე-6 მოტომსროლელი პოლკის, არტილერიის მართვისა და დაზვერვის ასეულის მეთაურად, (უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში);

1975-1976 წლებში მსახურობდა – შუა აზიის სამხედრო ოლქის 1-ი საარმიო კორპუსის 155-ე მოტომსროლელი დივიზიის 515-ე მოტომსროლელ პოლკში;

1976-1981 წლებში მსახურობდა – შუა აზიის სამხედრო ოლქის 1-ი საარმიო კორპუსის 155-ე მოტომსროლელი დივიზიის 906-ე ცალკეული საარტილერიო დივიზიონის შტაბის უფროსად;

1981 წლიდან მსახურობდა – ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის მე-11 გვარდიული არმიის საარტილერიო ბრიგადის დივიზიონის მეთაურად;

1981-1985 წლებში მსახურობდა – მე-40 სატანკო დივიზიის 886-ე გვარდიულ-საარტილერიო პოლკის შტაბის უფროსად;

1985-1986 წლებში მსახურობდა – შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქში (მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში);

1986-1989 წლებში მსახურობდა – 129-ე დივიზიის საარტილერიო პოლკის მეთაურად;

1989-1991 წლებში მსახურობდა – საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბში;

1989 წელს აქტიურად ჩაერთო ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. იყო ეროვნული გვარდიის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი.

1990 წლის 20 დეკემბრიდან, საქართველოს ეროვნული გვარდიის-შინაგანი ჯარების ჩამოყალიბების დღიდან, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინადადებით დაანება თავი სსრკ შეიარაღებული ძალების შემადგენლობას და დაინიშნა ახალი საქართველოს 1-ი ბრიგადის პირველ მეთაურად და დაევალა მისი ჩამოყალიბება და დაკომპლექტება;

1991 ქლის აგვისტოდან მსახურობდა – ეროვნული გვარდიის სარდლის პირველ მოადგილედ;

1992 წლის იანვრიდან მსახურობდა – თავდაცვის სამინისტროს მთავარი საბრძოლო სამმართველოს უფროსად.

1992 წლის თებერვლიდან მსახურობდა – შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსად;

1993 წლის მაისიდან მსახურობდა – შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსად, საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ;

აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში.

1993 წელს – სოხუმის დაცემის შემდეგ გადადგა დაკავებული თანამდებობიდან;

1996 წელს – პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის თხოვნით დაბრუნდა სამსახურში სასაზღვრო ძალების შტაბის უფროსად;

1999 წლის სექტემბერში – კვლავ დაანება თავი სამსახურს და გახდა ვეტერანთა მოძრაობის აქტიური წევრი და ერთ-ერთი ლიდერი, «ძალოვან სტრუქტურების ვეტერანთა ლიგისა» და «საქართველოს ლეგიონის» ერთ-ერთი დამფუძნებელია;

საქართველოს უახლესი სამხედრო ისტორიის თვალის ერთი გადავლებითაც ნათლად ჩანს გენერალ ავთანდილ ცქიტიშვილის როლი სამხედრო საქმეში. მას შემდეგ რაც საქართველომ დამოუკიდებლობის გზაზე პირველი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო, ის არაერთი სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საქმის, სასიკეთო წამოწყების სათავესთან იდგა. ორი ათეული წლის წინ, მთავრობის დავალებით, სხვა ქართველ ოფიცრებთან ერთად, დაიწყო შეიარაღებული ძალებისთვის საფუძვლის ჩაყრა. სწორედ მას ერგო პატივი ყოფილიყო 1991 წლის 26 მაისს, თბილისის «დინამოს» სტადიონზე გამართული პირველი ეროვნული სამხედრო აღლუმის სარდლობა.

1993 წლის მაისში თავდაცვის სამინისტროს კოლონებს კვლავ გენერალი ავთანდილ ცქიტიშვილი ხელმძღვანელობდა.

2013 წლიდან მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის უფროსის მრჩეველად;

დაჯილდოებული იყო «ვახტანგ გორგასლის» მე-III ხარისხის და «ღირსების» ორდენებით. მიღებული ჰქონდა უცხო ქვეყნებისა ჯილდოები.

გარდაიცვალა ქ.თბილისში, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

დაკრძალულია იქვე.



**ჯემალ ალექსანდრეს-ძე ჭუმბურიძე**  
(დ.05.08.1938)

**ბრიგადის გენერალი (12.08.1992)**

**გენერალ-მაიორი (1993)**

**გენერალ-ლეიტენანტი (12.12.1999)**

დაიბადა ქ.თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1956 წელს დაამთავრა თბილისის № 3 საშუალო სკოლა, 1962 წელს დაამთავრა სპი-ს ხიდმშენებლობის ფაკულტეტი.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1962 წელს თბილისის ხიდმშენებელ ტრესტში ინჟინრად. 1971-1972 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროში განყოფილების უფროსად.

1973-1974 წლებში მუშაობდა «მთავარენერგოში» განყოფილების უფროსად.

1974-1975 წლებში მუშაობდა სარეზინო-ტექნიკური ნაკეთობების ქარხნის საამქროს უფროსად. 1976-1989 წლებში მუშაობდა საქართველოს «მხატვრული ფონდის» კომბინატში მხატვარ-გამფორმებლად.

1989 წელს აქტიურად ჩაერთო ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. იყო ეროვნული გვარდიის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი.

1990-1991 წლებში მსახურობდა ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ. მაშინვე მიენიჭა მას «გვარდიის პოლკოვნიკის» სამხედრო წოდება.

1992-1993 წლებში მსახურობდა ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში.

1993 წლის მარტში დაინიშნა თავდაცვის მინისტრის მოადგილედ.

1993-1998 წლებში მსახურობდა თავდაცვის მინისტრის მოადგილედ- ჯარების მშენებლობის და განთავსების დარგში.

1998-2002 წლებში მსახურობდა ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს უფროსად. დაჯილდოებულია «ვახტანგ გორგასლის» მე-III ხარისხის ორდენით.

2002 წლიდან თადარიგშია. ცხოვრობს თბილისში.



**გიორგი ნოდარის-ძე ყარყარაშვილი**  
**(დ.31.10.1966)**  
**ბრიგადის გენერალი (14.09.1992)**  
**გენერალ-მაიორი (1993)**

დაიბადა ქ.თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

1983 წელს დაამთავრა რკინიგზის № 3 საშუალო სკოლა და 1987 წელს თბილისის უმაღლესი სამხედრო საარტილერიო სამეთაურო სასწავლებელი.

1983-1990 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიაში, ოცმეთაურად, საარტილერიო ბატარეის მეთაურად საბჭოთა ჯარების შემადგენლობაში გერმანიაში, საარტილერიო ბატარეის და დივიზიონის შტაბის უფროსად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში. ბოლო წოდება საბჭოთა არმიაში-კაპიტანი.

1990 წელს აქტიურად ჩაერთო ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. იყო ეროვნული გვარდიის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი.

1991 წლის დასაწყისში იყო მის მიერვე შექმნილ ბატალიონ «თეთრი არწივის» მეთაური.

1992 წლის იანვრიდან იყო ეროვნული გვარდიის სარდლის მოადგილე («გვარდიის პოლკოვნიკი»).

1992 წლის თებერვალ-ივნისში იყო ეროვნული გვარდიის სარდალი.

1992 წლის აგვისტო-ოქტომბერში-იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდალი აფხაზეთის ტერიტორიაზე.

აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში.

1992-1993 წლებში მსახურობდა ეროვნული გვარდიის 1-ი ქვეითი ბრიგადის მეთაურად.

1993 წლის მარტ-მაისში-იყო ეროვნული გვარდიის სწრაფი რეაგირების კორპუსის სარდალი.

1993 წლის 6 მაისს საქართველოს პარლამენტის დადგენილებით დაინიშნა თავდაცვის მინისტრად.

1994-1995 წლებში სწავლობდა მოსკოვში გენერალური შტაბის აკადემიაში.

1995 წლის 25 იანვარს, მასზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად დაინვალიდდა.

1999-2003 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი.

ამჟამად არის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირ «საქართველოს ლეგიონის» თავმჯდომარე.

დაჯილდოებულია «ვახტანგ გორგასლის» მე-III ხარისხის ორდენით.

ცხოვრობს თბილისში.



**ივანე (ვანო) გრიგოლის-ძე გურგენიძე**  
**(22.11.1941-2012)**  
**გენერალ-მაიორი (15.10.1992)**  
**გენერალ-ლეიტენანტი (15.12.1993)**

დაიბადა ზესტაფონის რაიონის სოფელ ზოვრეთში, მუშის ოჯახში.

1959 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა სოფელ საზანოში, 1963 წელს დაამთავრა ომსკის საერთო საჯარო სამეთაურო სამხედრო სასწავლებელი, 1971 წელს დაამთავრა მინსკის უმაღლესი საინჟინრო ჰაერსაწინალო თავდაცვის ჯარების საზენიტო-სარაკეტო სასწავლებელი, 1978 წელს დაამთავრა ხარკოვის რადიოტექნიკური სამხედრო აკადემია.

1963-1966 წლებში მსახურობდა ბელორუსიის სამხედრო ოლქში ოცმეთაურად.

1971-1972 წლებში მსახურობდა ჰაერსაწინალო ჯარების მე-12 ცალკეულ არმიაში.

1978-1980 წლებში მსახურობდა იმავე არმიაში ინჟინრად, უფროს ინჟინრად.

1980-1985 წლებში მსახურობდა ჰაერსაწინალო ჯარების ბაქოს სამხედრო ოლქში, კორპუსის სარაკეტო შეიარაღების სამსახურის უფროსად.

1985-1987 წლებში მსახურობდა ჰაერსაწინალო ჯარების მე-19 ცალკეული არმიის საინჟინრო-სარაკეტო სამსახურის უფროსის მოადგილედ.

1987-1991 წლებში მსახურობდა იმავე არმიის შეიარაღების სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1992 წლის იანვარში დაინიშნა თავდაცვის მინისტრის მოადგილედ შეიარაღების დარგში.

დაჯილდოებული იყო «ვახტანგ გორგასლის» მე-II და მე-III ხარისხის ორი ორდენით. გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია იქვე.





**პაატა ნასყიდას-ძე დათუაშვილი**  
**(08.08.1954-25.01.1995)**  
**გენერალ-მაიორი (26.10.1992)**

დაიბადა ქ.ყვარელში , მოსამსახურის ოჯახში.

1971 წელს დაამთავრა ყვარლის საშუალო სკოლა, 1975 წელს დაამთავრა თბილისის უმაღლესი სამხედრო საარტილერიო სამეთაურო სასწავლებელი და 1988 წელს სამხედრო საარტილერიო აკადემია ქ.მოსკოვში.

1975-1978 წლებში მსახურობდა საცეცხლე ოცეულის და ბატარეის მეთაურად ბელორუსიის სამხედრო ოლქში.

1978-1980 წლებში მსახურობდა ბატარეის მეთაურად გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფში.

1980-1981 წლებში მსახურობდა თურქესტანის სამხედრო ოლქში, ტანკსაწინააღმდეგო ბატარეის მეთაურად.

1981 წლის თებერვალ-დეკემბერში მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

1982-1985 წლებში მსახურობდა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო დივიზიონის მეთაურის მოადგილედ ბელორუსიის სამხედრო ოლქში.

1988-1990 წლებში მსახურობდა რეაქტიული არტილერიის დივიზიონის მეთაურად ბაიკალის სამხედრო ოლაში.

1990 წელს აქტიურად ჩაერთო ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. იყო ეროვნული გვარდიის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი.

1991 წელს დაინიშნა ეროვნული გვარდიის არტილერიის უფროსად. იმავე წელს მიენიჭა «გვარდიის პოლკოვნიკის» სამხედრო წოდება.

1992 წლის ივლის-ნოემბერში იყო ქართული ჯარის მთავარი შტაბის უფროსის პირველი მოადგილე.

აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში.

1992 წლის დეკემბრიდან 1993 წლის აპრილამდე მეთაურობდა აფხაზეთში დისლოცირებულ მე-2 საარმიო კორპუსს.

1993 წლის აპრილში დაინიშნა შეიარაღებული ძალების სარდლის პირველ მოადგილედ, ხოლო 1993 წლის 22 მაისს დაინიშნა თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ.

1994-1995 წლებში სწავლობდა მოსკოვში გენერალური შტაბის აკადემიაში.

დაიღუპა მოსკოვში, 1995 წლის 25 იანვარს, მასზე და გენერალ გია ყარყარაშვილზე განხორციელებული თავდასხმის დროს.

დაჯილდოებული იყო «ვახტანგ გორგასლის» მე-III ხარისხის ორდენით.\მიღებული ჰქონდა ავღანეთის ჯილდოები.



**ელგუჯა აკაკის-მე ბუსხრიკიძე**  
**(12.05.1947-2010)**  
**პოლიციის გენერალ-მაიორი (30.10.1992)**

დაიბადა ბათუმის რაიონის სოფელ მარადიდში (აჭარის ასსრ).

1992 წლამდე მუშაობდა სსრკ შსს-ს სისტემაში.

1992-1996 მსახურობდა შსს შინაგან ჯარებში. 1996 წლიდან იყო-შინაგანი ჯარების შტაბის უფროსი.

აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში.

დაჯილდოებული იყო «ვახტანგ გორგასლის» მე-III ხარისხის ორდენით (20.10.1997).

დაკრძალულია ქ.ქუთაისში.

ანატოლი მიხეილის-ძე კამკამიძე  
(07.06.1936-23.06.1999)  
გენერალ-პოლკოვნიკი (15.12.1992)

1992 წლის სექტემბერში ჩამოვიდა საქართველოში და დაინიშნა თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ.

1992 წლის 30 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლად. გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ.ლვოვში.



სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 15 დეკემბრის სხდომა, სადაც ანატოლი კამკამიძეს მიენიჭა გენერალ-პოლკოვნიკის უმაღლესი სამხედრო წოდება

ნაწილი V  
«საზღვარგარეთის ქვეყნების არმიების  
ქართველი გენერლები»



მთიულთა რესპუბლიკა



**ლეო მათეს-ძე კერესელიძე**  
**(1883-23.11.1943)**  
**გენერალ-მაიორი (1919)**

ქართველი სამხედრო პოლიტიკური მოღვაწე, ჟურნალისტი, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

დაიბადა ცნობილი მოღვაწის მათე კერესელიძის და მარიამ ყანჭელის ოჯახში. წარმოშობით იყო ქუთაისის გუბერნიის, რაჭის მაზრის, სოფელ სადმელიდან.

1904 წელს ჩააბარა გამოცდები შენევის უნივერსიტეტში, სადაც «პრიატ-დოცენტის» ხარისხიც მოიპოვა. იკვლევდა დიპლომატიურ ურთიერთობებს.

1910-იან წლებში ჩაბმული იყო ჟურნალისტიკაში. ავტორია მოთხრობათა კრებულისა- «ადმოსავლური ფანტაზიები»

1904 წელს გემ «სირიუსზე» სოციალისტ-ფედერალისტებთან ერთად შემოიტანა იარაღის დიდი პარტია საქართველოში.

1905 წლის ამიერკავკასიაში რევოლუციის დროს სახელი გაითქვა თავდასხმებით რუსულ სამხედრო ნაწილებზე და მრავალი სარისკო საქმეების შესრულებით, მათ შორის დუშეთის სახელმწიფო ხაზინის გატაცებით და დივერსიებით სოხუმში. შემდეგ ევროპაში ცხოვრობდა.

1913-1914 წლებში თანარედაქტორობდა ჟენევაში გამომავალ გაზეთს «თავისუფალი საქართველო» რომლის დამფუძნებელი მისი ძმა გიორგი კერესელიძე იყო. იმავე პერიოდში მეცნიერ მიხეილ წერეთელთან ერთად სათავეში ჩაუდგა «საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს» რომელმაც პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდრგ ბერლინში დაიდო ბინა. აქ კერესელიძე თანამშრომლობდა «ქართულ გაზეთში» და მონაწილეობდა «ქართული ლეგიონის» ჩამოყალიბებაში.

ეს შენაერთი, რომელსაც სათავეში თვითონვე ჩაუდგა, განთავსებულ იქნა ოსმალეთ-რუსეთის კავკასიის ფრონტზე. იგი მოქმედებდა როგორც განცალკევებული მოხალისეთა სამხედრო შენაერთი გერმანიის და ოსმალეთის სამხედრო ხელმძღვანელობის კონტროლის ქვეშ.

კერესელიძემ ლეგიონი ლაზებით და მაჰმადიანი ქართველებით შეავსო და განახორციელა რამოდენიმე რეიდი აჭარაში, რითაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა რუსულ კომუნუკაციებს ბათუმის მისადგომებთან. მოგვიანებით, ოსმალეთის სარდლობასთან უთანხმოების გამო ლეგიონი ფაქტიურად დაშალეს, მაგრამ კერესელიძე განაგრძობდა დივერსიული აქტების მოწყობას რუსეთის არმიის წინააღმდეგ.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდში, 1918 წლის მაისში, კერესელიძე ბერლინში იმყოფებოდა, იგი მალევე დაბრუნდა სამშობლოში და მონაწილეობა მიიღო ეროვნული არმიის ჩამოყალიბებაში.

1919 წლის 30 სექტემბერს ქართული ჯარის პოლკოვნიკი ლეო კერესელიძე დათხოვნილი იქნა სამხედრო სამსახურიდან ტფილისის მაზრის ქვეითი ლაშქრის თადარიგში ჩარიცხვით.

1919 წელს დაინიშნა ჩრდილო კავკასიის და დაღესტნის ჯარების მთავარსარდლად და მთიელთა რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით მიენიჭა «გენერალ-მაიორის» სამხედრო წოდება.

საბჭოთა რუსეთის არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ კერესელიძე ემიგრაციაში წავიდა. მისი ძმა – იასონი, საქართველოში დარჩა, იყო «დამოუკიდებელი კომიტეტის» ხელმძღვანელი და «სამხედრო ცენტრის» წევრი. იგი «სამხედრო ცენტრის» სხვა წევრებთან ერთად 1923 წელს დახვრიტეს.

საქართველოდან წასვლის შემდეგ ლეო კერესელიძე ცხოვრობდა გერმანიაში, სადაც ჩამოაყალიბა მემარჯვენე ნაციონალისტური ორგანიზაცია «თეთრი გიორგი» (1924), რომლის მთავარი მდივანი თვითონვე იყო. დაჯილდოებული იყო «თამარ მეფის» ორდენით.

1930-იან წლებში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ჩრდილოეთ აფრიკაში (ალჟირსა და ტუნისში).


გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1942 წელს მონაწილეობა მიიღო «ქართველ ტრადიციონალისტთა» კავშირის შექმნაში.

იგი 1944 წელს იმსხვერპლა ნაღმის ნამსხვრევმა.



ლეო კერესელიძის მოღვაწეობას ბიოგრაფიული რომანი «უსასრულო ბრძოლა» (Unending Battle) მიუძღვნა ინგლისელმა მწერალმა ჰაროლდ კორტენეი არმსტრონგმა (Harold Courtenay Armstrong; 1891-1943).

(ბიოგრაფიული ცნობები გენერალ-მაიორ ლეო კერესელიძეზე ავტორებს მიაწოდა გენერლის შვილთაშვილმა, თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, პოლკოვნიკმა **ზაზა მჭედლიძემ**, რისთვისაც ავტორები უხდიან მას გულითად მადლობას).



«ქართული ლეგიონის» მეთაური პოლკოვნიკი ლ.კერესელიძე (1915)



აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა  
(1918-1920)

**ვასილ დიმიტრის-ძე კარგარეთელი**

**(29.07.1880-1938)**

**გენერალ-მაიორი (24.03.1920)**

განათლება მიიღო ტფილისის 1-ლ კლასიკურ გიმნაზიაში.

სამხედრო სამსახური დაიწყო იუნკრად მოსკოვის სამხედრო სასწავლებელში 1899 წელს.

1901 წლიდან მსახურობდა სანქტ-პეტერბურგში, ლაიბ-გვარდიაში, შემდეგ გვარდიული ქვეითების რეზერვში, გორის 259-ქვეით პოლკში.

1913 წელს დაამთავრა ნიკოლოზის გენერალური შტაბის აკადემია 1-ი თანრიგით.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1915-1916 წლებში მსახურობდა კავკასიის კაზაკთა 1-ი დივიზიის შტაბის უფროს ადიუტანტად, შემდეგ ჩრდილოეთის ფრონტის არმიების მთავარსარდლის შტაბის გენერალ-კვარტირმაისტერის სამმართველოში.

1918 წლამდე იმყოფებოდა სპარსეთში რუსული ჯარების შემადგენლობაში.

1918 წლიდან მსახურობდა ქართულ ჯარში, ქართული კორპუსის მე-2 დივიზიის მეთაურად.

1919 წლის 17 თებერვალს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება და დაინიშნა საქართველოს დიპლომატიური მისიის სამხედრო ატაშედ აზერბაიჯანში.

1919 წლის 15 ივლისიდან მსახურობდა აზერბაიჯანის ჯარში, გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს გენერალ-კვარტირმაისტერად.

1920 წლის 24 მარტს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობის №6 ბრძანებულებით - «განსაკუთრებული დამსახურებისათვის აზერბაიჯანის რესპუბლიკის წინაშე» მიენიჭა «გენერალ-მაიორის» სამხედრო წოდება .

1920 წლის 28 აპრილს საბჭოთა ჯარების მიერ აზერბაიჯანის ტერიტორიის დაკავების შემდეგ დაინიშნა სპარსეთის საბჭოთა რესპუბლიკის არმიის მთავარსარდლად.

1920 წლის ნოემბერში განთავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან სერგო ორჯონიკიძის პირადი განკარგულებით.

1920 წლის ბოლოდან ცხოვრობდა სპარსეთში. იყო თეირანის საპატიო მოქალაქე.

აქტიურად ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას. იყო ორგანიზაცია «თეთრი გიორგის» დამაარსებელი.

იმ პერიოდში ქართველები მრავლად იყვნენ სპარსეთში, მხედველობაში გვყავს ემიგრანტი თანამემამულენი, რომლებიც საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ გაიქცნენ სამშობლოდან. მაგრამ მათში მხოლოდ ერთმა გამოიჩინა თავი. ეს იყო გენერალი კარგარეთელი, სპარსეთში დაბინავებულა როგორც ჩვეულებრივი უცხოელი მოქალაქე. დიდი ოჯახის პატრონ გენერალს ცხოვრება გაუჭირდა. ის ყოველდღე გადიოდა ბაზარში და, მისივე სიტყვებით, შველოდა სახედრებისა და აქლემების ქარავნებს საპალნის ჩამოხსნა-აკიდებაში. იგი ასე შოულობდა დღეში ორიოდე ყრანს (ყრანი 30 კაპ.)

ამასობაში მდგომარეობა შეიცვალა, 1925 წელს რეზა-ხან ფეხლევიმ ხელში ჩაიგდო სახელმწიფო ძალაუფლება და შეუდგა ჯარის ახლებურად ორგანიზაციას. აქ მას გამოადგა

გენერალი კარგარეთელი. რეზა-ხანმა იგი დაიახლოვა და შეადგენინა სამხედრო სახელმძღვანელოები. რეზა-ხანსა და მის თანამშრომლებს თვითონვე შეასწავლა სხვადასხვა სამხედრო წესები. სპარსულ ენაზე გამოიცა მთელი რიგი სამხედრო სახელმძღვანელოებისა, რომელთა ავტორი იყო «გურჯი ხანი» – კარგარეთელი.

საბრძოლო დამსახურებისათვის და სამსახურში წარჩინებისათვის დაჯილდოებული იყო

«წმ.ანას» ორდენის მე-III (1913) ხარ.,

«წმ.სტანისლავის» ორდენის მე-III (1907) ხარ.,

«თამარ მეფის» ორდენის მე-III ხარ. (1925).

გარდაიცვალა და დაკრძალულია ქ.თეირანში.



ამერიკის შეერთებული შტატები



**ჯონ (მალხაზ) დევიდ შალიკაშვილი**  
**(John Shalikashvili)**  
**(27.06.1936-23.07.2011)**  
**არმიის გენერალი (10.10.1993)**

ჯონ მალხაზ შალიკაშვილი წარმოშობით ერთ–ერთ უძველეს ქართულ საგვარეულოს მიეკუთვნება.

მამამისი თავადი დიმიტრი იოსების ძე შალიკაშვილი 1918-1921 წწ. დამოუკიდებელი საქართველოს ჯარში პოდპოლკოვნიკის წოდებით მსახურობდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1922 წელს, თავი პოლონეთს შეაფარა. 1932 წელს ვარშავაში დაქორწინდა გრაფინია მარია ალექსანდრეს ასულ რედიგერ–ბელიაევაზე. პოლონეთში დაიბადა მათი სამივე შვილი – ოთარი, მალხაზი და გილი. (1939-1945) წლების მეორე მსოფლიო ომში დიმიტრი გერმანელების მხარეს ქართულ ბრიგადაში იბრძოდა.

1945 წლის დასაწყისში მისი სამხედრო ერთეული ბრიტანელებმა დაატყვევეს. ამ დროისათვის მისი ოჯახი ქ.პაპენჰაიმში (ბავარია) ნათესავებთან აფარებდა თავს. ტყვეობიდან განთავისუფლებული დიმიტრი ოჯახს შეუერთდა.

1952 წელს შალიკაშვილები აშშ-ში გადასახლდნენ. ბინა ქ.პეორიაში (ილინოისის შტატი) დაიდეს. ამ ქალაქში დაამთავრა მან საშუალო სკოლა. 1958 წლის ივნისში მანმანქანათმშენებლობის ბაკალავრის ხარისხი მიიღო ბრედლის უნივერსიტეტში. სწავლა

განაგრძო ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში და მალე საერთაშორისო ურთიერთობათა მაგისტრის ხარისხიც მოიპოვა.

1958 წლის მაისში, შალიკაშვილების ოჯახმა აშშ-ს მოქალაქეობა მიიღო. ამავე წელს ჯონი საკუთარი ნებით შევიდა ამერიკის ჯარში. აქედან იწყება მისი თავბრუდამხვევი სამხედრო კარიერა. აშშ უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის, შტაბისა და არმიის სამხედრო კოლეჯების დასრულების შემდეგ, 1959 წელს ოფიცერთა სკოლაც დაამთავრა და მეორე ლეიტენანტის სამხედრო წოდება მიენიჭა.

1982 წელს მიენიჭა -«ბრიგადის გენერლის» სამხედრო წოდება,

1986 წლის 1 სექტემბერს მიენიჭა -«გენერალ-მაიორის» სამხედრო წოდება,

1989 წლის აგვისტოში მიენიჭა -«გენერალ-ლეიტენანტის» სამხედრო წოდება.

გენერალი შალიკაშვილი სხვადასხვა საპასუხიმგებლო თანამდებობაზე მსახურობდა შტატებში, ევროპისა და აზიის ქვეყნებში. ასრულებდა დირექტორის, სტრატეგის, პოლიტიკური დამგეგმავის მოვალეობებს.

1984 წელს დაინიშნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში პირველ ჯავშან-სატანკო დივიზიის თანამემწედ. 1986 წელს, 50 წლის ასაკში, შეერთებული შტატების სამხედრო ხელმძღვანელობაში უწყების ხელმძღვანელის მოადგილის თანამემწედ დაბრუნდა.

1987-1989 წლებში მსახურობდა ვაშინგტონის შტატის ქ. ფორტ-ლევისში მე-9 მოტორიზებულ დივიზიაში, 1989 წლიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ევროპაში დისლოცირებული ამერიკის მე-7 არმიის შტაბის უფროსის მოადგილე იყო.

1991 წლის აპრილში იგი სათავეში ჩაუდგა ოპერაციას «Provide Komfort», ერაყელი ქურთებისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების პროგრამას, რომლის ფარგლებშიც ჩრდილო ერაყში ასიათასობით ლტოლვილი ქურთი დაბრუნდა.

1991 წლის აგვისტოში გენერალი შალიკაშვილი ვაშინგტონში გაიწვიეს და შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარის თანამემწედ დანიშნეს.

1993 წლის 25 ოქტომბერს კი, პრეზიდენტ ბილ კლინტონის გადაწყვეტილებით, ამავე კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე დააწინაურეს. ის გახდა აშშ-ის შეიარაღებული ძალების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის პირველი ხელმძღვანელი, რომელიც ამერიკაში არ დაბადებულა. ამ თანამდებობაზე დანიშვნამდე, 1992-1993 წლებში, გენერალი შალიკაშვილი ევროპულ ზონაში აშშ შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის მთავარსარდლისა და, შესაბამისად, ევროპაში NATO-ს გაერთიანებული (სამოკავშირეო) შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობებს ითავსებდა, მონაწილეობდა ამერიკა-კორეის, ამერიკა-ვიეტნამისა და ამერიკა-ქუვეითის ომებში.

1997 წლის სექტემბერში, ამერიკის არმიაში 38-წლიანი მსახურების შემდეგ, გენერალი შალიკაშვილი საკუთარი სურვილით ტოვებს სამხედრო სამსახურს და იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი იყო ქ.სტენფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ცენტრის პროფესორი, «ბოინგის» კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრი, აქტიურად იყო ჩართული ამერიკის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

2004 წელს მთავარი მრჩეველი იყო დემოკრატ ჯონ კერის საპრეზიდენტო კამპანიაში.

გენერალი შალიკაშვილი მრავალი ჯილდოს კავალერია – კონგრესის «ღირსების» მედლის, ბრინჯაოს ვარსკვლავის, «თავისუფლების» მედლის და ბევრი სხვა ჯილდოებისა. მიღებული აქვს არაერთი უცხოური ჯილდოც. აშშ-ს არმიაში მხოლოდ 3 ემიგრანტს აქვს მინიჭებული გენერლის სრული წოდება – 4 ვარსკვლავი, აშშ-ს პრეზიდენტისა და თავდაცვის მინისტრის მთავარი სამხედრო მრჩეველი ჯონ მალხაზ შალიკაშვილი 75 წლის ასაკში, 2011 წლის 23 ივლისს ვაშინგტონში გარდაიცვალა. დაკრძალულია არლინგტონის მემორიალურ სასაფლაოზე.

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მაღალი შეფასება მისცა ჯონ მალხაზ შალიკაშვილის დამსახურებას:

*"შეერთებულმა შტატებმა დაკარგა ჭეშმარიტი ჯარისკაცი და სახელმწიფო მოღვაწე, რომლის გამორჩეული ბიოგრაფია ასახავს უსაზღვრო შესაძლებლობებს, რომლებსაც ამერიკა აძლევს იმ ხალხს, ვინც მას ემსახურება. პოლონეთიდან ემიგრირებული ახალგაზრდა კაციდან, რომელმაც ინგლისური ენა მსახიობ ჯონ უეინისა და ვესტერნების წყალობით შეისწავლა – უმაღლესი სამხედრო თანამდებობით დამთავრებული, რომლებსაც მან მიაღწია – შალიკაშვილის ცხოვრება «ამერიკული ოცნების» განხორციელება იყო. რა მხრიდანაც არ უნდა მიუდგე, მან ჩვენი ქვეყანა უსაფრთხოდ და უკეთესად აქცია»* – ნათქვამია ამერიკის პრეზიდენტის სამძიმრის წერილში.

ქ. გურჯაანში, ძმებ შალიკაშვილების ქუჩაზე, შალიკაშვილების წინაპრების მიერ 1830 წელს აშენებულ სახლში, 1999 წლიდან ფუნქციონირებს – «შალიკაშვილების სახელობის ქართული მხედრული ისტორიის მუზეუმი». (მუზეუმის დირექტორია შოთა უტიაშვილი).

მუზეუმის გახსნას გენერალი შალიკაშვილი პირადად ესწრებოდა. 2005 წელს ჯონ მალხაზმა მუზეუმს უსახსოვრა თავისი ჯილდოები და სამხედრო მუნდირი.

გენერალ შალიკაშვილს არაერთხელ ურჩიეს გვარი გადაეკეთებინა, რადგან ამერიკელებისათვის ძნელად გამოსათქმელი იყო, მაგრამ არც ჯონს და არც მის ძმას ოთარს გვარი არ შეუცვლიათ და არც შეუმოკლებიათ.

ჯონ მალხაზ შალიკაშვილის მუნდირზე, მკერდთან, მარჯვენა მხარეს, სიცოცხლის ბოლომდე მოჩანდა აბრა, სადაც ეწერა: «SHALIKASHVILI».



**გენერალ ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის დაკრძალვა არლინგტონის მემორიალურ სასაფლაოზე**





გერმანიის რაიხი



**შალვა ნიკოლოზის-ძე მაღლაკელიძე**  
**(02.05.1894-07.11.1976)**  
**გენერალ-მაიორი (17.07.1944)**

დაიბადა ქუთაისის გუბერნიის სოფელ დიხაშხოში, გლეხის ოჯახში.

1905 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია.

1914 წელს დაიწყო სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე გააგზავნეს ტფილისის იუნკერთა დაჩქარებულ კურსებზე ოფიცრის წოდების მისაღებად.

1915 წლიდან პოდპორუჩიკის წოდებით დაინიშნა ახალციხის 114-ე ქვეით პოლკში.

სამხედრო დამსახურებისათვის დაჯილდოვდა «გიორგის ჯვრის» მე-IV ხარისხით.

1917 წლის თებერვალში რუსეთში მომხდარი რევოლუციის შემდეგ, 1917-1918 წლებში იყო ახალციხის გარნიზონის სამხედრო პრეზიდენტის თავმჯდომარე, სამუსლიმანო საქართველოს სამხედრო და სამოქალაქო საქმეებში სრულუფლებიანი წარმომადგენელი, ტფილისის გუბერნიის კომისარი.

1918-1921 წლების დამოუკიდებლობის პერიოდში, მან სრულიად ახალგაზრდა კაცმა, მესხეთში არეულობების დროს, გამოავლინა დიდი ადმინისტრაციული შესაძლებლობები და ორგანიზატორული ნიჭი, მან შესძლო შეენარჩუნებინა ახალციხის მაზრა საქართველოს საზღვრებში.

1918-1921 წლებში იგი ახალციხის, ტფილისის და აღმოსავლეთ საქართველოს გენერალ-გუბერნატორია.

25 წლის ასაკში მიენიჭა ქართული არმიის პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, 1921 წლის მაისში იგი დააპატიმრეს და მოათავსეს ჯერ ქუთაისის, შემდეგ კი ტფილისის ციხეში გენერალ გიორგი მაზნიაშვილთან ერთად.

1922 წელს გადაიყვანეს მოსკოვში, რუსეთის «ЧК»-ს განკარგულებაში. რამოდენიმე ხანი ცხოვრობდა მოსკოვში, მუშაობდა რუსეთის საელჩოში, 1924 წლიდან ცხოვრობდა ლატვიაში, მუშაობდა ლატვიის ბანკში იურისკონსულტად. 1929 წელს, ჩამოაყალიბა საზოგადოება «ივერია» რიგაში, რომელსაც მალე სომხური დიასპორაც შეუერთდა და ორგანიზაციას «კავკასიური საზოგადოება» დაერქვა. ირიცხებოდა ქ.დვინსკის კავალერიის პოლკში და ასრულებდა სხვა და სხვა პოლიტიკური სახის დავალებებს, მიმართულს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ქვეყნიდან წამოსულ თანამომხმეთათვის მატერიალური და სხვა სახის დახმარების გაწევა იყო.

შიდა უთანხმოების გამო 1933 წელს საზოგადოებიდან ქართველები წამოვიდნენ და იმავე წლის ნოემბერში დააარსეს «ლატვიის ქართველთა საზოგადოება». როგორც საზოგადოების ყველაზე აქტიურ წევრს, მაღლაკელიძეს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცენტრებთან საფრანგეთში.

შემდეგ ცხოვრობდა ჩეხოსლოვაკიაში, სადაც დააარსა «ქართველი პოლიტემიგრანტების საზოგადოება», «ქართველთა ორგანიზაცია ჩეხოსლოვაკიაში», «კავკასიელების დამხმარე ორგანიზაცია» რომელთა თავმჯდომარე თვითონვე იყო.

პრადის უნივერსიტეტში დაასრულა თავისი იურიდიული განათლება, სადაც მან დაიცვა ჯერ საკანდიდატო დისერტაცია, შემდეგ კი სადოქტორო დისერტაცია თემაზე-

*«მოდრავი ქონების მოპარვა 1845 წლის წესდების, 1903 წლის სისხლის სამართლის წესდების და 1922 წლის საბჭოთა კოდექსის მიხედვით»*

1934 წლიდან ცხოვრობდა საფრანგეთში.

ის ერთ-ერთი მთავარი დამფუძნებელი იყო ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაციებისა «თეთრი გიორგი» (1924-1954) და «ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი» (1942), რომლებიც გერმანიაში ქართული პოლიტიკური ემიგრანტების მიერ ჩამოყალიბდა.

1938 წლიდან მსახურობდა გერმანულ ჯარში. 1939 წლიდან მსახურობდა გერმანიის ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობის სამხედრო მრჩეველად.

1942-1943 წლებში არჩეული იყო «ქართული ეროვნული კომიტეტის» და «ქართული სამოკავშირეო შტაბის» წევრად.

ომის პერიოდში მეთაურობდა ვერმახტის «ქართულ ლეგიონს», რომელიც ქართველ პატრიოტთა მიერ ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირთან საბრძოლველად და საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად.

შალვა მაღლაკელიძე ომში ჩაება გერმანიის მხარეს. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოწვეული იყო შემდეგით, გერმანული გეგმის ერთერთი მთავარი ბურჯი გახლდათ საბჭოთა კავშირის დაშლა, ვინაიდან მათი შეხედულებებით შესაძლებელი იყო სხვადასხვა კულტურისა და ენის მქონე ხალხი ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინათ, უნდა შექმნილიყო ალტერნატიული ძალა რომელიც ეთნიკურად იქნებოდა დაკავშირებული თავის ქვეყანასთან და მას უნდა მოეხდინა საზოგადოებრივი აზრის დემორალიზაცია საბჭოთა

კავშირთან მიმართებაში, თუმცა ქართველ მეომრებს ფიურერი ჰპირდებოდა დამოუკიდებლობას და მის სრულ დეოკუპაციას საბჭოთა ჯარისაგან, სწორედ ეს გახლდათ მამოძრავებელი ძალა იმ პატრიოტებისა, რომლებიც მიმოფანტულნი იყვნენ ევროპაში და იბრძოდნენ არა გერმანიისათვის, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

1941 წელს ნაცისტურ ჯარში შალვა მალაქელიძე ქმნის «თამარ მეფის» ორდენს რომელიც ემსახურებოდა საბრძოლო მოტივაციის ამაღლებას.

ვერმახტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის და «ქართული ლეგიონის» შექმნისათვის მიენიჭა ვერმახტის «გენერალ-მაიორის» სამხედრო წოდება და დაჯილდოვდა «წარჩინების ნიშნით» (მახვილებით) აღმოსავლეთის ხალხებისათვის.

1945 წელს გერმანელთა დამარცხების შემდეგ შალვა მალაქელიძე დასავლეთ გერმანიაში გადავიდა საცხოვრებლად. 1949 წლიდან იგი იწყებს თანამშრომლობას კონრად ადენაუერთან სამხედრო მრჩევლის სტატუსით, რომელთან მუშაობაც მას დიდხანს არ დასცალდა.

1954 წლის 26 იანვარს ვაჟთან, გაიოზთან ერთად დააფუძნა ორგანიზაცია «საზღვარგარეთ ქართველ მხედართა დარაზმულობა» მიუნხენში.

1954 წლის აგვისტოში საბჭოთა უშიშროების მიერ იქნა გამოყვანილი საბჭოთა კავშირში.


1954-1962 წლებში მუშაობდა ოურისკონსულტად.

1962 წლამდე დაკავებული იყო საადვოკატო პრაქტიკით. ადვოკატად მუშაობის პერიოდში დაიმსახურა კარგი სახელი და თავისი თანაქალაქელების პატივისცემა, ბევრჯერ ბრწყინვალედ ამთავრებდა პროცესებს.

1962-1976 წლებში მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობის იურისკონსულტად.

სიცოცხლის ბოლო წლები ქ.რუსთავში გაატარა. დაკრძალულია თბილისში.





ოსმალეთის იმპერია



**ალი რიზა ფაშა  
(თავდგირიძე)  
(1854-1921)  
გენერალ-ლეიტენანტი**

დაიბადა მეჰმედ მედეთ ბეი თავდგირიძის ოჯახში, ქ.ართვინში (1921 წლიდან თურქეთის რესპუბლიკის ფარგლებშია, ავტორთა შენიშვნა).

1881 წელს დაამთავრა საინჟინრო სასწავლებელი. სწავლა გააგრძელა გერმანიაში. საარტილერიო საქმის შესწავლისათვის რამოდენიმეჯერ ევროპაში იმყოფებოდა. იყო არსენალის უფროსი და სამხედრო სასწავლებლების კურატორი.

არჩეულ იქნა მეჯლისის წევრად.

მონაწილეობდა (1912-1913) წლების ბალკანეთის ომში და (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

იყო ჩანაკ-კალეს სამხედრო გუბერნატორი.

ავტორია სახელმძღვანელოსი საარტილერიო საქმეში.

გარდაიცვალა ქ.უსკიუდარში. დაკრძალულია ფატიხის მეჩეთში.



**მაჰმუდ-ფაშა თავდგირიძე  
(Çürüksulu Mahmud Paşa)  
(1864-31.07.1931)  
გენერალ-ლეიტენანტი**

დაიბადა ჩურუქ-სუმი (ახლ.ქ.ქობულეთი, აჭარა) ჰუსეინ-ბეი თავდგირიძის ოჯახში.

დაამთავრა ქულელის სამხედრო სასწავლებელი. მსახურობდა ოსმალეთის გენერალურ შტაბში. სარდლობდა ქ.დამასკოში (სირია) დისლოცირებულ მე-5 ქვეით ბრიგადას.

1897 წელს მონაწილეობდა საბერძნეთის ომში, 1909 წლის შემდეგ მახმუდ-ფაშამ მიიღო მონაწილეობა ოსმალეთის არმიის მოდერნიზაციაში გერმანიის უმაღლესი სარდლობის ეგიდით. იყო დანიშნული საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრად პოლიტიკურ პარტია «ერთიანობა და პროგრესში», მონაწილეობდა (1911-1912) წლების ომში, იტალია-ოსმალეთის ომში და (1912-1913) წლების ბალკანეთის ომში, სადაც სარდლობდა მე-2 და მე-3 ქვეით ბრიგადებს.

როცა 1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, მახმუდი გამოდიოდა წინააღმდეგ ოსმალეთის ჩაბმაზე ამ ომში, რადგან მას მიაჩნდა რომ ოსმალეთის ჯარი არ იყო მზად ომისათვის. «ერთიანობა და პროგრესში» იგი ითვლებოდა საკმაოდ ცნობილ და საპატივსაცემო პიროვნებად.

1913-1914 წლებში-მსახურობდა ოსმალეთის სამხედრო-საზღვაო მინისტრად.

1914 წელს, მახმუდ-ფაშას კანდიდატურა სულთანმა წამოაყენა ოსმალეთის სენატის თავმჯდომარის პოსტზე.

1918-1919 წლებში, ოსმალეთის დამარცხების შემდეგ პირველ მსოფლიო ომში ხელმძღვანელობდა კომისიას საზავო მოლაპარაკებებზე.

1919 წელს მხარი დაუჭირა სომხებს ტერიტორიალური დათმობების საკითხებში, რამაც ათათურქის მძაფრი კრიტიკა გამოიწვია.

1920 წლის 22 მარტს დააპატიმრეს და ბრიტანელების მიერ იქნა გადასახლებული კუნძულ მალტაზე.

1921 წელს, რეპატრაციის შემდეგ, დაბრუნდა ოსმალეთში. გარდაიცვალა სტამბოლში. დაკრძალულია ქარაჯა-ჯამეს სასაფლაოზე.



**ახმედ ავნი-ფაშა  
(ლორთქიფანიძე)  
(1874-1937)  
გენერალ-ლეიტენანტი**

დაიბადა ქ.ბათუმში, ტრაპიზონის ჟანდარმერიის უფროსის სულეიმან-ფაშა ლორთქი-  
ფანიძის ოჯახში.

დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში. ომის დროს მსახურობდა  
ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო გუბერნატორად.

ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად შეაჩერა რუსეთის არმიის შეჭრა ოსმალეთის  
შიდა რაიონებში.

მსახურობდა ოსმალეთის უკანასკნელი სულთნის-ვაჰიედდინის უფროს ადიუტანტად.

1919 წელს დაინიშნა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მინისტრად.

ხელმძღვანელობდა თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებლის, ატათურქის და მისი  
მეგობრების სამსუნში გაგზავნის ორგანიზებას. სიცოცხლის ბოლომდე იმყოფებოდა ყოფილი  
სულთნის-ვაჰიედდინის გვერდით.





**ჰალილ რიფათ-ფაშა**  
**(Gürcü Halil Rifat Paşa)**  
**(1795-04.03.1856)**  
**ადმირალი**

სამწუხაროდ მისი გვარი არაა ცნობილი. სულთან მაჰმუდ II-ს და სულთან აბდულ-მეჯიდის პერიოდებში ქართველი ეროვნების სამხედრო-საზღვაო მოღვაწე. მონაწილეობდა (1828-1829) რუსეთთან ომში. მსახურობდა ტრაპიზონის, იზმირის, ბურსის და როდოსის სამხედრო გუბერნატორად. 1830-1832, 1843-1845, 1847-1848 და 1854-1855 წლებში იყო ოსმალეთის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი (ადმირალი) 1854 წელს იქორწინა სულთანის ქალიშვილზე და გახდა სასახლის სიძე. დაკრძალულია ეიუბ-სულთანის სასაფლაოზე.



**ვასიფ-მეჰმედ-ფაშა (გუჯაბიძე)**  
**(Mehmet Vasif Pasa Gürcü)**  
**(1795-1865)**  
**მუშირი (მარშალი) (1839)**

დაიბადა გურიაში, სოფელ ჩოჩხათში.

1820 წელს თავადმა დავით მაჭუტაძემ იგი გაყიდა ოსმალეთში.

ოსმალეთში ჩაყვანილი ქართველი ბიჭი, ასევე წარმომავლობით ქართველმა ხოსრო (ხუსრევ) მეჰმედ-ფაშა ჩხეიძე-ერისთავმა გამოისყიდა და აღზარდა.

დაბალი სამხედრო სამსახურის შემდეგ ჯერ მაიორი, შემდეგ პოლკოვნიკი გახდა.

1830 წელს მას «გენერალ-მაიორის» წოდება მიენიჭა, ხოლო 1836 წელს ბოსფორის ბრძოლებმა მას «გენერალ-ლეიტენანტის» სამხრეები მოუტანა.

1839 წელს მიენიჭა «მუშირის» (მარშლის) წოდება და ქ.ნიშის გამგებლადც გაამწესეს.

შემდეგ მას სილისტრის (1840), ქოსთენდილის (1842), სალონიკის (1844), ვადინასა და ტრაპიზონის (1850) გამგებლის პოსტებზე ნიშნავენ.

1854 წელს ვასიფ-მეჰმედ-ფაშა კვლავ სამხედრო სამსახურს უბრუნდება, ის ანატოლიის ჯარების სარდლად დანიშნეს, მონაწილეობდა ყარსის ბრძოლებში. ამ დროს ის რუსებმა ტყვედ ჩაიგდეს, მაგრამ მალე მეომარ ქვეყნებს შორის გაფორმდა საგანგებო კონვენცია, რომლის საფუძველზე მან თავი დააღწია ტყვეობას.

ომის დამთავრების შემდეგ ვასიფ-მეჰმედ-ფაშა დროდადრო ასრულებდა ჰასის, თოფჰანეს, არაბეთის მუშირის მოვალეობას და შემდგომი სიცოცხლე სამხედრო სამსახურში გაატარა.

დაკრძალულია უსკუდარში, ჰუდო-ეფენდის სავანეში.



**თემურ-ფაშა ხიმშიაშვილი**  
**(1860-1921)**  
**გენერალ-მაიორი(1918)**

დაიბადა ზემო აჭარაში, (ახლ.ხულოს რ-ნი, სოფ. ქოჩაყი), შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის (1829-1892) ოჯახში.

რუსეთის იმპერიის მიერ აჭარის შემოერთების შემდეგ იბრძოდა სამეფო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში. იბრძოდა ბათუმის ოლქის ოსმალეთის იმპერიაში დარჩენაზე.

1918 წელს თემურ-ფაშა ხელმძღვანელობდა დელეგაციას სტამბოლში სულთან ვაჰიდდინთან შესახვედრად. სულთანმა მის საპატივსაცემად მიიღო იგი «ილდიზ სარაიში» და მიანიჭა «გენერალ-მაიორის» სამხედრო წოდება.

გარდაიცვალა ზემო აჭარაში, თავის მამულში.



პოლონეთი



ალექსანდრე დავითის-ძე ჩხეიძე, თავადი

(05.07.1873 -1941)

ბრიგადის გენერალი (1923)

დაამთავრა ტფილისის კადეტთა კორპუსი და ალექსანდრეს მე-3 სამხედრო სასწავლებელი.

მსახურობდა მინგრელსკის მე-16 გრენადერთა პოლკში და ტფილისის იუნკერთა სასწავლებელში.

მონაწილეობდა (1914-1918) წლების პირველ მსოფლიო ომში.

1915 წლის 6 დეკემბერს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1916 წლიდან მსახურობდა კავკასიის მე-15 მსროლელ პოლკში.

1917 წელს, რუსეთში რევოლუციის შემდეგ, საქართველოში დაბრუნდა და დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო აღმშენებლობის საქმეში ჩაება.

1918-1921 წლებში მსახურობდა ქართულ ჯარში. შეადგინა ქართული სამხედრო სკოლის რეორგანიზაციის პროექტი. იყო ქართული სამხედრო სკოლის უფროსის თანაშემწე, შემდეგ უფროსი.

მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ახალგაზრდა რესპუბლიკის იუნკერთა აღზრდის საქმეში.

1919 წლის 6 ივლისს სამხედრო მინისტრის ბრძანებით დაჯილდოვდა გიორგის ოქროს იარაღით-

*«ბრძოლაში ივნისის 29-დან 30-მდე, საბრძოლველ უბნის უფროსობის დროს მე-4 კავკასიის მსროლელ დივიზიის მე-4 ბატალიონის და 4 სამთო ზარბაზნის შემადგენლობით, დივიზიის უფროსის ბრძანებით, პირადად ხელმძღვანელობდა თავის რაზმს, ჯვარედინ ცეცხლის ქვეშ იერიში მიიტანა ძლიერ გამაგრებულ 2100-იან მაღლობზე და ხელ-ჩართული ბრძოლის შემდეგ დაიკავა ეს მეტად მნიშვნელოვანი მაღლობი. ამ გამარჯვებამ ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ გადმოხარა. ოსმალებმა მთელ ფრონტზე მე-4 კავკასიის მსროლელი დივიზიის წინ, 30 ივნისს დილიდგან იწყეს უკან დახევა, მათი წინააღმდეგობა გადალახული იქმნა, რადგან მათ ზურგს საშიშ მდგომარეობაში აყენებდა პოლკოვნიკ ჩხეიძის უბანი. შემდეგ*

განკარგულებამდე მან გამბედილად განაგრძო შეტევა და დაიკავა სოფელი კანლი-კაია. ამ დროს პოლკოვნიკ ჩხეიძის უბნის გამარჯვების გამო დივიზიის დანარჩენი ნაწილები იერიშით მივიდნენ ოსმალთა პოზიციებზე, რომელნიც მიდიოდნენ სოფელ მაზდან-ხალარიდგან სამხრეთ დასავლეთით 2500-იან მაღლობზე, და საღამოს დაიკავეს სოფელი ბაადანი.

შეუპოვარ ბრძოლათა დროს, პოლკოვნიკმა ჩხეიძემ დაიკავა პუნქტების მთელი რიგი: 2100-იან მაღლობი, მთა მაადან-მანჩასთან, მაღლობი კირკლარი-ტოპასი, რითაც არა ერთხელ სწყვეტდა დივიზიის მთელ ფრონტზე ბრძოლას ჩვენ სასარგებლოთ. ყოველთვის ბრძოლის დროს იჩენდა განკარგულების უნარს, ინიციატივას და გამბედავობას. ბრძოლის დროს ტყვედ წამოყვანილ იქმნა 200 ასკერი და რამოდენიმე ოფიცერი, ქალაქ ბაიბურთში ხელთჩაგდებულ იქმნენ საინჟინრო, სასაგნო და პროდუქტის საწყობები. მთა კოლვიდასთან ტყვიის მფრქვეველ პოლკის შემადგენლობას გამოაკლდა 2000 კაცი-875 მოკლული და დაჭრილი მსროლელი და 29 ოფიცერი»

1919 წლის აგვისტოში ტფილისში იუნკერთა 2-წლიანი სამხედრო სკოლა გაიხსნა. სკოლის უფროსმა, გენერალმა გიორგი კვინიტაძემ, თანაშემწედ პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე მიიწვია.

1921 წლის 11 თებერვალს კვინიტაძის ბრძანებით, სხვა სამხედრო ნაწილებთან ერთად, იუნკერთა სკოლამ 7 კილომეტრი საბრძოლო პოზიცია დაიკავა კოჯორ-ტაბახმელასთან. პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხეიძის მეთაურობით ქართველი იუნკრები 10 დღის განმავლობაში იგერიებდნენ წითლების შემოტევებს, რამდენიმეჯერ იერიშზეც გადავიდნენ და რუსები აიძულეს უკან დაეხიათ. როდესაც გენერალმა ანდრონიკაშვილმა ბრძანება გასცა – იუნკრებს უკან დაეხიათ, პოლკოვნიკმა ჩხეიძემ უკან დახევის მაგივრად თავის ოფიცრებს უბრძანა ხიმტებით მოეგერიებინათ მოწინააღმდეგე და იერიშზე გადასულიყვნენ. ამ ბრძოლის შემდეგ, მტრის ბატალიონი განადგურდა. ქართველებს კი ხელში 4 ქვემეხი, 15 ტყვიამფრქვევი და რამდენიმე ასეული ტყვე ჩაუვარდათ. თუმცა, ამ უთანასწორო ბრძოლაში ბევრი იუნკერი დაიღუპა. მათ გვერდით დაეცა მოწყალეების და – მარო მაცაშვილი.

ქართულ ჯართან ერთად, იუნკრებმა ჯერ მცხეთის, შემდეგ კი ხაშურის პოზიციებისაკენ დაიხიეს, მაგრამ კონტრშეტევა ვერ მოხერხდა. ჯარმა გეზი ბათუმისაკენ აიღო, სადაც საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე, მთავრობამ დროებით შეაჩერა თავისი უფლებამოსილება, ხოლო 1921 წლის 17 მარტს ბათუმი დატოვა. მასთან ერთად გაემგზავრა ბევრი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეც. მთავარსარდალი, იუნკერთა სკოლის ხელმძღვანელი ალექსანდრე ჩხეიძე და 69 იუნკერი სტამბოლში ჩავიდნენ. 14 იუნკერი შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. კვინიტაძის შუამდგომლობით, 5 იუნკერი საფრანგეთის სენ-მიქსენის სამხედრო სკოლამ მიიღო, 13 იუნკერი – საბერძნეთის სამხედრო სკოლამ. დანარჩენები კი პოლონეთმა.

1922 წლიდან ასწავლიდა საპოლკო მეთაურების კურსებზე ქ.რემბერტოვოში.

მთელი 1923 წელი გაატარა ვარშავის ქვეით სკოლაში, სადაც ზრუნავდა ქართველების ჯგუფზე.

1923 წლიდან გადიოდა კავალერიის კურსს ქ.გრუდძენძის მთავარ სამხედრო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1924-1926 წლებში მსახურობდა კავალერიის ოფიცერთა სკოლაში და მე-16 ქვეით დივიზიაში.

1927-1931 წლებში მეთაურობდა პოზნანის მე-14 ქვეით დივიზიას.

1931 წლიდან იმყოფებოდა მე-VII კორპუსის შტაბის განკარგულებაში, შემდეგ კი დათხოვნილი იქნა პოლონეთის არმიიდან, რადგან კონტრაქტი აღარ გაუგრძელეს წლოვანების გამო.

თადარიგში გასვლის შემდეგ, 1939 წლამდე, ცხოვრობდა ქ.ლვოვში.

საბჭოთა კავშირის მიერ დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის დაკავების შემდეგ, დაპატუმრებულ იქნა შინსახკომის ოფიცერთა მიერ და გადაყვანილ იქნა ლვოვის ციხეში.

1940 წლიდან გადაიყვანეს შინსახკომის შიდა ციხეში ქ.კიევში, სადაც მას წაუყენეს ბრალდება საქართველოს და პოლონეთის ჯარებში სამსახურის და ვარშავის «ქართულ კომიტეტთან» თანამშრომლობის შესახებ.

1940 წლის 16 დეკემბერს სპეციალური ბადრაგით იგი გადაიყვანეს მოსკოვში.

დაახლოებით 1941 წლის დასაწყისში შინსახკომის «სამეულის» განაჩენით იგი დახვრიტეს.

დაჯილდოებული იყო «წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-III (მახვილებით-1917) ხარისხით.





**გიორგი პავლეს-ძე თუმანიშვილი, თავადი**  
**(Jerzy Tumaniszwili)**  
**(21.06.1916-09.12.2010)**  
**კონტრ-ადმირალი (2008)**

დაიბადა თავად პავლე თუმანიშვილის (1872-1935) და მისი პოლონელი მეუღლის იადვიგა შიშკოს ვაჟი. ქალბატონი იადვიგა იყო ჟიტომირის გარნიზონის კომენდანტის გენერალ ცეზარ შიშკოს ასული. მამამისი – პავლე თუმანიშვილი, იყო მრავალგზის არჩეული საქართველოს თავადაზნაურთა წინამძღოლად (მარშლად).

იეჟი თუმანიშვილი დაიბადა მოსკოვში. მაგრამ მალე მთელი მისი ოჯახი ტფილისში გადავიდა საცხოვრებლად. აქ ისინი ცხოვრობდნენ 1921 წლამდე. ამ დროიდან იეჟის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება – ემიგრაცია, რომელიც პოლონეთში დამკვიდრებით დასრულდება.

თავდაპირველად ისინი ვარშავის გარეუბანში დაიდებენ ბინას, ხოლო შემდეგ ვარშავაში დასახლდებიან. ამ ქალაქში იეჟი სტეფან ბატორის სახელობის სასწავლებელში დაიწყებს სწავლას. მალე ისინი ქ.ვილნოში გადადიან საცხოვრებლად, და გიმნაზიაში აგრძელებს სწავლას.

1930 წლამდე პავლე თუმანიშვილი რამდენიმე წლის მანძილზე იყო «საქართველო-პოლონეთის» საზოგადოების პრეზიდენტი ვარშავაში.

1935 წელს იეჟი თუმანიშვილი, გენერალ ალექსანდრე ზაქარიადის პროტექციით მოეწეობა სამხედრო – საზღვაო სასწავლებელში, რომელიც ამ პერიოდში ქ.ტორუნში (პოლონეთის ერთ-ერთი სავოევოდო) მდებარეობდა. თავის მოგონებებში იეჟი თუმანიშვილი წერდა, რომ სხვა მოსწავლეებისაგან იგი არაფრით გამოირჩეოდა, თუმცა, როგორც ჩანს, ეს არც მთლად ასე იყო. მაგალითად, ცურვაში ჩატარებულ გამოცდებში იგი თანაკურსელთა შორის პირველი იყო, ასევე პირველობდა იგი მრავალ სხვა გამოცდებშიც.



პოლონეთის სამხედრო-საზღვაო ძალების პორუჩიკის წოდებას იეჟი 1938 წელს მიიღებს.

ომის დაწყებისას იეჟი თუმანიშვილი ხომალდ «ბურჟაზე» («ქარიშხალი») იწყებს თავის სამხედრო სამსახურს. ამ გემზე მოუწია მას ომში მონაწილეობის მიღება.

1940 წლის გაზაფხულზე იგი გადაჰყავთ გემ «ურაგანზე», რომელიც ატლანტიკის ოკეანეში გამართულ საომარ ოპერაციებში მონაწილეობს. აღსანიშნავია, რომ შემდეგ ეს ხომალდი პოლონეთის სამხედრო-საზღვაო ძალებს შეემატება.

1941 წელს იგი გადაჰყავთ ხომალდ «კრაკოვიაკზე» და არტილერიის ოფიცრის წოდებას ანიჭებენ.

ამ ხომალდზე იეჟი იბრძვის 1943 წლის თებერვლამდე, ანუ მანამდე, ვიდრე ფიზიკურად ქანცგაწყვეტილი და გამოფიტული არ გადავა ნაპირზე და საკმოდ გრძელვადიან მკურნალობას არ დაიწყებს. დასვენებისა და ძალების მოკრების შემდეგ იგი სამხედრო ხომალდ «ტირპიცზე» გადაჰყავთ, რომელიც მალე ცხარე ბრძოლებში ჩაებმება ნორვეგიის ნაპირებთან.

იეჟი თუმანიშვილი ომს კაპიტნის ჩინით დაასრულებს. ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის მას მრავალ ორდენითა და მედლით დააჯილდოებენ. იეჟი თუმანიშვილი მშვიდობის დროსაც გამოიჩინა თავს პოლონეთის საზღვაო-სამხედრო ძალებში სამსახურისას. ეს ამ ქვეყნის მთავრობის მიერ მისი მრავალგზის დაჯილდოებით აღინიშნება.

1950 წელს იეჟი თუმანიშვილი შეერთებულ შტატებში გადავა საცხოვრებლად და სამუშაოდ. აქ იგი ერთჯერადი ნემსების მწარმოებელ ქარხანაში დაიწყებს მუშაობას. პენსიაზე გასვლის შემდეგ კონსულტატად მუშაობს და თან მთელ მსოფლიოში მოგზაურობს მეუღლესთან ერთად. იგი არც პოლონეთს ივიწყებს, რომელსაც მრავალგზის ესტუმრება.

1990 წელს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დევნილობაში, რიშარდ კაჩოროვსკიმ, მას მიანიჭა «კომანდორ-ლეიტენანტის» საზღვაო წოდება, ხოლო 2008 წელს პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ მიანიჭა «კონტრ-ადმირლის» საზღვაო წოდება.

საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო

- «ვირტუტი მილიტარის» სამხედრო ორდენის მე-V კლასით (ვერცხლი-1945),
  - «პოლონეთის აღორძინების» ორდენის კომანდორის ჯვრით და ვარსკვლავით -(2009)
  - «დამსახურების» ორდენის ოფიცრის ჯვრით -(2004),
  - «მამაცობის» ჯვრით (3-ჯერ),
  - საზღვაო მედლით (4-ჯერ),
  - მედლით «ნორვეგიის კამპანიისათვის»
- გარდაიცვალა ფლორიდაში. დაკრძალულია იქვე.



რუსეთის ფედერაცია



**ტიმურ ავთანდილის-ძე აფაქიძე**  
**(04.03.1954-17.07.2001)**

**ავიაციის გენერალ-მაიორი (15.12.1996)**  
**რუსეთის ფედერაციის გმირი (17.08.1995)**

დაიბადა ქ.თბილისში.

1971 წელს დაამთავრა ლენინგრადის ნახიმოვის სახ.სამხედრო-საზღვაო საწავლებელი და ეისკის უმაღლესი სამხედრო-საავიაციო სასწავლებელი.

1986 წელს დაამთავრა მარშალ გრეჩკოს სახ. სამხედრო-საზღვაო აკადემია და 2000 წელს რუსეთის ფედერაციის გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია.

1986 წლიდან მეთაურობდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახომალდე ავიაციის ცენტრის მე-100 გამანადგურებელ პოლკს (უკრაინის სსრ, ქ.საკი). შემდეგ იყო ამ ცენტრის უფროსი.

1991 წლის 26 სექტემბერს მან პირველმა საბჭოთა არმიის საზღვაო მფრინავთა შორის შესძლო დაშვება განეხორციელებინა მძიმე ავიამზიდავ კრეისერ «სსრკ ფლოტის ადმირალ კუზნეცოვზე» პირველ რუსულ სერიულ საპალუბო გამანადგურებელ «Cy-27K»-ზე, რომელიც ცნობილია როგორც «Cy-33».

1991 წლის 11 ივლისს დისტანციური მმართველობის მწყობრიდან გამოსვლის გამო დაკარგულ იქნა ერთ-ერთი პირველი სერიული «Cy-27K-T-10K-8». აფაქიძემ მოასწრო კატაპულტირება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ითამაშა დიდი როლი რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემადგენლობაში «ადმირალ კუზნეცოვის» შენარჩუნების საქმეში.

ფლობდა რა ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ კრეისერზე პრეტენზიებს წაუყენებდა უკრაინული მხარე, 1991 წლის 1 დეკემბერს მან საიდუმლოდ გაიყვანა კრეისერი სევასტოპოლიდან ჩრდილოეთის ფლოტზე.

მასთან ერთად ჩრდილოეთში გადაიყვანა 18 მფრინავი და საინჟინრო-ტექნიკური შემადგენლობის ასეული მე-100 პოლკიდან.

ხელმეორედ სამხედრო ფიცი უკრაინის ჯარში სამსახურზე არ მიუღია.

1992 წლის ივნისამდე მსახურობდა საავიაციო პოლკის საჰაერო-საცეცხლე და ტაქტიკური მომზადების უფროსად (ქ.საკი, უკრაინა).

1992 წელს გადაყვანილ იქნა ჩრდილოეთ ფლოტზე «სევერომორსკ»-3-ის სამხედრო აეროდრომზე და დაინიშნა საავიაციო პოლკის საჰაერო-საცეცხლე და ტაქტიკური მომზადების უფროსად-ჩრდილოეთის ფლოტის სამხედრო-საჰაერო ძალების სახომალდე საავიაციო დივიზიის შერეული ჯგუფის უფროს მფრინავად.

2000 წელს გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ დაინიშნა რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის ავიაციის სარდლის მოადგილედ.

ნაფრენი ჰქონდა 3000 საათი თვითმფრინავების 13 ტიპზე. მის ანგარიშზე იყო 300 დაჯდომა კრეისერის პალუბაზე შავ და ხმელთაშუა ზღვებზე, ატლანტიკის და ჩრდილოეთ ოკეანებში. შედიოდა პოლოტა ხუთეულში, რომლებმაც აითვისეს მსოფლიოში ცნობილი «პუგაჩოვის კობრა» და «ზარი».

2001 წლის 17 ივლისს დაიღუპა საჩვენებელი გამოსვლის დროს სამხედრო-საზღვაო ავიაციის 85 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე ქ.ფსკოვთან.

სახელმწიფო კომისიის დასკვნით, იგი დაუღუპა «ფსიქოფიზიკური გადატვირთვის შედეგად».

დაკრძალულია მოსკოვში, ტროეკუროვოს სასაფლაოზე.

დაჯილდოებული იყო

«სსრკ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის» ორდენის მე-III ხარისხით,

ორდენით «პირადი მამაცობისათვის»

მინიჭებული ჰქონდა « რუსეთის ფედერაციის დამსახურებული სამხედრო მფრინავის» წოდება.

მისი დაღუპვის ადგილას აშენებულია სამრეკლო.



ძეგლი ტროეკუროვოს სასაფლაოზე მოსკოვში



თამაზი გიორგის-ძე გაბრიჭიძე  
(დ.18.11.1951)

მილიციის გენერალ-მაიორი (19.02.2000)

დაიბადა ქ.ზესტაფონში.

1974 წელს დაამთავრა სარატოვის უმაღლესი სამხედრო-ქიმიური სასწავლებელი, 1984 წელს ქიმიური თავდაცვის აკადემია.

1974-1981 წლებში მსახურობდა ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქში, ოცმეთაურად, ასმეთაურად, საარტილერიო პოლკის ქიმიური სამსახურის უფროსად,

1984-1987 წლებში მსახურობდა დივიზიის ქიმიური სამსახურის უფროსად.

1987-1992 წლებში მსახურობდა კორპუსის ქიმიური ჯარების უფროსად.

1992-1994 წლებში მსახურობდა საგანგებო სიტუაციების შტაბის საბრძოლო მომზადების განყოფილების უფროსად.

1994-1997 წლებში მსახურობდა შტაბის უფროსად სამოქალაქო თავდაცვასა და საგანგებო სიტუაციების დარგში უდმურტიის რესპუბლიკაში.

1997 -2006 წლებში მუშაობდა უდმურტიის რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის და საგანგებო სიტუაციების კომიტეტის თავმჯდომარედ.

2006 -2009 წლებში მსახურობდა რუსეთის შსს საგანგებო სიტუაციების მთავარი სამმართველოს უფროსად სამარის ოლქში.

არის რუსეთის საინჟინრო აკადემიის და რუსეთის სამედიცინო-ტექნიკური მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, უსაფრთხოების, თავდაცვის და მართლწესრიგის პრობლემების აკადემიის აკადემიკოსი, ავტორია რიგი სამეცნიერო ნაშრომისა.

არის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

დაჯილდოებულია

«სსრკ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის» ორდენის მე-III ხარისხით.



**გიორგი ვასილის-ძე ელიაძე**  
**(დ.29.10.1955)**  
**გენერალ-ლეიტენანტი (15.12.1999)**

დაიბადა დაბა ინდუსტრიალნაიაში (კამჩატკის ოლქი), სამხედრო მოსამსახურის ოჯახში.

1976 წელს დაამთავრა ორჯონიკიძის უმაღლესი სამხედრო-საჯარისო სამეთაურო სამხედრო სასწავლებელი.

1976-1989 წლებში მსახურობდა ჯარების ცენტრალურ ჯგუფში, ოცმეთაურად, ბატალიონის შტაბის უფროსის მოადგილედ, ასეულის მეთაურად თურქესტანის სამხედრო ოლქში. შტაბის უფროსად-ბატალიონის მეთაურის მოადგილედ ორჯონიკიძის უმაღლეს სამხედრო-საჯარისო სამეთაურო სამხედრო სასწავლებელში, ბატალიონის მეთაურად ჩრდილო-კავკასიის სამხედრო ოლქში.

1979-1989 წლებში მსახურობდა 101-ე მოტომსროლელი პოლკის მე-7 მოტომსროლელი პოლკის ბატალიონის მეთაურად ( ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში).

1990 წელს დაამთავრა გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია და დაინიშნა მოტომსროლელი დივიზიის მეთაურად.

1999 წელს იბრძოდა ჩეჩნეთში, 136-ე ცალკეული მოტომსროლელი ბრიგადის მეთაურად.

რუსეთის პრეზიდენტის 2005 წლის 9 მარტის ბრძანებულებით დაინიშნა საარმიო კორპუსის მეთაურის მოადგილედ.

2009 წელს დაინიშნა სამხედრო მრჩევლად სირიის არაბთა რესპუბლიკაში.

დაჯილდოებულია «წითელი ვარსკვლავის» და «მამაცობის» ორდენებით, მედლით «საბრძოლო დამსახურებისათვის».



**იური გიორგის-ძე კობალაძე**  
**(დ.22.01.1949)**  
**გენერალ-მაიორი (18.12.1995)**

დაიბადა ქ.თბილისში.

1972 წელს დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტი. მუშაობდა სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პირველ მთავარ სამმართველოში.

1977-1984 წლებში მუშაობდა სახელმწიფო ტელერადიოში და დიდ ბრიტანეთში კორესპონდენტად.

1984-1991 წლებში მსახურობდა საგაერო დაზვერვის პირველ მთავარ სამმართველოში.

1991-1999 წლებში მუშაობდა ამავე სამსახურის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობების ბიუროს ხელმძღვანელად.

1999 წლიდან იყო «ИТАР-ТАСС»-ის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე. ფლობს ინგლისურ და ფრანგულ ენებს.

2006 წლიდან გადაცემების «Что Москвы»-ს და «В кругу света»-ს თანაწმყვანია.

მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის და საერთაშორისო ჟურნალისტიკის კათედრის პროფესორია.

დაჯილდოებულია «წითელი ვარსკვლავის» ორდენით.



**კონსტანტინე ილიას-ძე მაჩაბელი**  
**მილიციის გენერალ-ლეიტენანტი**

რუსეთის ფედერაციის შსს სპეციალური ტექნიკური ღონისძიებების ბიუროს უფროსის პირველი მოადგილე.

2011 წლის 14 ივლისს გაანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან.





ვარდიკო მიხეილის-ძე ნადიბაიძე  
(დ.31.03.1939)  
გენერალ-მაიორი (06.05.1989)  
გენერალ-ლეიტენანტი (29.11.1993)\*

( \* ვ.ნადიბაიძე არ იყო ქართული არმიის გენერალი. ის იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრი. ავტორთა შენიშვნა.ბიოგრაფია იხ.გვ.115)



**კონსტანტინე ალექსის-ძე ფირცხალავა**  
(დ.1961)  
**მილიციის გენერალ-მაიორი (2005)**  
**პოლიციის გენერალ-მაიორი (27.06.2013)**

1983 წელს დაამთავრა კრასნოიარსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

მუშაობდა ციმბირის სამხედრო ოლქის, კრასნოიარსკის გარნიზონის სამხედრო პროკურატურის გამომძიებლად, აფხაზეთის ასსრ ქ.გაგრის პროკურატურის უფროს გამომძიებლად (მონაწილეობდა გდლიან-ივანოვის საგამომძიებო ჯგუფში).

1989-1990 წლებში მუშაობდა ქ.გაგრის პროკურორად.

1990 წლის ოქტომბერში არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, იყო იურიდიული, კანონიერების და კანონმდებლობის კომისიის თავმჯდომარე.

საქართველოსათვის უძნელეს დღეებში 1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში იყო დანიშნული გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლად.

კანონიერი ხელისუფლების გაძევებისა და უმაღლესი საბჭოს ლიკვიდაციის შემდეგ, ის როგორც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას (1939-1993) მომხრე, გადავიდა საცხოვრებლად რუსეთში.

მუშაობდა ქ.სოჭში, ფირმა «ირვილანას» იურიდიული სამსახურის უფროსად, შემდეგ ფირმა «დოგ-ფარმაციას» (მოსკოვი) იურისტად.

1997 წლიდან მიღებულ იქნა განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებლად მოსკოვის საგადასახადო პოლიციის ფედერალური სამსახურის სამმართველოში. მუშაობდა საგამომძიებო განყოფილების უფროსად, სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

2000 წლის აგვისტოში გადაიყვანეს საგადასახადო პოლიციის ფედერალური სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ცენტრალურ ფედერალურ ოლქში.

2003 წლის მარტში დაინიშნა ამავე სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ფედერალური სამსახურის საგადასახადო დანაშაულებებში და ეკონომიკური და საგადასახადო დანაშაულებების დარგში.

2004 წლის ნოემბრიდან მსახურობს შსს ორგანოების ეკონომიკური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ, შემდეგ პირველ მოადგილედ.

20011 წლის ოქტომბერს დაითხოვეს შსს-ს ორგანოებიდან რეორგანიზაციასთან დაკავშირებით.

1999 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო იურიდიული აკადემიის ასპირანტურა და რუსეთის დიპლომატიური აკადემია. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, არის მეცნიერული შრომების ავტორი.

მინიჭებული აქვს «*რუსეთის ფედერაციის დამსახურებული იურისტის*» წოდება, დაჯილდოებულია სამკერდე ნიშნით «*რუსეთის საგადასახადო პოლიციის საპატიო თანამშრომელი*» და სახელობითი ცეცხლსასროლი იარაღით.

2012 წელს დაინიშნა რუსეთის ფედერაციის შსს წარმომადგენლად შვეიცარიის კონფედერაციაში.



**ვლადიმერ გივის-პე ჭეიშვილი**  
**(დ.1956)**  
**გენერალ-მაიორი**

1982 წლიდან მსახურობდა რუსეთის შსს სისტემაში სხვა და სხვა პასუხისმგებელ თანამდებობებზე.

2010 წლამდე მსახურობდა შსს ცენტრალური მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს უფროსად.

2010 წლის ნოემბერში გაანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან.



უკრაინა



**სერგეი ვლადიმერის-ძე რატიევი**  
**(რატიშვილი)**  
**(დ.31.08.1957)**  
**გენერალ-მაიორი (2010)**

წარმოშობით ქართველია.

დაიბადა ხმელნიცკის ოლქში, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში.

1983 წელს დაამთავრა ლვოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი.

1984 წლიდან მსახურობს უშიშროების სამინისტროს სისტემაში.

1998 წლიდან ხელმძღვანელ თანამდებობებზეა.

2006-2007 წლებში მსახურობდა ლვოვის ოლქის უშიშროების სამმართველოს უფროსად.

2007-2008 წლებში მსახურობდა ლუგანსკის ოლქის უშიშროების სამმართველოს უფროსად.

2009-2010 წლებში მსახურობდა კიროვოგრადის ოლქის უშიშროების სამმართველოს უფროსად.

2010 წლის 20 აპრილიდან 2013 წლის 2 სექტემბრამდე მსახურობდა ვინიციის ოლქის უშიშროების სამმართველოს უფროსად.

2014 წლის 24 მარტს უკრაინის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, ა.ტურჩინოვის მიერ კვლავ დაინიშნა ვინიციის ოლქის უშიშროების სამმართველოს უფროსად.

ჟუპინაძე (ჩუბინიძე) დიმიტრი ვასილის-ძე  
(24.05.1892 -1922 წ. შემდ.)  
გენერალ-ხორუნჯი (15.05.1922)

წარმოშობით ქართველია. დაიბადა კიევის გუბერნიის, ჩერკასის მაზრის, სოფ. სმელაში.

1918 წლამდე მსახურობდა რუსეთის ჯარში, მე-12 დრაგუნთა პოლკის შტაბს-კაპიტნად

1918 წლიდან მსახურობდა პომორიის მე-14 კადრირებულ პოლკში (ქ.ოდესა), ატამან კოსტია გორდიენკოს სახელობის ცხენოსანი გაიდამაკების ზაპოროჟიეს პოლკში ზემდეგად, გეტმან პეტრე საგაიდაჩნის სახელობის ზაპოროჟიეს 24-ე (შავიზღვის) ქვეითი პოლკის მეთაურად, მე-2 უმანის ცხენოსანი პოლკის მეთაურად.

1920 წლის ზაფხულიდან მეთაურობდა ცალკეული ცხენოსანი დივიზიის მე-2 ცხენოსან პოლკს.

1921 წელს მიენიჭა უკრაინის სახალხო არმიის პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

გარდაიცვალა ქ.დეტროიტში (მიჩიგანის შტატი, აშშ). დაკრძალულია იქვე.



ჩინეთი





**გიორგი კონსტანტინეს-ძე სიდამონიძე**  
(სი და მა)  
(26.12.1896-1971)  
**გენერალ-მაიორი (1923)**

დაიბადა ქ.გორში.

დაამთავრა ტფილისის პრაპორშჩიკთა 1-ი სკოლა 1915 წელს. მონაწილეობდა (1914-1918) პირველ მსოფლიო ომში. მსახურობდა 299-ე ქვეით პოლკში. ბოლო წოდება მეფის არმიაში- შტაბს-კაპიტანი.

1918 წლიდან მონაწილეობდა სამოქალაქო ომში აღმოსავლეთის ფრონტზე თეთრების მხარეზე. მსახურობდა 1-ლ სახალხო პოლკში, ქ.უფაში (შემდგომში უფის მე-13 პოლკი).

1918 წლიდან -კაპიტანია, 1919 წლიდან -პოდპოლკოვნიკი.

1919 წლის 15 დეკემბრიდან მე-13 უფის პოლკის მეთაურია.

ციმბირის «დიდი ყინულოვანი» ლაშქრობის მონაწილეა.

1920 წლის 12 მარტს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

1920 წლის 15 ნოემბრიდან მეთაურობდა უფის მე-2 დივიზიას, რომელთანაც ერთად გაიარა იმიერბაიკალი და ზღვისპირეთი.

1921 წლის მარტიდან კვლავ მეთაურობდა უფის მე-4 პოლკს. მონაწილეობდა ხაზაროვსკის ლაშქრობაში. ორჯერ იყო დაჭრილი ბრძოლებში.

1922 წლის 2 ნოემბერს თეთრი არმიის ბოლო ნაწილებთან ერთად გადავიდა ჩინეთში.

ემიგრაციაში ცხოვრობდა ქ.გირინში.

1923 წელს შევიდა მარშალ ჩჟან ცოლინის არმიაში, სადაც მას 27 წლისას, მიენიჭა- «გენერალ-მაიორის» სამხედრო წოდება და დაინიშნა შანდუნის დივიზიის, რუსული ბრიგადის მეთაურად, რომელიც დაკომპლექტებული იყო იმ მოხალისეებით, რომლებსაც ადრე უმსახურიათ თეთრ არმიებში.

1927 წლიდან მეთაურობდა ჩინეთის არმიის ქვეითთა გაერთიანებულ ძალებს.

23 წელი იმსახურა «მანჩჟოუ-გოს» არმიაში.

1945 წლიდან ცხოვრობდა აშშ-ში. გარდაიცვალა ქ.სან-ფრანცისკოში.  
დაჯილდოებული იყო  
«წმ.ვლადიმერის» ორდენის მე-IV ხარ.(მახვილებით) და ჩინეთის «დიდი თავთავის»  
ორდენით (1926)



გენერალი გ.კ.სიდამონიძე (მარცხნიდან მეორე)






გიორგის ოქროს იარაღი(მამაცობისათვის)




გიორგის ოქროს იარაღის ზაფთა და «წმ.გიორგის» ორდენის ნიშანი



ინფანტერიის გენერლების სამხრები




არტილერიის გენერლების სამხრები



საინჟინრო სამსახურის გენერლების სამხრები



«წმ.გიორგის» ორდენის მე-III და მე-IV ხარ.  
-პოლკოვნიკ ზ.ზაქარაძის ჯილდოები



«წმ.გიორგის» ორდენის განუხორციელებელი პროექტი  
(1917 წ. 20 ივლისს),



Podpis właściciela legitymacji

Nr. krzyża... 11074...

ODDZIAŁU OGÓLNEGO SZT. GŁ.  
SZEFA GABINETU MINISTRA SPRAW WOJSKOWYCH

stwierdza, iż P..... kpt. mara.....  
..... TUMANISZWILI Jerzy.....

jest kawalerem Orderu Wojennego

“VIRTUTI MILITARI”

kl. V.....

ODDZIAŁU  
SZEFA GABINETU MINISTRA  
SPRAW WOJSKOWYCH  
OGÓLNEGO SZT. GŁ.

*W. Bohuszewicz*

W. Bohuszewicz p.k. dypl. obs.  
Londyn..... dnia..... 6..... 11..... 1946..... r



გიორგი თუმანიშვილის «ვირტუტი მილიტარის» საბუთი და მე-V კლასის ორდენის ვერცხლის ჯვარი (06.04.1946)




გენერალ ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის ჯილდოები -«დამსახურებათა ლეგიონი» და აშშ კონგრესის «საპატიო მედალი»




«თამარ მეფის» ორდენის I,II,III ხარისხები







საქართველოს რუკა, ერთა ლიგის მიერ აღიარებულ საზღვრებში



საქართველოს გერბი და დროშა






ნოე ჟორდანია- საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე  
(1868-1953)



მთავრობის სხდომა



გენერალი გიორგი კვინიტაძე (1874-1970) და  
პოლკოვნიკი ქაქუცა ჩოლოყაშვილი (1888-1930)



1919 წლის 26 მაისი



მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია ქართული ჯარის ოფიცრებთან და გენერლებთან სამხედრო ალღეშზე (1919 წლის 26 მაისი)



ქართველი გენერლები და ოფიცრები გერმანელ გენერალთა და ოფიცერთა ჯგუფთან ერთად (1918 წ.)

(1-ლ რიგში-მარცხნიდან მე-3 გენერალი ა.ანდრონიკაშვილი,

მე-2 რიგში-მარცხნიდან 1-ი გენერალი ვ.წულუკიძე,

მე-4 რიგში მარცხნიდან 1-ი დგას გენერალი ზ.ყიფშიძე, მე-9 -გენერალი ვ.წულუკიძე)



1921 წლის 27 იანვრის სამხედრო აღლუმი



1921 წლის 27 იანვრის სამხედრო აღლუმი



1921 წლის 27 იანვრის სამხედრო ადღუმე



1921 წლის 27 იანვრის სამხედრო ადღუმე



იუნკრების შეკრება სამხედრო ტაძრის ეზოში



იუნკრების შეკრება სამხედრო ტაძრის ეზოში






გენერლები გ.კვინიტაძე და ა.ზაქარიაძე



მთავრობის და სახალხო გვარდიის შტაბის წევრები ჯავშანმანქანასთან (მარჯვნივ მეექვსე -  
ნოე ჟორდანიას, მარჯვნიდან მეშვიდე-ვალიკო ჯუღელი)



ქართული ჯარის ოფიცრები და გენერლები



გვარდიელები სოჭის ფრონტზე



ქართველი ფეხოსნები მარშზე



ქართული ჯარის ერთ-ერთი შენაერთი ტუაპსესთან  
(1918 წლის აგვისტო)



იუნკრები სამხედრო სკოლის მოედანზე



ქართული სამხედრო სკოლის იუნკერი



სამხედრო ტანსაცმლის პროექტი



ქართველი ოფიცრები



სახალხო გვარდიელები



მარცხნიდან მეოთხე(ზის უკან მანქანაში) გვარდიის სარდალი ვ.ჯუღელი



სოჭის მოსახლეობა ხვდება ქართულ ჯარს



ქართული ჯარი სოჭში



სახალხო გვარდიელები



ჯავშანმატარებლის უფროსი ვალოდია გოგუაძე და მისი მეომრები



ქართველი ავიატორები



ინგლისის ჯარის შემოსვლა ბათუმის ოლქში (1919 წ.)



ინგლისელი სამხედროები ბათუმის შემოგარენში



გერმანული ჯარის შემოსვლა საქართველოში 1918 წელს





ქართველი კავალერისტები




ქართული არმიის ნაწილები ტფილისის ქუჩებში



ქართული ბრონირებული ავტომობილი «სამშობლო»



მებრძოლები პოზიციებზე 1921 წლის თებერვალი



ბრძოლა კოჯორ-ტაბახმელას პოზიციებზე

«12» მარტი 1921 წ. ქ. ლანჩხუთი.

ამა წლის 11 მარტს ჯავშნოსანი მატარებელი № 4 ალფეს გოგვაძეს მეთაურობით, იმ დროს როცა ქუთაისი მტრის მიერ უკვე დაკავებული იყო, შეიჭრა სადგურ ქუთაისში, სადაც მას მტერი თოფის სროლით დახვდა.

ჯავშნოსანი მატარებელი გმირულად შეებრძოლა აქ მტერს, რომელიც არანაკლებ ერთნახევარი ასეულიდან შესდგებოდა გაფანტა და უკუაქცია იგი, ბევრიც დახოცა და დასჭრა.

ჯავშნოსანმა მატარებელმა დაჰყო სადგურზე საათნახევარი, წამოიყვანა ტყვედ ოთხი კაცი, მტრის დახოცილებს და დაჭრილებს. აართვა იარაღი, და ყველაფერი ის, რის გამოტანაც ვერ მოხერხდა ქუთაისში მტრის შესვლამდე გამოიტანა სადგურ რიონისაკენ.

ამისთანა გმირული მოქმედება № 4 ჯავშნოსან მატარებლისა ღირსია იმისა, რომ მაგალითად ჩაითვალოს მთელ ჯარისთვის.

შეურყევლობა მატარებლის პირადი შემადგენლობისა და მის მიერ თავისი პირადი მოვალეობის შეგნება სამშობლოს წინაშე არის ის, რასაც უნდა ეცადოს ყველა ჩვენგანი მიჰბაძოს.

ალფეს გოგვაძეს და № 4 ჯავშნოსან მატარებლის მთელ პირად შემადგენლობას ვუცხადებ სამსახურის სახელით ჩემ ღრმა მადლობას.

ამასთან ერთად ვსარგებლობ შემთხვევით აღნიშნო საერთოდ ამ ომში მუშაობა განსაკუთრებულ მძიმე პირობებში ყველა ჩვენი ჯავშნოსანი მატარებლებისა ვლადიმერ გოგვაძის მეთაურობით, რაიც შედეგათ მიმაჩნია ზემო აღნიშნული მეთაურის და უღალავი მუშაობისა.

გენერალი კვინიტაძე.»

გენერალ გიორგი კვინიტაძის 1921 წლის 12 მარტის მადლობის წერილი

Командиръ, офицеры и солдаты N батареи извѣщаютъ родныхъ, знакомыхъ и друзей о героической смерти на полѣ брани капитана

**Михаила Туманишвили**  
и солдата добровольца

**Николая Каландаришвили.**

Панихиды ежедневно въ Михайл. больн. въ 12 ч. дня и въ 5 ч. веч. О днѣ похоронъ будетъ объявлено особо. 196 1-1

Грузинское Общество Краснаго Креста со своими сотрудниками извѣщаютъ гражданъ, что 19 го сего февраля, во время исполненія своего долга героической смертью пала сестра милосердія санитаръ, летучаго отряда

**МАРІА КОНСТАНТИНОВНА МАКАШВИЛИ.**

Панихиды ежедневно въ 6 час. вечера, въ Квашветской св. Георгія церкви. Выносъ тѣла послѣ обѣдни, 23-го февраля, въ 12 час. дня. Погребеніе на кладбищѣ церкви св. Николая. 194 2-1



ვერის წმ.ნიკოლოზის ეკლესია და სასაფლაო, (ახლ.ვერის ბაღი), სადაც დაკრძალეს კოჯრის ბრძოლებში დაღუპული ქართველი პატრიოტები და მოწყალების და მარო მაყაშვილი



საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ ახალი სახელმწიფო საზღვარი თურქეთის რესპუბლიკასთან (1921 წლის 16 მარტი)



სერგო ორჯონიკიძე (1886-1937) და იოსებ სტალინი (1878-1953)  
 1921 წლის საქართველოს ტრაგედიის მთავარი გმირები, მათ დააკარგინეს საქართველოს დამოუკიდებლობა

45

ВЫПИСКА ИЗ ПРОТОКОЛА № 19 от 19-го Мая 1923 года.  
 Расширенного Заседания Коллегии Кавказской и Грузинской Чрезвычайных Комиссий.  
 Под председательством Председателя т. МОГИЛЕВСКОГО.  
 Присутствовали: т. т. ПАНКРАТОВ, ЗОНОВ, МАХНОВСКИЙ, НИКОЛАЕВ, КВАНТАШАНИ, БЕРИ, МИКЕЛАДZE, ШИВАВА, ОРЖЕЛАШВИЛИ и ДЖИНАДZE.

Слушали:

Остановили:

Докладчик тов. АШУКИН:  
 I - Дело военной организации анти-советских партий, по обвинению:  
 5/ АБХАЗИ Константина Николаевича, 55 лет, с высшим образованием, б. князя, б. генерала-б. председателя дворянства, председателя ЦК Грузинской и Ц.Д. Партии. -

I - За организацию заговора против Соввласти Грузии, создание бандитского движения в Грузии и участие в нем, шпионаж в пользу Антанты, предательство и измену Рабоче-Крестьянскому Государству - ПОСТАНОВЛЕНО:  
 5/ АБХАЗИ Константина Николаевича, 55 лет с высшим образованием, б. князя, б. генерала - б. председателя дворянства, председателя ЦК Грузинской Ц.Д. Партии. Вошел в Ц.Д. и участвовал в руководстве подготовкой к восстанию против Соввласти в Грузии, при обсуждении в ЦК Ц.Д. вопроса о восстании голосовал, по собственному признанию, за немедленное вооруженное восстание - РАЗСТРЕЛЯТЬ Приговор привести в испол. в 24 час. сроч.

Подлинный за надлежащими подписями.

ВЫПИСКА ВЕРНА:

НАЧЕРНОТДЕЛЕНИЯ ЗЧК *Майсов* / МАЙСОВ/

კოტე აფხაზის მიმართ სასიკვდილო განაჩენის გამოტანის ამონაწერი პროტოკოლიდან



მემორიალური დაფა სახლზე, სადაც ცხოვრობდა გენერალი კოტე აფხაზი- „ამ სახლში ცხოვრობდა 1923 წელს რისი ოკუპანტების მიერ დახვრეტილი გამოჩენილი გენერალი და პოლიტიკოსი, ანტიბოლშევიკური აჯანყების სამხედრო ცენტრის უფროსი კონსტანტინე აფხაზი,“



გენერალ ა.ჩხეიძის მემორიალი ყოფილი სამხედრო სკოლის ფასადზე







ბრიგადის გენერალი ა.ჩხეიძე პოლონეთში



გენერალ გ.მაზნიაშვილის სახლ-მუზეუმი კასპის რაიონის  
სოფელ სასირეთში





ქართველი გენერლების მემუარები



მედალი «გენერალი კვინიტაძე»(2006)  
მედალი «გენერალი მაზნიაშვილი» (2006)



2013 წლის 26 ოქტომბერს  
გენერალ გიორგი მაზნიაშვილს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა  
«საქართველოს ეროვნული გმირის» წოდება



სამხედრო ისტორიკოსები - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელვერ კუპატაძე (1949-2012) და ისტორიის აკადემიური დოქტორი, პოლკოვნიკი მამუკა გოგიტიძე იუნკერთა მემორილთან კოჯორში (2009 წლის 25 თებერვალი)

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებები სამხედრო  
უწყების მიმართ (1918-1919 წ.წ.)

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ ი

## საართველოს რესპუბლიკის მთავრობისა

სამხედრო უწყების მიმართ

28 დეკემბერს 1918 წ. ქ. ტფილისი.

### № 189

ვბრძანებ პირველის ცხენოსანის პოლკის პოდპოლკოვნიკმა ავალიშვილმა შეადგინოს ცხენოსანი ასეული ხვესურთა, მოხვევთა და ფშავთაგან.

### № 190

30 დეკემბერს 1918 წ. ქ. ტფილისი.

ხშირად ჯარის ნაწილების სასურსათო საწყობებიდან თხოვლობენ სხვა და სხვა სურსათ-სანოვავებს უბრალო ბარათებით და არა დაწესებული ჩეკის წიგნების ფურცლებით ან ადგილზე ბეჭედ-დაუსმელ ფურცლებს. ისეთ შემთხვევებსაც კი აქვთ ადგილი, როდესაც ჯარის ნაწილები კერძო პირებს ართმევენ სანოვავებს ან ცხენების საკვებს, აძლევენ ბარათებს და ფულის მისაღებად სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილებაში ისტუმრებენ. ვინაიდან ასეთი მოქმედება ხელს უშლის როგორც სურსათის საწყობებს, ისე საადმინისტრაციო განყოფილებას აწარმოონ ჯეროვანი ანგარიში ხაზინის შემოსავალ-გასავლისა, ვბრძანებ სურსათ-სანოვავის მოთხოვნილება დაწერილი იქმნას ჩეკის წიგნის ფურცელზედ, დასმული ჰქონდეს ჯარის ნაწილის ბეჭედი და ხელმოწერილი იყოს სამეურნეო ნაწილის და საქმის მწარმოებლის მიერ.

უამისოთ უბრძანებ სასურსათო საწყობების გამგეებს არ გასცენ სურსათ-სანოვავე და ცხენების საკვები საწყობებიდან, არც ომის ასპარეზზედ და არც ზურგში.

ჯარის ნაწილებს კი ვავალებ იქონიონ ყოველთვის გამზადებული ჩეკის ფურცლები, რომ არც თვითონ დაბრკოლდნენ სურსათის მიღების დროს და არც საწყობების გამგეებს გაურთულონ საქმის წარმოება.

სამხედრო მინისტრის მაგიერ, გენერალ-მაიორი მდივანი.

30 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

### № 191

ნაკვალად და განსამარტებლად მე-X დამატების 1429 მუხ. ს. დ. კ. 1869 წ. XXIV წიგნის მე-4 გამოცემისა (სამხედრო უწყებისადმი ბრძანების 1914 წ. № 464 და 1915 წ. № 513). და სამხედრო უწყებისადმი ბრძანებაში 1917 წ. № 7 გამოქვეყნებულ კანონების, განაჩენის გამოტანის და სისრულეში მოყვანის სამხედრო მოსამსახურეთა შესახებ ომიანობის დროს და აგრეთვე გადაღების სამხედრო გამოძიების და სამხედრო საშოსამართლო საქმეების იხელმძვანელება ქვემო აღნიშნული კანონები:

1. იმ შემთხვევაში, როდესაც ოფიცერს, სამხედრო მოხელეს და ჯარის კაცს, რომელნიც არიან გასაგზავნი მომქმედ ჯარში, მიუსაჯავენ იმნიირ სასჯელს (5 და 6 მუხ. ს. დ. კ. 1869 წ. XXII წიგნი. მე-4 გამოცემა), რომელიც არ იწვევს სამხედრო სამსახურიდან დათხოვნას, მაგრამ დამოკიდებული კი არის დაპატიმრებასთან, სახჯელის შობდა ომის გათავებამდის გადაიდგება; დანაჩენ შემთხვევებში კი განაჩენი საჩქაროთ მოიყვანება სისრულეში.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც მომქმედ ჯარში გასაგზავნ ჯარის კაცს მიუსაჯავენ გამასწორებელ სასჯელს (6 მუხ. ს. დ. კ. 1869 წ. XXII წიგ. მე 4 გამოცემა, სამ.

ხედრო წოდების ჩამორთმევით და სამსახურიდან დათხოვნით, უფროსებს, რომელნიც სარგებლობენ პოლკის უფროსების და უმეტესი უფლებით, ეძლევათ უფლება ან გაგზავნონ დამნაშავე დასაპატიმრებლათ, როგორც განაჩენშია აღნიშნული, ან კიდევ განაჩენის ყველა მისის შედეგებით ასრულება გადასდონ ომის გათავებამდის და გაგზავნონ დამნაშავე მომქმედს ჯარში.

8. 1-სა და 2 მუხ. აღნიშნული წესები ეხება იმ სამხედრო მოსამსახურეთაც, რომელთა შესახებაც განაჩენი არის გაგზავნილი სისრულეში მოსაყვანათ, მაგრამ ჯერ არ არის ასრულებული, ან კიდევ დამნაშავემ არ მოიხადა სასამართლოსგან მიჩენილი სპატიმრო სასჯელი.

4. იმ შემთხვევაში თუ გადაიღო განაჩენის ასრულება ომის გათავებამდის, ამის შესახებ ნაწილების უფროსები, რომლებიც მოვალენი არიან განაჩენი მოიყვანონ სისრულეში, საჩქაროთ ატყობინებენ კუთვნილებისამებრ სამხედრო პროკურორს, ან კიდევ სამოქალაქო უწყების პროკურორებს.

5) გადაღებული სასჯელი მოჰყავთ სისრულეში ომის გათავების შემდეგ, მაგრამ თუ დამნაშავემ გამოიჩინა ბრძოლაში სიმამაცე ან კიდევ რაში ფრიად ხანნიშენლო მოქმედება, უფროსს, რომელიც სარგებლობს პოლკის უფროსის უმეტესის უფლებით ეძლევა ნება იშუამდგომლოს უფროსის წინაშე სასჯელის შემსუბუქებისათვის ან კიდევ სრულებით პატიებისთვის. ამ შუამდგომლობას სწყვეტს ლაშქართ უფროსი, რომლის გადაწყვეტილებასაც ნაწილის უფროსი, რომელმაც აღძრა შუამდგომლობა, ატყობინებს კუთვნილებისამებრ სასამართლო მართველობას.

6. სასჯელი, მიკუთვნებული სისხლის სასამართლოს დაზღვევისათვის, არ გადაიღება ომის გათავებამდის (მე 2 მუხ. ს. დ. კ. 1869 წ. XXII წიგნი. 4 გამოცემა)

7. გადაიღება ომის გათავებამდის სამხედრო სასამართლოს წარმოება, რომელიც ექვემდებარება პოლკის ან კიდევ მის თანასწორ უფლებიან სასამართლოს იმ ჯარის კაცებზე, რომელნიც გასაგზავნი არიან მომქმედ ჯარში.

8. სამხედრო-საკამომძიებლო და სამხედრო სამოსამართლო საქმეები იმ ოფიცერთა, სამხედრო ხარისხოსანთა და ჯარის კაცთა, რომელნიც უნდა გაიგზავნონ მომქმედ ჯარში და რომელნიც დაქვემდებარებულნი არიან საქართველოს რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოსთვის, შესაძლებელია გადაიდეს ომის გათავებამდის, მხოლოდ აღნიშნული სასამართლოს დადგენილებით, რომელს სასამართლოსაც უნდა მიმართონ ხოლმე სამხედრო უფროსებმა, ყოველ შემთხვევაში ცალკე.

9. ომის გათავებამდის შეჩერებული საქმეები იმ რიგით, როგორც ნაჩვენებია 7 და 8 მუხ. განახლებულნი უნდა იყვნენ ომის გათავების შემდეგ და უნდა იყვნენ გარჩეულნი. მე 5 მუხლში ნაჩვენები წესები ეხება აგრეთვე იმ დამნაშავეებსაც, რომელთა საქმის გარჩევა გადაიდეს ომის გათავებამდის, სასამართლოს განჩინების დადგენის შემდეგ.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

# ბრძანებები

## საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა

ჯარების მიმართ.

17 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 133

სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში მყოფმა გენერალ-მაიორმა წულუკიძემ პიტაკით შემატუბინა, რომ კვლევა-ძიების დამთავრების შემდეგ დაბრუნდა ამ წლის ივნისის 1-ს ქ. ახალციხიდან, სადაც იმყოფებოდა მივლენილობაში. დასახელებული გენერალი ჩაითვალოს დაბრუნებულად ზემოაღნიშნულ რიცხვიდან.

19 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 134

ახალციხის რაზმის ყოფილმა უფროსმა გენერალურის შტაბის გენერალ-მაიორმა კვინიტაძემ შემატუბინა, რომ ამ წლის 5 თებერვალს საპიორთა ბატალიონის 1-ლ გუნდს ბრძანება მიეცა საფრობა გაეწია სამთო საცხენო ბატერიისთვის, რომელიც პოზიციაზე იდგა სოფ. პარეხის არემარეში.

5-დან 9 თებერვლამდე გუნდი პასივით ასრულებდა მიღებულ ბრძანებას. 9 თებერვალს დილით გუნდის უფროსმა კაპიტანმა მიქელაძემ, ნაიძულეებმა მხოლოდ თავისი პირადი სიკველით და სურვილით, რომ შეემსუბუქებინა ჩვენი ქვეითა ჯარის მძიმე მდგომარეობა, ნახევარ გუნდით წინ წაიწია 6 ვერსზე სოფ. საბუზაროსკენ, სადაც ჩვენი ფრონტი გააგრძელა ჯარის მთელის დაწყობილობის უკიდურეს მარცხენა ფრთაზე.

აქ ნახევარ გუნდს, რომელიც შესდგებოდა სამი ოფიცრისა და 15 ჯარისკაცისაგან, მოუხდა გახურებული ბრძოლა თათრებთან.

გუნდის უფროსის კაპიტან მიქელაძის უსაზღვრო სიმამაცით გატაცებული ჯარისკაცები მედგრათ ეწინააღმდეგებოდნენ მტერს მას შემდეგაც კი, როდესაც მეზობლათ მდგარი ნაწილი აიყარა პოზიციიდან და უკან დაწევა იწყო.

იმ განზრახვით, რომ შეემსუბუქებინა უკან დახეული ქვეითა ჯარის მდგომარეობა, სამის მხრით გარშემორტყნილმა კაპიტანმა მიქელაძემ განაგრძო შეუპოვარი წინააღმდეგობის გაწევა და მხოლოდ-ღა მაშინ, როდესაც სულ ცოტადენს დაგვიანებას შეეძლო თავდაუზწყველ მდგომარეობაში ჩაეგდო, უბრძანა ნახევარ-გუნდს უკან დახევა დაეწყო. მაგრამ აქაც, თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში, კაპიტანმა მიქელაძემ იშვიათი სიჭველე გამოიჩინა: სრულიად უიარაღო, ჯოხით ხელში, გადასწყვიტა უკანასკნელი

წამოსულიყო უკან და მართლაც შეასრულა თავისი გმირული გადაწყვეტილება, მაგრამ თავის დახწევა ვერ მოახერხა: თითქმის ზედ მოსულმა თათრებმა მოკლეს იგი.

ასე დაეცა ბრძოლის ველზე გმირი, თავის მოვალეობის უსაზღვროთ ეგრეთგული და სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულით აღზევებული კაპიტანი მიქელაძე, რომელმაც თავის მაგალითით ერთხელ კიდევ დაამტკიცა თუ რა დიდი ღვაწლი შეუძლიან ჩაიდინოს ქართველმა მხედარმა. როდესაც იგი გამსჭვალულია სამშობლოს სიყვარულით.

საუკუნო იყოს თავდადებულის მხედრის ხსენება.

19 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 135

### § 1.

მინდობილობათა გენერალმა გენერალ-მაიორმა კონიაშვილმა წერილობით მომახსენა, რომ ის მივლენილობიდან ქ. ღუშეთიდან დაბრუნდა 14 ივნისს.

**ცნობა:** მოხსენება გენერალ კონიაშვილისა № 14.

### § 2.

ჩემს განკარგულებაში მყოფმა გენერალმა ჩხეტიანმა წერილობით მომახსენა რომ ის, თანახმად ჩემი ბრძანებისა, გაემგზავრა სოხუმს.

**ცნობა:** მოხსენება გენ. ჩხეტიანისა № 53,

### § 3.

ჩემს განკარგულებაში მყოფმა გენ. არჯევანიძემ წერილობით მომახსენა, რომ ის, თანახმად ჩემი ბრძანებისა, გაემგზავრა ქ. ქ. ფოთსა და ქუთაისს.

**ცნობა:** მოხსენება გენ. არჯევანიძისა № 35.

20 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 136

მთელ რესპუბლიკის ტერიტორიაზედ ჯარების და სამხედრო დაწესებულებათა დასაბინავებლად დანიშნულ შენობათა ქირების დადების საკითხის გასარჩევად და აგრეთვე ჯარების მიერ ამ შენობების დაზარალების გამორკვევის წესის განსახილავად 25 იმ ივნისს დილის 11 სათზე ვნიშნავ კომისიას საბინაო სექციის უფროსის სამხ. ინჟინერის პოლკ. გურამიშვილის თავმჯდომარეობით და შემდეგის წევრების შემადგენლობით სამხ. ბინათა დისტანციების უფროსთა: ტფილისის ჯარში მსახურ ინჟინერ ბერიშვილის, ქუთაისის — ჯარში მსახურ ინჟინერ ბეთანოვის და ახალციხის ჯარში მსახურ ინჟინერ ჩხეიძის, საბინაო სექციის საქმის მწარმოებელ მოხელე გოცირიძის, სამხედრო სამინისტროს იურისკონსულტის და შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო კონტროლის და ტფილისის ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელთა.

კომისია შეაკრიბოს აღნიშნულ დროს სამუშაოდ საბინაო სექციის სადგომში (ბარიატინის ქ. № 10) და შედეგის ოქმი კომისიის თავმჯდომარემ შე წარმოამიდგინოს,

20 ივნისი 1919 წ. ქალ. ტფილისი.

### № 137

ვაცხადებ საყოფადღებოთ და სახელმძღვანელოთ განსაზღვრულ ნავთის ფასს ერთ ფუთისას მიმდინარე 1919 წ. იანვრის და მაისის მესამედებისათვის იმ პუნქტებში, სადაც ბინადრობენ საქართველოს რესპუბლიკის ჯარები, თანახმად თანდართულ ნუსხისა:

ნუსხა განსაზღვრული ფასებისა ერთ ფუთ ნავთზე მიმდინარე 1919 წლის იანვრის და მაისის მესამედებისა იმ პუნქტებში, სადაც ბინადრობენ რესპუბლიკის ჯარები.

პუნქტების დასახელება.	განსაზღვრული ფასი ფუთზე.	
	იანვრის მესამელი 1919 წ.	მაისის მესამელი 1919 წ.
	მანეთი	მანეთი
ქალ. ტფილისში . . . . .	32	42
„ ახალციხეში . . . . .	120	60
„ ახალქალაქში . . . . .	140	70
„ გორში . . . . .	100	50
„ თელავში . . . . .	100	50
„ სიღნაღში . . . . .	120	60
„ დუშეთში . . . . .	120	60
„ ბორჯომში . . . . .	110	54
„ სურამში . . . . .	100	50
„ მანგლისში . . . . .	100	50
„ მუხრანში . . . . .	100	50
„ გომბორში . . . . .	100	50
„ ლაგოდეხში . . . . .	130	64
„ აღბულალში . . . . .	100	50
„ დედოფლის წყაროში . . . . .	100	50
„ ქუთაისში . . . . .	100	50
„ ოზურგეთში . . . . .	105	56
„ ნატანებში . . . . .	100	50
„ ფოთში . . . . .	100	50
„ სოხუმში . . . . .	120	70
„ სამტრედიიაში . . . . .	100	50
„ ყვირილაში . . . . .	100	50
„ ახალსენაკში . . . . .	100	50
„ ზუგდიდში . . . . .	110	60
„ ოჩამჩირეში . . . . .	120	70



19 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 138

ტფილისის მაზრის სამხედრო უფროსის მცირე გუნდის ჯარისკაცი: ნიკო ხინტიკია და ამბროსი ნეფარიძე, რომელნიც იდგნენ გუშაგათ, პირველი — ფულის ყუთთან და მეორე ბარგსაწყობთან, თავის გამრინებელ უფროს ნაცვლის ლადო ფურცელაძის ყარაულობიდან გაქცევის შემდეგ, არ დასტოვეს თავისი საგუშაგო და გამოუცვლელად იდგნენ 9 საათი, სანამ ტელეფონოგრაფით არ მიუვიდათ ჩემი ბრძანება.

გულითად მადლობას ვუცხადებ აღნიშნულ ჯარის-კაცთა ასე პირნათლად თავის მოვალეობის შესრულებისათვის. ასეთი შეგნებული მოქმედება ყოველთვის და განსაკუთრებით საქართველოს აღორძინების დროს აუცილებლად საჭიროა. მიეცეთ მათ ას-ასი მანეთი ჯილდოთ.

20 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი

139

ვაცხადებ ცნობისათვის გიორგის იარაღის სათათბიროს დადგენილობას: თანახმად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებისა სამხედრო ხარისხოსანთა შესახებ № 67 1918 წლის 11 სექტემბრიდან, გიორგისი იარაღის სათათბირომ ინფანტერიის გენერალის გაბაშვილის თავმჯდომარეობით და თანადასწრებით წვერთა: 1-ლ ცხენოსან პოლკის უფროსის, პოლკოვნიკ ქავკავაძის, მე-5 ქვეითა პოლკის უფროსის, პოლკოვნიკ ბალუაშვილის, გენერალურ შტაბის განყოფილების საოპერაციო-სამობილიზაციო ნაწილის უფროსის გენერალურ შტაბის პოლკოვნიკ ნაცვლიშვილის, მანგლისის რაზმის უფროსის თანაშემწის, პოლკოვნიკ ქარცივაძის, მე-3 ქვეითა პოლკის პოლპოლკოვნიკ შერვაშიძის და 1-ლ ცხენოსან პოლკის როტმისტრ დადიანისა, განიხილა რა მე-2 საარტილერიო ბრიგადის უფროსის პოლკოვნიკ ჩიჯავაძის გიორგის იარაღით დაჯილდოვებაზე წარდგენილობა, დაადგინა:

მე-2 საარტილერიო ბრიგადის უფროსი, პოლკოვნიკი ჩიჯავაძე გიორგის იარაღით დაჯილდოვების ღირსყოფილათ იქნეს ცნობილი მისთვის, რომ მე-3 კავკასიის საარტილერიო ბრიგადის მე-4 ბატარეის მისი უფროსობის დროს, 1914 წ. 22 — 23 დეკემბრის თურქებთან ბრძოლაში, სოფ. დივიჯთან, როცა ჩვენი ქვეითა ჯარი ვადამწყვეტი იერიშით გაემართა მოწინააღმდეგის სანგრებზე და იწყო მისი დაკავება, შტაბს-კაპიტანი (ახლა პოლკოვნიკი) ჩიჯავაძე თავის ბატარეით თავგანწირვით და გაბედულათ გავიდა გაშლილ პოზიციაზე, სრულიად მიუახლოვდა მტერს მოწინააღმდეგის ძლიერი საარტილერიო და თოფის სროლის ცეცხლის ქვეშ და თავის მიზანში ამოძლები და განმანადგურებელი ცეცხლით შესაძლებელი გახდა მოწინააღმდეგის სრულიად დამარცხება და ხელი შეუწყო ჩვენი ქვეითა ჯარის დაკავებულ პოზიციაზე დამკვიდრებას.

ეს ღვაწლი შესაბამება იმ მაგალითს, რომელიც გიორგის სტატუტის მე-112 მუხლის მე-17 პუნქტშია მოყვანილი.

გიორგის იარაღის სათათბიროს თავმჯდომარე, ინფანტერიის გენერალი გაბაშვილი სათათბიროს წვერები: პოლკოვნიკები: ბალუაშვილი, ქარცივაძე, ქავკავაძე, ნაცვლიშვილი, პოლპოლკოვნიკი შერვაშიძე და როტმისტრი დადიანი.

სამხედრო მინისტრის მაგიერ  
გენერალ-მაიორი გედევანიშვილი.

# ბ რ ე მ დ ე ბ ე ბ ი

## რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ი ს მ თ ა ვ რ ო ბ ი ს ა

სამხედრო უწყების მიმართ.

18 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 153

სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარემ პიტაკით № 1231 ამა წლის 23 მაისიდან მაცნობა, რომ სამხედრო მსაჯულნი კოლეჯსკი სოვეტნიკი დავიდოვიჩი და პრაპორშჩიკი წიგწივაძე და მდივნები თაყაიშვილი და ნოზაძე სამხედრო სესიის შემადგენლობაში გაგზავნილი იყვნენ სოხუმის ფრონტზე და ქალ. ქუთაისში 16 მარტიდან 2 მაისამდე.

ცნობა: სამხედრო სასამართლოს პიტაკი № 1231.

14 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 154

#### § 1

ჯარის განზრახული რეორგანიზაციის გამო ებრძანებ მე-2 ცხენოსანი რაზმი მისი სრულის შემადგენლობით ეხლავე შეერთებულ იქნას 1-ლ ცხენოსან რაზმთან. ქონება და იარაღი გადაეცეს სამხედრო სამინისტროს შესაფერ განყოფილებებს.

#### § 2

ცხენოსან ბრიგადის შტაბი დაშლილ იქნას და ოფიცრები, რომლებიც თანადებობაზე არ დაინიშნებიან, საზოგადო საფუძველით შტატ გარეშე იქმნენ დატოვებულნი.

შტაბის ჯარის-კაცნი გადაყვანილ იქმნენ 1-ლ ცხენოსან რაზმში, შტაბის ქონება და იარაღი კი გადაეცეს სამხედრო სამინისტროს შესაფერ განყოფილებებს.

#### § 3

ოსებში სრულის სიმშვიდის ჩამოვარდნის გამო ეუბრძანებ ცხინვალის სპის უფროსს, გენერალ ყარაღაშვილს, სპის ნაწილები გაგზავნოს თავის ბინებზე, და ამასთანავე სპის შტაბი გაუქმებულ იქნას.

#### § 4

ცხენოსანი რაზმი უშუამავლოთ ემორჩილებოდეს სამხედრო მინისტრის თანაშემწეს, და საშთო ცხენოსანის არტილერიის ბატარეა უშუამავლოთ ემორჩილებოდეს საარტილერიო სექციის უფროსს.

# ბრძანება

## რესპუბლიკის მთავრობისა

სამხედრო უწყების მიმართ.

28 აგვისტო, 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 185

ამასთანავე ვაცხადებ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად ჩემ მიერ დამტკიცებულთ:

1) დებულებას რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა: არტილერიის შეიარაღების და საომარ მასალათა დათვალიერების შესახებ, II. მოკლე დასტურლამას (ინსტრუქცია) იარაღეულობის და სასროლ მასალათა შენახვის, მოვლის და გაფრთხილების შესახებ და ჯართა ნაწილებში ამ საგანთა აღრიცხვის წარმოების შესახებ და III. ნუსხას დებულებათა, რომლებითაც ჯერ არს ხელმძღვანელობა არტილერიის ნაწილებში იარაღეულობის და საომარ მასალათა დათვალიერების დროს, ვბრძანებ:

1. ყოველი თვის 1-ლი რიცხვისთვის უნდა წარმოდგენილ იქმნეს სამნეო განყოფილების საარტილერიო სექციაში და გენერალურ შტაბის უფროსთან ცნობები ჯართა ნაწილებში იარაღეულობის და საომარ მასალათა მდგომარეობის შესახებ, ყოველ გვარ იარაღეულობის ხარისხის სწორი ზეგნებით.

2. შეიარაღების საგანთა აღრიცხვის წარმოება ჯართა ნაწილებში დაევალოს: ქვეითა ცხენოსანთა ნაწილებში—იარაღეულობის გამგეს (იარაღეულობის ტეხნიკოსებს), ხოლო არტილერიაში—არტილერის ტეხნიკოსებს. ეს აღრიცხვა გულდასმით უნდა იქმნეს ხოლმე გასინჯული ჯარის ერთეულის უფროსის თანაშემწის—სამნეო ნაწილის გამგის მიერ, რომელსაც ევალება უპახლობელესი ზედამხედველობა გაუწიოს იარაღეულობის და საომარ მასალათა რიგზე შენახვას, მოვლას და გაფრთხილებას. შეიარაღების საგანთა დაკლების შემთხვევაში უნდა იქმნეს ნაჩვენები ამისი მიზეზი;

3. იარაღეულობის შესაკეთებლად ყოველი ცალკე ერთეულთან უნდათ მოწყობილი იქმნას იარაღეულობის ან ზარბაზნეულობის შესაკეთებელი სახელოსნოები ჯარის ტეხნიკოსების ზედამხედველობის ქვეშ.

4. აფიცერთა შემადგენლობას უნდა შეთვისებული ჰქონდეს იარაღეულობის შენახვის და შესწორების წესები, რისთვისაც სამხედრო სასწავლებელში და ჯართა ნაწილებში უნდა მოეწყოს ლექციების კითხვა ამ საგანზე.

5. იარაღების ანუ სასროლ მასალათა დაკარგვის შესახებ, ერთეულთა უფროსებმა უნდა დაუყონებლივ მოახსენონ უფროსებს. იმავე დროს სამხედრო მინისტრს უშუაშაველოდ.

სამხედრო მინისტრის მაგიერ,

გენერალი გედევანიშვილი

# ბ რ ძ ა ნ მ ბ მ ბ ი

## საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა

სამხედრო უწყების მიმართ.

30 სექტემბერი 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 192

ყოფილი მე-2 დივიზიის შემხვევი სპა რომელიც თანახმად ბრძანებისა № 149 დროებით ასრულებდა ლაზარეთის ვალდებულობას ბორჯომში, დაიხუროს და გაიგზავნოს პირველ ქვეითა ბრიგადის შემხვევ სპად ვაკრაში, 200 საწოლით და შესაფერი შტატიით.

30 სექტემბერი, 1919 წ. ქ. ტფილისი

### № 193

თანახმად სამხედრო საბჭოს დადგენილებისა № 23 ამა, წლის 18 სექტემბრის თარიღით, სანიტარული მატარებელი № 2 გაუქმდეს: ქონება გადაეცეს სათანადო დაწესებულებას, სადაც ინახებოდა განკერძოებით. აბანო, მატარებლები დარჩნენ ხელუხლებლად და ნება მიეცეთ იპით სარგებლობისა კერძო დაწესებულებებს, დანიშნულ ფასით.

სასანიტარო საწყობები გადაეცეს სამწევო კომიტეტის საგოსპიტლო მალაზიას.

სანიტარული მატარებელი № 1 დარჩეს და განაგრძოს მუშაობა.

სამხედრო მინისტრი, ნ. რამიშვილი.

30 სექტემბერი, 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 194

მიუხედავად სამხედრო უწყებისადმი 1919 წ. 24 მარტის, № 26 ბრძანებისა, ზოგი აფეცრება, როგორც სამსახურში მყოფნი, აგრეთვე ამა თუ იმ მიზეზებისა გამო დათხოვნილნი ატარებენ საზღვარ გარეშ სამხედრო ფორმას. კატეგორიულად უკრძალოვ სამხედრო სამსახურში მყოფთ

საზღვარს გაცილებს შემდეგ ატარონ ქართული ლაშქრის ფორმა. მოვითხოვ, რომ საზღვარ გარედ გამგზავრებულბმა, საზღვრის გადალახვის შემდეგ, აუცილებლად ჩაიციან პარტიკულიარული ტანისამოსი, და თუ მათი არ ძალ უძთ ამ გვარ ტანისამოსის ჩაცმა, მაშინ ისინი ვალდებულნი არიან ჩამოიხსნან საქართველოს არმიისადმი მიკუთვნილნი ყველა განსხვავებანი.

ნებას ვრთამ საზღვარ გარედ ფორმის ტარებისას მხოლოდ მისიებთან მყოფ სამხედრო მსახურთ და უმაღლეს პირთა წინაშე წარდგენის დროს.

30 სექტემბერი, 1919 წ. ქალ. ტფილისი.

## № 195

სამხედრო დადგენილებათა კრებულის შემუშავებას, დამუშდნებელ კრების მიერ დამტკიცებულ სამხედრო კანონებთან შეთანხმებით, დავაკისრებ სამხედრო სამინისტროს სათანადო განყოფილებებს ამასთანავე დართულ კრებულის წიგნთა განაწილების თანახმად.

მუშაობა დასრულებულ იყოს 1920 წლის 1-ლ მაისისთვის და ამის შედეგები გადმოცემულ იყოს გენერალურ შტაბის განყოფილებაში, სადაც გენერალურ შტაბის უფროსის განკარგულებით შედგენილ იქმნას განსაკუთრებული კომისია სამხედრო სამინისტროს ყველა განყოფილებებისა და დაინტერესებულ სამინისტროების წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელსაც დაევალოს ქართულ სამხედრო დადგენილებათა კრებულების დაბოლო რედაქცია.

**დანართი:** სამხედრო სამინისტროს განყოფილებების შორის დადგენილებათა წიგნების განაწილება.

სამხედრო მინისტრის მაგიერ,  
გენერალი **გედევანიშვილი.**

გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა

სამხედრო დაჯგენილებათა კრებულის წიგნებისა

სამხედრო სამინისტროს განყოფილებათა შორის შესამუშავებლად.

წ. № რიგზე	სახელწოდება საქართველოს სამხედრო დაჯგენი- ლებათა კრებულის წიგნებისა	რუსეთის კრე- ბულის რომელ წიგნებს შეე- ფერება	რომელ განყოფილებას ეკისრება მუშაობა
1	მოწყობა შეიარაღებულ ძა- ლთა, სამხედრო დაწესებუ- ლებათა და მათ მმართვე- ლობათა.	1,3,5,12,13, 14,15,16,17.	1, 3, და 5 - გენერალურ შტ.-განყოფილება. 15-სამხ. სკოლის უფ. 12, 13, 14, და 16-სამხ. კომიტეტს. 17 სამხ. სასამართლოს.
2	დებულება ჯარების სველე მმართველობის შესახებ.	4.	4-გენერალ. შტ. განყოფ.
3	წესდება სამხედრო ბეგრისა და არმიის შევსებისა.	სამხედრო ბეგრის წესდება და წიგნი მე-6-ე.	გენერალ. შტ. განყოფ.
4	გავლა სამსახურისა სამხედრო უწყებაში, დაჯილდოება, პე- ნსია, დახმარება და შეწყნა- რება სამხედრო უწყების მო- ხელეებისა.	7 და 8	პროვზულ შემადგენლო- ბის განყოფილება.
5	მნეობა ჯარში.	18, 19, 20 და 21.	სამხედრო კომიტეტს.
6	სამხედრო სასჯელთა წესდება	22.	სამხედრო სასამართლოს.
7	დისციპლინალური წესდება.	23.	" " "
8	წესდება სამხედრო სასამარ- თლოსი.	24.	" " "

## ჩ ა მ ო თ ვ ლ ა

### რუსეთის სამხედრო დადგენილებათა კრებულის წიგნებისა.

- 1) სამხედრო სამინისტრო და განსაკუთრებული უმაღლესი სამხედრო დაწესებულებანი.
- 2) ადგილობრივი სამხედრო სამმართველონი.
- 3) დებულება ჯარების საველე მმართველობის შესახებ.
- 4) მოწყობა და შემადგენლობა ჯარებისა და მმართველობა მათი.
- 5) შვესება.
- 6) გავლა სამსახურისა სამხედრო უწყებაში.
- 7) დაჯილდოება. პენსია, დახმარება და შეწყნარება სამხედრო უწყების მოხელეებისა.
- 8) დაწესებულებანი საინტენდანტო.
- 9) " " საორტილერიო.
- 10) " " საინჟინერო.
- 11) " " სამხედრო-სასწავლო.
- 12) " " სამხედრო-სამკურნალო.
- 13) " " სამხედრო-სატუსალო.
- 14) დამზადება და შეკერვა სამხედრო უწყებაში.
- 15) საზრდოობა ჯარებისა.
- 16) შინაური მნეობა ჯარების ერთეულებში და ნაწილებში.
- 17) ანგარიში სამხედრო უწყებაში.
- 18) სამხედრო წესდება, დასჯის შესახებ.
- 19) წესდება დისციპლინალური.
- 20) წესდება სამხედრო სასამართლოსი. წესდება სამხედრო ბეგრის შესახებ.

გენერალურ შტაბის უფროსი.  
გენერალურ შტაბის გენერალი **ვაქარიაძე**

დარიგდა 1919 წ. 23 ოქტომბერს.

# ბრძანებები

## რესპუბლიკის მთავრობისა

სამხედრო პირთა შასახებ.

4 სექტემბერი 1919 წ. ქ. თფილისი.

№ 519

ინიშნებიან კაპიტნის სახელწოდების მინიჭებით: ცხენოსან პოლკში, პოდპოლკოვნიკები: დიდებულიძე მაქავარიანი, ჩახავა; როტმისტრი ვაშალოშიძე, შტაბს-როტმისტრები: ყარანგოზიშვილი, ჩიკვაიძე, ნაკაშიძე.

უფროს ლეიტენანტის სახელწოდების მინიჭებით: შტაბს-როტმისტრები: ლომაური, ნაკაშიძე ნიკოლოზ I, ნაკაშიძე ივანე, ნებურიშვილი, წერეთელი; პორუჩიკები: კობიაშვილი და ამირაჯიბი.

ლეიტენანტის სახელწოდების მინიჭებით: პორუჩიკი თუხარელი; კორნეტები: შალიკაშვილი, აბულაძე, ყავრიშვილი, კვაროვი, ისარლოვი, ნაკაშიძე ნიკოლოზ II, ციციშვილი ზაქარია, ციციშვილი ლევანი, წერეთელი, ნაკაშიძე შიო. ჭავჭავაძე, ანანიაშვილი, მიქელაძე.

კაპიტნის სახელწოდების მინიჭებით: თბილისის სადარაჯო ათესეულში: პოლკოვნიკი ხარაძე; პოდპოლკოვნიკები: მაყაშვილი, ჩერქეზიშვილი; კაპიტნები: გუგუნავა, ცქიტიშვილი,

უფროსი ლეიტენანტის სახელწოდების მინიჭებით: კაპიტანი მესხიშვილი; შტაბს-კაპიტნები: ბარათაშვილი, სულაქველიძე, ფურცელაძე, ქარცივაძე.

ლეიტენანტის სახელწოდების მინიჭებით: პორუჩიკები: ნებურიშვილი, გორგაძე, თედორაძე; პოდპორუჩიკები: პირცხელიძე, ჯაში, ბალახიშვილი, გრომაშვილი; პრაპორუჩიკები: ყიფიანი, გურული, ჩხაიძე; შტაბს-კაპიტნები: კობიაშვილი, ჩხეტია.

საქმის მწარმოებლად: ბახუტაშვილი.



4 სექტემბერი, 1919 წ. ქ. თბილისი.

## № 520

**ინიშნება** კა- **სამხედრო სკოლაში:** ყოფილი საარქიო. არტილერიის  
პიტნის სა- ბრიგადის კაპიტანი ბარნაბიშვილი და ყოფილი ცხენოსან-  
ხელწოდების სამთო ბატარეის პორუჩიკი კარაევი.  
**მინიჭებით:**

**დათხოვნილია:** ლაშქრის ცხენოსან ჯარას თადარიგში, ქ. ტფილისში,  
ქართველ-მუსულმანთა დაშლილი ცხენოსან დივიზიონის  
შტაბს-როტმისტრი აბაშიძე საშტატგარეო ჯამაგირის მიცე-  
მით.

4 სექტემბერი, 1919 წ. ქ. თბილისი.

## № 521

**დათხოვნი** ლაშქრის ქვეითა ჯარის თადარიგში გორის მაზრით:  
**ლია:** გერმანიაში ტყვეობიდან მოსული პრაპორშჩიკი წვერავა.

**ინიშნება:** სამხედრო სამინისტროს კანცელიარიის საქმის მწარმოე-  
ბლის თანამდებობის აღმასრულებლად—სამხედრო მინისტ-  
რის განკარგულებაში მყოფი პოლკოვნიკი თულაშვილი.

სამხედრო მინისტრის მაგიერ,  
გენერალი გედევანიშვილი.

დარიგდა 15 ოქტომბერს.

# ბრძანებები

## საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა

სამხედრო პირთა შესახებ.

9 სექტემბერი, 1919. ქ. ტფილისი.

### № 529

დათხოვნილი  
არია:

ლაშქრის ცხენოსან ჯარის თადარიგში. ქუთაისის მაზრით სანაპირო ჯარის ყოფილი სასწავლო რაზმის პორუჩიკი დადგეშელიანი ამ წლის პირველ სექტემბრიდან.

ქვეითა ჯარში, ქ. თბილისით: პიროვნულ შემაღენლობის განყოფილების საპენსიო სექციის საქმის მწარმოებელი ნიჟარაძე, საშტატგარეო ჯამაგირის მიცემით ამ უკანასკნელს ამა წლის 1-ლ სექტემბრიდან.

9 სექტემბერი, 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 530

ინიშნებიან:

სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიული განყოფილებაში: რუკების რედაქტორთა—პოლკოვნიკი ქავთარაძე პოლკოვნიკის სახელწოდების მინიჭებით; ასტრონომიულ სამუშაოთა მწარმოებლათ—გეოდეზისტი კრემლიაკოვი, გეოდეზიური სამუშაოთა მწარმოებლებათ—პოლკოვნიკი პავლოვი, და ტოპოგრაფი შლეპნიოვი; დამგეგმავთა ნაწილების უფროსებათ—რუსიშვილი და ტოპოგრაფი ანტონოვი; ტოპოგრაფიული სამუშაოთა მწარმოებლებად: უფროსებათ—ტოპოგრაფები: გავრილოვი, მუნტიანი, ავქსენტიევი, კოლდობსკი, ბოგდანოვი, უმცროსებად—ტულულაშვილი. მელიქიძე, ხუნჯუა გრიგორი, ხუნჯუა ალექსანდრე, ჩუგუნიძე; რუკათა მხატველობის მწარმოებლებად—ნახიბოვი, ცხაკაია; ტოპოგრაფები: დეკტიაროვი, კალუსოვსკი, ლუპანდინი, იგნატიევი; რუკების და ხელსაწყოთა საწყობის გამგეთ—ხელსუფაშვილი, მისი თანაშემწეთ—ტოპოგრაფი ბორისენკო, ლიტოგრაფიის გამგეთ—ტოპოგრაფი ნეპრინცივი, ფოტოგრაფიის გამგეთ,—ჯანისი კონსტანტინე. მის თანაშემწეთ—ხაჩრუცკი ივანე; მდივნათ—ბალაბუევი გიორგი, მისი თანაშემწეთ—იგოვე მოლარე—ნესტეროვი.

დათხოვნის დათხოვნის უფრო-  
არაან საშესა- სი ყოფილი ტოპოგრაფიული განყოფილების უფრო-  
ხურიდგან: სი გენერალ-ლეიტენანტი უჩოტკინი და ყოფილი რუ-  
ქათა მხაზველობის მწარმოებელი პოლკოვნიკი ზავრიევი,  
საშტატგარეო ჯაშაგირის მიცემით ამა წლის პირველ სექ-  
ტემბრიდან.

10 სექტემბერი, 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 531

ინიშნებიან სანაპირო ჯარის ბორჩალოს რაზმში როტმისტრები:  
კაპიტანის სა- კარპინსკი, ქარცივაძე, და კაპიტანი ლევადა, პორუჩიკი  
ხელწოდების საბულადა.  
მინიკებით:

უფროსი ლეი- კაპიტანი ჯავრიშვილი, შტაბს-კაპიტნები: ჯანდიერი და  
ტენანტის სა- მანაბელი.  
ხელწოდების  
მინიკებით:

ლეიტენანტის კაპიტანი კონტრიძე; შტაბს-კაპიტნები: ქარცივაძე, ბურჯა-  
სახელწოდების ნაძე, გრიგოლია. შტაბს-როტმისტრი ნაცვლიშვილი და  
მინიკებით: პოდპორუჩიკი ოხიტაშვილი.  
იარალის გამგეთ (იგივე უწყობილო მცირე გუნდის უფ-  
როსი), — კაპიტანი ხვედელიძე; საქმის მწარმოებლათ — პარ-  
კაძე.

კაპიტანის სა- სანაპირო ჯარის სიღნაღის რაზმში: როტმისტრი კუპ-  
ხელწოდების რაშვილი, კაპიტანი ხომერიკი; შტაბს-კაპიტანი წულუკიძე,  
მინიკებით: გაგუა.

უფროსი ლეი- შტაბს-კაპიტნები: ხიტორია, ჯავახიშვილი, გვახარია;  
ტენანტის სა-  
ხელწოდების  
მინიკებით:

ლეიტენანტის შტაბს-კაპიტანი ხუროძე; პორუჩიკები: მუავანაძე, არჩ-  
სახელწოდებ- ვაძე; პოდპორუჩიკები: შარაშიძე, გვგუქკორი, კუჭულაშ-  
ბის მინიკებით: ვილი.  
იარალის გამგეთ (იგივე უწყობილო მცირე გუნდის უფ-  
როსი) — ტიხონოვი; საქმის მწარმოებლად ხტეპანენკო.  
ყველა ამ წლის 1-ლ აგვისტოდან.  
მე 4-ზე ქვეითა ათასეულში: საქმის მწარმოებლად —  
ჯიბლაძე სერგო.

10 სექტემბერი 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 532

**დათხოვნილი არიან სამსახურიდან:** ლაშქრის არტილერიის თადარიგში, ქ. თბილისით—ყოფილი საარმიო არტილერიის ბრიგადის პრაპორშჩიკი გვასალია. გალობის და სამხედრო მუზიკის ინსტრუქტორი-კომპოზიტორი ფოცხვერაშვილი, საშტატგარეო გამაგერის მიცემით ამა წლის 1-ლ სექტემბრიდან.

10 სექტემბერი. 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 533

**შესაცვლელად:** თანახმად მთავრობის ბრძანებისა სამხედრო პირთა შესახებ ამ წლის 9 აგვისტოდან № 476, სამხედრო სამინისტროს კანცელარიაში დანიშნულნი პორუჩიკები: ზალდასტანიშვილი და იაკობაშვილი ჩაითვალოს საბელწოდების შეუცვლელათ, პირველ კაპიტნის და მეორე უფროსი ლეიტენანტის თანამდებობაზე.

10 სექტემბერი, 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 534

**ინიშნებიან კაპიტნის სახელწოდების მინიჭებით:** მე-2-რე საარტილერიო დივიზიონის არტილერიის ტენიკოსის თანამდებობის აღმასრულებლად—ყოფილი ცალკე რადიო-სადგურის გუნდის პორუჩიკი რთველიაშვილი, სამხედრო სამინისტროს სტამბის საქმის მწარმოებლად ხარლამოვი, კორექტორათ-გერასიმოვი, მონაგარიშეთ—ჩერნეცკაია.

10 სექტემბერი, 1919 წ. ქ. ტფილისი

### № 535

**ინიშნებიან კაპიტნის სახელწოდების მინიჭებით:** საარმიო საარტილერიო დივიზიონში, ყოველი არმიის საარტილერიო ბრიგადის კაპიტნები: ხევცურიანი, ჩაჩუა; შტაბს-კაპიტნები: ქორქია, მაქავარიანი; პორუჩიკები: ფოჩიშვილი, ჩერქეზიშვილი, ქავთარაძე.

**უფროს ლეიტენანტის სახელწოდების მინიჭებით:** შტაბს-კაპიტანი ხუციშვილი; პორუჩიკები: ზინოვიევი, შკლიარსკა, ხალინაშვილი.

**ლეიტენანტის** შტაბს-კაპიტანი ნინიძე; პორუჩიკები: ზაქარიაძე. ქუმ-  
**სახელწოდებ-** სიაშვილი, ავალიშვილი, მდივანი; პოდპორუჩიკები: ხარი-  
**ბის მინიჭებ-** შჩაროვი, იოსავა. პრაპორუჩიკები: გეგენავა, კელიძე, და  
**ბით:** მესხი.

არტილერიის ტეხნიკოსებად—ვერბერი და ივანოვი.

12 სექტემბერი, 1919 წ. ქ. ტფილისი

### № 536

**დათხოვნილი** ქვეითა ჯარის თადარიგში. თბილისის მაზრაში—ყოფი-  
**არიან:** ლი საარტილერიო ბრიგადასთან შიჩენილი—შტაბს-კაპიტანი  
**იმნაძე,** საშტატგერეო ჯამაგირის მიცემით 1-ლ სექტენ-  
ბრიდან.

ცხენოსან ჯარის თადარიგში, ქ. თბილისში—ცხენოსან  
პოლკის კაპიტანი ჩიკვაძე.

12 სექტემბერი, 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 537

**უქმდება.** მთავრობის ბრძანება სამხედრო პირთა შესახებ ამა წ. 13  
აგვისტოდან № 487, გიორის სამხედრო აღრიცხვის განყოფი-  
ლების საქმის მწარმოებლად—კურიკოვის დანიშვნის შესახებ  
და ასეთი ჩაითვალოს სამსახურიდან დათხოვნილად, საშტატ-  
გარეო ჯამაგირის მიცემით ამა წლის 1 სექტემბრიდან ;

**ინიშნება.** მე-2-რე ქვეითა ათასეულის მოლარეთ—ყოფილი მე-3-  
მე ქვეითა პოლკის მღვდელი, მ. აბესაძე.

12 სექტემბერი, 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 538

**დათხოვნილია.** საარტილერიო ჯარის თადარიგში, თბილისის მაზრაში—  
მე-3-მე საარტილერიო დივიზიონის მე-3-მე ბატარეის უფ-  
როსი (ყოფილი სამთო ცხენოსან ბატარეის უფროსი)—მაი-  
ორი ცაგურია ირაკლი, მუნდირის ტარების უფლებით.

სამხედრო მინისტრის მაგიერ  
გენერალი გედევანიშვილი

# ბრძანებები

## საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა

სამხედრო პირთა შესახებ.

20 სექტემბერი, 1919. ქ. თფილისი.

### № 554

ინიშნებიან:

სასანიტარო უფროს ექიმებათ ცალკე ქვეითა ათასეულში: 1-ში გაბუნია ვლასი, 2-ში ჩანკოტაძე აპოლონ, 3-ში მოსეშვილი კონსტანტინე, გვანცელაძე ევგენი, 4-ში ახვლედიანი დომენტი, 6-ში რუსიშვილი-კორჩიბაშვილი 7-ში ხუციშვილი კონსტანტინე, 8-ში წიფწივაძე, 9-ში ტიკინაძე დიმიტრი, 10-ში რობიტაშვილი კონსტანტინე, 11-ში ფხაკაძე ნოე, 12-ში მაჭავარიანი დავითი.

სასანიტარო უნცროს ექიმებათ: 1-ში გუბელაძე ვლადიმერი, 2-ში წულაია იასონ, 3-ში აბაშიძე ვარლამ, 4-ში ჩხეიძე ნიკოლოზ, 5-ში ცაგარელი ლუკა, 6-ში რომაშვილი პეტრე, 7-ში ქიქოძე მიხეილ, 8-ში ივანოვი ლეონიდე, 9-ში ჯინჭველაძე, 10-ში ქიქოძე სემიონი, 11-ში როინიშვილი ტიტე, 12-ში მარინაშვილი დავითი.

1-ლი საარტილერიო დივიზიონში: სასანიტარო ექიმთა აკოფაშვილი თომა, 2-ში ლომინაძე დავით, 3-ში მანვილაძე ალექსანდრე, საარმიო საარტილერიო დივიზიონში დეკანოზიშვილი მიხეილ.

ცხენოსან რაზმში, უფროს ექიმებათ: — მაჭარაშვილი კონსტანტინე, უნცროს ექიმთა — ოდიშარია სერგო.

სანაპირო ჯარის რაზმებში, ექიმებათ: სოხუმში მკედლიძე ივანე, ფოთში მიქაბერიძე კონსტანტინე, ახალციხეში მურვანიშვილი სტეფანე, ბორჩალოში ანდრონიკაშვილი ივანე. სიღნაღში კერესელიძე პავლე, დარიალში ჯოფარიძე.

სადარაჯო ათასეულში — კერესელიძე დავით.

საავიაციო გუნდში — დემურია ივანე.

ავტო გუნდში — გოგიტიძე ვლადიმერი.

მესანგრეთა ათასეულში — გოგობერიძე გიორგი.

არსენალში და საარტილერიო საწყობებში — გეგეჭკორი ნიკოლოზ, სამხედრო სკოლაში უფროს ექიმთა კალანდარიშვილი მოსე, უმცროსათ — იშხნელი მიხეილ.

19 სექტემბერი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 555

**გამწესებულია** თადარიგიდან სამსახურში სანაპირო ჯარის მე-3-მე ახალ-  
**ლეიტენანტის** ციხის რაზმში, ყოფილი მე-2-რე მანგლისის რაზმის—პრა-  
**სახელწოდე-** პორუჩიკი ჩიკვინიძე.  
**ბის მინიჭებით:**

**დათხოვნალია:** ლაშქრის ქვეითა ჯარის თადარიგში, ტფილისის მაზრით  
ქართულ-მუსულმანთა ცხენოსან დივიზიონის დაშლის გამო  
პოდპორუჩიკი კობიძე, საშტატგარეო ჯამაგირის მიცემით  
ამა წლის 1-ლ სექტემბრიდან

19 სექტემბერი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 556

**შესაცვლელად:** მთავრობის ბრძანებისა სამხედრო ხარისხოსანთ შე-  
სახებ 23 აგვისტოდან № 505 მე-8 ცალკე ათასეულის უფრო-  
სი ლეიტენანტი გუბელაძე ჩაითვალოს კაპიტანის სახელწოდებ-  
ებით და კაპიტანი გამყრელიძე—უფროს ლეიტენანტის  
სახელწოდებით.

19 სექტემბერი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 557

**დათხოვნილი არიან:** ცხენოსან ჯარის ლაშქრის თადარიგში, ქუთაისის მაზ-  
რით, ქართულ მუსულმანთა ცხენოსან დივიზიონის დაშლის  
გამო კორნეტი ტატიშვილი, საშტატგარეო ჯამაგირის მიცე-  
მით ამა წლის 1-ლ სექტემბრიდან.

— ქვეითა ჯარის თადარიგში ყოფილი ქართული სათა-  
დარიგო რაზმის პრაპორუჩიკი ლოლომაძე ალექსი ამ 10  
სექტემბრიდან და ტყვეობიდან დაბრუნებული შტაბს-კაპი-  
ტანი ემჩინოვი.

19 სექტემბერი 1919 წ. ქ. ტფილისი.

**№ 558**

**დათხოვნილია:** ლაშქრის ცხენოსან ჯარის თადარიგში, ტფილისის მაზრით, ყოფილი ქართულ მუსულმანთა ცხენოსან დივიზიონის როტმისტრი **შანიძე**, საშტატგარეო ჯამაგირის მიცემით ამა წლის 1-ლ სექტემბრიდან.

**ინიშნება** კა- სამხედრო სკოლაში ყოფილი მესანგრეთა ათასეულის; **პიტნის სახელ-** კაპიტანი ასათიანი, ამა წლის 10 სექტემბრიდან. **წოდების მი-** **ნიჭებით:**

19 სექტემბერი 1919 წ. ქ. ტფილისი.

**№ 559**

**ინიშნებიან** შესაცვლელათ და დასამატებლათ რესპუბლიკის მთავ- **კაპიტნის სა-** რობის ბრძანებისა სამხედრო ხარისხოსანთა შესახებ ამ **ხელწოდების** წლის 20 აგვისტოდან № 497—ინიშნებიან მე-10 ცალკე **მინიჭებით:** ათასეულში: ყოფილი მე-4-ხე ქვეითა პოლკის კაპიტნები: **წერეთელი** ემელიანე, აბულაძე ალექსანდრე; **შტაბს-კაპიტ-** იები: **კვიციანი**, **გეგიაძე**, **გამცემლიძე**, **სონაშვილი**; **პორუჩიკი** **ცკიტიშვილი** გიორგი; **პოდპორუჩიკი** **მიქელაძე** **გენაღი**.

**უფროსი ლეი-** შტაბს-კაპიტანი ჩიტაშვილი ლევ.; **პორუჩიკები:** **ნაჭყე-** **ტენანტის სა-** პია პანტელ., **ჭილაძე** ალექს. **რევი** მაქ., **ბერიძე** ნესტორ, **ხელწოდების** **კიკნაძე** პავლე, **სარალიძე** ელისე; **პოდპორუჩიკი** **ვაშაკიძე** **მინიჭებით:** **პოლიკარპე**.

**ლეიტენანტის** **პორუჩიკები:** **ავალიშვილი**; **ნანობაშვილი**, **ბარათაშვი-** **სახელწოდე-** **ლი** სიმონ, **ჯაფარიძე** შალვა, **დემეტრაძე** ალექსანდრე; **ბის მინიჭებით:** **პოდპორუჩიკები:** **დადიანი** ევგენი, **ჯაფარიძე** ალექს., **გო-** **გობერიძე** ნიკოლოზ, **ჭყონია** სევერიან, **დადიანი** გიორგი **დოლიძე** შიო, **ჭავჭავანიძე**, **რუსიაშვილი**, **ხმალიძე** ალექს. **პრაპორუჩიკი** **გეორგაძე**.

19 სექტემბერი 1919 წ. ქ. ტფილისი,

**№ 560**

**ენიჭებათ სა-** ჩინებული და სასარგებლო სამსახურისთვის **კომისრებს**;  
**ხელწოდება** **ჯემალ-ბეი-ოღლი**, **თამი-აზიზ-ოღლი** **ვაშაკიძეს** და **აკიფ**  
**მილიციის** **მამიშევს**.  
**ლეიტენანტისა:**



20 სექტემბერი, 1919 წ. ქ. ტფილისი

### № 561

**მიწინააღმდეგობა:** ცხენოსან რაზმში შტატს გარეშე მყოფი პოლკოვნიკი **საყვარელიძე**—ბეჟანიშვილი საშტატგარეო ჯამაგირის მიცემით საერთო წესის თანახმად.

20 სექტემბერი, 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 562

**გადაყვანილი არიან:** ერთი მეორის ადგილზე სანაპირო ჯარის პირველი სოხუმის რაზმის კაპიტანი **კუონია** და მეექვსე დარიალის რაზმის კაპიტანი **ანჯაფარიძე**.

**დათხოვნილია.** **ლაშქრის ქვეითა ჯარის თადარიგში, სენაკის-მხარით,** სანაპირო ჯარის მე-3-მე ახალციხის რაზმის **ლეიტენანტი ნაჭყუაია**.

**გაწესებულია** სათადარიგო ჯარიდან სამსახურში-სანაპირო ჯარის ყოფილი მე-2-რე მანგლისის რაზმის პორუჩიკი **კანდელაკი** სანაპირო ჯარის მე-3 ახალციხის რაზმში ჩარიცხვით.  
**ბინიკებით:**

20 სექტემბერი, 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 563

**ინიშნებთან მყოფის სახელწოდების მინიკებით:** მე-2-რე ქვეითა ბრიგადის შტაბში პოლკოვნიკი **მჭედელიშვილი**.

**კაპიტნის სახელწოდების მინიკებით:** პოდპოლკოვნიკი **კალატოზიშვილი** და შტაბს-კაპიტანი **გარსიაშვილი**.

**უფროსი ლეიტენანტის სახელწოდების მინიკებით:** საკავშირო სამსახურის უფროსათ—შტაბს-კაპიტანი **ჭილაშვილი**.

20 სექტემბერი 1919 წ. ქ. თფილისი.

## № 564

**დათხოვნილია:** ლაშქრის თადარიგში, თბილისის მაზრით, ყოფილი პირველი ცხენოსანი პოლკის პოლარე ჯაფახიშვილი, საშტატგარეო ჯაშაგირის მიცემით ამა წლის 1-ლ სექტემბრიდან.

**გადარიცხულია:** თადარიგიდან გამორიცხულებში საეკიპო მოწმობის თანახმად კაპიტანი თოხაძე.

22 სექტემბერი 1919 წ. ქ. თფილისი.

## № 565

**ინიშნებიან სა-** პირველი საარტილერიო დივიზიონში შტაბს კაპიტნები: ხელწოდებით, გოგიტიძე, მაჩაბელი, გრიგოლია: პორუჩიკები: ზნამენსკი, მინიჭების კა- ანდრონიკაშვილი, ჯანდიერი და კვანტრიშვილი.  
**პიტნისა:**

**უფროსი ლეიტენანტისა** შტაბს-კაპიტნები: ჯაფარიძე, მუსხელიშვილი; პორუჩიკები: მარგველაშვილი, და ტიმოფეევი.

**ლეიტენანტისა:** პორუჩიკები: ქარუმიძე, ზედგინიძე, გიორგთბიანი კოჩინევი; შტაბს-კაპიტნები: იორაშვილი, მამალაძე, ჩაბუკიანი, ყველანი ამა წლის 1-ლ აგვისტოდან.

22 აგვისტო 1919 წ. ქ. თფილისი.

## № 566

**დათხოვნილი არიან:** ცხენოსან ჯარის ლაშქრის თადარიგში, თბილისის მაზრით: სამხედრო სკოლის ლეიტენანტი თუთბერიძე.

**ქვეითა ჯარში იმავე მაზრით:** სამხედრო სამინისტროს ყოფილი სათადარიგო გუნდის პორუჩიკი ჩამკვიტაძე, საშტატგარეო ჯაშაგირის მიცემით ამ წლის 1-ლ სექტემბრიდან.

23 სექტემბერი 1919 წ. ქ. თფილისი.

## № 567

**ინიშნებიან** 1-ლ ცალკე ათასეულში, პოდპოლკოვნიკები: აბაშიძე  
**სახელწოდებ-** ალექსანდრე, ქურციკიძე ლევან; პოდპოლკოვნიკები: ლორთ-  
**ბის მინიჭებით:** ქიფანიძე სევერიანე, ხამაშურიძე ვლადიმერი; კაპიტნები:  
**კაპიტნისა:** ლალიძე გრიგოლი, ახვლედიანი გიორგი; შტაბს-კაპიტნები:  
დგებუაძე გრიგოლი, ალლაძე დიმიტრი.

**ტუფროსი ლეი-** კაპიტნები: გეორგობიანი სერგო, იოსელიანი დავითი,  
**ენანტისა:** ანდრონიკაშვილი დიმიტრი, ოშიაძე ალექსანდრე; შტაბს-  
კაპიტნები: დოლონაძე გრიგოლი, დათებოვი აკოპ, კუხია-  
ნიძე მიხეილ, აბაშიძე ვლადიმერი.

**ლეიტენანტისა:** შტაბს-კაპიტნები: იოსელიანი გრიგოლ, რისტერი თე-  
დორე, ჯორჯიკია ნესტორ, კიკნაძე გიორგი, ბუაძე კიმო-  
თე, ნიჟარაძე ვლადიმერი; პორუჩიკები: ბაგატურია პავლე,  
თურკია ლავრენტი, ჩიქოვანი შალვა, სურგულაძე, ხურციძე  
ილია, მანჯგალაძე სერგო; პოდპორუჩიკები: ახვლედიანი  
ლადიმერი, წერეთელი; პრაპორუჩიკი გოშხეთელიანი.  
საქმის მწარმოებლათ—გუგუშვილი კლემენტი; იარაღის  
გამგეთ—კუზნეცოვი თედორე.

**ინიშნებიან** მე 4-ზე ცალკე ათასეულში: პოდპოლკოვნიკები: მა  
**სახელწოდებ-** ჭავარიანი ვარლამ, ბერიშვილი ნოე, ჯიმშელიშვილი  
**ბის მინიჭებ-** პავლე; კაპიტნები: ჩიქოვანი ნესტორ; კვატაშიძე გერასიმე,  
**ბით, კაპიტნისა:** ხვედელიძე რაჟდენ; შტაბს-კაპიტანი: წიფწივაძე გიორგი;  
პორუჩიკი: ინჯია ვასილი.

**უფროს ლეი-** შტაბს-კაპიტნები: ახვლენიანი სიმონ, ერქომაიშვილი  
**ტენანტისა:** მოსე, კეთილაძე ვასილი, ქურციკიძე ალექსანდრე, ებრაე-  
ლიძე ვლადიმერი, ავალიშვილი ალექსანდრე, ნასარაია  
ვარლამ; პორუჩიკი ყიფიანი ისაია.

**ლეიტენანტისა:** კაპიტნები: შავგულიძე ერმალოზ, ხვადაძე, იაშვილი;  
შტაბს-კაპიტნები: ჟღენტი დავითი, შათბერაშვილი ალექ-  
სანდრე; პორუჩიკები: გორგაძე ლონგინოზ, ნიჟარაძე ნი-  
კოლოზ, კოპალეიშვილი ილია, მაჭავარიანი ელიზბარ, ამა-  
შუკელი ესტატე; ერისთავი ირემპარხი; პოდპორუჩიკი: გიგი-  
ნეიშვილი შალვა და წულუკიძე; პრაპორუჩიკები: მამრეკე-  
ლი, მესხი ივლიანე.  
იარაღის გამგეთ: —სუმბათაშვილი ნიკოლოზ.

23 სექტემბერი, 1919 წ. ქალ. ტფილისი.

### № 568

**ინიშნება** საარმიო საარტილერიო დივიზიონში პოდპორუჩიკი  
**ლეიტენანტის** ლორთქიფანიძე სერგო ამა წლის 1-ლ სექტემბრიდან.  
**სახელწოდებ-**  
**ბის მინიჭებით:**

23 სექტემბერი 1919 წ. თფილისი.

### № 569

**დათხოვნილი** ლაშქრის ქვეითა ჯარის თადარიგში, თბილისის მაზ-  
**არიან:** რით: სამხედრო საბრალმდებლო ზედამხედველობის პორუჩიკი  
პავლიაშვილი და პოდპორუჩიკი კორინთელი;  
არტილერიის თადარიგში: პოდპორუჩიკი თარხან-მოუ-  
რავი დიმიტრი და პრაპორუჩიკი დელაშვილი ნიკოლოზ,  
საშტატგარეო ჯამაგირის მიცემით ყველას ამა წლის პირველ  
სექტემბრიდან.

23 სექტემბერი, 1919 წ. ქ. თფილისი.

### № 570

**გადაყვანილია:** მე 2-რე საარტილერიო დივიზიონში—1-ლი საარტილე-  
რიო დივიზიონის უფროსი ლეიტენანტი მუსხელიშვილი.

**სახელწოდება** კაპიტანზე მე 2-რე საარტილერიო დივიზიონის უფროს  
**ეცვლება:** ლეიტენანტს ფერაძეს.

**ინიშნება:** მე 7-დე ცალკე ათასეულში იარაღის ზედამხედველათ—  
ყოფილი აგარის პიროქსილინის საწყობის გამგე პორუჩიკი  
კილოსანიძე.

23 სექტემბერი 1919 წ. ქ. თფილისი.

### № 571

**დათხოვნილი** ცხენოსან ჯარის ლაშქრის თადარიგში, თბილისის  
**არიან:** მაზრით ქართულ-მუსულმანთა ცხენოსან დივიზიონის დაშლის  
გამო პრაპორუჩიკი ყაზბეგი საშტატგარეო ჯამაგირის მიცე-  
მით ამა წლის 1-ლ სექტემბრიდან.  
ქვეითა ჯარის თადარიგში ყოფილი მე 2-რე ქვეითა

პოლკის პოლკოვნიკი ჩიკოიძე რომანი, იმავე საშტატკატაქის  
ჯამაგირის მიცემით.

23 სექტემბერი, 1919 წ. ქ. თფილისი.

### № 572

**შესაცვლე-  
ლათ:**

მთავრობის ბრძანებისა სამხედრო ხირისხოსანთა შესახებ  
ამ წლის 10 სექტემბრიდან № 572 — ყოფილი საარმო საარ-  
ტილერიო ბრიგადასთან მიჩენილი პრაპორშჩიკი გვასალია  
ჩაითვალოს ლაშქრის ქვეითა ჯარის და არა არტილერიის  
თადარიგში დათხოვნილათ.

**დათხოვნილია:** არტილერიის ლაშქრის თადარიგში, თბილისის მახრით  
საარმო საარტილერიო დივიზიონის კაპიტანი ფორაქიშვილი.

23 სექტემბერი 1919 წ. ქ. თფილისი

### № 573

**ინიშნებიან  
სახელწოდე-  
ბის მინიჭე-  
ბით, პოლკოვ-  
ნიკისა:**

უცხო სახელმწიფოების მისიებთან კავშირის დამკვირნი  
ოფიცრებში. საკავშირო ნაწილის უფროსის თანამშემწეთ —  
შტატს გარეშე მყოფი გენერალ-მაიორი მიორატი,

**კაპიტნისა:**

საკავშირო ოფიცრებში: შტატს გარეშე მყოფი შტაბს-  
როტმისტრი ორბელიანი.

**უფროსი ლეი-  
ტენანტისა:**

მე 2-რე ცალკე ათასეულის ლეიტენანტი — კოსტანაშ-  
ვილი, მე 7-დე ცალკე ათასეულის ლეიტენანტი — აბულაძე,  
შტატს გარეშე მყოფი პორუჩიკი — მაჩაბელი.

**ლეიტენანტისა:**

შტატს გარეშე მყოფი პოდპორუჩიკი — წერეთელი, მე  
8-ვე ცალკე ათასეულის პოდპორუჩიკი — ზურაბიშვილი, საავ-  
ტომობილო გუნდის ყოფილი პოდპორუჩიკი — მირიანაშვილი  
და შტატს გარეშე მყოფი პრაპორშჩიკი — ზურაბიშვილი, ჯა-  
მაგირის მიცემით ყველას ამ წლის 1-ლი იანვრიდან, გარდა  
ლეიტენანტ ზურაბიშვილისა გიორგი, რომელსაც — ამ წლის  
1-ლ სექტემბრიდან, ამავე რიცხვიდან მუდმივი დღიური სა-  
ხარჯოს მიცემის შეწყვეტით.

სამხედრო მინისტრის მაგიერ,  
გენერალი გედევანიშვილი.

# ბრძანებები

## საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა

სამხედრო პირთა შესახებ.

27 სექტემბერი, 1919. ქ. ტფილისი.

### № 580

**გადაუვანილია:** მე-3 საარტილერიო დივიზიონის უფროსი ლეიტენანტი საყვარელიძე მე-2 საარტილერიო დივიზიონში.

**დათხოვნილი არიან:** ლაშქრის ქვეითა ჯარის თადარიგში, ტფილისის მაზრით, ქართველ-მუსულმანთა დაშლილი ათასეულის პრაპორშჩიკი კოსტა, საშტატგარეო ჯამაგირის მიცემით ამა წლ. 1-ლ სექტემბრიდან—არტილერიის თადარიგში იმავე მაზრით პოდპორუჩიკი აბხაზი 1918 წლ. 10 მაისიდან.

27 სექტემბერი, 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 581

**დათხოვნილია:** ლაშქრის ცხენოსან ჯარის თადარიგში, ტფილისის მაზრით, სანაპირო ჯარის მე-4 შულავერის რაზმის ლეიტენანტი ნაცვლიშვილი.

**განწესებულია** თადარიგიდან საშახურში სანაპირო ჯარის ყოფილი ლეიტენანტის მე-2 მანგლისის რაზმის პოდპორუჩიკი ხოფერია, დასახელების სახელწოდებული ჯარის მე-4 შულავერის რაზმში ჩარიცხვით. **ბის მინიჭებით:**

27 სექტემბერი 1919 წ. თფილისი.

### № 582

**დათხოვნილია:** ლაშქრის ქვეითა ჯარის თადარიგში ტფილისის მაზრით — დაშლილი ქართველ-მუსულმანთა ცხენოსან დივიზიონის პრაპორშჩიკი დადიანი, საშტატგარეო ჯამაგირის მიცემით ამა წლის 1-ლ სექტემბრიდან.

30 სექტემბერი, 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 583

**ინიშნებიან** გენერალურ შტაბის განყოფილების, საწყობილო ნა-  
სახელწოდებისწილის უფროსის თანაშემწეთ—ყოფილი მე-2-რე ცხენო-  
მითვისებით, სან რაზმის უფროსი პოლკოვნიკი მაჭავარიანი.  
**მაიორისა:**

**ლეიტენანტისა:** მე-5-თე ცალკე ათასეულში—ყოფილი მე-5-თე ქვეი-  
თა რაზმის შტაბს-კაპიტანი მისაბიშვილი და პორუჩიკი  
ღვდელაძე.

მე-7-დე ცალკე ათასეულში ყოფილი 65-თე ქვეითა  
რაზმის შტაბს-კაპიტანი კუჭავა.

**სახელწოდება** თბილისის სამხედრო საპრობილის უფროსს პოლკოვ-  
ნიკ შამშურინს.  
**შეეცვლება მა-  
იორისაზე:**

**კაპიტანისაზე:** მესანგრეთა ათასეულის უფროსს ლეიტენანტ იზიუმ-  
სკის.

**დათხოვნილია** ლაშქრის ცხენოსან ჯარის თადარიგში, თბილისის მაზ-  
რით, დაშლილი ქარაველ-მუსულმინთა ცხენოსან დივიზიო-  
ნის კორნეტი დგებულაძე, საშტატგარეო ჯამაგირის მიცე-  
მით ამა წლის 1-ლ სექტემბრიდან.

30 სექტემბერი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 584

**დათხოვნილი** ლაშქრის ქვეითა ჯარის თადარიგში, თბილისის მაზ-  
**არია:** რით—დაშლილი ქართული ლეგიონის პოლკოვნიკი—კერე-  
სელიძე, კაპიტანი ფონ-შერვიჩი, შტაბს-კაპიტანი ბარათა-  
შვილი; პოდპორუჩიკები: დიდიძე და მაღალაშვილი; პრა-  
პორუჩიკები: გურამიშვილი, კერესელიძე და აბაშიძე;  
**სრულიად სამსახურიდან:** იმავე ლეგიონის ლეიტენანტი  
შმიდტი.

30 სექტემბერი 1919 წ. ქ. თბილისი.

## № 585

**დათხოვნილია:** სრულიად სამსახურიდან მე-3-მე ცალკე ათასეულის  
ლეიტენანტი ბრეჯინსკი ამა წლის 1-ლ ოქტომბრიდან.

# ბრძანებები

რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

3 ივნისი 1919 წ. ქალ. ტფილისი.

## № 122

მთავარ მოწამის და ძღვევამოსილის წმ. გიორგის ორდენის სტატუტის მე-118 მუხ. თანახმად, ვაარსებ სამხედრო სამინისტროსთან გიორგის იარაღის სათათბიროს ჩემს განკარგულებაში მყოფ ინფანტერიის გენერალ გაბაშვილის თავმჯდომარეობით და შემდეგ წევრთა შემადგენლობით:

- 1) გენერალურ შტაბის განყოფილების სარემონტო სექციის უფროსის გენერალ-მაიორ ჭავჭავაძის (სპირიდონი),
- 2) ჩემს განკარგულებაში მყოფ გენერალ-მაიორ ჩხეტიანის,
- 3) მე-5 ქვეითა პოლკის უფროსის გენერალ-მაიორ ბალუაშვილის,
- 4) გენერალურ შტაბის განყოფილების საოპერაციო-სამობილიზაციო ნაწილის უფროსის პოლკოვნიკ ნაცვლიშვილის,
- 5) მე-2 ცხენოსან პოლკის პოლკოვნიკ ანდრონიკაშვილის,
- 6) მე-5 ქვეითა პოლკის პოლკოვნიკ შერვაშიძის.
- 7) სამხედრო სამინისტროს პიროვნულ შემადგენლობის განყოფილების უფროსის თანაშემწის პოდპოლკოვნიკ უთნელიშვილის და
- 8) მე-2 საარტილერიო ბრიგადის პოდპოლკოვნიკ მგალობლიშვილისა-გან.

სხდომების დღეები თავმჯდომარის დანიშვნის თანახმად.

3 ივნისი 1919 წ. ქალ. ტფილისი.

## № 123

მთავარ-მოწამის და ძღვევამოსილის წმ. გიორგის ორდენის სტატუტის მე-29 მუხ. თანახმად, ვაარსებ სამხედრო სამინისტროსთან გიორგის სათათბიროს ჩემს განკარგულებაში მყოფ ინფანტერიის გენერალ გაბაშვილის თავმჯდომარეობით და შემდეგ წევრთა შემადგენლობით:

ჩემს განკარგულებაში მყოფ გენერალ-მაიორების: არჯევანიძის, გელოვანის, მაზნიაშვილის, გენერალურ შტაბის განყოფილების სარემონტო სექციის უფროსის გენერალ-მაიორ ჭავჭავაძის (სპირიდონ), მე-2 ქვეითა დივიზიის უფროსის გენერალ-მაიორ ფურცელაძის, საავიაციო რაზმის უფროსის პოდპოლკოვნიკ მაჭავარიანის, მე-5 ქვეითა პოლკის პოდპოლკოვნიკ მესხის და მე-2 საარტილერიო ბრიგადის 1-ლ ბატერიის უფროსის კაპიტან მახარაძისაგან.

სხდომების დღეები თავმჯდომარის დანიშვნის თანახმად.



3 ივნისი 1919 წ. ქალ. ტფილისი.

## № 124

საუწყებათაშორისო კომისიის ამ წლის 23 მაისიდან დაშლის გამო, დასახელებული კომისიის წევრი, ჩემს განკარგულებაში მყოფი, გენერალ-მაიორი ჩხეტიანი დაუბრუნდეს თავის პირდაპირ მოვალეობათა აღსრულებას და დღიური ხარჯის ფულის ძღვევა შეუწყდეს მას აღნიშნულ რიცხვიდან.

10 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 125

მომავალ ექვსი თვის (ამა წლის 4 ივნისიდან 1920 წ. 4 იანვრამდე) რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს სესიისათვის ყველა სამხედრო ნაწილების, დაწესებულებათა, უწყებათა უფროსთ და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ევალებათ დაუყოვნებლივ შეადგინონ სიები სამხედრო ნაწილს მსაჯულთა იმ ანგარიშით, რომ ყველა სიები წარედგინოს სამხედრო სასამართლოს არა უგვიანეს 1 ივლისისა.

სიათა შედგენის დროს საჭიროა ხელმძღვანელობა შემდეგ მოსაზრებათა:

ა. ოფიცერთა, სამხედრო მიხელეთა და ჯარის კაცთა სიები უნდა შედგენილი იყვნენ ცალ-ცალკე.

ბ. სიაში სრულიად არ უნდა იყვნენ მოთავსებულნი ის პირნი: 1) რომელნიც იმყოფებიან სამართლის ან გამოძიების ქვეშ, 2) შეზღუდული უფლებებით, 3) ჯარის კაცი, რომელთაც უმსახურიათ სამხედრო უწყებაში ერთ წელიწადზედ ნაკლები და ოფიცერი, რომელთაც უმსახურიათ ოფიცრის ხარისხში არა ნაკლებ სამი წლისა, 4) რომელნიც გამოცხადებულნი არიან არ გადამხდელ მოვალეებად, 5) ვინც წერა-კითხვა არ იციან (ქართულად ან რუსულად), 6) ვინც ლაპარაკი არ იცის ქართულად.

გ. არ შეიტანება აგრეთვე სიაში ის პირნი: 1) რომელთა უფლებაც ეთანასწორება დივიზიის უმფროსის უფლებას ან და თვით დივიზიის უფროსები და მათზედ უმაღლესი პირნი. 2) სამხედრო სამინისტროს კანცელარიის ხარისხოსანნი, 3) სამხედრო სასამართლოს უწყების ხარისხოსანნი, 4) ოფიცერი, რომელნიც სპეციალურ სასწავლებელში სწავლობენ, 5) ჰოსპიტლების ექიმები.

დ. იმ პირთა გასწვრივ, რომელნიც შესატანი არიან სიაში და თანამდებობის მიხედვით აუცილებლივ უნდა განთავისუფლდნენ, შენიშვნაში უნდა დაიწეროს, რომ უნდა განთავისუფლდნენ.

იმ პირთ, რომელნიც იმყოფებიან შვებულებაში ან ავათმყოფობენ, ასეთივე სათანადო შენიშვნა უნდა გაუკეთდეს.

სიები, შედგენილნი ზემო ნახსენებ პირობათა მიხედვით, უნდა შეამოწმოს სამხედრო ნაწილის უფროსმა და ნაწილის ბინადრობის ჩვენებით უნდა წარედგინოს სასამართლოს ზემო აღნიშნულ დროისათვის.

თუ სიების შედგენის დროს რაიმე გაუგებრობა დაიბადა, სამხედრო ნაწილების უფროსი უნდა შეეკითხოს განმარტებისათვის სამხედრო სასამართლოს უფროსს.

თუ რაიმე მიზეზის გამო სათანადო ნაწილიდან (დაწესებულებიდან, უწყებიდან, სახალხო გვარდიიდან) სიები ვერ წარედგინა სასამართლოს, მაშინ ნაწილის უფროსი ვალდებულია ამცნოს სასამართლოს თუ რა მიზეზით დროზედ არ წარედგინა სია და როდის წარედგინება იგი.

**კანონი:** დროებით მიღებული კანონი, გამოცხადებული ბრძანებაში სამხედრო უწყების მიმართ 1917 წ. № 336.

7 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 126

ჩემს განკარგულებაში მყოფმა პოლკოვნიკმა ინჟირველმა მოხსენებით შემატყობინა, რომ, თანახმად მოწერილობისა, ამ წლის ოთხ ივნისს გაემგზავრა ქალაქ ონში სამსახურის გამო.

**ცნობა:** პოლკოვნიკ ინჟირველის პიტაკი ამ წლის 4 ივნისიდან № 47.

14 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 127

### § 1.

საბეითლო განყოფილების უფროსმა ჩხენკელმა წერილობით მომახსენა, რომ ის 6 ამ თვეს გაემგზავრა მუხრანში სამთო საზარბაზნო ბატარეის ცხენების დასათვლიერებლად და 7 ამავე თვეს დაბრუნდა უკან.

**ცნობა:** მოხსენება ბეითლის ჩხენკელისა № 557.

### § 2.

ჩემთან მყოფმა მინდობილობათათვის გენერალმა გენერალ-მაიორმა კონიაშვილმა მომახსენა, რომ თანახმად ჩემი ბრძანებისა, 12 ივნისს გაემგზავრა დუშეთს იქ მომხდარი ინციდენტის გამოსაძიებელ კომისიაში მონაწილეობის მისაღებად.

17 ივნისი 1919 წ. ქალ. ტფილისი.

## № 128

ჩაითვალონ გამგზავრებულად სოხუმის ფრონტზე დროებითი სამხედრო სასამართლოს სესიაში სამხედრო მსაჯულები კოლეესკი სოვეტნიკი დავიდოვიჩი და პრაპორშჩიკი წიფწივაძე, და მდივნებათ მათთან: გუბერნსკი სეკრეტარი თაყაიშვილი და სამხედრო მოხელე ნოზაძე, ამ წლის აპრილის 20-დან.

17 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 129

ამასთანავე ვაცხადებ სამხედრო სასამართლოს განაჩენის ამონაწერს პოლკოვნიკ ბოლლაშვილის საქმის შესახებ:

რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლომ 1919 წლ. 28 მაისის სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ნაფიცი მსაჯულნი გენერალ-მაიორი როინიშვილის თავმჯდომარეობით, გიარჩია საქმე მჭ. პოლკის უფროსის თანაშემწის ზაქარია ივანეს-ძის ბოლლაშვილისა რომელსაც ბრალდებოდა განზრახ თავის უფროსის ბრძანების აუსრულებლობა ე. ი. ისეთ საქციელი, რომელიც გათვალისწინებულია ლიტ. „ა“ 105 მუხ. ს. დ. ქ. 1869 წ. XXII წიგნ. მე-4 გამოცემით, და იხელმძღვანელა რა სამხედრო სამოსამართლო წესდების 910, 915 და 1129—1155 მუხ. მუხ. დაადგინა:

1) პოლკოვნიკი ზაქარია ივანეს-ძე ბოლლაშვილი განზრახ თავის უფროსის ბრძანების აუსრულებლობის ბრალდებაში ცნობილ იყოს უდანაშაულოთ და სასამართლოსგან გამართლებულად.

17 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 130

სამხედრო მინისტრის განკარგულებაში მყოფმა გენერალ-მაიორმა წულუკიძემ პიტაკით 26 მაისიდან ა/წ. შემატყობინა, რომ გაემგზავრა ქ. ახალციხეში კვლევა-ძიების წარმოებისათვის. აღნიშნული გენერალი ითვლებოდა მის მივლენილობაში ზემოდასახელებულ რიცხვიდან.

17 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 131

ჩაითვალონ დაბრუნებულად მივლენილობიდან სოხუმის ფრონტზე დროებითი სამხედრო მსაჯულები კოლეესკი სოვეტნიკი დავიდოვიჩი და პრაპორშჩიკი წივწივაძე; მდივნები მათთან: გუბერნსკი სეკრეტარი თაყაიშვილი და სამხედრო მოხელე ნოზაძე ამ წლის მაისის 20-დან.

სამხედრო მინისტრის მაგიერ  
გენერალ-მაიორი გედევანიშვილი.

# ბრძანებები

## რესპუბლიკის ჯარების მიმართ

24 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 144

როგორც სჩანს სამხედრო სამინისტროს იურისკონსულტის მოხსენებიდან, ჩემდამი რწმუნებულ სამხედრო სამინისტროს ზოგიერთ სამხედრო ნაწილებში ხშირად აღიძრება ხოლმე ბრალდება სამხედრო უწყების თანამდებობის პირთა წინააღმდეგ სახაზინო ქონების და ფულის მითვისების და გაფლანგვის შესახებ ისე, რომ ამგვარი საქმეები ირჩევიან სასამართლოებში ხაზინის წარმომადგენლის დაუსწრებლად. მაშინ, როდესაც აღნიშნულ დანაშაულობის შემთხვევებში კანონით დაშვებულია სისხლის სამართალში ბრალდებულის წინააღმდეგ სამოქალაქო საჩივრის წარდგენა და, სამართლის პროცესში ხაზინაზე მიყენებული ზარალის საჩქაროთ ასანაზღაურებლად, დაზარალებულის წარმომადგენლის მონაწილეობა,

ამიტომ ვბრძანებ: სამხედრო უწყების თანამდებობის პირებმა და დაწესებულებებმა აცნობონ ხოლმე დაუყოვნებლივ სამხედრო სამინისტროს იურისკონსულტს მათგან სამხედრო უწყების თანამდებობის პირთა წინააღმდეგ საჩივრის აღძვრა იმ შემთხვევებში, როცა ქონების და ფულის მითვისებით და გაფლანგვით გამოწვეულია ხაზინის ზარალი.

29 ივნისი 1919 წ., ქ. ტფილისი.

### № 145

ჩემს განკარგულებაში მყოფმა გენერალ-მაიორმა არჯევანიძემ წერილობით მომახსენა, რომ იგი მიმდინარე 1919 წელს 25 ივნისს დაბრუნდა ქ. ქ. ფოთში და ქუთაისში მივლენილობისაგან.

ცნობა: მოხსენება № 43 გენერალ-მაიორ არჯევანიძისა.

30 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 146

1-ლი ქვეითა დივიზიის უფროსმა გენერალ-მაიორმა ართმელაძემ მოხსენებით შემატყობინა, რომ ამ წლის 26 ივნისს დაბრუნდა ქ. ფოთიდან სადაც იგი გამგზავრებული იყო სამსახურის მოვალეობათა აღსრულების გამო.

3 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 147

ტფილისის გარნიზონის უფროსმა გენერალ-მაიორმა მაყაშვილმა წერი-

ლობით მომახსენა, რომ მიმდინარე 1919 წ. 26 ივნისს სამხედრო სატუსაღოს გუშაგმა მე-5 პოლკის ჯარის-კაცმა ვახტანგაძემ რამოდენიმეჯერ გაფრთხილების შემდეგ, რომ ტუსაღებს არ ელანძლათ და არაფერი გადმოეცდოთ ფანჯრებიდან, ერთხელ გასროლით დასჭრა ორი ტუსაღი. ვიღებ რა მხედველობაში ჯარის-კაცის ვახტანგაძის მიერ სამსახურის ცოდნას და თავის მოვალეობის მტკიცედ ასრულებას ვუცხადებ მას მაღლობას და ებრძანებ: მიეცეს ჯარის-კაცს ვახტანგაძეს ჯილდოთ ასი (100) მანეთი.

2 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 148

საბარგეულო ათასეულის უფროსმა პიტაკით ამა წლის 30 ივნისიდან № 546 აცნობა გენერალურ შტაბის განყოფილების უფროსს, რომ მისდამი რწმუნებული ათასეულის სამმართველო გაუქმდა.

ებრძანებ, რომ საბარგეულო ათასეული თავის სამმართველოთი ჩაითვალოს გაუქმებულათ 30 ივნისიდან, მისი უფროსი პოლკოვნიკი დუმბაძე და მოხელე ელენტი გაგზავნილ იქნენ პიროვნულ შემადგენლობის უფროსის განკარგულებაში.

სამხედრო მინისტრის მაგიერ,  
გენერალ-მაიორი გედევანიშვილი.

6 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 149

ვაცხადებ საცნობად გიორგის იარაღის სათათბიროს დადგენილობის პირს:

თანხმად ბრძანებისა საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მიმართ 1919 წლის ივნისის 3-დან. გიორგის იარაღის სათათბირომ 1919 წელს ივნისის 10 სხდომაზე ინფანტერიის გენერალ გაბაშვილის თავმჯდომარეობით და წევრთა: გენერალურ შტაბის განყოფილების სარემონტო სექციის გენერალ-მაიორ ჭავჭავაძის, სამხედრო მინისტრის განკარგულებაში მყოფ გენერალ-მაიორ ჩხეტიანის, მე-5 ქვეითა პოლკის უფროსის გენერალ-მაიორი ბალუაშვილის, მე-5 ქვეითა პოლკის პოლკოვნიკ შარვაშიძის, სამხედრო სამინისტროს პიროვნულ შემადგენლების, განყოფილობის უფროსის თანაშემწის პოდპოლკოვნიკ უთნელიშვილის, და მე-2 საარტილერიო ბრიგადის პოლკოვნიკ მგალობლიშვილის თანდასწრებით, განიხილა რა სამხედრო სასწავლებლის უფროსის თანაშემწის პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხეიძის წარდგენილობა გიორგის იარაღით დაჯილდოებაზე, დაადგინა:

მე-15 კავკასიის მსროლელ პოლკის პოლკოვნიკი ჩხეიძე გიორგის იარაღით დაჯილდოების ღირსყოფილათ იქმნეს ცნობილი, მისთვის რომ ბრძოლაში ივნისის 29-დან 30-მდე, საბრძოლველ უბნის უფროსობის დროს მე-4 კავკასიის მსროლელ დივიზიის 4 ბატალიონის და 4 სამთო ზარბაზნის შემადგენლობით, დივიზიის უფროსის ბრძანებით, პირადათ ხელმძღვანელობდა თავის რაზმს, ჯვარედინ ცეცხლის ქვეშ იერიში მიიტანა ძლიერ გამაგრებულ 2100-იან მაღლობზე და ხელ-ჩართულ ბრძოლის შემდეგ დაიკავა ეს მეტად მნიშვნელოვანი მაღლობი.

ამ გამარჯვებამ ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ გადმოხარა; ოსმალებმა მთელ ფრონტზე მე-4 კავკასიის მსროლელ დივიზიის წინ, 30 ივნისს დილიდგან იწყეს უკან დახევა; მათი წინააღმდეგობა გადალახული იქმნა, რადგან მათ ზურგს საშიშ მდგომარეობაში აყენებდა პოლკოვნიკ ჩხეიძის უბანი. შემდეგ განკარგულებამდე მან გმბედულად განაგრძო შეტევა და დაიკავა სოფელი კანლი-კაია. ამ დროს პოლკოვნიკ ჩხეიძის უბნის გამარჯვების გამო დივიზიის დანარჩენი ნაწილები იერიშით მივიდნენ ოსმალთა პოზიციებზე, რომელნიც მიდიოდნენ სოფ. მაზღან-ხალარიდგან სამხრეთ დასავლეთით 2500-იან მაღლობზე, და საღამოს დაიკავეს სოფელი მაადანი.

შეუპოვარ ბრძოლათა დროს, პოლკოვნიკმა ჩხეიძემ დაიკავა პუნქტების მთელი რიგი: 2100-იან მაღლობი, მთა მაადან-მანჩასთან, მაღლობი კირკლარო-ტოპასი, პლარის მაღლობები და ზიარეთ-ტოპასი, რითაც არა ერთხელ სწყვეტდა დივიზიის მთელ ფრონტზე ბრძოლას ჩვენ სასარგებლოთ. ყოველთვის ბრძოლის დროს იჩენდა განკარგულების უნარს, ინიციატივას და გამბედავობას. ბრძოლის დროს ტყვედ წამოყვანილ იქმნა 200 ასკერი და რამოდენიმე ოფიცერი, ქალაქ ბაიბურთში ხელთჩადგმულ იქმნენ საინჯენერო, სასაგნო და პროდუქტ საწყობები. მთა კოლვიდასთან ტყვიის მურქვეველ პოლკის შემადგენლობას გამოაკლდა 2000 კაცი—875 მოკლული და დაჭრილი მსროლელი და 29 ოფიცერი.

სათათბიროს თავმჯდომარე.  
ინფანტერიის გენერალი გაბაშვილი

წევრები: { გენერალ-მაიორი კავქავაძე  
გენერალ-მაიორი ჩხეტიანი  
გენერალ-მაიორი ბალუაშვილი  
პოლკოვნიკი შარვაშიძე  
პოდპოლკოვნიკი უთნელიშვილი  
პოდპოლკოვნიკი მგალობლიშვილი

6 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი

## № 150

ვაცხადებ საცნობად ქართული ლაშქარის გიორგის კავალერთა სათათბიროს დადგენილობის პირს.

თანახმად საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებისა № 123 1919 წლის ივნისის 3-დან. გიორგის კავალერთა სათათბირომ ინფანტერიის გენერალ გაბაშვილის თავმჯდომარეობით და წევრთა გენერალ-მაიორების ფურცელაძის, არჯევანიძის, გელოვანის, პოლკოვნიკების მაჩაბლის, მესხის და პოდპოლკოვნიკის გობრონიძის თანადასწრებით, განიხილა რა პოლკოვნიკ ნათიშვილის წარდგენილობა წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენზე, დაადგინა:

პოლკოვნიკი ნათიშვილი, წმ. გიორგის ორდენის მე-3 სტატუტის მე-8 მუხ. თანახმად. წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი დაჯილდოვების ღირსყოფილად იქნას ცნობილი მისთვის, რომ 1916 წლის სექტემბრის 1, რაზმის უფროსად ყოფნის დროს, მოახდინა ძლიერად გამაგრებული პოზიციის და მიუვალი მთის სევრი-კაის დაზვერვა.

იმყოფებოდა რა ძლიერ ცეცხლის ქვეშ, პირადად ხელმძღვანელობდა

ბრძოლას და მისი იქ ყოფნა, როგორც რაზმის უფროსის, ამხნევებდა როგორც ოფიცრებს ისე ჯარის-კაცებს. მის პირადი ხელმძღვანელობით იერი-შით აღებულ იქმნა ძლიერ გამაგრებული პოზიცია მთის სვერი-კაისისა.

უკანასკნელის აღებით არზრუმის ველისაკენ გზა გახსნილი შეიქმნა ტუისის ხეობით და მით გადაწყდა მთელი დევი-ბოინის პოზიციის ბედი, ვინაიდან მთა სვერი-კაი წარმოადგენდა არზრუმის ფორტების სტრატეგიულ გასაღებს.

ამასთანავე ტყვედ წაყვანილ იქმნა 43 ოსმალი. მტერმა ბრძოლის ველზე დატოვა 370 სხანდი, 38 ფუთი პატრონი და 200-ზე მეტი გვამი.

სათათბიროს თავმჯდომარე  
ინფანტერიის გენერალი გაბაშვილი.

წევრები: { გენერალ-მაიორი ფურცელაძე.  
გენერალ-მაიორი არჯევანიძე  
გენერალ-მაიორი გელოვანი.  
პოლკოვნიკი შაჩაბელი.  
პოლკოვნიკი მესხი.  
პოდპოლკოვნიკი გობრონიძე.

სამხედრო მინისტრის მაგიერ,  
გენერალ-მაიორი გედევანიშვილი.

10 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 151

თანახმად სამხედრო საბეითლო განყოფილების უფროსის მოხსენებისა, ვუბრძანებ რესპუბლიკის ყველა ჯარის ნაწილების უფროსებს, რათა მათ საბეითლო განყოფილების უფროსის მოთხოვნით მიავლინონ საჭირო რიცხვი შესაფერისად მომზადებული ჯარის-კაცებისა სანაპირო ჯარის შტაბთან არსებულ საბეითლო საფერშლო სკოლაში ქალ. ტფილისში. ხსენებული ჯარის-კაცები სკოლის დამთავრების შემდეგ დაბრუნებულ იქნებიან თავიანთ ნაწილებში ფერშლებათ.

სამხედრო მინისტრი რამიშვილი

# ბრძანებები.

## საქართვე. რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

10 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 152

სამხედრო საბეითლო განყოფილების უფროსმა მომახსენა, რომ ფოთში მდგომ ჯარის ნაწილებში ცხენების გამოკვება ვერ ყოფილა მოწესრიგებული. თანახმად პირველი ქვეითა დივიზიის ინტენდანტის ცირკულიარული მიწერილობისა ამა წლის 27 მაისის № 1091, მესამე ქვეითა რაზმის ცხენები, გარდა სამუშაოვან ხმარებისა, გაუშვიათ ფოთის საბალახეებზე. ვინაიდან ფოთის საბალახეები, როგორც ჭაობიანი ადგილები, არ არის სავარგისი და მანებელიცაა ცხენების ჯანსრთვლობისთვის, ვბრძანებ, რათა ფოთში მდგომ ჯარის ნაწილებმა იყოლიონ ცხენები დაბმულად, დივიზიის ინტენდანტმა და ქუთაისის სასურსათო მალაზიამ მიიღოს ზომები, რათა ფოთში მდგომი ჯარის ნაწილებისათვის იქნას გაგზავნილი დაჩქარებით საჭირო თივა და სიმინდი იმ ანგარიშით, რომ თითოეულ ცხენს ერგოს არსებული დღიური კერძი. ე. ი. 12 გირ. სიმინდი 10 გირ. თივა,

ვინაიდან არც მესამე ქვეითა რაზმის და არც შავი ზღვის სანაპირო დარაჯ რაზმის ცხენებისთვის არ არის მიჩენილი შესაფერისათ მოწყობილი თავლები, ვბრძანებ ქუთაისის საბინაო დისტანციას, რომ მიიღოს ზომები რათა ამ ზაფხულში იქნას შეკეთებული და მოწყობილი ხსენებულ რაზმებისათვის თავლები, რომ ცხენებს არ მოუხდეთ ზამთარში გარეთ დგომა.

10 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 153

სამხედრო საბეითლო განყოფილების უფროსმა მომახსენა, რომ მან დაათვალიერა მეორე ცხენოსან რაზმის ცხენები სოფ. არბოში და ნახა შემდეგი უწყესრიგობა: ცხენების აღწერილობა რაზმში არ მოიპოვება. უმეტესობა ცხენებისა გახდრები და ლონენაკლებნი არიან. ცხენებს ძალიან ცუდი მოვლა აქვს, ჩოთქები და სამურველები არ აქვს და ამიტომ ცხენებიც ნაკლებათ იწმინდება. ბევრია მუნით ავადმყოფი ცხენი და ეს უკანასკნელნი არეულათ აბია კარგა მყოფ ცხენებთან, რაც ხელს უწყობს მუნის გავრცელებას. ვინაიდან უფროსი და მის ხელქვეით მყოფი ოფიცრობა გულ-ცივათ ეპყრობა ცხენების მოვლას, ჯარის-კაცებიც არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას ამ საქმეს, რის გამო ბევრი ცხენი დაღუპულა მოუვლელობით. ბეითალის რჩევა-დარიგებას არავინ აქცევს ყურადღებას და არ უწყობენ მას ხელს, რომ ცხენების ექიმობა და მოვლა დააყენონ სასურველ ნიადაგზე. ცხენების კედვაც მოუწესრიგებელი ყოფილა.



მიმაჩნია რა ასეთი მოპყრობა სახელმწიფო ცხენებისადმი დაუშვებლათ, ვუცხადებ საყვედურს მეორე რაზმის უფროსს ოა ვუბრძანებ, რომ მან მიიღოს ყოველივე ზომები, რათა აცილებულ იქნას ზემოთ აღწერილი ნაკლულევანებანი.

10 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 154

სამხედრო საბეითლო განყოფილების უფროსმა მომახსენა, რომ მას დაუთვალაერებია ცხინვალში ქართულ ლეგიონის ცხენები. ლეგიონში არ ყოფილა ცხენების აღწერილობა და ვერ გაუგია თუ რამდენი ცხენია ლეგიონში. ცხენები ნაპეტნად გამხდრები და მოუფლელები ყოფილა. ცხენებს არა აქვს არაფითარი წმენდა და არაფინ ზრუნავს მათი გამოკვებისა და მოვლისთვის. ცხენებში გაფრცვლებულია მუხი და ბევრია მათში დაშავებული ასეთ გამხდარ ცხენებს უზომოთ აშუშავებენ და დაუზოგავათ ეპყრობიან. თვითონ სამხედრო საბეითლო განყოფილების უფროსს უნახავს, თუ როგორ ეპყრობიან ლეგიონში ცხენებს. ცხინვალიდან გორში წამოუყვანათ ეტლში გამსული ოთხი საშინლათ გამხდარი ცხენები; მათ შორის ორი სიგამხდრესთან კოკლებიც ყოფილან. ძლივს გაჭივრებით მოუთრევიათ ეტლი ცხენებს გორში. მოსვლასთანავე ეტლი და ცხენები შეუყრიათ არტილერიის თავისუფალ თავლაში და დაუტოვებიათ დაბმული მშიერ-მწყურვალი ცხენები მოუფლელათ მთელი დღის განმავლობაში და ასეთ მდგომარეობაში მყოფი ცხენებით ისევ უკან დაბრუნებულან ცხინვალში მესამე დღეს. ასეთი დაუზოგავი მოპყრობით და მოუფლელობით ლეგიონს ბევრი ცხენი დაუღუპავს. როგორც სჩანს, ლეგიონის ხელმძღვანელებს არა აქვს შეგნებული, თუ რა მნიშვნელობა აქვს ცხენს ჯარისათვის და რანაირი მოვლა სჭირდება მას. ვაქცევ რა ყურადღებას ამ გარემოებას ლეგიონის უფროსისას, ვუცხადებ მას სასტიკ საყვედურს და ვუბრძანებ ცხენების შენახვა-მოვლას შიაკციოს ჯეროვანი ყურადღება და მიიღოს ზომები ზემოთ აღნიშნული ნაკლულევანებების ასაცილებლათ.

10 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი

## № 155

სამხედრო საბეითლო განყოფილების უფროსმა მომახსენა, რომ ზოგიერთ ჯარის ნაწილებში არ არსებობს ცხენების აღწერილობა, ზოგიერთები კი თუმცაღა აწარმოებენ, მაგრამ უბრალო ქალაღღზე, რომელიც არ არის ზონარ-გაყრილი და შემოწმებული. ვუბრძანებ საქართველოს რესპუბლიკის ყველა ჯარის ნაწილების უფროსებს, რომ იქნას ყველგან შემოღებული ცხენების აღწერილობის წიგნები ქვემოთ ნაჩვენები ფორმით, ეს წიგნები უნდა იქნას დანომრილი, ზონარ-გაყრილი და ნაწილის უფროსის ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით შემოწმებული. ამ წიგნებში უნდა ჩაიწეროს ყველა სახელმწიფო ცხენები და აღინიშნოს ყოველივე ცვლილებები ცხენების შემადგენლობაში.

აღწერილობა სახელმწიფო ცხენებისა.

№ რიგით	სახელმწიფო, ბატონი და სხვა.	ცხენის სახელმწიფო, ნიშნები, ფერი, დალი და სხვა. საიდან მოიყვანეს და როდის ჩაირიცხა ნაწილში.	ცხენის წლოვანება	სიმაღლის ზომა		ვინ იყიდა	ცხენის გამოყენება, რიგები, სქე, წესი, ღირებულება, რომლითაც ცხენი გამოიყენება
				ა	ბ		
1	1	<b>ა მ ი რ ა ნ ი</b> ტაიკი (იამო) უნიშნო. ყვავის ფერი, მარცხენა ბარდაყზე დალი. მოიყვანეს 2 იანვარს 1919 წ. და ჩაირიცხა ნაწილში 4 იანვარს 1919 წ. № 88-ს ბრძანებით.	5	2	2	სარემონტო სექციამ	ცხენის გამოყენება, რიგები, სქე, წესი, ღირებულება, რომლითაც ცხენი გამოიყენება
2							
3							

სამხედრო მინისტრი რამიშვილი

12 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 156

საქართველოს ეროვნულის საბჭოს სამხედრო სექციასთან არსებულის მომარაგების განყოფილების სალიკვიდაცია კომისიის თავმჯდომარემ პოლკოვნიკმა ჩოფიკაშვილმა მოხსენებით 7 ივლისითგან ამა წლისა № 9085 შემატყობანა, რომ ხსენებულის კომისიის მიერ შესაბამის უწყებების თვის ქონების ნაშთის გამოყოფის შემდეგ ზოგიერთს უწყებას ქონების მიღება მხოლოდ ამ წლის აპრილში გაუთავებია. იმავე კომისიის აქვს გასათავებელი

და ჩემთვის წარმოსადგენი ანგარიში, მაგრამ რადგან კომისიას შემადგენლობითგან გასულნი არიან სხვადასხვა მიზეზით წინანდელი მისი წევრები და თვით თავმჯდომარესაც დიდი მუშაობა უხდება მიმდინარე სამსახურებრივის საქმეების გამო, საჭირო ხდება ახალის კომისიის დანიშვნა აღნიშნული მოპარაგების განყოფილების საბოლოო ლიკვიდაციისთვის.

ნათქვამის გამო საქართველოს ეროვნულს საბჭოსთან არსებულის მოპარაგების განყოფილების ლიკვიდაციის ანგარიშის დასათავებლად ვნიშნავ კომისიას ჩემს განკარგულებაში მყოფის გენერალ-მაიორის მაქაეარიანის თავმჯდომარეობით, პოლკოვნიკის წერეთლის წევრობით და პოლკოვნიკის ჩოფიკაშვილის მონაწილეობით.

ახალის შემადგენლობის კომისიას ვუბრძანებ დაათავოს ლიკვიდაცია და ანგარიში რაც შეიძლება მცირე ხანში და ანგარიში თავის დასკვნითურთ მე წარმომიდგინოს,

14 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი

### № 157

უკანასკნელ დროში ძალიან ვახშირდა ოფიცერთა მიერ კლუბებში, რესტორანებში და სხვა საზოგადო დაწესებულებებში არა ფხიზლათ გამოცხადება. ამ ნიადაგზე ხშირით ხდება უწესობა, პირადობის ურაცუოთა და ჩხუბი იარაღის საშუალებითაც კი. აგრეთვე ხშირია მაგალითები. როდესაც ოფიცრები არღვევენ საზოგადო წესრიგს და მით ბლაღავენ ოფიცერთა ღირსებას, არ ასრულებენ მოთხოვნილებას კომენდანტის, მის აღიუტანტის და სხვა პირებისას, რომლებსაც დავალებული აქვთ წესრიგის დაცვა. ოფიცრების ასეთი ყოფი-ქცევა საზოგადოებაში, სადაც ისინი უნდა იყვნენ ზრდილობიანობის და თავდაპირილობის მაგალითის მაჩვენებელი, სრულიად მიუღებელია. ოფიცრები, რომლებიც დაარღვევენ საზოგადო წესრიგს, ან საზოგადოებაში გამოცხადდებიან არა ფხიზლად, ქუქქს სცხებენ ქართულ ჯარს და ვერ ჩაითვლებიან ამ ჯარის ოფიცრის ღირსების სახელის მატარებლად.

ნაწილების და დაწესებულებების უფროსებმა ეხლავე გამოუცხადონ თავის ხელქვეით ოფიცრებს, რომ სიმთვრალეში საზოგადოებრივის წესრიგის დარღვევისათვის და უფროსებისადმი ურჩობისათვის იქმნებიან სამსახურიდან დათხოვნილნი დაუყოვნებლივ გამოუძიებლათ.

15 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 158

ვნიშნავ ამ წლის 30 ივლისს საგანგებო საზოგადო კრებას ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთა საზოგადოების 1918 წლის წლიური ანგარიშის და ხარჯთაღრიცხვის შემოწმებისთვის, გამგეობის და მეთვალყურე კომიტეტის საზოგადოების ახლანდელი მდგომარეობის შესახებ მოხსენების და არსებული წესდების გადასათვალიერებლად და აგრეთვე გამგეობის თავმჯდომარის ასარჩევად. ამ კრებაზე უნდა დაესწრონ ის რწმუნებულნი, რომელნიც დაესწრნენ პირველ საზოგადო კრებას 15 ამ წლის აპრილში და აგრეთვე ის რწმუნებულნიც, რომელნიც თუმცა არჩეულ იყვნენ ნაწილებისაგან, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზთა გამო ვერ დაესწრნენ აპრილის კრებაზე.

სამხედრო მინ. მაგისტრ გენ.-მაიორი გუდგვანიშვილი.

# ბრძანებები

## საქართველოს რესპუბლიკის ვაზრების ძიძხრო.

17 მარტობობისთვე, 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 205

მიუხედავად პრავალჯერ გაცემულ განკარგულებისა და მომკმელ კანონებზე შითიშობისა ჯარის ერთეულებისაგან და ნაწილებისაგან შემოღის მოთხოვნილება სხვა და სხვა გვარ-საარტილერიო საინჟინერო, სამწეო და სხვა ულუფის ნივთებზე ძლიერ დიდი მაშტაბით-აღუნიშნელათ საფუძვლისა. დაუსველად ფორმისა. წესისა და საქირო შემთხვევებში. ინსპექტორის (დამთვალთვრებლის) დაუმოწებლად.

ყოველივე ეს საშუალებას უსპობს სათანადო სექციებს თავის დროზე და საჩქაროდ დააკმაყოფილოს ჯარის მოთხოვნილება, რადგანაც საქირო ცნობების და შეკითხვების მოხდენას დიდი დრო სკირია.

ამის გამო ებრძანებ, რომ შემდეგში ყველა ჯარის ერთეულებმა და ნაწილებმა მიიღოს სახელმძღვანელოდ და უცვლელად შეასრულონ შემდეგი წესი. მოთხოვნილებათა ნუსხის წარმოდგენის დროს.

მოთხოვნილებაში უნდა იყოს ნაჩვენები:

1) კანონი, შტატი (მუხ. 1482 წიგ-19 კრ. სამ. დადგ.)

2) შეუცდომლად დასახელება საგნებისა სამსახურის სახელმძღვანელოების წინ ჩვენებით, თუ ასეთები არის.

3) რაოდენობა ამ საგნებისა შტატის ანუ ტაბელის მიხედვით. თუ ასეთები არის.

4) რაოდენობა ამ საგნებისა ერთეულში.

5) რაოდენობა მისაცემ საგნებისა.

6) სისწორე მოთხოვნილებათა. როცა ერთეული თხოულობს ნივთებს უფასოდ 210 მუხ. ნიგნ. 5 კრებ, სამ. დადგ. ძალიდ. უნდა იყოს დამოწმებული ბრიგადის უფროსისაგან ან მასთან სწორ-უფლებიან თანამდებობის პირისაგან.

7) ამ შემთხვევაში ნივთები რომ მიცემული იქნეს სამხ. დადგ. კრებ. მე 5 წიგნ. 213 მუხ. და იმავე დადგენილებათა კრებ. მე-19 წიგნ. 1485 მუხლ. ძალით. ყოველი წამზდარი, უვარგისი და დაკარგულ ნივთზე უნდა იქმნეს წარმოდგენილი ცნობა ინსპექტორის მიერ დამოწმებული, რომელშიაც უთუოდ უნდა იყოს მოხსენებული: სახელმწიფოს. თუ დამნაშავეს ხარჯზე იქმნეს გაწეული ზარალი. პირველ შემთხვევაში უვარგისი ქონება გადაეცემა საწყობებს ხელწერილით, რომელსაც საწყობი არდგენს სექციებში; ხოლო მეორე შემთხვევაში სამაგიერო ნივთი მიეცემა ერთეულებს დამნაშავესაგან ღირებული ფასის გადახდევინების შემდეგ.

8) მოთხოვნილების ნუსხა უნდა იქმნეს წარმოდგენილი ორ ეგზემპლიარად.

სექციების უფროსებს უბრძანებ, ერთეულების ყველა ნაწილების მოთხოვნილებანი, უსწოროდ წარმოდგენილნი, დაუბრუნონ ხოლმე უკანვე წარმოდგენთ.

26 სექტემბერი, 1919 წ. ქ. თფილისი

## № 206

1. თბილისის სამხედრო სანიეტო მალაზიასთან არსებული სადარაჯო მცირე გუნდი, ორმოცი კაცისაგან შემდგარი, შეუერთდეს თბილისის სადარაჯო ათასეულს.

2. წინადადებას ვაძლევ თბილისის სადარაჯო ათასეულის უფროსს მუდამ დღე დანიშნოს ყარაული ათასეულიდან თბილისის სანიეტო-საპარგო სიწყობის სადარაჯოთ.

სამხედრო მინისტრი ნ. რამიშვილი.

3 ოქტომბერი 1919 წ. ქ. თფილისი.

## № 207

**განთავისუფლებულია:** სამხერო ტაძრის კანტორის თანაშემწის თანამდებობისაგან სამხედრო სამინისტროს პიროვნულ შემადგენლობის განყოფილებასთან საქენსიონაწილის უფროსი მაიორი ცაგარელი.

სამხედრო მინისტრის მაგერ  
გენერალი გედევანიშვილი.

4 ოქტომბერი, 1919 წ. ქ. თფილისი.

## № 208

საარმიო არტილერიის დივიზიონის უფროსმა ამა წლის 29 სექტემბერს თარიღით, № 28 შემოიტანა განცხადება, რომ მის რწმუნებულ დივიზიონის მცირე ბატარეამ დაჰკარგა ბეკედი წარწერით მე-2-ე ბატარეის უფროსი საარმიო არტილერიის ბრიგადის\*. თანახმად სამხედრო მინისტრის ბრძანებისა ვაცხადებ ამ ზემოხსენებულს ყველა ერთეულების და ნაწილების ცნობად.—

სამხედრო სამინისტროს კანცელარიის უფროსი,  
გენერალი ქავთარაძე.

19 სექტემბერი 1919 წ. ქ. თფილისი.

## № 209

შემჩნეულია რომ ზოგიერთა სამხედრო საგანგებო სასამართლოებში არ აწარმოებენ სხდომის ჟურნალს, რაიც უნდა სწარმოებდეს თანახმად მთავრობის ბრძანებისა სამხედრო უწყების მიმართ 1918 წ. № 177 მე-20 მუხლისა. ვბრძანებ, რომ ყველა სამხედრო საგანგებო სასამართლომ აუცილებლივ აწარმოოს სხდომის ჟურნალი თანახმად აღნიშნულ ბრძანებისა.

კანონი: დამატება XIII, 34 მუხ. XXIV წიგ. 1869 წ. ს. დ. კ. გამ. 4.

სამხედრო მინისტრი რამიშვილი.

19 ოქტომბერი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 210

### § 1.

13 სექტემბერს ვერის აღმართზე მომხდარ ბოროტმოქმედების დროს სამხედრო საბჭოს წევრი გენერალი ოდიშელიძე დაიჭრა ყუმბარის ნატეხით და 21 სექტემბრამდე ექიმობდა ლაზარეთში. 21 ოქტომბრიდან კი შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

ცნობა: გენ. ოდიშელიძეს მოხსენება № 1504.

### § 2.

29 სექტემბერს გენერალი ოდიშელიძე თანახმად ჩემი ბრძანებისა გაემგზავრა ყაზბეგს საზღვრების დასათვალისწინებლად და დაბრუნდა 30 სექტემბერს.

ცნობა: გენერალ ოდიშელიძეს მოხსენება № 1505.

სამხედრო მინისტრი რამიშვილი.

7 ოქტომბერი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 211

ვაცხადებ ამასთანავე ცნობად რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლოს განაჩენის ასლს. პირველი შავი ზღვის რაზმის, შტ.-კაპიტან ბარამიძის საქმის შესახებ.

განაჩენი: საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელით 1919 წ. 8 სექტემბრის 1 დღესა საქართველოს ჯარების სამხედრო სასამართლოს სამხედრო მსაჯულის წიგნითა და თავმჯდომარეობით—სასამართლომ საჯარო სხდომაზედ, რომელსაც მონაწილეობას იღებდნენ ნაფიცი მსაჯულნი, სია, რომელთაც არის ემა საქმეში, სამხედრო ბრალდებულის თანაშემწის მირიანაშვილის თანდასწრებით და წერეთლის მდივნობით მოისმინა საქმე პირველი შავი ზღვის სანაპირო რაზმის შტაბს-კაპიტან ბარამიძის შესახებ.

საქმეში არსებულ ცნობებზე ბრალდებული ევსევი ნიკიფორისძე ბარამიძე არის 25 წლისა, მოქალაქე სოფ. შემოქმედისა, ოზურგეთის მაზრისა, ხემხედრო სამსახურში იმყოფება 1914 წ., გამოძიებასა და სასამართლოს ქვეშ არ ყოფილა, აქვს შტაბს-კაპიტანის სახელწოდება და შემდეგი ჯილდოები: წმინდა ანასი 4 ხარისხისა, „მამაცობისთვის“, წმინდა გიორგის ოქროს იარაღი, წმინდა სტანისლავისა, — 3 ხარისხისა მახვილებით და ბანტით, წმინდა სტანისლავისა 2 ხარისხისა მახვილებით და ბანტით, წმინდა ვლადიმერის 4 ხარისხისა მახვილებით და ბანტით.

სამხედრო ნაფიცი მსაჯულთა დადგენილებით ბრალდებული ბარამიძე, 25 წლისა, ცნობილია უდანაშაულოთ იმაში, რომ მიითვისა 11032 მან. და 58 კ. სახაზინო ფულიდგან, რომელიც მას სამსახურის გამო მიბარებული ჰქონდა, ორი ღთასი ხუთას ოცდა თექვსმეტი მან. და 58 კ. მაგრამ ამ ბოროტმოქმედების გამოამელაენების შემდეგ ფული სრულიად დააბრუნა კუთვნილებისამებრ; ამიტომ და თანახმად 3 ნაწ. 3 ნაწ. 232 მ. XXII წ. ს. დ. კ.

1869 წ. გამ. 4 და 902, 906, 1 პუნ. 910, 915, 1128, 1155. მზხ. სამხედრო სამოსამართლო წესდებისა რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლომ დაადგინა:

I—ბრალდებული შტაბს-კაპიტანი ვესევი ბარამიძე. 25 წლისა, ზემო-აღნიშნულ ბრალდებაში ცნობილი იყოს უდანაშაულოდ და სასამართლოსგან გამართლებულად.

II—სამოსამართლო და საქმის საწარმოებელი ხარჯები, თუ ეგეთი აღმოჩნდა, მიღებულ იქმნას რესპუბლიკის ხაზინის ხარჯზედ.

დედანს ხელს აწერს სამხედრო მსაჯული წიფწივაძე.

დედანთან სწორია: მდივნის თანაშემწე წერეთელი.

4 დეკემბრისთვე 1919 წ. ქ. თბილისი.

### № 212

#### § 1.

ამა წლის 29 სექტემბერს მე დავათვალიერე ტფილისის მახლობლად დაბანაკებული მესანგრე ათასეულის ნაწილები და დავრწმუნდი, რომ განვლილი ზაფხულის ხანით ათასეულს სავსებით უსარგებლნია: მესანგრეობის ყველა დარგში ბევრი პრაქტიკული ნაშუშევარია შესრულებული საზოგადოთ ნაწილებში სხანს წესრიგი და ჯარის კაცებზე ზრუნვა. რესპუბლიკის მთავრობის სახელით უღრმეს მადლობას ვუცხადებ საინჟინერო-სატექნიკო ჯარების უფროსს გენერალ აყაიშვი იხ, მესანგრე ათასეულის უფროსს პოლკოვნიკ ვახვახიშვილს და ათასეულის ყველა აჟიცრებს და ჯარის კაცებს.

#### § 2.

როგორც ნაწილების უფროსების მოხსენებიდან გამოიკვია საგარნიზონო პურის ცხობა ხელს არ უწყობს ტფილისში მყოფ ჯარის ერთეულების და ნაწილების პურით დაკმაყოფილების საქმეს, ამას გარდა შემჩნეულია, რომ სამხედრო პოსპიტალი და საზოგადოთ ექიმები შედარებით ადვილად ათავისუფლებენ ჯარის კაცებს ავთამყოფობის მიზეზით.

ვუბრძანებ სამხედრო სამნეო კომიტეტს წარმომიდგინოს მე მოხსენება ამ საკითხების შესახებ.

სამხედრო მინისტრი ჩამიშვილი.

6 ოქტომბერი 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 213

მიიჩინებთან: ცხენოსან რაზმის ლეიტენანტი ანანიაშვილი სამხედრო სამინისტროსთან სამხედრო მინისტრის თანაშემწის პირადი აღიუტანტის (მდივნის) თანამდებობის აღმასრულებლათ, მინამ ავთ გამხდარი უფროსი ლეიტენანტი შნეიდერი ავთამყოფობიდან განიკურნებოდეს.

სამხედრო მინისტრის მაგიერ გენერალი გედევანიშვილი.

დარიგდა 15 ოქტომბერს 1919 წ.

# ნაბრძანები

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

26 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 6

სამხედრო სასამართლოს პროკურორმა შეატყობინა სამხედრო მინისტრს, რომ სამხედრო გამომძიებელთაგან არა ერთხელ მოსვლია და მოსდის განცხადებანი იმის შესახებ, რომ მათ კანონიერ მოთხოვნა—ბრალდებულების, მოწმად გამოწვეულების და სხვათა მოძებნის შესახებ თავის დროზედ არ ასრულებენ არც სამხედრო და არც საადმინისტრაციო პირები, ხანდახან კი ასეთი მოთხოვნა სრულებით უცურადღებოთ რჩება, რის გამოც საქმეთა წარმოება ფერხდება, და ხშირად თვით გამომძიებლებს უხდებათ მოწმების და ბრალდებულების ძებნა ნაცნობების საშუალებით.

ასეთის არა ნორმალის წესის მოსასპობად, სამხედრო მინისტრმა ბრძანა ყველა ჯირის უფროსებს ეცნობოს, რომ ისინი მოვალენი არიან დაუყოვნებლად და სისწორით შეასრულონ ხოლომე სამხედრო გამომძიებლების კანონიერი მოთხოვნა წინასწარი გამომძიების შესახებ.

26 ივნისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 7

სამხედრო მინისტრმა ბრძანა მიღებულ იქმნას სახელმძღვანელოდ შემდეგი:

1. 2 მუხ. 1918 წ. 5 ივლისის სალიკვიდაციო კანონისა დამფუძნებელი კრების მიერ შეცვლილია 1919 წლის 13 აპრილს და ახალი რედაქცია მისი ასეთია:

მუხ. 2. მოსამსახურენი, რომელთაც იმსახურეს წელიწადზე მეტი 1 მუხ. აღნიშნულის დახმარების გარდა, მიიღებენ ჯილდოთ ნამსახურ დროისთვის, შემდეგის ზომით: პირველის ხუთის წლის განმავლობაში ყოველის წლის სამსახურისთვის (პირველ წელს გარდა) ორი კვირის ჯამაგირს; მეორე ხუთი წლის განმავლობაში ყოველ წლისთვის ერთი კვირის ჯამაგირს და მესამე ხუთი წლის და მეტის დროის განმავლობაში ყოველ წლისათვის ნახევარი კვირის ჯამაგირს.

**შენიშვნა.** 1. დაჯილდოების ანგარიშის დროს ექვს თვეზე მეტი სამსახური ჩაეთვლება წლად.

2. ის პირები, რომელნიც ლებულობენ ხაზინიდან პენსიას ან საპენსიო დახმარებას, ჰკარგავენ უფლებას, მიიღონ ჯილდო მე-2 მუხ. ნაჩვენები.

თანახმად მიმდინარე წლის 10 ივნისის მთავრობის დადგენილებისა, მე-2 მუხლი ახალი რედაქციით ვრცელდება მხოლოდ იმ პირებზე, რომელ-



ნიც დათხოვნილი არიან დაშფუძნებელი კრების მიერ ამ ცვლილების მი-  
ლების დღიდან, ე. ი. 15 აპრილიდან 1819 წ. 15 აპრილამდის დათხოვი-  
ლებზე, თუნდაც მათ არ მიეღოთ საბოლოო ანგარიში 15 აპრილამდის,  
ეს მუხლი ახალი რედაქციით არ ვრცელდება, არამედ მათთვის რჩება მე-2  
მუხლი 1918 წ. 5 ივლისის რედაქციით.

სამხედრო სამინ. საერთო განყოფილების  
უფროსი, გენერალ-მაიორი ქავთარაძე,

## ბ რ კ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მიმართ

15 ოქტომბერი 1919 წ. ქ. ტფილისი.

### № 223

ამა ოქტომბრის 12-ს ღამის 9 საათზე ქ. სოხუმში მეორე ქვეითა რაზ-  
მის ჯარის-კაცთა ჯგუფი, 70-80 კაცამდე, ჯარის-კაცთა ტანსაცმელში გა-  
დაცმულ აგიტატორთა ხელშეწყობით და ზეგავლენით შეეცადა იარაღის  
საწყობის გაძარცვას. ბოლშევიკთა მიზანი იყო მთავრობის საწინააღმდეგო  
მოძრაობის გაჩაღება და ანარქიის გაძლიერება. ერთი თავდაშსხმელთა-  
განი დარაჯმა მოჰკლა და რაშოდენიმე დასჭრა. რაზმი მთლიანად თავის  
მოვალეობის ერთგული დარჩა. მიღებული ზომებით წესრიგი დაუყონებლივ  
იქნა აღდგენილი. გამოსვლის მონაწილეებმა ამბოხების მეთაურები თვით  
გასცეს, რომელნიც შეიპყრეს, უკანასკნელნი გადაეცნენ სასამართლოს მსჯე-  
ლის დასადებად.

მივაქცევ რა ამ საშფუთხარო გარემოებას ჯარის ნაწილთა უფროსების  
ყურადღებას, ვუბრძანებ მათ მიიღონ ენერგიული ზომები, რომ ჯარში აღგი-  
ლი არ ჰქონდეს გადაცმულ ბოლშევიკთა აგიტატორებს.

სამხედრო მინისტრი ნ. რამიშვილი.

დარიგდა 17 ოქტომბერს

# ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მიმართ

17 ოქტომბერი, 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 225

რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლომ 22 სექტემბერს 1919 წელს სასამართლოს საჯარო სხდომაზედ გაარჩია საქმე პარტიზანულ პოლკის პრაპორშჩიკ კვირიკაძის საქმე, რომელსაც ედებოდა ბრალი იმაში, რომ მან მიითვისა სამსახურში ჩაბარებული ნივთები ე. ი. ბოროტმოქმედება, რომელიც გათვალისწინებულია 232 მუხ. სასჯელთა სამხედრო წესდებით; იხელმძღვანელა რა 906, 910, 915, 1128 მუხ. სამხედრო სასამართლოს წესდებისა, სამხედრო სასამართლომ დაადგინა:

1) პარტიზანთა პოლკის პრაპორშჩიკი კვირიკაძე დაჰნაშავე არ არის და სასამართლოს მიერ გამართლებულია.

2) თუ საქმის გამოძიებამ რაიმე ხარჯი გამოიწვია, უკანასკნელი მიიღოს თავზე რესპუბლიკის ხაზინამ.

სამხედრო მინისტრი რამიშვილი.

დარიგდა 29 ოქტომბერს 1919 წ.

## 1940-1992 წლებში საბჭოთა არმიასა და სამხედრო საზღვაო ფლოტში მომსახურე ქართველი ეროვნების გენერლები და ადმირლები.

### 1. იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი (ჯუღაშვილი) (1878-1953)

- საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი (27.06.1945)  
სოციალისტური შრომის გმირი (20.12.1939)  
საბჭოთა კავშირის გმირი (27.06.1945)

### 2. ლავრენტი პავლეს-ძე ბერია (1899-1953)

- საბჭოთა კავშირის მარშალი (09.07.1945)  
სოციალისტური შრომის გმირი (30.09.1943)

### 3. არჩილ ვიქტორის-ძე გელოვანი (1915-1978)

- საინჟინრო ჯარების მარშალი (28.10.1977)

## გენერალ-პოლკოვნიკები

### 1. კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძე (1903-1944)

- გენერალ-პოლკოვნიკი (09.10.1943)  
საბჭოთა კავშირის გმირი (13.05.1971, სიკვდ. შემდ.)

### 2. პორფილე გიორგის-ძე ჩანჩიბაძე (1901-1950)

- გენერალ-პოლკოვნიკი (02.07.1945)  
საბჭოთა კავშირის გმირი (19.04.1945)

### 3. სერგო არსენის-ძე გოგლიძე (1901-1953)

- გენერალ-პოლკოვნიკი (09.07.1945)

### 4. გრიგოლ სიმონის-ძე კიკნაძე (1897-1978)

- გზათა მიმოსვლის I-ი რანგის ვიცე-გენერალ-დირექტორი  
(გენერალ-პოლკოვნიკი -06.11.1945)  
სოციალისტური შრომის გმირი (05.11.1943)

### 5. ალექსი ნიკოლოზის-ძე ინაური (1908-1993)

- გენერალ-პოლკოვნიკი (27.10.1967)  
საბჭოთა კავშირის გმირი (08.05.1985)

## გენერალ-ლეიტენანტები

1. **სიმონ სიმონის-ძე გირგოლავა (1881-1957)**  
– სამედ.სამს. გენერალ-ლეიტენანტი (01.02.1943)
2. **იუსტინე ივლიანის-ძე ჯანელიძე (1883-1950)**  
– სამედ. სამს. გენერალ-ლეიტენანტი (12.05.1943)  
სოციალისტური შრომის გმირი (1945)
3. **ვლადიმერ ვარდენის-ძე ნანიშვილი (1903-1978)**  
– ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი (11.05.1944)  
საბჭოთა კავშირის გმირი (21.03.1940)
4. **ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძე (1902-1988)**  
– გენერალ-ლეიტენანტი (22.06.1944)  
სოციალისტური შრომის გმირი (21.09.1962)
5. **ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე რუხაძე (1905-1955)**  
– გენერალ-ლეიტენანტი (02.11.1944)
6. **ნესტორ დარისპანის-ძე ლაბაძე (04.06.1940)**  
– გენერალ-ლეიტენანტი (17.11.1944)
7. **მიხეილ მაქსიმეს-ძე გვიშიანი (1905-1966)**  
– გენერალ-ლეიტენანტი (09.07.1945)
8. **გრიგოლ ტეოფილეს-ძე კარანაძე (1902-1970)**  
– გენერალ-ლეიტენანტი (09.07.1945)
9. **ავქსენტი ნარიკის-ძე რაფავა (1899-1955)**  
– გენერალ-ლეიტენანტი (09.07.1945)
10. **იუველიანე დავითის-ძე სუმბათოვი -თოფურიძე (1889-1960)**  
– გენერალ-ლეიტენანტი (09.07.1945)
11. **ლავრენტი თომას-ძე ცანავა (ჯანჯღავა) (1902-1955)**  
– გენერალ-ლეიტენანტი (09.07.1945)
12. **შალვა ოთარის-ძე წერეთელი (1894-1955)**  
– გენერალ-ლეიტენანტი (09.07.1945)
13. **ალექსანდრე იაკობის-ძე ეგნატაშვილი (1887-1948)**  
– გენერალ-ლეიტენანტი (09.07.1945)

**14. ილია დავითის-ძე გოცირიძე (1897-1968)**

– გზათა მიმოსვლის მე-II რანგის ვიცე-გენერალ-დირექტორი  
(გენერალ-ლეიტენანტი)

**15. ვასილ იოსების-ძე სტალინი (1921-1962)**

– ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი (11.05.1949)

**16. რაფიელ არტემის-ძე კვიციანი (1904-1975)**

– საფინანსო სამსახ. მე-II რანგის სახ. მრჩეველი (20.10.1948)

**17. ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ჯანჯღავა (1907-1982)**

– გენერალ-ლეიტენანტი (03.08.1953)

საბჭოთა კავშირის გმირი (29.05.1945)

**18. მიხეილ ვარლამის-ძე ლლონი (1904-1955)**

– გენერალ-ლეიტენანტი (31.05.1954)

**19. შალვა ნიკოლოზის-ძე ჟიჟილაშვილი (1914-1993)**

– საინჟ.-ტექნ. სამს. გენერალ-ლეიტენანტი (27.04.1962)

სოციალისტური შრომის გმირი (05.11.1943)

**20. გალაქტიონ ელისეს-ძე ალფაიძე (1916-2000)**

– არტ. გენერალ-ლეიტენანტი (25.10.1967)

საბჭოთა კავშირის გმირი (28.04.1945)

**21. ლეონიდე გრიგოლის-ძე მარლანიძე (1920-1995)**

– გენერალ-ლეიტენანტი (19.02.1968)

**22. კონსტანტინე ერემოს-ძე კეთილაძე (1919-1996)**

– შინ. სამს. გენერალ-ლეიტენანტი (21.04.1975)

**23. ირაკლი ივანეს-ძე ჯორჯაძე (1917-1992)**

– არტ. გენერალ-ლეიტენანტი (07.11.1975)

**24. რობერტ გერონტის-ძე თავაძე (1930-2004)**

– გენერალ-ლეიტენანტი (16.02.1979)

**25. ბორის აბრამის-ძე ძეგაშვილი (1929-2010)**

– არტ. გენერალ-ლეიტენანტი (12.02.1979)

**26. გურამ ივანეს-ძე გვეტაძე (1931)**

– მილიციის გენერალ-ლეიტენანტი (17.02.1982)

**27. ანატოლი მიხეილის-ძე კამკამიძე (1936-1999)**

– გენერალ-ლეიტენანტი (23.02.1984)

**28. მუხტარ სიმონის-ძე ელბაქიძე (1931)**

– გენერალ-ლეიტენანტი (18.02.1988)

**29. შოთა ვარლამის-ძე გორგოძე (1932)**

– შინ.სამს. გენერალ-ლეიტენანტი (30.04.1988)

**30. ლევან ლევანის-ძე შარაშენიძე (1931-2012)**

– გენერალ-ლეიტენანტი (16.02.1989)

### **გენერალ-მაიორები**

**1. პავლე ივლიანეს-ძე აბრამიძე (1901-1989)**

– გენერალ-მაიორი (04.06.1940)

პირველი ქართველი საბჭოთა გენერალი

**2. მიხეილ გერასიმეს-ძე მიქელაძე (1899-1975)**

– გენერალ-მაიორი (14.10.1942)

**3. გიორგი ივანეს-ძე ყუფარაძე (1895-1954)**

– გენერალ-მაიორი (10.11.1942)

**4. ნიკოლოზ ტარიელის-ძე თავართქილაძე (1905-1989)**

– გენერალ-მაიორი (27.11.1942)

**5. ლეონიდე ვიქტორის-ძე ზარატოვი (ზარათაშვილი) (1894-1951)**

– გენერალ-მაიორი (27.01.1943)

**6. ერმალოზ გრიგოლის-ძე კობერიძე (1904-1974)**

– გენერალ-მაიორი (12.02.1943)

საბჭოთა კავშირის გმირი (06.04.1945)

**7. კირილე კოჩიას-ძე ჯახუა (1902-1969)**

– გენერალ-მაიორი (01.03.1943)

**8. კაპიტონ გრიგოლის-ძე ნაჭყებია (1902-1973)**

– მილიციის მე-III რანგის კომისარი (04.03.1943)

**9. მიხეილ ენუქის-ძე როსტომაშვილი (1902-1987)**

– გენერალ-მაიორი (26.05.1943)

**10. ვალერიან სერგოს-ძე ძაბახიძე (1903-1986)**

– გენერალ-მაიორი (17.11.1943)

11. გიორგი გაბრიელის-ძე ყურაშვილი (1900-1978)  
– გენერალ-მაიორი (22.02.1944)
12. ყარამან დავითის-ძე მალრაძე (1892-1945)  
– მილიციის მე-III რანგის კომისარი (26.05.1943)
13. ილია ომანის-ძე რაზმაძე (1899-1953)  
– გენერალ-მაიორი (03.06.1944)
14. ისიდორე ანდრიას-ძე სილაგაძე (1898-1970)  
– გენერალ-მაიორი (03.06.1944)
15. ესტატე ზაქარეას-ძე ტატანაშვილი (1902-1958)  
– ავიაციის გენერალ-მაიორი (19.08.1944)
16. შალვა ლავრენტის-ძე ჭანკოტაძე (1902-1965)  
– ავიაციის გენერალ-მაიორი (19.08.1944)
